K 135.750
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა. ბრეგვაძე

ჩვის მრეწველობის განვითარება საბჭოთა საქართველოში

თბილისი
1969

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა. ბრეგვაძე

ჩაის მრეწველობის განვითარება საბჭოთა საქართველოში

(ისტორიულ-ეკონომიკური ნარკვევი)

К 195.750
3

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი — 1969

საქართველოს სსრ სახ. საბჭ. საბჭოთ.
რესპუბ. ... ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

678.82(ć41)(09)
338:663.95(47.922)(09)
ბ911

ნაშრომში მოცემულია საბჭოთამდელ საქართველოში ჩაის კულტურის გავრცელებისა და ჩაის წარმოების ჩასახვის ისტორია. განხილულია და შესწავლილი ჩაის წარმოების განვითარების ძირითადი პროცესები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან შვიდწლედის ბოლომდე. გაანალიზებულია ყველა ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუწყო ჩაის სანედლეულო ბაზის ზრდა-განმტკიცებას და ძის შესაბამისად ჩაის მრეწველობის განვითარებას. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს საქართველოს სსრ-ში ჩაის წარმოების განვითარების დაჩქარებაში. ნაჩვენებია საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის ადგილი სსრ კავშირისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში, მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივა.

სპეც. ფონდი
შენახულია

1—8—5

187—68 ადგ.

185ეკ 211ბ- -ბ1

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინასიტყვაობა

ჩაის მრეწველობა წარმოადგენს საბჭოთა საქართველოს კვების მრეწველობის ერთ-ერთ ძირითად დარგს. იგი მხოლოდ საბჭოთა წყობილების პირობებში შეიქმნა. სამამულო ომისშემდგომ ხუთწლედებში მკვეთრად გაიზარდა მისი ხვედრიწონა საბჭოთა კავშირის ინდუსტრიულ წარმოებაში, ამიტომ დიდია მისი ადგილი ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში და მის ეკონომიკაში. აქით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ჩაის წარმოების შესახებ დაიწერა არა ერთი საყურადღებო ნაშრომი, განსაკუთრებით ეს ითქმის უკანასკნელ წლებში ქართველი მეცნიერ ეკონომისტების მიერ გამოქვეყნებულ ლიტერატურაზე. ამ შრომებში ძირითადად განხილულია ჩაის სანედლეულო ბაზის და მასთან ჩაის მრეწველობის ეკონომიკის კონკრეტული საკითხები. ვხვდებით ჩაის მრეწველობის განვითარების ისტორიასაც, მაგრამ ამ შრომების ავტორები მიზნად არ ისახავდნენ ჩაის მრეწველობის ისტორიის თანმიმდევრულ გაშუქებას და შემოფარგლულნი არიან რევოლუციამდელი პერიოდის ან საბჭოთა საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპის ჩარჩოთი. წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს პირველ ცდას და მცირე წვლილს ამ ხარვეზის შევსებისათვის. ავტორის მიზანს შეადგენს ჩაის მრეწველობის სანედლეულო ბაზის განვითარების კვალობაზე გააშუქოს ჩაის მრეწველობის შექმნის ხანგრძლივი ცდებისა და შემდგომ მისი განვითარების მსვლელობა. ამდენად ნაშრომი ძირითადად ეხება არა მთლიანად ჩაის სანედლეულო ბაზის, არამედ მის გადამამუშავებელ მრეწველობის—ჩაის მზა პროდუქციის ინდუსტრიული წარმოების განვითარებას გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან მოკიდებული, სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის დასასრულამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვლევი თემის თავისებურებასთან დაკავშირებით შესაძლებლობის ფარგლებში განხილული და გაანალიზებულია ჩაის მრეწველობის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები, რათა ჩანდეს მრეწველობის ამ დარგის ადგილი და როლი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში.

ნაშრომი დაწერილია კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და სხვა ოფიციალური დოკუმენტების, საარქივო მასალებისა და ლიტერატურული წყაროების შესწავლის საფუძველზე, ვფიქრობთ მოტანილი ცხრილები და ციფრობრივი მასალა არ გაძნელებს ნაშრომის კითხვას და ხელს შეუწყობს კვლევის საგნის თვალსაჩინოებას, თუმცა არ არის გამორიცხული ეკონომიკური თუ ტექნიკური ხასიათის უზუსტობანიც. ამიტომ საქმიან, კრიტიკულ შენიშვნას ავტორი დიდი კმაყოფილებით მიიღებს და გაითვალისწინებს შემდგომ მუშაობაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი პირველი

ჩაის წარმოება რევოლუციამდელ საქართველოში

ა. ჩაის კულტურის გავრცელების და ჩაის ნედლეულის გადამუშავებელ საწარმოთა შექმნის ისტორიიდან

ჩაის კულტურას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ჩაის მცენარის სამშობლო აზიის კონტინენტია, მაგრამ ჩაის მასობრივი მოხმარების ქვეყნად, როგორც მეცნიერთა უმრავლესობა ასაბუთებს, ჩინეთი ითვლება. ჩინეთის მოსახლეობა თავდაპირველად ჩაის ფოთოლს ხმარობდა, როგორც სამკურნალო საშუალებას, რაზეც მითითებულია ერთ-ერთ ჩინურ წყაროში, რომელიც თარიღდება 2737 წ. ჩვენ წელთაღრიცხვამდე. ჯოუ-გუნი წიგნში „ერია" იხსენიებს ჩაის, როგორც მოხმარების პროდუქტს, მაგრამ ამ უძველეს წყაროებში არ იყო მითითებული— ჩაის ფოთოლს კრეფდნენ ჩაის ხეებიდან თუ ხელოვნურად მოშენებულ ჩაის ბუჩქებიდან[1].. ამასთან ერთად არ იყო გარკვეული როდის და სად დაიწყო პირველად ჩაის ბუჩქის გაშენება.

V—VII საუკუნეებიდან მოკიდებული ჩაის სმის ჩვეულება ვრცელდება ჩინეთის სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთ ნაწილსა და ტიბეტში, ხოლო VIII საუკუნისათვის ჩაის კულტურა უკვე ფართოდ გავრცელდა მთელ ჩინეთში.

ჩინეთის გეოგრაფიული და ბუნებრივი პირობები, აგრეთვე მისი ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა მეზობელ ქვეყ-

---

[1] ჯუან ვან-ფანი, ჩაის კულტურა, თბ., 1962, გვ. 54—55.

ნებთან (ტიბეტი, იაპონია, ინდო-ჩინეთი, ინდოეთი) ხელს უწყობდა ამ ქვეყნებში ჩაის კულტურის გავრცელებას და მის მოხმარებას.

ევროპაში ჩინური ჩაის შესახებ ცნობები სხვადასხვა გზით მოდიოდა, უმეტესად ამის შესახებ წერდნენ არაბი მოგზაურები, ერთ-ერთი ასეთი ცნობა მიეკუთვნება 805 წელს. მაგრამ ევროპელები ჩინურ ჩაის უშუალოდ გაეცნენ 1517 წელს, პორტუგალიელი მეზღვაურებისა და ჩინეთში მყოფი მისიონერების საშუალებით[2].

აზიისა და ევროპის კონტინენტზე ჩაის მოხმარების პროდუქტად გავრცელებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ჰოლანდიელმა და ინგლისელმა ვაჭრებმა. ევროპაში ჩაის შეტანის კომერციულ საქმიანობაში ოსტ-ინდოეთის კომპანიამ დასძლია ჰოლანდიელი ვაჭრების კონკურენცია და 1721 წელს მოიპოვა ჩინეთთან ვაჭრობის მონოპოლია. პირველ ხანებში ევროპის ქვეყნებში ჩაი ძალზე ძვირად ფასობდა, იგი მისაწვდომი იყო მხოლოდ მაღალი კლასებისათვის (ერთი გირვანქა ჩაი ღირდა 5—10 გირვანქა სტერლინგი), მაგრამ ჩაის ფასმა შემდეგ თანდათანობით იკლო, XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ინგლისში მისი ღირებულება შეადგენდა 15-დან 50-მდე შილინგს (ხარისხის მიხედვით).

XVIII საუკუნეში ოსტ-ინდოეთის კომპანიას ჩინეთიდან ყოველწლიურად გამოჰქონდა დაახლოებით 20 ათასი გირვანქა ჩაი. ამ კომპანიის ვაჭრობის მასშტაბი სწრაფად ფართოვდებოდა, საკმარისია ითქვას, რომ 1705 წლიდან 1805 წლამდე ინგლისში ყოველწლიურად შემოჰქონდათ 7,5 მლნ გირვანქა ჩინური ჩაი[3]. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ინგლისი უკვე წარმოადგენდა არა მარტო მთავარ მომხმარებელს, არამედ ევროპაში ჩაის მთავარ მიმწოდებელ ქვეყანას[4].

1788 წელს ინგლისელი ბოტანიკოსების ინიციატივით კალკუტის ბოტანიკურ ბაღში დაიწყო ჩაის მცენარის საცდელი გაშენება, რამაც მალე კარგი შედეგი გამოიღო. ინდოეთში ჩაის კულტურის გავრცელებისა და მისი წარმოების ორგანიზაცია ოსტ-ინდოე-

---

[2] ჯუან ვან-ფანი, ჩაის კულტურა, თბ., 1962, გვ. 69; იხ. აგრეთვე, საქართველოს სსრ ცსა, (თბ.), ფონდი 1619, ანაწერი 3, საქ. 5, ფურც. 2.

[3] საქართველოს სსრ ცსა, (თბ.), ფონდი 1619, ანაწ. 3, საქ. 5, ფურც. 2.

[4] Г. К. Широков, Экономическое развитие чайных плантаций в Индии, М., 1959, стр. 5; А. П. Субботин, Чай и чайная торговля в России и других государствах, СПБ, 1892, стр. 414.

თის კომპანიის დიდი თანხების დაბანდებას მოითხოვდა, მაშინ, დესაც ჩინური ჩაის მონოპოლია უფრო მეტ მოგებას იძლეოდა. ოსტ-ინდოეთის კომპანიამ საკუთარი ჩაის წარმოების გაფართოებას ხელი მოჰკიდა მას შემდეგ, რაც ინგლისის პარლამენტის კანონით (1833 წ.) ბოლო მოეღო ამ კომპანიის მონოპოლიას აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობაში[5]. ჩაის პირველი პლანტაციები გაშენდა ასამის პროვინციასა და ჰიმალაიში, სადაც საუკეთესო ნიადაგობრივ-კლიმატური პირობები არსებობდა. მალე ჩაის პლანტაციები გაშენდა ინდოეთის სხვა პროვინციებშიც, აგრეთვე ცეილონსა და ინდონეზიაში (იავა, სუმატრა). ჩაის პლანტაციების გაშენებისათვის იყენებდნენ ჩინეთიდან მოტანილ ჩაის მცენარის თესლს და ნერგებს[6]. ამ ქვეყნებში ჩაის წარმოების განვითარებას დიდად შეუწყო ხელი საცდელი ბაზების შექმნამ, სადაც ხანგრძლივი დაკვირვებისა და მეცნიერული შესწავლის საფუძველზე შემუშავდა ჩაის კულტურის აგროტექნიკა და ჩაის ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგია. ასეთი საცდელი სადგურები მოქმედებდნენ კუნძულ იავაზე (ბაიტენზორგის ბოტანიკური ბაღი) და ინდოეთში (ტეკლეი-ასამის პროვინცია)[7].

XIX საუკუნის 50-იან წლებში ჩაის პლანტაციები ევროპელმა კოლონიზატორებმა გააშენეს აფრიკის აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილში, მალაიში, ვიეტნამში, ტაილანდსა და ბირმაში, შემდეგ ჩაის კულტურა ვრცელდება ირანში, თურქეთში და სამხრეთ ამერიკაში. ამჟამად მთელ მსოფლიოში 30-მდე სახელმწიფოა, სადაც გაშენებულია ჩაის პლანტაციები, აქედან 10 მრეწველური ხასიათისა[8].

რუსეთში ჩაის შესახებ იცოდნენ ჯერ კიდევ XVII საუკუნის 40-იანი წლებიდან[9]. აქ ჩაი შემოვიდა, როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან, ასევე უშუალოდ ჩინეთიდან, მაგრამ იგი, როგორც მასობრივი მოხმარების პროდუქტი ნაკლებად იყო გავრცელებული და მასზე ხელი მიუწვდებოდა მხოლოდ შეძლებულებს.

რუსეთი, როგორც კი ახერხებს ჩინეთთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას, XIX საუკუნის 40-იან წლებში აარსებს სავაჭრო პუნქტს — კიახტას შორეულ აღმოსავლეთში მდ. სელენკაზე,

---

[5] Г. К. Широков, Назв. соч., стр. 5.

[6] ჯუან ვან-ფანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

[7] საქართველოს სსრ ცსა, (თბ), ფონდი 1619, ანაწ.3, საქ. 5, ფურც. 3.

[8] ჯუან ვან-ფანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

[9] А. П. Субботин, Назв. соч., стр. 189.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც შემდგომ ჩინეთთან ვაჭრობაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს[10]. კიახტის ვაჭრობაში მნიშვნელოვანი ხვედრიწონა მოიპოვა ჩინური ჩაით ვაჭრობამ[11]. მიუხედავად იმისა, რომ ხანკოუ, საიდანაც ჩაი რუსეთში იგზავნებოდა, საკმაო მანძილით იყო დაშორებული მაიმაჩინა-კიახტასთან და ცენტრალურ რუსეთთან, ჩაი სხვა სავაჭრო საგნებთან ერთად შემოჰქონდათ საქარავნო გზით რუსეთში. ჩინეთიდან ჩაის იმპორტი რუსეთში პროგრესულად მატულობს, ასე მაგალითად, თუ 1755—60 წწ. შემოიტანეს 10—11 ათასი ფუთი წელიწადში, 1681—1800 წწ. შემოიტანეს 30—50 ათასი ფუთი.

XIX საუკუნის დასაწყისიდან ჩაი აღარ წარმოადგენდა გაბატონებული კლასების მოხმარების საგანს, ჩაის სმის ჩვეულება ვრცელდება მოსახლეობის ფართო ფენებში, მოთხოვნილების ზრდის შესაბამისად სწრაფად იზრდება ჩაის იმპორტიც. 1821—1830 წწ. რუსეთში შემოიტანეს — 143 ათასი ფუთი ჩინური ჩაი, ხოლო 1851—1860 წწ. —335 ათასი ფუთი. მხოლოდ 25 წლის მანძილზე 1826—1850 წწ. შემოიტანეს ყველა სახისა და ხარისხის ჩინური ჩაი — 167 მლნ მანეთის რაოდენობით[12]. მასზე დაწესებული გადასახადებიდან აღებულ იქნა 85 მლნ მანეთი ანუ ჩაით ვაჭრობის მთლიანი შემოსავლის 51%.

მას შემდეგ, რაც ინგლისელებმა და ჰოლანდიელებმა დაიწყეს საკუთარი ჩაის წარმოება, მისი განვითარების შესაბამისად იკვეცება ჩინეთთან ჩაით ვაჭრობა. მიუხედავად ამისა, XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ჩინეთის ჩაის იმპორტში რუსეთი ერთ-ერთი პირველ ადგილს იკავებს, ამას ხელი შეუწყო ჩინეთის ღია ნავსადგურებში რუსეთის სავაჭრო გემებისათვის შესვლის უფლების მინიჭებამ. რუსეთმა კი თავის მხრივ, საგლეხო რეფორმის შემდეგ, ნაციონალური ბურჟუაზიისათვის ხელშეწყობის მიზნით ჩაის შემოტანაზე მოხსნა ადრე არსებული შეზღუდვები. სუეცის არხის გახსნის შემდეგ (1869 წ.) შემოკლდა საზღვაო გზა ჩინეთთან, ახლა ოდესიდან კანტონამდე და ხანკოუმდე (ჩაით ვაჭრობის ცენტრები) მისვლას ჭირდებოდა 35—40 დღე. რუსეთი თავისი კომისიონერე-

---

[10] Там же, стр. 457—458.

[11] კიახტასთან ახლოს ჩინეთმა დაარსა სავაჭრო პუნქტი მაიმაჩინა.

[12] А. П. Субботин, Назв. соч. стр. 468.

ბის მეშვეობით ჩინეთის ჩაის წარმოების ცენტრებში აწყობს ჩაის შემსყიდველ ბაზებს, აგრეთვე ჩაის ფაბრიკებსაც, რომლებიც სპეციალურად ამზადებდნენ რუსეთის ბაზრისათვის სხვადასხვა სახის და ხარისხის ჩაის. რუსეთში ჩაის ყველაზე დიდი ბაზარი იყო მოსკოვი, შემდეგ პეტერბურგი და სხვა სავაჭრო-სამრეწველო ცენტრები. მოსკოვსა და პეტერბურგში შეიქმნა ჩაით ვაჭრობის ისეთი მსხვილი ფირმები, როგორიც იყო: ბოტკინის, პერლოვის, ვისოცკის, კუზნეცოვის, პოპოვის, როსტორგუევისა და სხვ.

XIX საუკუნის დასასრულს გაიყვანეს შორეული აღმოსავლეთის— ტრანსციმბირის რკინიგზა, გაცხოველდა ჩინეთთან სავაჭრო ურთიერთობა შორეულ აღმოსავლეთის ზღვისპირეთში. პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედებით, რაც გამომდინარეობდა ამ პერიოდის რუსეთის საგარეო პოლიტიკის კურსიდან, კიდევ უფრო ფართოვდება ჩინეთთან სავაჭრო ურთიერთობა და მის შესაბამისად ჩინეთიდან ჩაის შემოტანა. მაგრამ იმპერიალისტური ქვეყნების ძარცვისა და ადგილობრივი ფეოდალების მძიმე ექსპლოატაციის შედეგად ჩინეთში მეჩაიეობის განვითარება თანდათანობით ეცემა. ჩინეთი ველარ აკმაყოფილებს რუსეთის ბაზრის მოთხოვნილებას ჩაიზე, რის გამოც რუსეთი იძულებულია გააფართოოს ჩაით ვაჭრობა ინგლისისა და ჰოლანდიის სამხრეთ აზიის კოლონიებში (ცეილონი, იავა). პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დაწყებამდე რუსეთი ჩაის დიდი რაოდენობით იღებდა ცეილონიდან, მაგრამ მომდევნო წლებში თანდათანობით იკლო, ასე მაგალითად, 1913 წელს ცეილონიდან მიიღეს 26 მლნ გირვანქა ჩაი, ხოლო 1917 წელს— 13 მლნ გირვანქა.

რუსეთში ჩაის ყოველწლიური იმპორტის ოდენობა პირველ მსოლიო იმპერიალისტურ ომამდე საშუალოდ შეადგენდა 75 ათას ტონას[13]. მართალია მეფის რუსეთი ჩაით ვაჭრობით და მასზე დაწესებული გადასახადებიდან დიდ შემოსავალს იღებდა, მაგრამ ჩაის შესყიდვისათვის ყოველწლიურად საზღვარგარეთ გადიოდა დიდძალი ოქროს ვალიუტა, მაგალითად, 1907 წწ. მან. მიაღწია

---

[13] И. Полибин, Чайное растение в ботаническом и экономическом отношениях. Труды по прикладной ботанике, генетике и селекции, Ленинград, том. 18, вып. 3, 1928, стр. 213.

77 578 360 მლნ მან. (ოქროთი)[14] ამით იყო გაპირობებული ხელისუფლების ინტერესი, ჩაის საკუთარი წარმოების მოწყობისა.

ჯერ კიდევ პეტრე პირველის მეფობის დროს, იბადება აზრი რუსეთში სამხრეთ ტროპიკული ქვეყნების სამკურნალო მცენარეებისა და მათ შორის ჩაის ბუჩქის გაშენებისა და აკლიმატიზაციის შესაძლებლობის შესახებ. იმდროინდელი რუსი მეცნიერები ამ კულტურების გავრცელების ზონად სამხრეთ რუსეთის ტერიტორიას (ასტრახანი, მოზდოკი, ყიზლარი) ვარაუდობდნენ, მაგრამ სუბტროპიკულ კულტურათა გაშენების ცდები პრაქტიკულად იწყება ყირიმისა და შემდეგ საქართველოს შავიზღვისპირეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ დროიდან.

ხანგრძლივი დროის მანძილზე დაკვირვებებმა ცხადყვეს, რომ ყირიმში ნიადაგის უვარგისობისა და სუსხიანი კლიმატის გამო ჩაის მცენარე 2—3 წლის შემდეგ ვერ ხარობდა. მისთვის უფრო ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებად მიჩნეულ იქნა საქართველოს შავიზღვისპირეთის ტენიანი, სუბტროპიკული ზონა. ამიტომ XIX საუკუნის 40-იან წლებში დასავლეთ საქართველოში დაიწყო ჩაის მცენარის გაშენების ცდები. მანამდე, როგორც დასავლეთ ისე აღმოსავლეთ საქართველოს მცხოვრებთათვის ჩაის კულტურა უცნობი იყო, თუმცა ჩაის როგორც კვების პროდუქტს ფეოდალური საქართველოს მმართველი წრეები იცნობდნენ ჯერ კიდევ XVII საუკუნიდან[15].

რევოლუციამდელი და მის შემდეგდროინდელი პერიოდის მკვლევართა ნაშრომებში სხვადასხვა აზრია გამოთქმული საქართველოში ჩაის კულტურის გავრცელების თარიღის შესახებ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ საკითხზე დამაჯერებლადაა პასუხი გაცემული პროფ. პ. გუგუშვილის შრომები, კერძოდ: «К истории культуры чая в СССР», труды института экономики, т. IX, Тб., 1956.

1959 მიკვლეულ მასალებზე დაყრდნობით პროფ. პ. გუგუშვილი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოში ჩაის კულტუ-

---

[14] Вл. Львов, Чай, его обработка и распространение, М., 1926, стр. 74.

[15] გრ. ქარჩავა, ჩაი, მისი წარმოება და მოხმარება, თბ., 1963, გვ. 149—150, მისივე საბჭოთა ჩაი (ჩაის ისტორიიდან), „მნათობი", 1960, № 1, გვ. 119.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა გაშენდა 1845 წელს ჩინეთიდან (პეკინიდან) შემოტანილი ... ლით. სახელმწიფოებრივ ქონებათა სამინისტროს ინიციატივით ჩინეთიდან შემოტანილი ჩაის თესლი დაურიგდა ადგილობრივ მემამულეებს. დავით დადიანმა ჩაის მცენარის თესლი დარგო ზუგდიდის ცნობილ ბაღში, მ. გურიელმა (ოზურგეთის) და მ. ერისთავმა (გორაბერეჟოულის) თავიანთ მეურნეობებში[16], ცნობილია, რომ მ. ერისთავი იყო ერთადერთი ინიციატორი დას. საქართველოში სუბტროპიკულ მცენარეთა გაშენებისა[17].

უკვე 50-იან წლებში ჩაის მცენარე დასავლეთ საქართველოში არ წარმოადგენდა განსაკუთრებულ იშვიათობას, მას ვხვდებით მემამულეთა ბაღებსა და მეურნეობებში. ამიტომ არ იყო მოულოდნელი ის ფაქტი, რომ 1864 წელს მ. ერისთავმა კავკასიის სოფლის მეურნეობის გამოფენაზე წარმოადგინა ჩაის პირველი ნიმუში. საკუთარი პლანტაციებიდან მოკრეფილი ჩაის ფოთოლი მ. ერისთავმა კუსტარული წესით გადაამუშავა. ჩაიმ, მიუხედავად ზოგიერთი უარყოფითი თვისებისა, საზოგადოებისა და სწავლული აგრონომების დადებითი შეფასება დაიმსახურა[18]. ამ გარემოებამ იმთავითვე განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო, რასაც ისიც ადასტურებს, რომ გამოფენის დახურვის შემდეგ პირველი ქართული ჩაი გაიგზავნა პეტერბურგის სოფლის მეურნეობის მუზეუმში. ამრიგად, XIX საუკუნის 60-იან წლებში პირველად რუსეთის იმპერიაში, მ. ერისთავმა დაამტკიცა არა მარტო ჩაის კულტურის განვითარების, არამედ ამ ნედლეულის გადამუშავების მრეწველური შესაძლებლობანი[19]. კავკასიის მმართველობის ორგანოები, მსგავსად მეფისნაცვალ მ. ვორონცოვისა, უნდობლად ეკიდებოდნენ ჩაის კულტურის გავრცელების საკითხებს შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე, ამი-

---

[16] П. В. Гугушвили, К истории культуры чая... стр. 326—327, აგრეთვე, Б. Хасиа, Развитие чайного хозяйства в Грузинской ССР, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. XII თბ., 1951, გვ. 240.

[17] А. М. Эристов, Сельскохозяйственные заметки, СПБ, 1898, стр. 15.

[18] А. П. Оверин, Чайный куст за Кавказом. Записки Кавказского общества сельского хозяйства 1866, № 2, стр. 17—18. А. Н. Тимофеев, Чай и возникающая культура его на Черноморском побережье Закавказья, Сб. сведений по культуре ценных растений на Кавказе, Тифл. 1895, стр. 11.

[19] П. В. Гугушвили, К истории культуры чая... стр. 327—328.

ტომ საქართველოში ჩაის კულტურის გავრცელების ცდებს ამ-
თარ დახმარებას არ უწევდნენ; თვით მ. ერისთავის თხოვნასაც,
მიეცათ მისთვის კრედიტი—20 000 მან. რაოდენობით (მამულის
დაგირავების გზით), უარყოფითად მოეკიდნენ[20]. ჩაიშალა აგრეთვე
ცდა აქციონერთა ამხანაგობის შექმნისა ჩაის პლანტაციების გასა-
შენებლად, რომელიც გაზ. „კავკაზის" რედაქტორის სტალინსკის
ინიციატივით წამოიწყო (1872 წ.)[21], ყოველივე ეს აიხსნება იმით,
რომ რეფორმამდელ საქათველოში და მას შემდეგაც, კარგა ხანს,
არ იყო თავისუფალი კაპიტალი ჩაის მეურნეობის განვითარებისა-
თვის დასაბანდებლად, ხოლო რუსეთის მსხვილი კაპიტალი არ იყო
დაინტერესებული ჩაის წარმოებით.

საქართველოში, საგლეხო რეფორმის შემდეგ, შეიქმნა პირო-
ბები სოფლის მეურნეობისა და კაპიტალისტური მრეწველობის
განვითარებისათვის. მსხვილი კაპიტალისტური წარმოება უწინა-
რეს ყოვლისა ვითარდება მოპოვებითი მრეწველობის დარგებში,
წარმოებს ფაბრიკებისა და ქარხნების მშენებლობა, ვითარდება
მიმოსვლისა და კავშირგაბმულობის საშუალებანი. კასპიისა და შა-
ვი ზღვის რკინიგზით დაკავშირებამ 1883 წ. განამტკიცა საქართვე-
ლოს რაიონებს შორის კულტურული და ეკონომიკური ურთიერ-
თობა, რამაც ბიძგი მისცა შინაგან თუ საგარეო ბაზრების შემდგომ
გაფართოებას, კაპიტალისტურ მსოფლიო ბაზრებში ჩათრევას.
„... რკინიგზამ ხელი შეუწყო ადგილობრივი სოფლისმეურნეობრი-
ვი წარმოების პროდუქციის საქონლად გადაქცევის პროცესის დაჩ-
ქარებას და, მაშასადამე, სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარებას,
რასაც ადგილობრივი ბუნებრივი პირობების შესაბამისად, არ შეი-
ძლება არ მოჰყოლოდა ძველ სპეციალურ და ტექნიკურ კულტუ-
რათა ფართობების გადიდება და აგრეთვე ახალი კულტურების
შემოსვლა და გავრცელება"[22].

ახალი კულტურების გავრცელების შესაძლებლობის საკითხი
განსაკუთრებული ყურადღების საგნად გახდა რუსეთ-თურქეთის
ომის შემდეგ, როდესაც ბერლინის ტრაქტატით 1878 წ. ივლისს აჭა-

---

[20] А. М. Эристов, Назв. соч., стр. 17.

[21] კ. ბ ა ბ ი ლ ო ძ ე, ჩაის მრეწველობა საბჭოთამდელ აჭარაში, ბათუ-
მის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. I, ბათუმი, 1960. გვ. 29.

[22] საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1961 წწ. პროფ. პ. გ უ-
გ უ შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, თბ., 1961, გვ. 82.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა საქართველოს შეუერთდა. საქართველოს ამ მდიდარ და უმეტეს ნიერეს კუთხეს თავისი ნიადაგობრივ-კლიმატური თავისებურებით არ შეიძლება ინტერესი არ აღეძრა სწავლულ აგრონომებსა და ბურჟუაზული მეურნეობის თაოსნებში. ჩაის კულტურის პროპაგანდის საქმეში დიდი როლი მიუძღვის — „ამიერკავკასიის სოფლის, მანუფაქტურული მრეწველობის, ვაჭრობის საზოგადოებას“ და „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებას“. ამ საზოგადოებების ერთი ნაწილი—მოწინავე პროგრესული მოღვაწეები არა მარტო ცდილობდნენ თავიანთი პრაქტიკული საქმიანობით ახალი კულტურების და მათ შორის ჩაის მცენარის გავრცელებას, არამედ ამ საკითხებზე სწერდნენ ნაშრომებს, სტატიებს, გამოდიოდნენ საერთაშორისო ფორუმებზედაც კი. პრაქტიკულად ისახებოდა გზები, თუ რა საშუალებებით შეიძლებოდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში ჩაის მცენარის მრეწველური მნიშვნელობით გაშენება.

საქართველოში ჩაის კულტურის გავრცელების შესაძლებლობისა და ამ მიმართულებით რუსეთის საზოგადოებრივი აზრის მომზადების საქმეში დიდი როლი მიუძღვის ცნობილ რუს მეცნიერს, კლიმატოლოგს პროფ. ა. ვოეიკოვს, რომელმაც შეისწავლა იაპონიის ერთ-ერთი კუნძულის კლიმატი და იგი შეადარა ამიერკავკასიის, კერძოდ შავიზღვისპირეთის კლიმატს, მან გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ შავიზღვისპირეთში ისევე, როგორც იაპონიაში წარმატებით შეიძლება გაშენდეს ჩაისა და ბამბუკის მცენარე. ექვსიოდე წლის შემდეგ პროფ. ა. ვოეიკოვის მოსაზრების საფუძვლიანობა ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით დაამტკიცა აგრონომმა ნ. ზეიდლიცმა. მისმა მოხსენებამ კავკასიაში ჩაის კულტურის გავრცელების ცდების შესახებ დიდი ინტერესი გამოიწვია (1884 წ.) პეტერბურგში მოწყობილ ბოტანიკოსებისა და მებაღეების საერთაშორისო კონგრესზე. ნ. ზეიდლიცმა ამ მიმართულებით პრაქტიკულადაც შეიტანა თავისი წვლილი, მისი ინიციატივით ჩინეთიდან (ხანკოუდან) გამოიწერეს ჩაის თესლი და ნერგები, რომლებიც შემდეგ (1885 წ.) დაირგა ჩაქვში (პოლკოვნიკ ა. სოლოვცოვის საგარაკო ნაკვეთზე). უკვე 90-იანი წლებისათვის, სოლოვცოვის ჩაის პლანტაცია ერთ-ერთი საუკეთესოთაგანი იყო მთელ ამიერკავკასიაში.

1884 წლის ივლისში სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ და „საიმპერატორო თავისუფალმა ეკონომიკურმა საზოგადოებამ“ ერთ-ერთ მიმართვაში „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადო-

ებას“ აღუთქვა ფინანსური დახმარება ჩაის პლანტაციების გაშენებისათვის. ამ ეტაპზე, როგორც პეტერბურგში, ისე ამიერკავკასიაში, მთავარ ამოცანად მიაჩნდათ არა მარტო ჩაის კულტურის გავრცელება, არამედ აქ მიღებული ჩაის მწვანე ფოთლის გადამუშავებით ჩაის ხარისხის დადგენა. ჩაის მზა პროდუქციის საფუძვლიანი შესწავლით უნდა განსაზღვრულიყო, როგორც ჩაის წარმოების განვითარების, ისე ამ საქმეში ფინანსური დახმარების შესაძლებლობანი; ყოველივე ამის გათვალისწინებით „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ“ მეფის ხელისუფლებას მოთხოვა 5 ათასი მანეთი. ეს თანხა უნდა გამოყენებულიყო ჩინეთიდან ჩაის დამზადების ოსტატების მოწვევისა და იქ ერთი აგრონომის მივლინებისათვის, ჩინეთში იგი პრაქტიკულად გაეცნობოდა ჩაის წარმოებას. ვიდრე მეფის ხელისუფლების ბიუროკრატიული აპარატი ამ საქმეს დადებითად გადაწყვეტდა, აკადემიკოსმა ა. ბუტლეროვმა 1885 წელს, გაზაფხულზე, სოხუმში, შვებულებაში ყოფნისას ადგილობრივი ჩაის ნერგების მწვანე ფოთლებისაგან დაამზადა ჩაი, რომლის ნიმუში წარუდგინა „საიმპერატორო თავისუფალ ეკონომიკურ საზოგადოებას“ და რამდენიმე ჩაით მოვაჭრე საქმის სპეციალისტს. მიუხედავად იმისა, რომ აკად. ა. ბუტლეროვის მიერ დამზადებული ჩაი იყო მცირე რაოდენობის და ტექნოლოგიურად არასრულყოფილი, მაინც მაღალი შეფასება დაიმსახურა. სპეციალისტების აზრით ჩაის წარმოდგენილი ნიმუში იძლეოდა მომავალში უფრო მეტი წარმატების მოპოვების საფუძველს. რისთვისაც მოითხოვდნენ ჩაის დამზადების ცდების გაგრძელებას. „საიმპერატორო თავისუფალმა ეკონომიკურმა საზოგადოებამ“ გადაწყვიტა (1886 წლის 25 მარტიდან 20 მაისამდე) აკად. ა. ბუტლეროვის მივლინება სოხუმში ჩაის დამზადების ცდების საწარმოებლად და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესასწავლად. მივლინების ხარჯების გამოყოფის მიზნით საზოგადოებამ თხოვნით მიმართა სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს. ამ საკითხის გადაწყვეტას თითქმის ერთი წელი დასჭირდა, ამასობაში კი ბუტლეროვი გარდაიცვალა[23]. ამრი-

---

[23] ЦГИА СССР в Ленинграде, фонд 398, оп. 50, д. 404, лл. 1—3 აგრეთვე, Сборник сведений по культуре ценных растений на Кавказе, вып. III, 1877, стр. 25.

გად, რუსეთის მთავრობამ ვერ შესძლო „კავკასიის სოფლის მეურ-
ნეობის საზოგადოებისათვის“ შეპირებული სათანადო თანხების
გამოყოფა. ბუტლეროვის მიერ ჩაის დამზადების ცდების გაგრძე-
ლება ჩაიშალა, თუმცა ამის შემდეგაც მიწათმოქმედების დეპარ-
ტამენტი და სხვა ორგანიზაციები ხშირად ახსენებდნენ კავკასიის
ადგილობრივ ხელისუფლებას და „კავკასიის სოფლის მეურნეობის
საზოგადოებას“ კავკასიაში, კერძოდ საქართველოში ახალი სოფლის
მეურნეობის კულტურის, მათ შორის ჩაის კულტურის გავრცელების
აუცილებლობაზე. მაგრამ თითო-ოროლა დაინტერესებული წვრილი
მეურნეობის გარდა ჩაის კულტურის გავრცელება მაინც მეტად ნელი
ტემპით მიმდინარეობდა.

90-იანი წლების ქართველი პროგრესული მოღვაწეები და
მათ შორის ილია ჭავჭავაძე არა ერთხელ გულისწყრომით აღნიშნა-
ვდნენ მეფის რუსეთის დაუინტერესებლობას საქართველოს ჩამო-
რჩენილ სოფლის მეურნეობის განვითარებაში. მათი აზრით, მიწათ-
მოქმედების განვითარებისათვის საჭირო იყო მისი ბუნებრივი
პირობების თავისებურების გათვალისწინებით „გზისა და მიმართუ-
ლების შეცვლა“. ახალი სპეციალურ-ტექნიკური კულტურების
ფართოდ გავრცელება შესაძლებლად მიაჩნდათ თუნდაც მარცვლე-
ულის მეურნეობის შემცირების ხარჯზე[24].

ი. ჭავჭავაძე 1887 წ. თავის სტატიაში „ჩვენი სოფლის ცხოვ-
რება და ბიუროკრატიზმი“ წერს: „ამიერკავკასია ჰავისა და მიწის
სიკეთითა შემძლებელია თითქმის ყველაფრისა, რაც კი რამ იზრ-
დება მოდის და ხეირობს დედამიწის ზურგზედ. ქინაქინის ხე და
ჩაის ბუჩქი კი გაშოზარდა ჩვენმა ქვეყანამ იმოდენად კარგად, რომ
ეხლა თვითონ მთავრობაც კი ჰცდილობს, მეურნეობა ერთისა და
მეორისაც აყვავოს აქ და გაავრცელოს, რა თქმა უნდა, რომ ამ
გვარებისათვის მეცადინეობა და ხარჯი უსაქმოდ არ ჩაივლის და
დიდს სარფს მისცემს როგორც ჩვენს ქვეყანას, ისეც მთელ სახელ-
მწიფოს, თუ ქინაქინის ხე და ჩაის ბუჩქი მარტო თეთრს ქაღალდ-
ზედ არ დაირგა და შავი მელნით არ მოირწყა“[25].

---

[24] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრული კრებული. ათ ტომად, ტ. IV, თბ., 1955, გვ. 49—50.

[25] მ ი ს ი ვ ე, ტ. VII, თბ., 1956, გვ. 60.

ამიერკავკასიის ეკონომიკური ათვისების პოლიტიკა თავის მეტროპოლიის, შიდა რუსეთის კაპიტალიზმის განვითარების დონეზე იყო დამოკიდებული და მისი განვითარების შესაბამისად იცვლიდა სახეს. მაგრამ, უკვე 90-იანი წლებიდან მოკიდებული საქართველოს სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა სფეროში იჭრება კაპიტალიზმი, ხოლო რუსეთის კაპიტალიზმი თავისი განვითარების მტკიცე ფაზაში შედის. ამ ისტორიულმა ფაქტორებმა განაპირობეს საქართველოში ჩაის მსხვილი მეურნეობის საფუძვლის ჩაყრა.

საქართველოს შავიზღვისპირეთში ჩაის კულტურის მრეწველური მნიშვნელობით გაშენების შესაძლებლობამ მიიპყრეს რუსეთის ჩაით მოვაჭრე კაპიტალისტების, განსაკუთრებით კი კ. პოპოვის ყურადღება. ჩაქვიდან აგრონომ ი. კლინგენის მიერ მიწოდებული ცნობების საფუძველზე ამ მიმართულებით სერიოზულ ღონისძიებებს სახავდა საუფლისწულო და სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტიც.

კ. პოპოვი 1889 და 1891 წლებში ჩაის კულტურისა და მრეწველობის უფრო ახლო გაცნობის მიზნით მოგზაურობს ჩინეთში, ხოლო 1892 წელს დაბრუნდა საქართველოში და ბათუმის ახლო მიდამოებში შეიძინა მიწის ნაკვეთები. ამავე წელს პოპოვი თავის ხარჯზე აწყობს ექსპედიციას, რომელშიც მონაწილეობას იღებს პროფ. ს. ტიხომიროვი, სხვა მეცნიერი და პრაქტიკოსი მოღვაწეები. ექსპედიცია ეცნობა მეჩაიეობის იმ დროს ცნობილ ცენტრებს ინდოეთში, ცეილონში, ჩინეთში, იაპონიაში და სანდვიჩის კუნძულებზე. შეაგროვეს მდიდარი მასალა, რაც შემდგომ საფუძვლად დაედო რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეში, კერძოდ საქართველოში ჩაის წარმოების განვითარებას. ექსპედიციამ ბათუმში გამოგზავნა დიდი რაოდენობის ჩაის თესლი და ნერგები, მათ ჩინეთიდან წამოიყვანეს ჩაის საქმის სპეციალისტები. 1893 წლის 4 ნოემბერს ბათუმში ჩამოვიდა 10 ჩინელი ჩაის ოსტატი, მათ შორის ლაო ჯონ-ჯაუ, რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოში ჩაის წარმოების დაწყების პრაქტიკულად განხორციელების საქმეში. საზღვარგარეთიდან მოყვანილ კვალიფიციურ კადრებზე დაყრდნობით პოპოვმა 1893 წლიდან დაიწყო ჩაის პირველი პლანტაციების გაშენება. 1893—1895 წწ. პოპოვის ჩაის ნარგავთა პლანტაციების ფართობი სულ 8 დესეტინას შეადგენდა, მალე ჩაის პლანტაციათა

ფართობი სალიბაურში („პრივოლნოე“), კაპრეშუმში („ზავეტნოე“) და ჩაქვში („ოტრადნოე“) გაიზარდა 127 დესეტინამდე.

ამ ხანებში მოწინავე აგრონომებისა და დაინტერესებული ადგილობრივი მიწათმფლობელების ინიციატივით დადგინდა საქართველოში და საერთოდ ამიერკავკასიის შავიზღვისპირეთში ჩაის კულტურის გავრცელების ზონები. საუფლისწულო ქონებათა მთავარმა სამმართველომ 1893 წელს, ჩაქვის ხეობაში, დაარსა პირველი სუბტროპიკული საცდელი სადგური, დაახლოებით 20 ჰექტარზე.

1895 წელს, მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომაც მოაწყო ექსპედიცია აგრონომ კლინგენის ხელმძღვანელობით, სადაც მონაწილეობას იღებდა ცნობილი მეცნიერი პროფ. კრასნოვი, აგრონომები სიმონსონი, ანეჟკოვი და სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. ექსპედიცია გაეცნო ახლო და შორეული აღმოსავლეთის (ეგვიპტე, ინდოეთი, ცეილონი და ჩინეთი) სახალხო მეურნეობას საერთოდ, უმთავრესად კი ჩაის მეურნეობას და მრეწველობას[26]. ხანკოუს რუსეთის ჩაის ფირმების ხელისშეწყობით, მათ შესძლეს ჩინეთიდან რუსეთში გამოეგზავნათ იან ლოუდუნის პროვინციის 4610 ჩაის მცენარის ნერგი; ინინჯოუდან და ფუკიენიდან—130 ფუთი ჩაის მცენარის თესლი; იაპონიიდან—უჯიდის (შიძუოკას პროვინცია)—55 ფუთი ჩაის მცენარის თესლი. ჩაის მცენარის ნერგები და თესლი აგრეთვე გამოიგზავნა ინდოეთიდან—კონგრის დაბლობიდან და პოლიამბრიდან, სადაც ცნობილმა ბოტანიკოსმა ფორჩუნიმ 1843—1848 წწ. ჩინეთიდან მოტანილი ნერგებით გააშენა ჩაის პლანტაციები[27]. 1896 წელს ქალაქ შანხაის რუსეთის გენერალური საკონსულოს დახმარებით ექსპედიციის წევრებმა გააფორმეს ხელშეკრულებები ჩინელ ჩაის ოსტატებთან, რომლებიც თანხმობას აცხადებდნენ ემუშავათ რუსეთის ჩაის პლანტაციებში და მოეწყოთ იქ ჩაის გადამუშავების წარმოება[28]. ხელშეკრულებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ჩინელ ჩაის ოსტატებს ძირითადად ეკისრებოდათ ჩაის პლანტაციების მოვლა-მოშენება, ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა და ჩაის წარმოების ყველა ტექნოლოგიური პროცე-

---

[26] ამის შესახებ დაწვრილებით იხ. И. Н. Клинген, Среди патриархов земледелия народов Ближнего и Дальнего Востока, Египет, Индия, Цейлон, Китай, М, 1950.

[27] აჭარის ასსრ ცსა, (ბათუმი), ფონდი 22, საქ. 25, ფურც. 130—131.

[28] იქვე, ფონდი 22, საქ. 26, ფურც. 1.

K 135-751 3
ეროვნული ბიბლიოთეკა
საქ. სსრ. ეროვნული ბიბლიოთეკა

სის შესრულება. ამავე დროს მათ ევალებოდათ თავიანთი ცოდნა-გაეზიარებინათ ადგილობრივ მცხოვრებთათვის[29].

ი. კლინგენმა 1897 წელს ბათუმში ჩამოიყვანა 12 ჩინელი და რამდენიმე იაპონელი ჩაის ოსტატი ოჯახებით. დაბრუნდა აგრეთვე ჩინეთში რამოდენიმე თვით მივლინებაში მყოფი ლაო ჯონ-ჯუაც[30].

1894 წლის დასაწყისში ჩაქვის სახაზინო აგარაკი, რომლის ტერიტორიაზე იმყოფებოდა ექვსი სოფლის (ჩაქვისთავი, ქვემო ჩაქვი, გორგაძე, ხალა, ხალვაში და დიდიჯამი) მიწები გადავიდა საუფლისწულო მამულების მთავარი სამმართველოს დაქვემდებარებაში[31]. 1896 წლისათვის ჩაქვის საცდელი ნაკვეთი გადაიქცა მსხვილ მეურნეობად, ჩაის მცენარის ნარგავთა ფართობი 20 დესეტინას აღწევდა[32]. მიწების კონცენტრაციის მიზნით საუფლისწულო მამულის მმართველობა არ ერიდებოდა ადგილობრივი მკვიდრი აჭარელი მოსახლეობის მიწებიდან აყრის, ძალადობის პოლიტიკას, რაც გამომდინარეობდა მეფის ხელისუფლების იმპერიის განაპირა მხარის ეკონომიკური ათვისების საერთო გეგმიდან. ამრიგად, XIX საუკუნის დასასრულს საქართველოში ჩაის კულტურა ვითარდებოდა სამი ძირითადი მიმართულებით: ა) კერძომფლობელური ჩაის წვრილი მეურნეობების, ბ) კაპიტალისტური, რომლის წარმომადგენელი კ. პოპოვი იყო, და გ) სახაზინო-საუფლისწულო, რომელსაც ხელმძღვანელობდა სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტი. ჩაის არსებული სანედლეულო ბაზის საფუძველზე ჩაისახა ჩაის გადამამუშავებელი წარმოებაც, ამ საქმის ინიციატორად ა. სოლოვცოვი გამოდის. 1888 წლიდან მოკიდებული იგი მრავალ ცდას ატარებს მზა ჩაის პროდუქციის მისაღებად. ა. სოლოვცოვს ჩაის ნედლეულის ტექნოლოგიური გადამუშავების არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა, არც საამისო ტექნიკური საშუალებები გააჩნდა, მიუხედავად ამისა იგი მეტად პრიმიტული ხერხებით აწარმოებდა ჩაის დამზა-

---

[29] აჭარის ასსრ ცსა, (ბათუმი), ფონდი 22, საქ. 252, ფურც. 3—4.

[30] ი ქ ვ ე, ფონდი 22, საქ. 252, ფურ. 3—4, აგრეთვე Друг издалека, документы из истории грузино-китайской дружбы, Батуми, 1959, стр. 63.

[31] ი ქ ვ ე, ფონდი 22, საქ. 348, ფურც. 2, საქ. 63, ფურც. 1.

[32] С. Н. Тимофеев, Культура чайного куста и производство чая в Западном Закавказье, СПБ, 1916, стр. 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებას. ეს ჩაი, როგორც პროფ. ს. ტიმოფეევი გადმოგვცემს, ერ-
რგი ხარისხის ყოფილა, „ამაში ყველა დარწმუნდა ვისაც კი მიეცა
შესაძლებლობა პირადად შეემოწმებინაო“[33]. გარდა ამისა ა. სოლო-
ვცოვის მიერ დამზადებულ ჩაის დადებითი შეფასება მისცეს როს-
ტორგეევის ჩაის ფირმის ტიტესტერმა ველიჩენკომ და კავკასიის
მეაბრეშუმეობის სადგურის ქიმიის ლაბორატორიის გამგემ სტა-
ნოვსკიმ.

1895 წლისათვის ა. სოლოვცოვს უკვე ჰქონდა ჩაის კუსტარუ-
ლი წარმოება. ჩაის ნედლეულის გადამუშავება ხდებოდა საზ-
ღვარგარეთიდან გამოწერილი გაწყობილობით (ფოთლების საგრე-
ხი და საშრობი მანქანა-დანადგარები). ამ წარმოებას ხელმძღვანე-
ლობდა ინგლისელი, ჩაის ყოფილი პლანტატორი ინდოეთში—ბის-
ერტი. აღსანიშნავია ისიც, რომ კავკასიის მეხილეობის პირველ გა-
მოფენაზე ა. სოლოვცოვის მემკვიდრეებს გადაეცათ ოქროს მედა-
ლი კავკასიაში სამრეწველო მიზნით ჩაის კულტურის დაწყებისა-
თვის[34]. პოპოვმაც ჩინეთიდან ჩამოყვანილი ჩაის დამზადების ოსტა-
ტების დახმარებით, სალიბაურში მოაწყო ჩაის ნედლეულის გადამ-
მუშავებელი კუსტარული წარმოება. 1893 წელს პოპოვის ჩაის
პლანტაციებიდან მოიკრიფა —85 გირვანქა, 1896 წ —156 გირვანქა
და 1897 წ.— 5 100 გირვანქა ჩაის მწვანე ფოთოლი. ამ ნედლეუ-
ლის გადამუშავებით მიღებულ იქნა 1895 წელს—20 გირვანქა, 1896 წ.
—37 გირვანქა, 1897 წ.—1200 გირვანქა ჩაის მზა პროდუქცია[35].

1897 წ. ჩაქვის საუფლისწულო მამულშიც მოეწყო ჩაის კუსტა-
რული წარმოება[36].

ჩაის ნედლეულის დამუშავებას სალიბაურის და ჩაქვის კუსტა-
რულ წარმოებებში ახდენენ მხოლოდ ჩინელი და იაპონელი ოსტა-
ტები. როგორც ჟურნალ „Кавказский вестник “-შია აღწერილი,
ჩაის დამზადების ოსტატები მწვანე ჩაის ფოთოლს გროვად ათავსე-
ბდნენ ტილოგადაფარებულ პატარა მაგიდაზე, შემდეგ იგი გადაჰ-
ქონდათ ბრტყელ და მრგვალი მოყვანილობის ლანგარებში, სადაც

---

[33] С. Н. Тимофеев, Чай и возникающая культура его на Черноморском побережье Закавказья, стр. 34.

[34] «Кавказ», 1897, № 312.

[35] ЦГИА СССР в Ленинграде, ф. 560, оп. 25, л. 1393, лл. 3—4, აგრეთვე აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმი, საქ. 324, ფურც. 2.

[36] აჭარის ასსრ ცსა (ბათუმი), ფონდი 22, საქ. 25, ფურც. 17.

ფოთოლს ხელით ზელდნენ[37]. ხელების გამუდმებული მოძრაობის შედეგად ფოთლიდან ქონავდა წვენი და იგრიხებოდა წვრილ თასმისებურ ჩამონაჭრებად. ნახევარი საათის შემდეგ დაგრეხილ ფოთოლს ყრიდნენ დიდ მოწნულ კალათში. შემდეგ კი განაგრძნობდნენ იგივე ოპერაციას ახალ ფოთლებზე. კალათს, რომელშიც დაგრეხილი ნედლი ჩაის ფოთოლი იყო მოთავსებული მჭიდროდ დახურავდნენ. ასე ტოვებდნენ სამი საათის განმავლობაში. ამ დროს ფოთოლი განიცდიდა ღნობის პროცესს. შემდეგ 4 საათი შრებოდა მზის სხივებზე, ამ დროს ჩაის ფოთოლი იღებდა მუქ ყავისფერს. ხმობის დასასრულს, რამდენიმე თუჯის ტაფაზე აწყობდნენ ხის ნახშირს, როდესაც ის დანაცრდებოდა, ტაფებს ხურავდნენ ხის ქერქისაგან დამზადებული მაღალი ცილინდრებით. მასში ათავსებდნენ ტილოში გახვეულ ჩაის ფოთოლს. ცილინდრებში ფოთოლს 15 წუთამდე ტოვებდნენ გასახმობად, შემდეგ უკვე მთლიანად დამზადებული ხმელი ჩაი იყრებოდა კალათებში[38]. ბუნებრივია, რომ ასეთი წესით დიდი რაოდენობის ჩაი ვერ დამზადდებოდა. შრომის დაბალი მწარმოებლურობა იწვევდა ჩაის მზა პროდუქციის თვითღირებულების ზრდას. ჩაის ნედლეულის მოცულობის გაფართოებამ დღის წესრიგში დააყენა ჩაის გადამმუშავებელი მრეწველობის სიმძლავრის გადიდება.

ამ მიზნით, კ. პოპოვმა 1897 წელს სალიბაურში დაიწყო ჩაის გადამუშავების ტექნიკურად აღჭურვილი ახალი ფაბრიკის მშენებლობა. ფაბრიკის შენობა და გაწყობილობა გამოიწერეს ინგლისიდან. ფაბრიკის შენობა გამოგზავნა „მენის და კო-ის“ ფირმამ (გლაზგო), ხოლო ფაბრიკის გაწყობილობა უმთავრესად — მარშლის (გენსბორო) და დავითსონის (ბელფესტი) ფირმებმა. ყველა მანქანა-დანადგარები მოძრაობაში მოჰყავდა ორთქლის ძრავებს. ფაბრიკას შეეძლო დღეში 3000 გირვანქა ჩაის მწვანე ფოთლის გადამუშავება. მთლიანად ფაბრიკის აშენება დაჯდა (საბაჟო გადახდის ჩათვლით) 50 000 მანეთი[39]. სალიბაურის ჩაის ფაბრიკამ პირველი პრო-

---

[37] მწვანე ფოთლის გრეხა სრულდებოდა აგრეთვე ფეხების საშუალებითაც, ფოთოლს მოათავსებდნენ ტომარაში და მას ფეხებით ერთი მიმართულებით აგორებდნენ.

[38] «Кавказский Вестник» 1901, № 12, стр. 71—81.

[39] ЦГИА СССР в Ленинграде, ф. 398, оп. 66, д. 20689, л. 11, Там же, фонд 515, оп. 91, д. 14, л. 26.

დუქცია გამოუშვა 1898 წლის ზაფხულს. ეს იყო რუსეთის იმპერიაში პირველი ფაბრიკა, სადაც ჩაის მზა პროდუქცია მანქანების საშუალებით მიიღეს.

1898 წელს სექტემბერში სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტმა ევროპის ქვეყნებში (საფრანგეთი, ინგლისი, ავსტრია-უნგრეთი) აგზავნის ჩაქვის საუფლისწულო მამულის აგრონომს ვ. სიმონსონს. მას დაევალა გასცნობოდა იმ ფირმებს ინგლისში, რომლებიც ამზადებდნენ ჩაის ფაბრიკებისათვის მანქანა-დანადგარებს და მათ შორის საუკეთესო შეეკვეთა ჩაქვში გასაგზავნად, სადაც გაითვალისწინეს ჩაის ფაბრიკის აშენება. როგორც ვ. სიმონსონის მივლინებაში ყოფნის ანგარიშგებიდან ირკვევა მან ქ. ბელფესტში დავითსონის ფირმისგან შეიძინა: ჩაის მწვანე ფოთლის საგრეხი მწვანე დამხარისხებელი, ჩაის საშრობი № 1 „სიროკო"; დიდი ჩაის დამხარისხებელი; ხმელი ჩაის საჭრელი; მზა პროდუქციის შემფუთავი მანქანები (თითო ცალი), აღნიშნულ მანქანა-დანადგართა ღირებულება შეადგენდა 339 გირვანქა სტერლინგს[40]. ქ. გენსბოროში მარშალის ფირმას ვ. სიმონსონმა შეუკვეთა ჩაის მწვანე ფოთლის საგრეხი მანქანა ურიკითურთ და სხვა გაწყობილობა, რომლის ღირებულება სულ შეადგენდა 156 გირვანქა სტერლინგს. ვ. სიმონსონმა ისევე როგორც კ. პოპოვმა „მენისა და კო-ს" ფირმისაგან შეიძინა ჩაის ფაბრიკის შენობა. ვ. სიმონსონმა აგრეთვე ქ. ბუდაპეშტში განცის ფირმას (ინჟ. ვიტტის პროექტით) შეუკვეთა 4 100 მანეთის ღირებულების ელექტროძრავები[41].

ინგლისიდან მოსულმა სპეციალისტებმა შესძლეს უმოკლეს დროში ჩაქვის ჩაის ფაბრიკის დამონტაჟება. 1899 წელს ჩაქვის ჩაის ფაბრიკამ დაიწყო ჩაის მზა პროდუქციის გამოშვება. ამრიგად, XIX საუკუნის დასასრულს საქართველოში უკვე არსებობდა 2 ჩაის ფაბრიკა — აღჭურვილი იმ დროის საუკეთესო ტექნიკით. მაგრამ ამ ფაბრიკების ჩაის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესები ერთმანეთისაგან მაინც განსხვავდებოდნენ. პირველ ფაბრიკაში უმთავრესად დამკვიდრდა ჩინური ჩაის დამზადების წესები, ხოლო მეორეში—ცეილონური (ინგლისური). აი რას წერს ამის შესახებ ჩაქვის საუფლისწულო მამულის მთავარი აგრონომი კლინგენი „პო-

---

[40] ЦГИА СССР в Ленинграде, ф. 515 оп. 91, д. 14, лл. 7—13.
[41] Там же, лл. 31—33.

პოვის ფაბრიკის გაწყობილობა მხოლოდ ზოგიერთი მეორეხარისხოვანი თავისებურებით სცილდება ჩვენსას (იგულისხმება ჩაქვის ჩაის ფაბრიკა ა. ბ.), შენობა მთლიანად ჰაფრირებული რკინისაგანაა აგებული, ჩვენი კი რკინის ჩონჩხშია ჩასმული, თვითონ შენობა კი ქვისაა. ჩვენი საშრობი პატარა ზომისაა, მისი კი უფრო დიდია — „სიროკოს" ფორმის, რომელიც ქაჩავს ჰაერს ზევიდან ქვევით ვენტილატორის მეშვეობით (1897 წ. გამოშვება), პოპოვს აქვს სპეციალური მანქანა ღნობის დაჩქარებისათვის, ჩვენ კი არა გვაქვს. მაგრამ მუშაობის პროცესში შეიმჩნევა არსებითი განსხვავება: მექანიკური გადამუშავებისას ცდილობენ, რაც შეიძლება მეტად გამოიყენონ დამზადების ჩინური მეთოდი,... ღნობა წარმოებს მზის ქვეშ, სველ ტილოგადაფარებულ დიდ ბამბუკის ლანგარზე, რის შემდეგ მას რჩება სინესტე მხოლოდ 25%.... თუ მზიანი ამინდი არ არის შრობის პროცესი მიმდინარეობს საშრობ ღუმელში ძალიან დაბალ ტემპერატურაზე... ხშირად გრეხვის პროცესში ფოთლისაგან გამოყოფილ წვენს განაცალკევებენ, ფოთოლს აცილებენ წვენს ისე როგორც ჩინეთში, რითაც მას მეტ სირბილეს აძლევდნენ და სიმწარეს უკარგავენ[42].

არსებობდა აგრეთვე სხვა განსხვავებაც, მაგალითად, პოპოვის ჩაის ფაბრიკის პროდუქცია დაფასოებისა და დახარისხებისათვის იგზავნებოდა მოსკოვში, სადაც მათგან ტიტესტერები ადგენდნენ მაღალ ხარისხის ჩაის, ჩაქვის ჩაის ფაბრიკაში კი ყველა ეს პროცესი ადგილზე წარმოებდა. სალიბაურში ჩაის ფაბრიკას ჰქონდა ხის ყუთების დამამზადებელი სახელოსნო, ხოლო ჩაქვის ჩაის ფაბრიკას ასეთი არ გააჩნდა, ფანერის ყუთებს იწერდნენ რუსეთის სამხრეთ გუბერნიებიდან.

ჩაქვისა და სალიბაურის ჩაის ფაბრიკები ძირითადად, უშვებდნენ შავ ბაიხის ჩაის, მაგრამ სალიბაურის ჩაის ფაბრიკაში 1899 წლიდან ტარდებოდა ცდები შავი და მწვანე ფილა ჩაის დამზადებისათვის, აქვე მზადდებოდა აგრეთვე ~~ჩაის აბებიც~~[43]. ერთ-ერთი ოფიციალური ცნობით, ჩაის აბების წარმოება ხდებოდა თვით პოპოვის მიერ გამოგონილი მანქანით[44]. თითოეული ჩაის აბი

---

[42] აჭარის ასსრ ცსა (ბათუმი), ფონდი 22, საქ. 25, ფურც. 23—27.

[43] ЦГИА СССР в Ленинграде, ф. 398 оп. 66, д. 20689, л. 11.

[44] ამის დამადასტურებელ სხვა ცნობას ვერ მივაკვლიეთ.

საკმარისი იყო ერთი ჭიქა ჩაისათვის, იგი იხარშებოდა ფინჯანში ან ჭიქაში ჩადებისთანავე. ასეთი აბების გამოყენება შეიძლებოდა ჯარის ნაწილებში, ტურისტულ მოგზაურობისას და სხვა პირობებში. 1902 წელს სალიბაურის ფაბრიკამ დაამზადა 94 000 ცალი ჩაის აბი[45].

ჩაქვისა და სალიბაურის ჩაის ფაბრიკებში უცხოელი ოსტატების გარდა მუშაობდნენ რუსეთიდან მოწვეული სხვადასხვა დარგის სპეციალისტებიც (მექანიკოსები, მჭედლები, დურგლები და სხვ.) და ადგილობრივი მკვიდრი მცხოვრებნი, მათ უმეტესად იყენებდნენ დამხმარე სამუშაოებზე. ჩაის ფოთლის კრეფის პერიოდში ჩაის ფაბრიკებში მუშაობა წარმოებდა ორ ცვლად. სამუშაო დღის ხანგრძლივობა განისაზღვრებოდა 12—13 საათით, შუადღეზე 4 საათი შესვენებით (შესვენების ხანგრძლიობა გამოწვეული იყო ჩაის ფოთლის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესით). მუშათა საერთო რაოდენობა არ იყო მუდმივი და იგი ხშირად განიცდიდა ცვლილებას. მრეწველურ მუშათა რაოდენობა, მაგალითად, სალიბაურის ჩაის ფაბრიკაში არ აღემატებოდა 10 კაცს, ხოლო 10—15-მდე მუშას დროებით იყვანდნენ სამუშაოზე[46].

ადმინისტრაციისა და მათი ოჯახის წევრებისათვის ააშენეს ქვის ორსართულიანი შენობები, ხოლო მუშებისათვის ხის პატარა ბარაკები. ყოფაცხოვრებითი პირობები უფრო მძიმე იყო ჩაქვის საუფლისწულო მამულის ჩაის ფაბრიკის მუშებისათვის, რომლებიც ჩაასახლეს ჭაობიან ადგილებში და საზაფხულო შენობებში, სადაც ზამთრობით ქარი თავისუფლად დანავარდობდა. ჩინელი და იაპონელი სპეციალისტები, უფრო მაღალ ხელფასს იღებდნენ და ყოფაცხოვრების უკეთესი პირობები ჰქონდათ ვიდრე ადგილობრივ მუშებს[47].

ჩაქვის მიდამოები ამ დროს მალარიის კერას წარმოადგენდა, ხშირი იყო შემთხვევა მალარიის მძიმე ფორმით დაავადებისა, მაგრამ პლანტაციებისა და ჩაის ფაბრიკის მუშებს არ უწევდნენ სამკურნალო დახმარებას. ადგილზე არ იყო სამედიცინო პუნქტი. ავადმყოფობის შემთხვევაში მუშებს და მათ ოჯახის წევრებს ექიმთან ბა-

---

[45] Н. С. Церетели, Очерк торгово-промышленного развития, г. Батум и его окрестности, Сб. статей, Батум и его окрестности, 1906, стр. 446.

[46] აჭარის ასსრ ცსა (ბათუმი), ფონდი 22, საქ. 25, ფურც. 4—25.

[47] იქვე, საქ. 297, ფურც. 2, აგრეთვე—«Друг издалека...», стр. 63.

თუმში უხდებოდათ წასვლა. გზისა და ექიმთან მკურნალობის ხარჯები მუშას უნდა გადაეხადა თავისი ხელფასიდან. მუშა ავადმყოფობის ან ტრამვირების შემთხვევაში არავითარ დახმარებას არ იღებდა, უფრო მეტიც, ასეთ მუშებს სამსახურიდან ითხოვდნენ.

ლაო ჯონ-ჯაუ თავის მოგონებაში აღნიშნავს, რომ ბათუმის რაიონში მყოფ ჩინელთაგან ყველა დაავადდა მალარიით, ხოლო ოთხი მათგანი ამ ავადმყოფობით დაიღუპა[48].

1900 წელს, როგორც კი ამოიწურა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადა არცერთმა უცხოელმა ჩაის ოსტატმა (გარდა ლაო ჯონ-ჯაუსი) არ ისურვა ჩაქვის საუფლისწულო მამულში დარჩენა. ბევრმა მათგანმა აქ მუშაობისას ვერ შესძლო მცირე კაპიტალის დაგროვებაც კი, სამშობლოში ხელცარიელი დაბრუნებაც არ უსახავდა კარგ პრესპექტივას.

ერთ-ერთმა ჩინელმა ჩაის ოსტატმა ლაო მინ-დემ, რომელიც სამშობლოში ბრუნდებოდა ავსტრიის გემით „ოლიმპია“, თავისი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა. ადგილზე შემოწმების დროს მას არავითარი თანხა ან ფასიანი ნივთი არ აღმოაჩნდა[49].

იაპონელი ჩაის ოსტატი კატაიამა ფუკუტარი დაბრუნდა თავის მშობლიურ ქალაქ ნაგასაკში, მაგრამ, როგორც თვითონ წერს „...ნაგასაკში დავრჩი მცირე ხანს, აქ ვერავითარი საქმე ჩემთვის ვერ ვიპოვეო“. ამის შემდეგ იგი იძულებული გამხდარა პორტ-არტურში გადასახლებულიყო[50].

ჩაქვის, სალიბაურისა და სხვა კერძო მეურნეობის ჩაის პლანტაციებში ფართოდ იყენებდნენ ქალებისა და მცირეწლოვანი ბავშვების შრომას როგორც იაფ მუშაძალას. უაღრესად მძიმე იყო მათი შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები, არ აძლევდნენ დროზე ხელფასს, სცემდნენ, მიმართავდნენ ადამიანის ღირსების დამამცირებელ სხვა მეთოდებსაც. ჟურნალი „კვალი“ ამის შესახებ იტყობინება: „საწყალ მუშას ქირას თავის დროზე არ აძლევენ — ძარცვავენ და გლეჯენ... 29 აპრილს აქ მყოფი მუშა 15 წლის ბავშვი შერმანდილა დოლიძე გაროზგა ვიღაც უცხოელმა გერმანე ვოლდერმა“[51].

---

[48] „Друг «издалека...»“, გვ. 63.

[49] აჭარის ასსრ ცსა, (ბათუმი) ფონდი 22, საქ. 7, ფურც. 18.

[50] ი ქ ვ ე, ფურც. 26.

[51] «Кваали», 1895, № 3, გვ. 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ მიზნით, რომ გვერდზე ჰყოლოდათ საჭირო რაოდენობა თავისუფალი მუშაძალა საუფლისწულო ქონებათა მთავარმა სამმართველომ დაიწყო რუსეთის ცენტრალური ოლქებიდან რუსი კოლონიზატორების ჩამოსახლება[52]. მათ შეღავათიან პირობებში იჯარით აძლევდნენ ჩაქვის მიდამოებში მიწის ნაკვეთებს იმ პირობით, რომ თავის ნაკვეთზე აუცილებლად გაეშენებიათ ჩაის კულტურა. ეს იმისათვის იყო საჭირო, რომ მუშაძალის გარდა ჩაის ფაბრიკა მიიღებდა გადასამუშავებლად იაფ ჩაის ნედლეულს.

ჩაის პლანტაციებში აჭარის მკვიდრი მცხოვრებლების სამუშაოდ მიღებას გაურბოდნენ, იმ მოტივით, რომ თითქოს ისინი შრომას ძვირად აფასებდნენ, სინამდვილეში კი მოსახლეობას ტაცებდნენ მიწებს და აქ დასახლებულ კოლონისტებს ცხოვრების უკეთეს პირობებს უქმნიდნენ. მაგრამ კოლონისტთა უმრავლესობა ვერ შეეგუა ადგილობრივ კლიმატს და მათთვის უცხო კულტურის მეურნეობას, ამის შედეგად უმრავლესობა გადასახლდა სხვა ადგილებში[53].

ბათუმსა და საერთოდ აჭარის ზღვისპირეთის მდიდარ ადგილებში დასახლების სურვილი მრავალ ბურჟუაზიულ თაოსანს აღეძრა. შესყიდვით თუ სხვა სახით აქ მიწებს დაეუფლნენ უმაღლესი თანამდებობის მოხელეები, გადამდგარი სამხედრო პირები და უცხოელები. 900-იანი წლებისათვის ასეთ მეურნეობათა რიცხვი 300-მდე აღწევდა[54]. მათ შორის რამოდენიმემ დაიწყო ჩაის მცენარის დარგვა-გაშენება სამრეწველო მიზნით.

ბათუმი ამ დროს არ წარმოადგენდა პატარა, აზიურად მოწყობილ ქალაქს, როგორც იგი 70-იან წლებში იყო[55], რკინიგზის გაყვანის შემდეგ ბათუმის ეკონომიკური და კულტურული ცხოვრება სწრაფად განვითარდა; ორ ათეულ წელში იგი გადაიქცა რუსეთის იმპერიისა და ამიერკავკასიის მნიშვნელოვან სავაჭრო-სამრეწველო ცენტრად. ქალაქი სწრაფად გაშენდა, გაიხსნა მრავალი სავაჭრო

---

[52] აჭარის ასსრ ცსა (ბათუმი), ფონდი 22, საქ. 25, ფურც. 2, აგრეთვე, გაზეთი «Россия», 1899, 12 სექტემბერი.

[53] აჭარის ასსრ (ბათუმი), ფონდი, საქ. 45, ფურც. 220, აგრეთვე, პ ა ა ტ ა გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს. ტ. 1, თბ. 1949, გვ. 135—136.

[54] პ. ც ქ ვ ი ტ ა რ ი ა, აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები (1890—1914 წწ.), ბათუმი, 1959, გვ. 26.

[55] «დროება» 1878, №178.

და კულტურული დაწესებულება, განვითარდა ხელოსნობა და მრეწ-
ნამრეწველობა. დაარსდა მსხვილი კაპიტალის ბანკები, განხორციე-
ლდა ნავსადგურის საფუძვლიანი რეკონსტრუქცია; გაიყვანეს ბა-
ქო-ბათუმის ნავთსადენი მილები. მატულობს ბათუმის ნავსადგუ-
რიდან გატანილი და საზღვარგარეთიდან შემოზიდული საქონლის
ოდენობა[56].

ტვირთბრუნვით ბათუმმა ბევრად ჩამოიტოვა ფოთი, ისე რომ XIX საუკუნის დასასრულს ბათუმი გადაიქცა ამიერკავკასიის მთავარ კომერციულ ნავსადგურად.

ბათუმის ეკონომიურ განვითარებას დიდად შეუწყო ხელი ბაქოს ნავთობის მრეწველობის განვითარებამ. ბათუმის საშუალებით დიდძალი ნავთობი და ნავთის სხვა პროდუქტები გადიოდა საზღვარგარეთ, მასთან დაკავშირებით ბათუმში შეიქმნა მთელი რიგი სავაჭრო ფირმები, რომლებიც პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით უზრუნველყოფდნენ ნავთობის პროდუქტების ექსპორტს. სამრეწველო აღმავლობის შედეგად ისევე, როგორც რუსეთის სხვა სამრეწველო ცენტრებში, ბათუმშიც სწრაფად იზრდება მუშათა რიცხვი[57]. 1902 წელს ბათუმის ოლქში სამრეწველო პროლეტარიატის რაოდენობა შეადგენდა 5142 კაცს[58]. მუშათა ამ რიცხვში არ შედიოდა სახაზინო ინდუსტრიული წარმოებები, მათ შორის ჩაქვის ჩაის ფაბრიკაც. დამახასიათებელია ისიც, რომ ბათუმის სამრეწველო პროლეტარიატი თავისი ეროვნული შემადგენლობით უაღრესად ჭრელი იყო. აქ დიდი ნაკადით მოდიოდა თავისუფალი მუშაძალა, როგორც რუსეთიდან და ამიერკავკასიიდან, ისე საზღვარგარეთის მეზობელი ქვეყნებიდან. ბათუმს განსაკუთრებით ეტანებოდა დასავლეთ საქართველოს გაღატაკებული გლეხობა. ბათუმის მუშათა მდგომარეობა კერძო მრეწველთა თავაშვებულობის გამო უფრო მძიმე იყო ვიდრე რუსეთის სხვა სამრეწველო ცენტრებში, ამის შესახებ ლენინური „ისკრა“ და სხვა პროგრესული პრესაც არა ერთხელ მიუთითებდა[59].

---

[56] Н. Л. Церетели, Назв. соч., Также И. С. Месхи, Очерк развития Батумского городского хозяйства. Сб. статей Батум и его окрестности, стр. 457.

[57] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 17, გვ. 88.

[58] საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1961, პროფ. პ. გუგუშვილის რედაქციით, გვ. 117.

[59] «Искра», 1902, № 16.

ბათუმის მუშათა დიდი კონცენტრაცია ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა მუშათა რევოლუციურ დარაზმულობას, რომელსაც რსდმპ ბათუმის კომიტეტი ხელმძღვანელობდა.

თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში ბათუმის მუშათა კლასი წარმოადგენდა რუსეთის იმპერიის რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს. ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 1903 წელს წერდა: „კავკასიის სამრეწველო ცენტრებში, როგორიცაა ბაქო, თბილისი, ბათუმი, მათი მსხვილი კაპიტალისტური წარმოებისა და მრავალრიცხოვანი საფაბრიკო პროლეტარიატით, ამ მოძრაობამ უკვე ღრმად გაიდგა ფესვები“[60].

ბათუმის მრეწველურ პროლეტარიატთან ერთად რევოლუციურ ბრძოლებში მხარდამხარ იბრძოდნენ ჩაქვის და სალიბაურის ჩაის პლანტაციებისა და ჩაის ფაბრიკის მუშებიც. ლაო ჯონ-ჯაუ თავის მოგონებაში აღნიშნავს, თითქოს უკეთესი პირობების გამო ჩაის ფაბრიკების მუშები განზე იდგნენ რუსეთის პირველი რევოლუციის მრისხანე დღეებში[61]. ეს ფაქტი მოკლებულია სინამდვილეს. მრავალრიცხოვანი საარქივო დოკუმენტი და იმ დროის პრესა გარკვევით მოგვითხრობს ამის საწინააღმდეგოს. ამ პლანტაციებისა და ფაბრიკების მუშები ბათუმის პროლეტარიატს არა მარტო მორალურად უჭერდნენ მხარს კაპიტალისტების წინააღმდეგ გაფიცვებისა და დემონსტრაციების მოწყობის დროს, არამედ თვითონაც აქტიურად გამოდიოდნენ თავიანთი მეპატრონეების ულმობელი ექსპლოატაციის წინააღმდეგ.

სალიბაურის ჩაის ფაბრიკისა და პლანტაციების მუშებს შორის დიდ პოლიტიკურ მუშაობას აწარმოებდნენ რსდმპ კავკასიის ბათუმის კომიტეტის აგიტატორები. აქ 1903 წელს დაარსდა სოციალ-დემოკრატიული წრე, სადაც 12-მდე მოწინავე მუშა შედიოდა. 1904 წელს ამ ორგანიზაციის ინიციატივით, რომელსაც მეთაურობდნენ ალი და სულეიმან კორძახიები, ე. დოლიძე და ბ. მგელაძე, გამოცხადდა მუშათა გაფიცვა.

პოპოვის მეურნეობის ადმინისტრაციას წარედგინა მოთხოვნა ხელფასის გადიდებისა და მუშათა ყოფაცხოვრებითი პირობების გაუმჯობესების შესახებ. ადმინისტრაციამ განიზრახა რევოლუ-

---

[60] ვ. ი. ლენინი, თხზ, ტ. 6, გვ. 400—401.

[61] „Друг издалека“... стр. 67.

ციურად განწყობილი მუშების დათხოვნა, მაგრამ გაფიცულებმა-მებ.ის ჩარევით ეს გეგმა ჩაიშალა[62]. ფაბრიკის ადმინისტრაცია იძულებული შეიქნა დათმობაზე წასულიყო, მაგრამ მალე პოპოვმა ჩაის ფაბრიკა დახურა.

ჩაქვის საუფლისწულო მამულის პლანტაციების და ჩაის ფაბრიკის მუშებიც ერთობლივად გამოდიოდნენ თავიანთი ექსპლოატატორების წინააღმდეგ. პლანტაციებში, სადაც 700—800-მდე კაცი მცირე ხელფასზე მუშაობდა, ადმინისტრაცია არავითარ ღონისძიებას არ იღებდა მათი შრომისა და ყოფაცხოვრებითი პირობების გასაუმჯობესებლად. აქ დამკვიდრებული მძიმე რეჟიმის შესახებ რამდენიმე სტატია გამოქვეყნდა 1905 წ. გაზეთულზე. გაზ. „ნოვოე ვრემიაში“[63], რომელიც პეტერბურგში გამოდიოდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამას არ შეეძლო რაიმე საფუძვლიანი ცვლილება შეეტანა მუშათა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. რსდმპ ბათუმის კომიტეტის აგიტატორების ხელმძღვანელობით ჩაქვის საუფლისწულო მამულის მუშები აწყობდნენ გაფიცვებს, თუ პირველად იგი ეკონომიკური ხასიათისა იყო, მომდევნო წლებში გადაიქცა მძლავრ პოლიტიკურ მანიფესტაციად. კავკასიის საუფლისწულო მამულების სამმართველოს უფროსი თავის მოხსენებაში (1905 წლის აპრილი) პეტერბურგში ატყობინებდა «Управляющий имением (ნაგულისხმევია ჩაქვის საუფლისწულო მამული ა. ბ.) обеспокоен распространяемыми среди рабочих слухами, что в Батумском революционном комитете постановлено не допускать рабочих к сбору. Но я полагаю, что присуствие в имении воинской команды,... воспрепятствует агитаторам привести свой план в исполнение... К ночи же от полуроты выставляются посты к чайному магазину и дому управления имением и на чайной фабрике, а равно высылаются патрули которые составляют как бы подвижные охранения имениями»[64].

მიუხედავად მკაცრი ზომებისა, რასაც მიმართავდა ჩაქვის საუფლისწულო მამულის დირექცია, პლანტაციებისა და ჩაის ფაბრი-

---

[62] პ. ცქვიტარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 158, აგრეთვე, აჭარის ასსრ რევოლუციის მუზეუმი, ფონდი 2, საქ. 49, ფურც. 56.

[63] საქართველოს სსრ ცსა, (თბ.), ფონდი 351, საქ. 92, ფურც. 35—37, აგრეთვე, პ. ცქვიტარია, დასახ. ნაშრომი, გვ, 212.

[64] ЦГИА СССР в Ленинграде, ф. 515, оп. 91, д. 48, л. 1.

კის მუშები 1905 წლის რევოლუციის აღმავლობის პერიოდში ყოველთვის იდგნენ მოწინავეთა რიგებში. ჩაის წარმოება თითქმის მთლიანად შეწყდა. მამულის ადმინისტრაციამ ვერ შესძლო ჯარის დახმარებით მუშების ჩამოშორება რევოლუციური მოძრაობიდან.

რეაქციის წლებში ჩაქვის საუფლისწულო მამულის ადმინისტრაციამ მუშებზე იერიში მიიტანა. სამსახურიდან დაითხოვეს ის მუშები, რომლებიც შემჩნეული იყვნენ რევოლუციურ მოძრაობაში. ჩაის ფაბრიკის მუშებისათვის გახანგრძლივდა სამუშაო საათები. საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედების შედეგად მამულის ადმინისტრაციამ, როგორც იქნა, ააშენა ქვის ორსართულიანი შენობა, სადაც მოთავსდა მუშათა სასადილო, მაღაზია და პურის საცხობი. იმ მუშებისათვის, რომლებიც ჩაის ფაბრიკიდან შორს ცხოვრობდნენ, ტრანსპორტზე („ლინეიკა") დაწესდა შეღავათი. დაარსდა სამედიცინო პუნქტი, მაგრამ აქ მხოლოდ ერთი ექიმის თანაშემწე მუშაობდა. ადმინისტრაციამ შესძლო მიეღწია იმისათვის, რომ დარღვეულიყო ტრადიციული მეგობრობა ჩაის ფაბრიკასა და პლანტაციის მუშებს შორის. განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩეოდნენ ფაბრიკის ე. წ. „უფროსი მუშები", ესენი უმეტესად პოლიტიკურად ჩამორჩენილი და მატერიალურად დაინტერესებული პირები იყვნენ.

ჩაის ფაბრიკაში დიდი იყო მუშათა დენადობა, განსაკუთრებით დამხმარე მუშებისა. თუ რამდენად აბუჩად იგდებდნენ მუშის კანონიერ უფლებებს ეს ჩანს მჭედელ ს. ბობიჩევის საჩივრიდან. მას ჩაქვის ჩაის ფაბრიკაში მუშაობა დაუწყია 1900 წლის 1 სექტემბერს, იღებდა ხელფასს 40 მანეთს თვეში. ჰყავდა მეუღლე, ორი მცირეწლოვანი შვილი და ცხოვრობდნენ მუშათა საერთო საცხოვრებელში. 1906 წლის იანვარს ს. ბობიჩევმა მუშაობის დროს მიიღო მძიმე ტრამვა, რის გამოც მაშინვე მოხსნეს სამსახურიდან, ცოლ-შვილი დარჩა უბინაოდ და ულუკმაპუროდ. იგი თავის საჩივარს შემდეგი სიტყვებით ამთავრებს: „ჩემი დათხოვნის შემდეგ მე თხოვნით მივმართე კანტორას... მოეცა ჩემთვის რაიმე დახმარება, მაგრამ ჩემი თხოვნა დარჩა უშედეგოდ... გულსატკენია, რომ ვიმუშავე შვიდი წელი უმწიკვლოდ და არ ვიცი რისთვის ვარ დათხოვნილი, მიუხედავად იმისა, რომ მივიღე დასახიჩრება, ერთი სიტყვით დავრჩი ისე, როგორც ჩვარი გემის ბაქნიდან გადაგდებული"[65].

---

[65] აჭარის ასსრ ცსა (ბათუმი), ფონდი 22, საქ. 359, ფურც. 1—2.

ჩაქვის ჩაის ფაბრიკაში მუშათა მძიმე მდგომარეობას არა ერთ-ხელ გამოეხმაურა ადგილობრივი პრესაც[66].

ჩაქვის ჩაის ფაბრიკაში მუდმივ წარმოებრივ მუშათა რაოდენობა შტატით არ აღემატებოდა 15 კაცს. ფაბრიკის კანტორაში მუშაობდა 5 კაცი, ჩაის მაღაზიაში 3 კაცი და ლაბორატორიაში 2 კაცი, სულ 10 თანამშრომელი. დღეურად დაქირავებული მუშათა რაოდენობა მერყეობდა 10-დან 20 კაცამდე. 1910 წელს ჩაქვის ჩაის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობა შეადგენდა 35 კაცს[67]. 1911 წ. ფაბრიკის მუდმივ მუშა-მოსამსახურეებზე დაიხარჯა 9760 მანეთი, დღიურ მუშებზე 7930 მანეთი. 1912 წლის მონაცემებით ჩაქვის ჩაის ფაბრიკაში მუშათა უმრავლესობა მიღებულია სამუშაოდ რუსეთის პირველი რევოლუციის შემდეგ. უფრო მეტი მუშაობის სტაჟი აქვთ ჩაის ოსტატებსა და ოსტატის თანაშემწეებს, ესენი უმთავრესად რუსებია, მაგრამ მათში ვხვდებით ქართველებსაც. დამხმარე მუშების უმრავლესობა ქართველებია. ჩაის ფაბრიკის თითოეული მუშის ხელფასი წლიურად შეადგენდა 360—540 მანეთს. ოსტატის — 960 მან.; ოსტატის თანაშემწის — 900 მან.; ფაბრიკის გამგის — 2430 მანეთს. ჩაის ფაბრიკის მუშის საშუალო წლიური ხელფასი გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე პლანტაციების მუშების. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩაის წარმოების რთულ ტექნოლოგიას დაეუფლნენ ადგილობრივი კადრები, რომლებმაც შესცვალეს უცხოელი ჩაის ოსტატები. ასე მაგალითად, სამარინი და გულშკოვსკი ჩაის პროდუქციის დამზადების საუკეთესო მცოდნედ ითვლებოდნენ. ჩაის წარმოების საერთო ხელმძღვანელობა (ფაბრიკის გამგე) დაკისრებული ჰქონდა ლაო ჯონ-ჯაოს, იგი ამავე დროს ხელმძღვანელობდა სალიბაურის ჩაის ფაბრიკას, რომელიც პოპოვმა აღადგინა 1910 წელს[68]. ეს ჩაის ფაბრიკა ახლა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ჩაქვის ჩაის ფაბრიკას თავისი წარმოებრივი სიმძლავრითა და გამოშვებული მზა პროდუქციის მოცულობით, რაც უმთავრესად აიხსნება იმით, რომ პოპოვის ჩაის პლანტაციების ფართობი სა-

---

[66] „ბათუმის გაზეთი», 1911, № 69, «თანამედროვე აზრი», 1915; №№ 209, 216, 227.

[67] აჭარის ასსრ ცსა (ბათუმი), ფონდი 22, საქ. 297, ფურც. 2, იქვე, საქ. 314, ფურც. 20, აგრეთვე «Кавказский календарь», Тифлис, 1912, Стат. отдел, стр. 304.

[68] აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმი, საქ. 324, ფურც. 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლისწულო მამულის პლანტაციებთან შედარებით უფრო ნაკლებად იზრდებოდა, მაშასადამე ფაბრიკა გადასამუშავებლად იღებდა ნაკლები რაოდენობით ჩაის ნედლეულს.

ჩაის მსხვილ მეურნეობებთან ერთად 1900 წლიდან მოკიდებული ჩაის კულტურა თანდათანობით იწყებს გავრცელებას, როგორც ბათუმის ოლქში, ისე ქუთაისის—გუბერნიისა (ოზურგეთი, ზუგდიდი, სენაკი) და სოხუმის ოკრუგში. აქ მთელ რიგ პუნქტებში შეიქმნა ჩაის კულტურის საცდელი უბნები[69]. ჩაის გაშენებას შემდგომ ხელი მიჰყვეს წვრილ გლეხურ და სხვა მეურნეობებში, რომელთა ფართობი ერთობ მცირე იყო და იშვიათ შემთხვევაში არ აღემატებოდა 10 დესეტინას[70].

წვრილი მეურნეობები ჩაის მწვანე ფოთოლს შესყიდვით აბარებდნენ ჩაის ფაბრიკებს. 1 გირვანქა ჩაის ფოთლის ღირებულება მერყეობდა 12 კაპიკიდან 15 კაპიკამდე. ზოგი წვრილი მეურნე ამჯობინებდა მის მიერ ჩაის ფაბრიკაში ჩაბარებული ნედლეულისაგან მიეღო ჩაის მზა პროდუქცია, რადგან თვითონ ახდენდა ბაზარზე მის რეალიზაციას. ამასთანავე პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დაწყებამდე ნახევრადმექანიზებული ან კუსტარული წესით ჩაის მწვანე ფოთლის გადამუშავება წარმოებდა 15-მდე წვრილ მეურნეობაში, მათგან აღსანიშნავია შემდეგი:

1. სინიცინას მეურნეობა (ბათუმის ოლქი სოფ. კარა-დერე) — ჩაის ნარგავთა ფართობი შეადგენდა 9 დესეტინას. 1914 წელს მიიღო დაახლოებით 22 000 გირვანქა ჩაის მწვანე ფოთოლი, წვრილ მეურნეთაგან შეიძინა 13 000 გირვანქა ფოთოლი. აქვე ჰქონდა მოწყობილი ჩაის ნახევრადმექანიზებული წარმოება. 1914 წელს გადაამუშავა და მიიღო 8 100 გირვანქა ჩაი. მწვანე ფოთლის გამოსავალი შეადგენდა 23,5%-ს.

2. დიადუშას მეურნეობა (ბათუმის ოლქი სოფ. სოუკ-სუ), ფართობი მოიცავდა 3,5 დესეტინას. 1914 წელს პლანტაციიდან მიიღო

---

[69] «Наше хозяйство», 1900, № 7—8, Также, Материалы по чайной торговле в связи с проектом введения в России чайной монополии, 1915, стр. 24—25.

[70] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტ. არქივი, (შემდეგ მლისფპა), ფ. 14, საქ. 683, ფურც. 8, აგრეთვე, კ. გაბუნია, ნარკვევები სსრ კავშირის ჩაის მრეწველობის ისტორიიდან, ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, «ბიულეტენი», № 1/4, 1960, გვ. 89.

3 272 გირვანქა ჩაის ფოთოლი, დამატებით შეისყიდა 10 599 გირვანქა, თავის კუსტარულ წარმოებაში მიიღეს 3 264 გირვანქა ჩაი. მწვანე ფოთლის გამოსავალი შეადგენდა — 23,5%-ს.

3. ზვერევის მეურნეობა (ბათუმის ოლქი სოფ. ბარცხანა), მოკრიფა 1 300 გირვანქა და შეისყიდა 5 000 გირვანქა მწვანე ფოთოლი. კუსტარული წესით მიიღო 3 000-ზე მეტი გირვანქა ჩაი.

4. ნ. საბაშვილის მეურნეობა (ბათუმის ოლქი სოფ. სალიბაური), ჩაის ნარგავთა ფართობი მოიცავდა 2 დესეტინას, მიიღო 4 000 გირვანქა მწვანე ფოთოლი, ჩაის ფოთოლს იძენდა სხვებისაგანაც. ჰქონდა პატარა კუსტარული წარმოება.

5. ვერდერევსკის მეურნეობა (ბათუმის ახლოს), აწარმოებდა თავის მეურნეობიდან მიღებულ ჩაის მწვანე ფოთლის გადამუშავებას. აქ 1910 წელს დამზადდა 520 გირვანქა, ხოლო 1911 წელს — 280 გირვანქა ჩაის მზა პროდუქცია. გამოშვებული პროდუქციის მეტი ნაწილი შეადგენდა პირველ ხარისხს.

6. ნაკაშიძის მეურნეობა (ოზურგეთის მაზრა სოფ. ზედობანი), ჩაის ნარგავთა ფართობი შეადგენდა 10 დესეტინას, აქვე მოეწყო პატარა ნახევრადმექანიზებული ჩაის ფაბრიკა.

ოზურგეთის მაზრაში ჩაის კუსტარული წარმოებები ჰქონდათ აგრეთვე ჭანტურიშვილს (სოფ. აცანა), სადრაძეს (სოფ. გომი) და სხვა[71].

ჩაის კუსტარულ საწარმოებში ერთმანეთისაგან განსხვავებული გაწყობილობა ჰქონდათ, ამასთან დაკავშირებით ჩაის დამზადებაც სხვადასხვა წესით ხდებოდა. მაგალითად, სინიცინას წარმოებაში ჰქონდათ საგრეხი მანქანა როლერებით, მისი კონსტრუქცია ინგლისურისას ჰგავდა; ხმობა წარმოებდა აგურის ღუმელში, ხის კამერის საშუალებით.

ზვერევის საწარმოში იდგა სამძრავიანი ელექტრო მოტორი, რომელსაც მოჰყავდა მოძრაობაში საგრეხი მანქანა. ამ საწარმოებში ცდილობდნენ დაეცვათ ჩაის დამზადების ცეილონური მეთოდი.

---

[71] С. Н. Тимофеев, Культура чайного киста производства чая... стр. 6—7. აგრეთვე კ. გ ა ბ უ ნ ი ა დასახ. ნაშრომში, გვ. 89, 97, აჭარის ასსრ სახ. მუზეუმი, საქ. 409, ფურც. 129. «Кавказский календарь», 1912, стат. отд. стр. 268; 1913, стат. отд. стр. 325.

ნ. საბაშვილი კი თავის საწარმოოში უმთავრეს ყურადღებას აქცევდა ჩინური მეთოდით ჩაის დამზადების ტექნოლოგიას. ჭეჭ- და ადგილობრივი კონსტრუქციის ჩაის ფოთლის საგრეხი ხის კბილოვანი მაგიდა, აგრეთვე ჩვეულებრივი ტიპის ჩაის ღუმელი[72].

ნ. საბაშვილის საწარმოოს ჩაი თავისი მაღალი თვისებებით გამოირჩეოდა სხვა საწარმოთა ჩაისაგან. მასზე დიდი იყო მოთხოვნილება სამხრეთ რუსეთის ბაზარზე.

როგორც უკვე ითქვა, ჩაის ფაბრიკებსა და კუსტარულ წარმოებებში ჩაის დამზადება მარტო საკუთარი პლანტაციებიდან მოკრეფილი ჩაის ფოთოლით კი არ ხდებოდა, არამედ ნედლეულს დამატებით იძენდნენ წვრილი მეურნეობებიდანაც.

ჩაის მსხვილი და წვრილი მეურნეობების ფართობისა და აქ მოკრეფილი მწვანე ფოთლის მოცულობის დინამიკის შესახებ, პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დაწყებამდე, შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ შემდეგი მონაცემებიდან (იხ. ცხრ. 1). ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ ჩაის მეურნეობათა რიცხვი 1893 წლიდან 1912 წლამდე გაიზარდა 114-ჯერ, ხოლო ნარგავთა ფართობის საერთო მოცულობა 1893 წლიდან 1914 წლამდე გაიზარდა 104,9-ჯერ. შესაბამისად ამისა მნიშვნელოვნად იმატა ჩაის სანედლეულო ბაზის მოცულობამაც, ასე მაგალითად, თუ 1895 წელს მოიკრიფა 85 გირვანქა ჩაის მწვანე ფოთოლი, 1914 წელს ჩაის პლანტაციებიდან სულ მოკრეფილი ჩაის მწვანე ფოთლის რაოდენობამ 1 383 317 გირვანქას მიაღწია.

ჩაის სანედლეულო ბაზის შესაბამისად ჩაის მზა პროდუქციის მოცულობის მატებაზე მიგვითითებს ქვემოთ მოტანილი მასალები (იხ. ცხრ. 2).

ჩაის სანედლეულო ბაზის ზრდის შესაბამისად მატულობს ჩაის მზა პროდუქციის მოცულობა. 1914 წელს ჩაქვის, სალიბაურის ჩაის ფაბრიკების და კუსტარული საწარმოების მიერ სულ გამოშვებულ იქნა 334 204 გირვანქა ჩაი, რაც 1899 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 73,6-ჯერ მეტია. 1914 წელს ჩაქვის ჩაის ფაბრიკამ 1899 წელთან შედარებით 296,2-ჯერ მეტი პროდუქცია გამოუშვა, ხოლო სა-

[72] ამ დროისათვის შეიმჩნევა დაინტერესებული პირების ზრუნვა ჩაის გადამმუშავებელი ახალი მანქანა-დანადგარების შექმნაზე, რაც უმთავრესად გამოიყენებოდა ჩაის კუსტარულ საწარმოებში, ამის შესახებ დაწვრილებით იხ. «Русские субтропики», 1912, № 5, 1914, №,1—6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაის პლანტაციების ფართობის და მოკრეფილი ჩაის მწვანე ფოთლის დინამიკა ბათუმის ოლქში და ქუთაისის გუბერნიაში (1893 — 1914 წწ.)[74]

წელი	მეურნეობათა რიცხვი	ჩაის პლანტაციების ფართობი (დესეტინობით)			სულ	მოიკრიფა ჩაის მწვანე ფოთოლი (გირვანქობით)			
		ჩაქვის საუფლისწულო მამული	კ. პოპოვის	წვრილი მეურნეობა		ჩაქვის საუფლისწულო მამული	კ. პოპოვის	წვრილი მეურნეობა	სულ
1893	1	—	8	—	8	—	—	—	—
1894	1	—	8	—	8	—	—	—	—
1895	2	10	8	—	18	—	85	—	85
1896	2	20	10	—	30	—	156	—	156
1897	2	30	22	—	52	—	5100	—	5100
1898	6	50	44	8,50	102,50	—	13080	—	13080
1899	14	70	96	174,0	18340	3950	15342	—	19292
1900	17	90	96	29,40	21540	21250	3394	—	24644
1901	20	110	127	33,00	27000	102000	38555	—	140555
1902	23	130	127	42,00	29900	163230	66284	7370	236984
1903	28	160	127	47,09	33409	181553	61943	8517	252013
1904	33	180	127	61,58	36858	378706	127276	31076	537058
1905	40	200	127	73,00	40000	389822	221413	27370	638605
1906	50	245	127	81,56	45355	439934	არ მოკრეფილა	34621	474555
1907	64	250	127	90,37	46737	262051	„	16858	278909
1908	92	250	127	102,84	47984	528444	57352	43020	623816
1909	94	350	127	109,17	58617	635031	94774	68325	798130
1910	130	400	127	114,00	64100	781381	96127	83621	961129
1911	110	410	127	128,11	66111	722825	77529	83516	883870
1912	114	450	127	158,88	73588	867303	148212	91275	1106790
1913	146	—	127	—	81200	1038476	155695	—	1355659
1914	248	—	127	—	83920	—	172633	—	1383317

ლიბაურის ჩაის ფაბრიკამ იმავე პერიოდში — 11,5-ჯერ მეტი პროდუქცია. 1912 წელს კუსტარული საწარმოებიდან სულ გამოშვებულ იქნა 79-ჯერ მეტი პროდუქცია, ვიდრე 1902 წელს. 1912 წ. მონაცემებით ჩაქვისა და სალიბაურის ჩაის ფაბრიკებმა სულ დაამზადეს 15 000 მანეთის პროდუქცია[74].

[74] „Кавказский календарь“, 1919, стат. отд., стр. 186.

ცხრილი ამოღებული
ბიბლიოთეკა

ჩაის მზა პროდუქციის მოცულობის დინამიკა, ჩაქვისა და სალიბაურის ჩაის ფაბრიკებსა და კუსტარულ საწარმოებში (1893—1914 წწ.)[75]
(გირვანქობით)

წლები	ჩაქვის ჩაის ფაბრიკა			სულ	სალიბაურის ჩაის ფაბრიკა	კუსტარული საწარმოებიდან	სულ
	საუფლისწულო მამულის პლანტაციებიდან	წვრილი მეურნეობებიდან	წვრილ მეურნეთათვის				
1893	—	—	—	—	—	—	—
1894	—	—	—	—	—	—	—
1895	—	—	—	—	20	—	20
1896	—	—	—	—	37	—	37
1897	—	—	—	—	1200	—	1200
1898	—	—	—	—	2900	—	2900
1899	930	—	—	930	3610	—	4540
1900	5000	—	—	5000	846	—	5846
1901	24000	—	—	24000	9300	—	33300
1902	38273	—	—	38273	17027	160	55460
1903	45141	—	1727	46868	16833	530	64231
1904	100030	—	1551	101581	34655	1560	137596
1905	96055	1400	6074	103529	56345	2500	162375
1906	105769	4981	2245	112995	ჩაის ფაბრიკა არ მუშაობდა	3373	116368
1907	60472	2047	633	63152	„	1270	64422
1908	123758	16648	2362	142768	„	4760	147528
1909	196166	29910	4924	227000	„	8160	235160
1910	194130	34429	1178	229737	„	9580	239317
1911	172392	9868	576	182836	18321	9526	210683
1912	210675	9221	583	220479	35092	12645	268216
1913	—	—	—	—	38229	—	32400
1914	—	—	—	26550	41365	—	334204

1913 წელს ოზურგეთის საცდელ ნაკვეთზე აშენდა მცირე წარმოებრივი სიმძლავრის ჩაის ფაბრიკა, სადაც პროდუქციის დამზადე-

[75] 1 და 2 ცხრილის მონაცემები მოტანილია ЦГИА СССР в Ленинграде, ф. 560, оп. 26, 1393, лл. 4—5—Проект Попова К. С. по вопросу о развитии чайной культуры в Закавказье, აგრეთვე, აჭარის ასსრ სახ. მუზეუმი, საქ. 409, ფურც. 129, «Батумский сельский хозяйн», 1910, № 4, К. С. Ильященко, Культура чая в Грузии и его современная технология. Труды по прикладной ботанике... 1927—1928, вып. 3, том. 18, стр. 75, «Известия“ 1921, 19 мая.

ბის ძირითადი პროცესები (გრეხა, მწვანე ჩაის დახარისხება, ფერმენტაცია, მზა პროდუქციის დახარისხება და სხვ.) სრულდებოდა მანქანებით. იქვე მოეწყო ქიმიური ლაბორატორიაც. ეს ფაბრიკა შექმნილი იყო იმისათვის, რომ გადაემუშავებინა, როგორც სახელმწიფო პლანტაციების, ისე წვრილი მეურნეობების ჩაის მწვანე ფოთოლი. 1914 წელს ფაბრიკამ გადაამუშავა 3 365 გირვანქა ჩაის მწვანე ფოთოლი, დამზადდა 800 გირვანქა ჩაი. ოზურგეთის ჩაიმ იმთავითვე სპეციალისტების მაღალი შეფასება დაიმსახურა[76]. ამრიგად, 1914 წლისათვის ჩაის გამოშვება წარმოებდა 3 ფაბრიკაში და მთელ რიგ კუსტარულ საწარმოებში. საქართველოში დამზადებული ჩაის პროდუქციის მოცულობა არ აღემატებოდა რუსეთში შემოტანილ ჩაის 0,2%, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ აქ ჩაის წარმოება ტექნიკის დაბალ დონეზე იდგა. პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დაწყების წინ საქართველოში ჩაის წარმოება თუმცა ნელა ვითარდებოდა, მაგრამ ტექნიკურად ჩაის ფაბრიკები კარგად იყვნენ აღჭურვილნი და არ ჩამორჩებოდნენ როგორც ჩინეთის, ასევე ინდოეთისა და ცეილონის მიღწეულ დონეს[77].

საქართველოს ჩაი შინაგან ბაზარზე გამოდიოდა „რუსული ჩაის", „კავკასიის ჩაის" და „ჩაქვის ჩაის" მარკით, იგი თანდათანობით ცნობილი ხდება და იმსახურებს მომხმარებელთა მაღალ შეფასებას. პირველ ათეულ წლებში ჩაქვის ჩაის ფაბრიკის პროდუქციის ძირითად მომხმარებელს სამხედრო უწყება წარმოადგენდა, ამიტომ ამ ჩაის ზოგჯერ „სოლდატსკი ჩაისაც" უწოდებდნენ. სალიბაურის ჩაის ფაბრიკის პროდუქცია (I, II და III ხარისხი) იყიდებოდა პეტერბურგში, მოსკოვში, ოდესასა და ყირიმში, ხოლო კუსტარული ჩაის პროდუქცია, მაგალითად, ნ. საბაშვილისა საღდებოდა ბათუმში, თბილისში, ოდესაში და სხვ. წარმოებდა ცდები ჩაქვის ჩაის საზღვარგარეთ გატანის. მაგალითად, 1906 წელს „ჟაკოს" ფირმამ აშშ-ი თავის რწმუნებულს შულცს გაუგზავნა 10 000 გირვანქა ჩაქვის ჩაი[78].

---

[76] С. Н. Тимофеев, Культура чайного куста и производства чая, стр. 25, Также А. Самарин, Развитие чайной культуры в западной части Кутаисской губернии и Озургетская чайная фабрика, жур. «Русские субтропики», 1915, стр. 31—38.

[77] კ. გაბუნია, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

[78] აჭარის ასსრ ცსა (ბათუმი), ფონდი 22, საქ. 197, ფურც. 165, 175.

ჩაის ფაბრიკების პროდუქციის ხარისხი სისტემატურად მოწმდებოდა რუსეთისა და საზღვარგარეთის ცნობილ ტიტესტერების მიერ. 1899 წელს ჩაქვის ჩაის ფაბრიკის მიერ გამოშვებული I და II ხარისხის ჩაი (პირველი მოკრეფის) გაიგზავნა ლონდონის ერთ-ერთი ჩაის მსხვილი ფირმის ტიტესტერთა შესამოწმებლად და მისი საბაზრო ღირსების დასადგენად. დავითსონ უფროსის შეტყობინებით[79], ჩაქვის ჩაი ცნობილ და მაღალკვალიფიცირებულ ტიტესტერების დასკვნით უტოლდება ცეილონის მაღალი ხარისხის ჩაის, ხოლო ისეთი ავტორიტეტული პიროვნება, როგორიც არის ბარრეის (ასამის ჩაის პლანტატორი) პოპოვის ჩაის უაღრესად მაღალ შეფასებას ანიჭებსო[80]. იმავე წელს ჩაქვისა და სალიბაურის ჩაის ფაბრიკების პროდუქციის ხარისხი შეამოწმა სპეციალურმა კომისიამ, სადაც მონაწილეობას იღებდა პეტერბურგის „ძმ. როსტორგუევის ფირმის" რწმუნებული — როსტორგუევი და ამავე ფირმის ტიტესტერი სელივანოვსკი. მათი დასკვნით სალიბაურის (პოპოვის) ჩაი უახლოვდება ჩინურ ჩაის, ხოლო ჩაქვისა — ცეილონისას[81].

1904 წელს ჩაქვის ჩაის ე. წ. „სოლდატსკი ჩაის" ანალიზი აწარმოა კიევის სამხედრო ჰოსპიტლის ჰიგიენური ლაბორატორიის დოცენტმა ი. კიანიცინმა. საფუძვლიანი გამორკვევის შედეგად იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ჩაქვის ჩაის თავისი ქიმიური შემადგენლობით ძალიან ახლოს იდგა ჩინურ ჩაისთან და მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ცეილონის ჩაისაგან, რადგან მასში ჭარბად ყოფილა ტანინი და სხვა ხსნადი ნივთიერებები. ჩაქვის ნაყენი კი უფრო წმინდა ყოფილა, ვიდრე ცეილონისა, რომელიც მნიშვნელოვანი რაოდენობის ნალექებს[82]. იმავე წელს სალიბაურისა და ჩაქვის ჩაის ფაბრიკების მიერ დამზადებული ჩაის ანალიზი პეტერბურგის ფარმაცევტული საზოგადოების ლაბორატორიაშიაც წარმოებდა[83].

ქართული ჩაი თითქმის ყოველწლიურად მოწმდებოდა რუსეთის ცნობილი ტიტესტერების მიერ, რომლებიც დადებით მხარეებთან ერთად აღნიშნავდნენ მის ნაკლოვანებებსაც. კონკრეტული ნაკლის

---

[79] ყოფილი პლანტატორი, მისი ხელმძღვანელობით დამონტაჟდა ჩაქვის ჩაის ფაბრიკის მანქანა-დანადგარები.

[80] აჭარის ასსრ ცსა (ბათუმი), ფონდი 22, საქ. 25, ფურც. 148—152.

[81] ი ქ ვ ე, საქ. 25, ფურც. 99—102.

[82] ი ქ ვ ე, საქ. 147, ფურც. 33—34.

[83] კ. ბ ა ბ ი ლ ო ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვლენის შედეგად ისახებოდა გზები, როგორც ჩაის ფაბრიკების ტექნიკური აღჭურვის, ისე ჩაის მწვანე ფოთლის უკეთესად გადამუშავებისა და მისი დახარისხების მიზნით.

1900 წელს პოპოვის ჩაი ექსპონირებულ იქნა პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე, სადაც მიიღო უმაღლესი ჯილდო — დიდი ოქროს მედალი[84].

1908 წლიდან ქართული ჩაის ხარისხი მკვეთრად უმჯობესდება, ნაცვლად დაბალი ხარისხისა იზრდება I და II ხარისხის ჩაის მოცულობა. მიმდინარეობს აგრეთვე ცდები უმაღლესი ხარისხის (ყვავილოვანი) ჩაის დამზადებისათვის, რომელიც თავისი მრავალმხრივი დადებითი თვისებებით გამოირჩეოდა მსოფლიოში აღიარებული საუკეთესო ჩაისაგან[85].

საქართველოს ჩაის ფაბრიკებისა და აგრეთვე ზოგიერთი კუსტარული ჩაის წარმოების პროდუქციის ნიმუშები ხშირად იგზავნებოდა რუსეთისა (პეტერბურგი, ნიჟნი-ნოვგოროდი) და საზღვარგარეთის (სტოკჰოლმში, პარიზი, გლაზგო, რომი) გამოფენებზე[86].

1913 წელს პეტერბურგში მოწყობილ ე. წ. „რუსკაია რივერას" გამოფენაზე ჩაქვის საუფლისწულო მამულის მრავალი ექსპონატი გაიგზავნა. „ძმები პეტეს" ფირმამ კინოფირზე გადაიღო (660) ჩაქვის ჩაის პლანტაციები და ფაბრიკა, აქ დიდი ადგილი დაეთმო ჩაის დამზადების პროცესების ჩვენებას. გამოფენაზე გაიგზავნა აგრეთვე ჩაის ფაბრიკისა და აქ დადგმული ზოგიერთი მანქანის მოდელები, რომელიც გააკეთა მექანიკოსმა კორსაკმა. ექსპონატებს მნახველთა დიდი ინტერესი გამოუწვევია, საუფლისწულო უწყების ჩაქვის მამულის დირექციამ მიიღო გრაფ შერმეტიევის სახელობის საპატიო ჯილდო[87].

საქართველოს ჩაის ფაბრიკების გამოშვებული პროდუქციის მოცულობის ზრდა და მასთან ხარისხის გაუმჯობესება ბევრად იყო დამოკიდებული როგორც ნედლეულის ხარისხზე, ისე ჩაის წარმო-

---

[84] აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმი, საქ. 324, ფურც. 2, აგრეთვე «Друг издалека ...», стр. 72.

[85] აჭარის ასსრ ცსა (ბათუმი), ფონდი 22, საქ. 25, ფურც. 26—27, აგრეთვე, კ. ბაბილოძე დასახ. ნაშრომი, გვ. 96.

[86] იქვე, საქ. 27, აგრეთვე ЦГИА СССР в Ленинграде, ф. 560, оп. 26, д. 1393 л. 8.

[87] აჭარის ასსრ ცსა (ბათუმი), ფონდი 22, საქ. 305, ფურც. 77,98, 116,197.

ების მექანიზაციისა და ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებებზე. ამ პერიოდში ყველაზე მსხვილ საწარმოს ჩაქვის ჩაის ფაბრიკა წარმოადგენდა. ჩაქვის საუფლისწულო მამულის დირექცია განუწყვეტლივ ზრუნავდა იმისათვის, რომ ჩაის ფაბრიკა აღჭურვილი ყოფილიყო სათანადო ტექნიკურ დონეზე. პერიოდულად იქმნებოდა კომისიები ფაბრიკის გაწყობილობათა შესამოწმებლად და საჭიროების შემთხვევაში ისახებოდა ღონისძიება ჩაის წარმოების სრულყოფისათვის. ახალ მანქანა-დანადგარებს წინანდებურად იწერდნენ ინგლისიდან, აქედან 1903—1907 წწ. მიღებულ იქნა საშრობი „სიროკოს“ ღუმელი, 2 000 მანეთის ღირებულებისა და ჩაის გადამუშავების სხვა აპარატურა, მათ შორის ელექტროგაწყობილობის[88].

1914 წ. ივნისში, ინგლისიდან მიღებულ იქნა აგრეთვე „ჯეკსონის“ ჩაის სახმობი ღუმელი, რომლის მწარმოებლურობა საათში შეადგენდა 500—700 გირვანქა ჩაის. 1915—1916 წწ. დაიდგა ახალი მანქანა-დანადგარები, მათ შორის: 2 ფოთლის საგრეხ-სატკეპნი, 2 დამხარისხებელი, 5 ელექტროძრავი, ორი როლერი და კუპაჟის მანქანა. ამ მანქანა-დანადგართა ღირებულება სულ შეადგენდა 10 000 მანეთს. ამასთან საგრძნობლად გაფართოვდა საგრეხი და საღნობი განყოფილებები[89]. ფაბრიკასთან შეიქმნა მექანიკური სახელოსნო, ყუთებისა და შეფუთვის განყოფილება. ჩაის მზა პროდუქცია თავსდებოდა პატარა კოლოფში 1/16, 1/8, 1/4, 1/2 და გირვანქის მოცულობით. კოლოფებისათვის ბანდეროლებს სახელმწიფო ბეჭდავდა „რუსკი ჩაისა“ და სხვა სახელწოდებით, ასეთი ღონისძიება იმისათვის იქნა მიღებული, რომ რუსეთში ჩაის ფალსიფიკაციამ საკმაოდ ფართო მასშტაბი მიიღო. 1895 წლიდან ჩაის წარმოებაზე დაწესდა სახელმწიფო ინსპექციის კონტროლი, ასეთ კონტროლს ბათუმის ოლქის ჩაის საწარმოებიც ექვემდებარებოდა.

1915 წლის დასასრულს მდ. ჩაქვაზე აშენდა ჰიდროელექტროსადგური. თუ წინათ მცირე ელექტროძრავის დენი გამოიყენებოდა მხოლოდ ჩაის ფაბრიკის განათებისათვის, ახლა ამ ფაბრიკის მანქანა-დანადგარები მოძრაობაში მოჰყავდა ჰიდროელექტროსადგურის ენერგიას, იგი გადაეცემოდა 4 საჰაერო ხაზით, მათ შორის

---

[88] აჭარის ასსრ ცსა (ბათუმი), ფონდი 22, საქ. 388, ფურც. 2.

[89] იქვე, ფურც. 1.

ერთი ემსახურებოდა მხოლოდ ჩაის ფაბრიკას, ხოლო დანარჩენი სამი გამოიყენებოდა მეურნეობის განათებისათვის. ჩაის ფაბრიკაში აშენდა ერთი ტრანსფორმატორი 30 ცხძ., რომელსაც მოძრაობაში მოჰყავდა 12 ძრავი[90]. ელექტროენერგია მხოლოდ მამულის კომერციულ საქმიანობას ემსახურებოდა. მიუხედავად ჭარბი ელექტროენერგიისა, ადმინისტრაცია არ აძლევდა დენს მუშათა საცხოვრებელ ბარაკებს და ახლადგახსნილ დაწყებით სასწავლებელს. მამულის ადმინისტრაცია იმით იმართლებდა თავს, რომ საჭიროების შემთხვევაში მათთვის ელექტროდენის წართმევა ვეღარ მოხერხდებოდა[91].

პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დაწყებამ და განსაკუთრებით თურქეთის ფრონტის სიახლოვემ დააბრკოლა საქართველოში ჩაის მსხვილი მეურნეობის შემდგომი განვითარება. ომის პირველ თვეებიდანვე შრომისუნარიანი გლეხობის უდიდესი ნაწილი გაწვეულ იქნა ჯარში, რაც შესამჩნევად დაეტყო გლეხურ მეურნეობას. ჩაის პლანტაციებში მუშაძალის მიზიდვა უფრო მეტად გაჭირდა. ჩაქვის ჩაის მეურნეობაში ამ დროს 800-მდე კაცი მუშაობდა, ახლა აქ მძიმე შრომატევად სამუშაოს ასრულებდნენ უმეტესად ქალები, მოხუცები და ბავშვები. მუშაობდნენ ყოველგვარ ამინდში დილიდან საღამომდე, მამაკაცები დღეში იღებდნენ 60—90 კაპიკს, ქალები 60—70 კაპიკს, ხოლო ბავშვები უფრო ნაკლებს. გაუუარესდათ შრომისა და ყოფაცხოვრებითი პირობები, აგრეთვე ჩაის ფაბრიკის მუშებისაც. დამხმარე მუშის ხელფასი დღეში არ აღემატებოდა 60 კაპიკს, მაშინ როდესაც პირველი მოთხოვნილების პროდუქტებზე ფასები ყოველთვიურად მატულობდა. მუშათა ბარაკებში მძვინვარებდა შიმშილი და ეპიდემია[92]. საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედების შედეგად ჩაქვის მამულის დირექციამ კავკასიის საუფლისწულო მამულების უწყების ინსპექტორისაგან მოითხოვა თანხმობა ჩაქვში საავადმყოფოს აშენებისათვის, მაგრამ ომთან დაკავშირებული სიძნელეების მოტივით ეს საკითხი დადებითად არ გადაწყდა[93]. სამაგიეროდ სახელმწიფოებრივ ქონებათა მთავარი სამმართველო არ იშურებდა თანხებს ჩაქვში ახალი დიდი წარმოებრივი

---

[90] საქართველოს სსრ ცსა, (თბ.), ფონდი 1619, ანაწ. 3, საქ. 2, ფურც. 122.

[91] აჭარის ასსრ ცსა (ბათუმის), ფონდი 22, საქ. 66, ფურც. 168, 172.

[92] «თანამედროვე აზრი», 1915, № 216, 227, 231 და 237.

[93] აჭარის ასსრ ცსა (ბათუმი), ფონდი 22, საქ. 415, ფურც. 20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმძლავრის (500 ათას გირვანქა ჩაის სიმძლავრის) ჩაის ფაბრიკის აშენებისათვის. ინგლისელი ინჟინრის — ხეინინის პროექტით ახალი ფაბრიკის მშენებლობისას, გათვალისწინებულ იქნა ყველა ის ნაკლოვანებები, რაც ახასიათებდა ძველ ფაბრიკას. ახალის ექსპლოატაციაში გადაცემამდე (1 იანვარი, 1919 წ.) ძველი ფაბრიკა არ შეწყვეტდა პროდუქციის გამოშვებას, შემდეგ კი აქ შეიქმნებოდა ჩაის წარმოების დამხმარე მეურნეობა. გათვალისწინებულ იქნა აგრეთვე პლანტაციებიდან ფაბრიკამდე საჰაერო გზის მშენებლობა. ჩაის ფაბრიკა, სახელოსნოები და საჰაერო გზა იმუშავებდა ელექტროენერგიის საშუალებით. ახალი ფაბრიკისათვის ინგლისიდან გამოიწერეს მთელი რიგი მანქანა-დანადგარები. ახალი ფაბრიკის მშენებლობა დაიწყო ქვემო ჩაქვში (უბანი 14)[94]. მაგრამ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შედეგად ფაბრიკის მშენებლობა შეწყდა, ინგლისში შეკვეთილი მანქანა-დანადგარები არხანგელსკში აღმოჩნდა, რომელიც იმ დროს მოკავშირეთა ჯარების მიერ იყო ოკუპირებული. ამის შედეგად მანქანა-დანადგარებმა ვერ მოაღწიეს ჩაქვამდე[95].

პირველ ხანებში, როდესაც რუსეთის არმიამ კავკასიის ფრონტზე მოიპოვა მნიშვნელოვანი წარმატებები, ისახებოდა ფართო გეგმები შავიზღვისპირეთის ახლად შემოერთებულ მიწებზე ჩაის კულტურის მსხვილი მეურნეობების შესაქმნელად. ამ საქმის ერთ-ერთ ინციატორად კვლავ, ცნობილი ჩაის მწარმოებელი კაპიტალისტი კ. პოპოვი გვევლინება[96].

მის მიერ 1916 წლის 7 აპრილს გენერალ შუგაევის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში და შემდეგ მიწათმოქმედების დეპარტამენტში წარდგენილ მოხსენებაში მოითხოვდა რუსეთის ხელისუფლება დაუყოვნებლივ შედგომოდა ანატოლიის მიწების ათვისებას, სადაც, მისი აზრით, ჩაის კულტურისათვის გამოსადეგი იქნებოდა 15 ათას დესეტინაზე მეტი მიწა, მაგრამ მეფის რუსეთს ამისათვის არ ეცალა დასავლეთ ფრონტზე გართულებული მდგომარეობის გამო.

---

[94] აჭარის ასსრ ცსა (ბათუმი), ფონდი 22, საქ. 283, ფურც. 76—79.

[95] საქართველოს სსრ ცსა, (თბილისი), ფონდი 1619, ანაწ. 3, საქ. 2, ფურც. 122.

[96] ЦГИА СССР в Ленинграде, ф. 560, оп. 26, д. 1393, л. 1. აგრეთვე ЦГИА СССР (Москва), 369, оп. 16, д. 8, лл. 254—255, 557.
აჭარის ასსრ ცსა (ბათუმი), ფონდი 22, საქ. 406, ფურც. 7.

იმპერიალისტური ომის გახანგრძლივებამ და მასთან დაკავშირებულმა სიძნელეებმა, განსაკუთრებით სამკურნალო პრეპარატების საზღვარგარეთიდან მიღების საქმეში, აიძულა მეფის ხელისუფლება ეზრუნა ჩაის ნარჩენებიდან კოფეინის მიღებაზე. 1916 წელს უმაღლესი მთავარსარდლობის სანიტარული საევაკუაციო ნაწილის უფროსის პრინც ა. ოლდენბურგსკის განკარგულებით, ჩაქვის საუფლისწულო მამულის ჩაის პლანტაციებიდან გაიგზავნა ჩაის უხეში ფოთოლი და სხვა ნედლეული კოფეინის მიღების ცდების საწარმოებლად, რისთვისაც გამოეყო სათანადო სახსრები. მაგრამ ყველა ამ გეგმის განხორციელება მეფის ხელისუფლებამ ვერ შესძლო, წამოჭრილ საკითხებს კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შემდგომი პერიოდისათვის.

ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი და ამიერკავკასიის სეიმი, რომელიც შეიქმნა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, თავისი კონტრრევოლუციური პოლიტიკის შედეგად აგრძელებდა ომს თურქეთთან, როგორც ანტანტის კავშირის მონაწილე. თურქეთიდან ფრონტი უშუალოდ დაუახლოვდა სამხრეთ საქართველოს საზღვრებს.

1918 წლის აპრილს ამიერკავკასიის სეიმის დაშლის შემდეგ საქართველოში შეიქმნა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მენშევიკური მთავრობა, რომელმაც აგრეთვე ვერ შესძლო წინააღმდეგობის გაწევა თურქეთის ჯარისათვის.

ამასობაში სალიბაურის ჩაის პლანტაციები მოხვდა საომარი მოქმედების ზონაში. პლანტაციების დამუშავება თითქმის შეწყდა. ნედლი მასალის ნაკლებობის გამო იკვეცება ჩაის ფაბრიკის გამოშვებული პროდუქციის მოცულობა, ხოლო მას შემდეგ, რაც თურქეთმა შესძლო ბათუმის ოლქის ოკუპაცია, სალიბაურის ჩაის ფაბრიკამ მუშაობა შესწყვიტა. მისი აღდგენა ნაწილობრივ შესაძლებელი შეიქნა 1919 წლის ზაფხულში, როდესაც თურქებმა დატოვეს ბათუმი და ჩაის ფაბრიკას დაუბრუნდნენ ევაკუირებული მუშები. ფაბრიკა კვალიფიციური მუშების ნაკლებობისა და ტექნიკური მოუწესრიგებლობის გამო ვერ ასწრებდა ნედლი მასალის გადამუშავებას, დარჩენილ ჩაის მწვანე ფოთოლს აბარებდნენ ჩაქვის ჩაის ფაბრიკას[97].

---

[97] «Друг издалека...», стр. 72.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ რამდენად დაბალი იყო სალიბაურის ჩაის ფაბრიკის მწარმოებლურობა ჩანს შემდეგი მონაცემებით: 1920 წ. ფაბრიკამ გამოუშვა — 7 000 გირვანქა, ხოლო 1921 წელს — 2 400 გირვანქა ჩაი[98].

როდესაც თურქებმა დაიწყეს ბათუმის ოკუპაცია ჩაქვის საუფლისწულო მამულში იდგა პოლკოვნიკ ყარალაშვილის მენშევიკური ჯარის ნაწილები, დირექციის შენობა და სხვა კაპიტალური ნაგებობები დაიკავა შტაბმა და ოფიცრობამ, ხოლო მუშათა საცხოვრებელი სახლები ჯარისკაცებმა. მრავალი მუშა თავიანთი ოჯახებით დარჩა უბინაოდ. მამულის მთელ ქონებას დაეპატრონა ჯარისა და გვარდიის ნაწილები. ბრძოლა ჩაქვის მიდამოებში გრძელდებოდა. შეუძლებელი შეიქმნა მამულის ქონების ევაკუაცია. ასეთ პირობებში მოხერხდა რკინიგზით რამდენიმე ტონა ჩაის გატანა, რომელიც ფაბრიკის საწყობში იყო მოთავსებული. მალე თურქები ჩაქვშიც შეიჭრნენ (1918 წ. 2 აპრილს), დაიწყეს საწყობებისა და ბინების ძარცვა. ჩაქვში მოვიდა თურქეთის ჯარების სარდალი კავკასიის ფრონტზე — ენვერ-ფაშა, მამულის ადმინისტრაციამ მას მიმართა თხოვნით ბოლო მოეღო ძარცვისათვის, მაგრამ ეს თხოვნა უყურადღებოდ დასტოვა. თურქეთის ჯარების მიერ მიყენებული ზარალი, როგორც შემდეგ სპეციალურმა კომისიამ განსაზღვრა, შეადგენდა 705 534 მანეთს (ოქროთი). ამავე ხანებში მნიშვნელოვნად განადგურდა აგრეთვე ოზურგეთის ჩაის ფაბრიკაც[99].

მენშევიკურმა მთავრობამ თურქეთთან სამარცხვინო ზავის დადების შემდეგ საქართველოში მოიწვია გერმანელი და შემდეგ ინგლისელი ოკუპანტები, თუმცა ისინი აქ დიდხანს არ დარჩენილან, მაგრამ უცხოელების ოკუპაციამ უფრო მეტად დააჩქარა ქვეყნის ეკონომიკური კრიზისი. შეწყდა ეკონომიკური ურთიერთობა საბჭოთა რუსეთთან, ჩრდილოეთისა და ამიერკავკასიის მოძმე ხალხებთან[100]. სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგი მოიშალა. მეტისმეტად გაძვირდა სურსათ-სანოვაგე. საწარმოთა დიდი ნაწილი დაუტვირთავი იყო. წარმოების ყველა სფეროში დაეცა შრომის

---

[98] საქართველოს სსრ ცსა, ფონდი 1969, ანაწ. 3, საქ. 5, ფურც. 10.

[99] მლისფპა ფონდი 14, ანაწ. 1, საქ. 183, ფურც. 20, აგრეთვე, აჭარის ასსრ ცსა, (ბათუმი), ფონდი 22, საქ. 502, 6—7, კ. ბაბილოძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

[100] ა კ ა კ ი ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ამიერკავკასიაში (1917—1919 წწ.), თბ., 1954.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწარმოებლურობა, მოიმატა ერთეული მზა პროდუქციის ფასი. რებულებამ[101]. ყველა ეს ნიშნები ახასიათებდა საქართველოს ახლად ფეხადგმულ ჩაის მრეწველობასაც, რაც ჩანს ჩაქვის ფაბრიკის მაგალითიდან (იხ. ცხრ. 3).

ცხრილი 3

ჩაქვის ჩაის ფაბრიკის პროდუქციის დინამიკა 1915—1920 წწ.[102]
(გირვანქობით)

წლები	საკუთარი პლანტაციებიდან მოკრეფილი ჩაის ფოთოლი	ჩაის გამოშვება	წვრილ მეურნეობებიდან მიღებული ჩაის ფოთოლი	ჩაის გამოშვება	სულ	
					გადამუშავებული მწვანე ჩაის ფოთლის რაოდენობა	გამომუშავებული მშრალი ჩაის რაოდენობა
1915	1256619	295675	61332	14432	1317951	310107
1916	934409	219979	105251	24776	1039660	234755
1917	826669	194511	132996	31287	958635	225778
1918	431031	101417	208813	49133	699844	150550
1919	824824	194077	228957	53873	1153781	247950
1920	844545	198717	263993	61935	1108538	251652

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ 1918 წელს საკუთარი პლანტაციებიდან მოკრეფილი ჩაის მწვანე ფოთლის რაოდენობა 1915 წელთან შედარებით შემცირდა 2,9-ჯერ, ხოლო ჩაის პროდუქცია შემცირდა 2-ჯერ.

1920 წელს ჩაქვის ჩაის ფაბრიკის მიერ სულ გამოშვებულ იქნა 251 652 გირვანქა ჩაი, რაც 1915 წლის მიღწეული დონის 80,8% შეადგენდა.

1918 წელს წვრილ მეურნეობებიდან მიღებული ჩაის მწვანე ფოთლის რაოდენობა 1915 წელთან შეფარდებით გაიზარდა 3,4-ჯერ, ხოლო ჩაის გამოშვება 3,5-ჯერ.

ამ მონაცემებით აგრეთვე ირკვევა ისიც, რომ მსხვილ მეურნეობაში ჩაის ფოთლის კრეფა უფრო ნაკლებად ინტენსიურია, ვიდრე

---

[101] საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1961 წწ. პროფ. პ. გუგუშვილის რედაქციით, გვ. 118—133.

[102] И. В. Полибин — Чайное дело заграницей и у нас (ხელნაწერი), საქართველოს სსრ ცსა, (თბილისი), ფონდი 1619, საქ. 5, ფურც. 2 — 10.

წვრილ მეურნეობებში, აღსანიშნავია ისიც, რომ ომისა და მენშევიკების ბატონობის პერიოდში ადგილი ჰქონდა მეურნეობებში ჩაის პლანტაციების მცირეოდენ ზრდას[103]. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის პირობებში, როდესაც მნიშვნელოვნად შეიკვეცა ჩაის ექსპორტი, ადგილობრივ ჩაის პროდუქციაზე საგრძნობლად მატულობს მოთხოვნილება.

განხილულ პერიოდში ჩაქვის ჩაის ფაბრიკის მიერ გამოშვებული ერთი გირვანქა ბაიხის ჩაის თვითღირებულება მნიშვნელოვნად მატულობს, ასე მაგალითად, იგი უდრიდა 1915 წ. — 59,86 კაპ., 1916 წ. — 1 მან. 08 კაპ., 1917 წ. — 2 მან. 60,3 კაპ., 1918 წ. — 5 მან. 36 კაპ., 1919 წ.—33 მან. 31 კაპ[104]. მასთან შესაბამისად შეუჩერებლივ იზრდება ქართული ჩაის გასაყიდი ფასიც.

მრეწველობისა და მთელი სახალხო მეურნეობის კატასტროფული ნგრევის პირობებში გამორიცხული იყო ჩაის წარმოების აღდგენა-განვითარების შესაძლებლობა. მუშათა კლასი და გლეხთა ფართო მასები მოითხოვდნენ მსხვილი წარმოებისა და მიწების ნაციონალიზაციას, მაგრამ მენშევიკური მთავრობა, რომელიც იცავდა კაპიტალისტებისა და მემამულეების საკუთრებას არ ფიქრობდა ამ მიმართულებით რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარებას. მხოლოდ 1920 წელს გლეხთა მზარდი რევოლუციური მოძრაობის შიშით, მენშევიკური მთავრობა იძულებული გახდა განეხორციელებინა ეგრეთწოდებული „აგრარული რეფორმა"[105], რომელიც ითვალისწინებდა აგრეთვე ყოფილი სახაზინო და გაქცეული მსხვილი მემამულეების მიწების ნაციონალიზაციას. ამრიგად, 1920 წელს საუფლისწულო უწყების ჩაქვის მამულის, ოზურგეთის თამბაქოს და ჩაის საცდელი სადგურისა და პოპოვის ჩაის პლანტაციები — ფაბრიკებით გადავიდა მიწათმოქმედების სამინისტროს დაქვემდებარებაში, მაგრამ საქართველოში მენშევიკური ხელისუფლება თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. ჩაის მეურნეობის

---

[103] 1918 წ. ლაო ჯონ-ჯაუს საკუთარი პლანტაციების ფართობმა 25 დესეტინამდე მიაღწია, ამ ნედლეულის ბაზაზე იგი აწარმოებდა ჩაის გადამუშავებას საკუთარ ნახევრადმექანიზირებულ ჩაის ფაბრიკაში. იხ. «Друг издалека...“ გვ. 72.

[104] აჭარის ასსრ ცსა (ბათუმი), ფონდი 22, საქ. 559, ფურც. 4.

[105] საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1961; პ. გუგუშვილის რედაქციით, გვ. 129.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვითარების პრობლემა ისე, როგორც მეფის ხელისუფლების დროს, გადაუჭრელი დარჩა.

ამრიგად, მიუხედავად ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობებისა საქართველოში ჩაის წარმოება ინგლისისა და ჰოლანდიის სამხრეთ აზიის კოლონიებთან შედარებით მეტად ნელი ტემპით ვითარდება. მაგალითად, ცეილონში 1875 წელს გამოშვებულ იქნა — 1 438 გირვანქა, 1900 წელს—149 264 გირვანქა, ხოლო 1915 წელს—215 632 727 გირვანქა. ჩაის წარმოების ზრდის ტემპი მაღალია აგრეთვე ინდოეთში, ინდონეზიასა და იაპონიაში[106]. ეს უმთავრესად აიხსნება იმით, რომ ინგლისისა და ჰოლანდიის მონოპოლისტური კაპიტალიზმი მათთვის დამახასიათებელი ძარცვის, მძიმე ექსპლოატაციისა და დიდი კაპიტალის დაბანდების გზით აღწევს ჩაის სანედლეულო ბაზისა და მისი გადამმუშავებელი მრეწველობის სწრაფ განვითარებას.

მეფის ხელისუფლების უყურადღებობით, მეტად დიდი დრო დასჭირდა ჩაის კულტურის დანერგვას, არ იყო შესწავლილი ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ჩაის მცენარის აგროტექნიკა, აგრობიოლოგია და სხვ. შეიძლება ითქვას, რომ რევოლუციამდელ საქართველოში ჩაის წარმოება არ გასცილებია ვიწრო ჩარჩოებს და მაშასადამე, მან ვერ შეასრულა ახალი ფაქტორის როლი საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ჩაის მრეწველობაში არ იყო შემუშავებული და გამოყენებული ჩაის მწვანე ფოთლის გადამუშავებისა და წარმოების მეცნიერულად დასაბუთებული ხერხები, რადგან არ არსებობდა მეცნიერული ბაზა ჩაის სხვადასხვა სახისა და ასორტიმენტის ტექნოლოგიური პროცესების შესწავლისა და გაუმჯობესებისათვის[107]. ამ საკითხებში უმთავრესად ეყრდნობოდნენ საზღვარგარეთის (ინდოეთის, ცეილონისა და ჩინეთის) ჩაის მრეწველობის გამოცდილებას, მაგრამ ყოველივე ეს საქართველოს ჩაის გადამმუშავებელ საწარმოებში სხვადასხვაგვარად გამოიყენებოდა, ხოლო, რაც შეეხება კუსტარულ წარმოე-

---

[106] საქართველოს სსრ ცსა (თბილისი), ფონდი 1919, ანაწ. 3, საქ. 5, ფურც. 4.

[107] ა. ს ო ლ ო ვ ც ო ვ ი ჩაის გადამუშავების ცდების წარმოებისათვის სარგებლობდა ზემლერის თხზულების (Die tropic agricultur) ზოგიერთი მონაცემებით. ვ. სიმონსონმა 1901 წელს გამოსცა წიგნი «Краткое руководство к разведению чайного куста и выделки чая».

ბებს, იგი არ გაცილებია მრავალი საუკუნის წინანდელ ჩინურ ჩაის წარმოების მეთოდს[108].

ჩაის ფაბრიკისა და, ასევე, კუსტარული წარმოების მუშებს არ ჰქონდათ სათანადო ცოდნა და გამოცდილება, ხოლო საამისო კადრები არსად არ მზადდებოდა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ჩაის გადამმუშავებელი საწარმოების გაწყობილობა უმთავრესად საზღვარგარეთიდან მოდიოდა, რაც ძვირი ჯდებოდა და მასთან მოითხოვდა მუშაძალის მაღალ კვალიფიკაციას. მუშათა ცუდი შრომისა და ყოფაცხოვრებითი პირობები იწვევდა შრომის დაბალ მწარმოებლურობას და მუშათა ხშირ დენადობას.

რევოლუციამდელი რუსი და ქართველი პროგრესული მოღვაწეები არა ერთხელ აღნიშნავდნენ იმ პირობებზე, რომლებიც ხელს უშლიდნენ ჩაის წარმოების განვითარებას საქართველოში. მაგრამ, როგორც დავინახეთ, მისი განხორციელება მეფის თვითმპყრობელობისა და მენშევიკური მთავრობის დიქტატურის დროს არ იყო შესაძლებელი, რადგან არ იყო ის სოციალურ-ეკონომიური წანამძღვარი პირობები, რაც მშრომელ ხალხს მოუტანა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ.

---

[108] К. Бахтадзе, История культьуры чая в СССР, Тб. 1955 стр. 22.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მეოთხე

ჩაის წარმოება საქართველოში სოციალისტური ეკონომიკის აშენების პერიოდში (1921—1937 წწ.)

ა. ჩაის მეურნეობისა და მრეწველობის აღდგენა-განვითარება

1921 წლის 25 თებერვალს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობითა და რუსი ხალხის დახმარებით საქართველოში გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ[1]. დამყარდა მუშათა და გლეხთა დიქტატურა, რომელმაც არ დააყოვნა მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესების შესაბამისად მთელი რიგი უდიდესი მნიშვნელობის დეკრეტების გატარება. მათ შორის უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია მიწისა და მრეწველობის ნაციონალიზაცია[2]. ამ ისტორიული აქტის საფუძველზე მთელი მიწები, საშუალო და მსხვილი წარმოებები გამოცხადდა საერთო სახალხო საკუთრებად, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალისტური ეკონომიკის საფუძვლების განმტკიცებაში.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ თვეებში, ჩამოყალიბდა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, რომელიც უმაღლეს ეკონომიკურ საბჭოსთან ერთად ხელმძღვანელობდა მის გამგებლობაში შესულ მეურნეობრივ დაწესებულებათა მუშაობის პროცესებს[3]. ეს მეურნეობრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელსაც

---

[1] ა. სურგულაძე, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ამიერკავკასიაში, თბ., 1961.

[2] Борьба за победу Советской власти в Грузии (Документы и материалы), Тб., 1958.

[3] საქართველოს სსრ ცსა (თბილისი), ფონდი 281, საქ. 52; აგრეთვე „საქართველოს სახალხო მეურნეობა“, 1921, № 1, გვ. 2—5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობდა, ადგილობრივ ვითარებასთან შეფარდებით მაქსიმალურად იყენებდა თავის მუშაობაში იმ დიდ და ძლიერ გამოცდილებას, რომელიც ამ დროისათვის უკვე ჰქონდა საბჭოთა რუსეთს.

საქართველოს სახალხო მეურნეობის აღდგენა-განვითარება შეუძლებელი იყო საბჭოთა რუსეთისა და ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობის გარეშე. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში, ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნამ და მისმა შესვლამ საბჭოთა კავშირის ძმურ ოჯახში, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ფართო გზა გაუხსნა ქვეყნის მწარმოებლური ძალების საკუთარი საშუალებებით განვითარებისათვის[4]. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებას საფუძვლად დაედო ვ. ი. ლენინის მიერ დასახული გეზი, რომელიც გულისხმობდა უწინარეს ყოვლისა გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებას, ელექტროფიკაციას, სარწყავი სისტემის ფართო ქსელის შექმნას და ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენებას[5].

საბჭოთა რუსეთის ძმური დახმარებით, საბჭოთა საქართველოში იმთავითვე დაიწყო ბრძოლა დიდი ლენინის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის. 1922 წელს დაიწყო ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, მომდევნო წლებში დაიწყო აგრეთვე აბაშის, აჭარისწყლის, ცხინვალისა და ზოგიერთი სხვა მცირეძალიანი ჰიდროელსადგურის მშენებლობა[6].

მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება სოფლის მეურნეობის აღდგენა-განვითარებისათვის, ფართოვდება სარწყავი სისტემა, თანდათანობით იზრდება სოფლის მეურნეობის ძირითადი კულტურების ნათესი ფართობი. დაიწყო დიდი ირიგაციული სამუშაოები საუკუნეების მანძილზე ხელშეუხებელი კოლხეთის დაჭაობებული ადგილების ამოსაშრობად. ამ ირიგაციულ სამუშაოზე სოციალისტური მშენებლობის პირველ წლებში სახელმწიფომ დააბანდა 45 მლნ მანეთი[7]. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყველა ამ ღო-

---

[4] ი. კაჭარავა, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, თბ., 1958, გვ. 33.

[5] ვ. ი. ლენინი, რჩეული ნაწერები, ტ. 5, გვ. 187.

[6] საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1961, პროფ. პ. გუგუშვილის რედაქციით, გვ. 142.

[7] Б. А. Хасиа, Назв. Соч. გვ. 247.

ნისძიებებს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა უკიდურესობამდე-მიყვანილ წვავებული სასურსათო კრიზისის დასაძლევად.

სახალხო მეურნეობის აღდგენით პერიოდში, მრეწველობაში კაპიტალისტური დაბანდება ყოველწლიურად მატულობს; მას მაგალითად, 1923—1924 წწ. საქართველოს სსრ ცენზიანი მრეწველობის ძირითადი ფონდების დაახლოებით 239 ათასი ჩერვონული მანეთის კაპიტალდაბანდება (ბუღალტერული აღრიცხვის მონაცემებით) მოხმარდა; 1924—1925 წწ. აღნიშნული თანხა 1207 ათას მანეთამდე გაიზარდა. ამასთან, კაპიტალური მშენებლობის საერთო მოცულობაში იზრდებოდა ინდუსტრიულ საწარმოთა რეკონსტრუქციასა და ახალ მშენებლობაზე გამოყენებული სახსრების ხვედრიწონა[8]. საქართველოს კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ მზრუნველობას იჩენდა რესპუბლიკის მძიმე ინდუსტრიის აღდგენისა და მისი შემდგომი განვითარებისადმი, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებას არ შეეძლო ერთბაშად მსხვილი კაპიტალდაბანდება მოეხდინა მრეწველობის სხვა დარგებშიც, განსაკუთრებით ეს ითქმის ჩაის მრეწველობაზე, თუმცა იმთავითვე განისაზღვრა მისი დიდი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა სოციალისტურ მშენებლობაში.

1921 წლიდან ჩაქვის საუფლისწულო მამული, პოპოვის მეურნეობა, ოზურგეთის თამბაქოსა და ჩაის საცდელ-საჩვენებელი მეურნეობა თავისი ჩაის ფაბრიკებით, გადავიდა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში. ჩაის ამ მეურნეობების ბაზაზე შეიქმნა ორი საბჭოთა მეურნეობა, რომელთა საერთო ხელმძღვანელობა დაეკისრა ახლადშექმნილ სახალხო მამულების ტრესტს[9].

მიწათმოქმედების კომისარიატის დავალებით ჩაის საქმის საუკეთესო მცოდნემ და ენთუზიასტმა ა. სამარინმა 1921 წელს ორჯერ შეამოწმა (აპრილი, აგვისტო) საბჭოთა მეურნეობების ჩაის პლანტაციების მდგომარეობა.

მის მიერ წარდგენილ ანგარიშგებებში ნაჩვენები იყო, როგორც ჩაის წარმოების არსებული მდგომარეობა, ისე მისი აღორძინები-

---

[8] საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1961 წწ., პროფ. პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, გვ. 143.

[9] საქართველოს სსრ ცსა (თბილისი), ფონდი 1619, საქ. 2, ფურც. 140.

სა და შემდგომი განვითარების მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი, ამისათვის სამარინი მოითხოვდა სახელმწიფოს გამოეყო დიდი ასიგნება (175 მლნ მან.)[10], მაგრამ იმ პერიოდისათვის ასეთი დიდი ფინანსური სახსრების გამოყოფა ჩაის წარმოების განვითარებისათვის არ იყო მიჩნეული მიზანშეწონილად. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის მთავრობამ შინაგანი რეზერვების მობილიზაციის გზით, შესძლო სათანადო რაოდენობის თანხების გამოყოფა ჩაის პლანტაციების ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მოსავლიანობის გადიდებისათვის. პირველ რიგში ორი მსხვილი (ჩაქვისა და სალიბაურის) ჩაის საბჭოთა მეურნეობის პლანტაცია გაიწმინდა სარეველა ბალახისაგან; გადამუშავდა ნიადაგი, შეტანილ იქნა სასუქები, რამაც სასურველი შედეგი გამოიღო უკვე მომდევნო წელსვე.

1922 წელს სახალხო მამულების ტრესტის ხელმძღვანელობით ჩაის საბჭოთა მეურნეობებში შენდება სამიმოსვლო გზები, ხიდები, წყალგამტარი ტრასები, შეკეთდა მუშათა საცხოვრებელი სახლები და ჩაის ფაბრიკები[11]. ამ პერიოდიდან მოყოლებული, ჩაქვისა და სალიბაურის (პოპოვის მამულებს შეუერთდა აგრეთვე სხვა წვრილი ნაციონალიზებული ჩაის მეურნეობებიც) მეურნეობები წარმოადგენდნენ ჩაის კულტურის გავრცელების ძირითად ბაზას, აქედან იღებდნენ ჩაის კულტურის გაშენების აგროტექნიკურ გამოცდილებას, ჩაის მცენარის ნერგებს და თესლს ახალი პლანტაციების გაშენებისათვის. ამ მიმართულებით მუშაობის მასშტაბი ყოველწლიურად ფართოვდებოდა, რის გამოც ჩაქვისა და სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში 1926 წლიდან თითქმის შეწყდა ახალი პლანტაციების გაშენება.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა აგრეთვე ჩაის წვრილგლეხურ მეურნეობებსაც, მაგრამ სახალხო მეურნეობის აღდგენის პირველ წლებში თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზემოაღნიშნული საბჭოთა მეურნეობის საქმიანობას, მას ორგანიზებული ხასიათი არ ჰქონია.

1922—1925 წწ. ჩაის პლანტაციები გაშენდა 306 ჰექტარზე, აქედან 1922 წ. — 140 ჰა; 1923 წ. — 28 ჰა; 1924 წ. — 98 ჰა და

---

[10] საქართველოს სსრ ცსა (თბილისი), ფონდი 288, საქ. 96, ფურც. 22—26.
[11] ი ქ ვ ე, ფონდი 1619, საქ. 2, ფურც. 140.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1925 წ.—40 ha[12]. 1925 წლის დამლევისათვის ჩაის პლანტაციათა ფართობი (ჰექტარობით) შეადგენდა: საბჭოთა მეურნეობების — 742, ინდივიდუალური მეურნეობების—447, სულ 1189-ს. ჩაის მეურნეობას მისდევდა 1305 გლეხი[13].

იზრდება ჩაის პლანტაციების მოსავლიანობა საბჭოთა მეურნეობაში. ასე მაგალითად, ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში 1922 წელს 1 დესეტინა ფართობზე მოიკრიფა 1 158 გირვანქა, 1923 წელს — 2 233 გირვანქა მწვანე ჩაის ფოთოლი[14]; მაგრამ საგრძნობლად დაბალია მოსავლიანობა ინდივიდუალურ მეურნეობებში და იგი არ აღემატება 700 კგ-ს. როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, ჩაის მეურნეობა თუმცა ნელი ტემპით, მაგრამ მაინც ვითარდებოდა. ეს კი მოითხოვდა სანედლეულო ბაზის ზრდასთან შეფარდებით ჩაის ფაბრიკების წარმოებრივი სიმძლავრის გადიდებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და სათანადო ბაზრის მოპოებას. ამ ხანებში ჩაის ნედლეულის გადამუშავება წარმოებდა ჩაქვისა და სალიბაურის ფაბრიკებში, ოზურგეთის ჩაის ფაბრიკა ჯერ კიდევ არ იყო აღდგენილი. არსებული ჩაის ფაბრიკების მანქანა-დანადგარები მოძველდნენ, მათმა მწარმოებლურობამ მნიშვნელოვნად დაიკლო, ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დროს ამ ფაბრიკებს დიდი დატვირთვით უხდებოდათ მუშაობა. ნაკლები ყურადღება ექცეოდა ჩაის წარმოების ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფას, რის გამოც მზა პროდუქციის ხარისხი არ იყო მაღალი, ეს უმთავრესად გამოიწვია არა მარტო ჩაის წარმოების დაბალმა ტექნიკურმა დონემ, არამედ სათანადო კვალიფიცირებული კადრების უყოლობამაც[15]. არ არსებობდა ისეთი სამეცნიერო ორგანიზაცია, რომელიც სათანადო მეცნიერულ დონეზე შეისწავლიდა ჩაის წარმოების ტექნოლოგიას, მიუხედავად ამისა ჩაის მწვანე ფოთლის გადამუშავება ჩაის ფაბრიკებში ყოველწლიურად მატულობდა, რაც ჩაქვის ჩაის ფაბრიკის ქვემოთ მოტანილი მაჩვენებლებიდან ჩანს (იხ. ცხრ. 4).

ქართალია ჩაის ერთ-ერთ ძირითად მწარმოებლურ რესპუბლიკას სსრ კავშირში საქართველო წარმოადგენდა, მაგრამ მას სახალხო

---

[12] გ. ქ ა რ ჩ ა ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 162.

[13] მლისფპა, ფონდი 14, საქ. 3532, ფურც. 159.

[14] М. Г а б и с о н и я, Чайная культура в Грузии и перспектива ее развития «Экономический вестник Закавказья», 1924, № 3, стр. 76.

[15] საქართველოს სსრ ცსა (თბილისი), ფონდი 1619, ანაწ. 3, საქ. 13, ფურც. 5—10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 4.

ცნობები მსხვილი და კერძო მეურნეობებიდან შემოსული ჩაის მწვანე ფოთლისა და ჩაის გადამუშავების დინამიკის შესახებ ჩაქვის ჩაის ფაბრიკაში (1921—1924 წწ.) [16]

წელი	ზომის ერთეული	ჩაქვის საბჭოთა მეურნეობიდან შემოსული ჩაის მწვანე ფოთოლი	გადამუშავებული ჩაი	კერძო მეურნეობიდან შემოსული ჩაის მწვანე ფოთოლი	გადამუშავებული ჩაი
1921	გირვანქობით	625067	147075	198866	45381
1922	„	889419	269276	185342	43610
1923	„	1206082	287000	293674	69920
1924	„	1600000	376470	400000	94117

მეურნეობის აღდგენის პერიოდში არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა მოსახლეობის მოთხოვნილება ჩაიზე, რადგან ჯერ კიდევ საკმაოდ მცირე იყო: ჩაის ნარგავთა ფართობი, მათი მოსავლიანობა და რაც მთავარია ჩაის ფოთლის გადამუშავების სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამიტომ, საქართველოს ჩაის ხვედრი წონა საბჭოთა კავშირის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში ერთობ მცირეა. მ. გაბისონიას გაანგარიშების მიხედვით საქართველოში იგი შეადგენდა დაახლოებით 73%-ს, ამიერკავკასიაში — 22,9%-ს, ხოლო საბჭოთა კავშირში მთლიანად — 0,4%-ს[17].

იმ დროს, როცა ჩვენს ქვეყანაში საფუძველი ეყრებოდა სახალხო მეურნეობის სოციალისტურ მშენებლობას, სამხრეთ აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში (ინდოეთი, ცეილონი, ჩინეთი, იაპონია, ინდონეზია და სხვ.) ჩაის წარმოება შედარებით სწრაფად ვითარდებოდა.

საბჭოთა რუსეთში, სამოქალაქო ომის შედეგად, ჩაის შემოტანა საზღვარგარეთიდან თითქმის მთლიანად შეწყდა. მაგრამ სასურსათო სიძნელეების პრობლემის გადალახვასთან დაკავშირებით აუცილებელი შეიქმნა მოსახლეობის უზრუნველყოფა კვების ისეთი პირველხარისხოვანი პროდუქტით, როგორსაც წარმოადგენდა ჩაი. განახლდა ჩაის შემოტანა საზღვარგარეთიდან და მისი მოცულობა სა-

[16] საქართველოს სსრ ცსა(თბილისი), ფონდი 1619, ანაწ. 3, საქ. 5, ფურც. 8—9.
[17] М. Габисония, назв. соч., стр. 76.

ხალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში ყოველწლიურად ეზრდებოდა, ამასთან შესაბამისად იზრდებოდა ვალუტის ხარჯვაც, რაც ჩანს ქვემოთ მოტანილი მაჩვენებლებით (იხ. ცხრილი 5). როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 5

მზა ჩაის შემოტანა სსრ კავშირში (1922—1926 წწ.)[19]

წლები	ინდოეთი		ცეილონი		ჩინეთი		იაპონია	
	მზა ჩაის რაოდენობა (ტონობით)	ღირებულება ათას მანეთობით	მზა ჩაის რაოდენობა (ტონობით)	ღირებულება ათას მანეთობით	მზა ჩაის რაოდენობა (ტონობით)	ღირებულება ათას მანეთობით	მზა ჩაის რაოდენობა (ტონობით)	ღირებულება ათას მანეთობ.
1922/1923	5	17	—	—	66	227	—	—
1923/1924	456	1506	7	28	6153	1999,6	7	14
1924/1925	3078	20099	786	4795	7103	29240	12	70
1925/1926	3472	18820	1277	7747	16740	61384	18	87

ამ ცხრილიდან ირკვევა, ჩაის შემოტანა საბჭოთა კავშირში განსაკუთრებით მატულობს 1925 წლიდან. 1922—1925 წლამდე ინდოეთის ჩაის იმპორტი საბჭოთა კავშირში შეადგენდა 6811 ტონას, მასზე დაიხარჯა —40 439 ათასი მანეთი[18], ჩინეთის —30 062 ტონა, დაიხარჯა —110 846 ათასი მანეთი.

1923 წლიდან 1925 წლამდე ცეილონის ჩაის იმპორტი საბჭოთა კავშირში შეადგენდა 2 063 ტონას, დაიხარჯა 12 570 ათასი მანეთი, ხოლო იაპონიიდან —37 ტონა, დაიხარჯა 171 ათასი მანეთი. 1923 წელს საბჭოთა საქართველოს მოხმარებისათვის შემოზიდულ იქნა 1 000 ფუთი ჩაი, რომლის ღირებულება 93 000 მან. შეადგენდა[20].

1925 წელს ზემოაღნიშნული ქვეყნებიდან, სულ, საბჭოთა კავშირში შემოიტანეს 38 973 ტონა შავი და მწვანე სხვადასხვა ხარისხის ჩაის, რომლის ღირებულება შეადგენდა 162 026 ათას მანეთს;

---

[18] აქ და მომდევნო გვერდზე ფულის კურსი ნაჩვენებია ოქროთი.

[19] შედგენილია სტატისტიკური კრებულის მასალებით «Внешняя торговля СССР» 1918—1940гг., М., 1960, стр. 878, 927, 1004, 1030.

[20] მლისფპა, ფონდი 14, საქ. 609, ფურც. 32.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასათვალისწინებელია ისიც, რომ საბჭოთა კავშირს ამ პერიოდში ჩაი შემოჰქონდა, აგრეთვე, სხვა ქვეყნებიდანაც. 1925—1926 წ. ჩაის იმპორტზე გაწეული ხარჯები სულ შეადგენდა 26 072,0 ათას მანეთს[21]. რასაკვირველია, ვალუტის ფონდის ხარჯვა ასეთი დიდი რაოდენობით არ იყო საბჭოთა კავშირისათვის ხელსაყრელი, ეს დამაფიქრებელი იყო იმის გამოც, რომ ჩვენს ქვეყანაში, როგორც პრაქტიკულად დამტკიცდა, ჩაის წარმოებისათვის საუკეთესო ბუნებრივ-კლიმატური პირობები არსებობდა. პარტიისა და მთავრობის ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ არსებულ ბუნებრივ, ეკონომიკურ და რაც მთავარია, მეურნეობის სოციალისტური სისტემის შესაბამისად ფართო მასშტაბით განვითარებულიყო ძვირფასი ტექნიკური და სპეციალური კულტურები, მათ შორის ერთ-ერთი მთავარი ადგილი ჩაის წარმოებას უნდა დათმობოდა. საკუთარი ჩაის წარმოებით საბჭოთა კავშირი შესძლებდა თანაზომიერად შეეკვეცა ჩაის იმპორტი და მასთან ვალუტის ხარჯვა; ეს იქნებოდა კიდევ ერთი გადადგმული ნაბიჯი კაპიტალისტური ქვეყნებისაგან ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში.

1923 წლის მარტს, ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციის ყრილობაზე, ს. ორჯონიკიძის მოხსენებაში გამახვილდა ყურადღება ძვირფასი ტექნიკური და სპეციალური კულტურების განვითარების შესაძლებლობებზე[22].

ამის შესახებ მოხსენებით ბარათებში, მეცნიერულ ფორუმებზე, პრესაში თუ ცალკეულ ნაშრომებში თავიანთ აზრს გამოსთქვამდნენ სწავლული აგრონომები, ჩაის საქმის სპეციალისტები და საგეგმო ორგანიზაციის წარმომადგენლები. ყველგან ერთიდაიგივე, აზრი იყო კონსტანტირებული, სახელდობრ ის, რომ ძვირფასი ტექნიკური კულტურებისა და ჩაის წარმოების ფართო მასშტაბით განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა, როგორც გლეხთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ისე მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით; მაგრამ, რაც შეეხება ჩაის მეურნეობის განვითარების კონკრეტულ გზებს, ამის შესახებ ერთიანი აზრი არ არსებობდა. აქ მთავარი მაინც ის იყო, რომ ათეული წლების მანძილზე დაგროვდა ჩაის წარმოების საკმაოდ მდიდარი

---

[21] გ. ქ ა რ ჩ ა ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 157.

[22] ს. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე, სტატიები და სიტყვები, თბ., 1957, გვ. 359.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოცდილება, რაც ახლა საჭიროებდა სისტემატიზაციას და განზოგადებას.

პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ გაითვალისწინა ყოველივე ეს და ამ ეტაპზე მიზანშეწონილად მიიჩნია ისეთი ერთიანი ორგანოს შექმნა, რომელიც გაუწევდა ოპერატიულ ხელმძღვანელობას ჩაის მეურნეობისა და ნედლეულის გადამმუშავებელი მრეწველობის სწრაფი ტემპით განვითარებას[23].

1925 წლის დასასრულს, სსრ კავშირის ზემდგომი ორგანოების დადგენილებების საფუძველზე, საქართველოში არსდება აქციონერთა საზოგადოება „საქართველოს ჩაი", რომელიც შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას 1926 წლის დასაწყისში. აქციონერთა საზოგადოებას ხელმძღვანელობდნენ რსფსრ-სა და საქართველოს მიწათმოქმედების კომისარიატები, მასში შედიოდნენ აგრეთვე მთელი რიგი სხვა მეურნეობრივი და ფინანსური ორგანიზაციები. ახლად დაარსებულ აქციონერთა საზოგადოება „საქართველოს ჩაი" პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით იმთავითვე შეუდგა ჩაის სანედლეულო ბაზისა და მისი გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების წინასწარ შემუშავებული პროგრამის (წესდების) განხორციელებას[24], რომელიც მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სსრ კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ 1925 წლის 25 ნოემბერს. „საქართველოს ჩაის" გამგებლობაში შედიოდა ორი საბჭოთა მეურნეობა (ჩაქვისა და სალიბაურის), სამი ჩაის ფაბრიკა და ერთი საცდელი სადგური (ოზურგეთი), როგორც მთავრობის სპეციალურმა კომისიამ შეაფასა მათი ღირებულება შეადგენდა 3 191 127 მანეთს.

ჩაის პლანტაციათა ფართობი ამ დროისათვის არ აღემატებოდა 1 189 ჰექტარს[25].

„საქართველოს ჩაის" ტრესტის უშუალო დახმარებით იწყება კოოპერაციული ამხანაგობის შექმნა ჩაის პლანტაციების გასაშენებლად, მათ, ისე როგორც წვრილ გლეხურ მეურნეებს, სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ბანკიდან ეძლეოდათ გრძელვადიანი სესხი,

---

[23] Постановление Совета труда и Обороны 5 декабря 1924 г. «О принятии ряда мероприятий к развитию чайного дела на Кавказе»- მლისფპა, ფონდი 14, საქ. 1835, ფურც. 74.

[24] იქვე, ფურც. 8.

[25] იქვე, ფონდი 14, საქ. 3532, ფურც. 159.

შელავათიან ფასებში იძენენ სოფლის მეურნეობის იარაღებს, ჩაის ნერგებსა და თესლს, სპეციალისტები ადგილზე უწევენ აგროტექ-ნიკურ დახმარებებს და სათანადო კონსულტაციებს. ეწყობა ჩაის საცდელი ნაკვეთები, მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება სუბ-ტროპიკული და ჩაის მცენარის კულტურისათვის ვარგისი რაიონ-ების განსაზღვრის, მათი კლიმატური და გეობოტანიკური შესწავლა-დადგენისათვის. საფუძველი ეყრება კადრების მომზადების ორგა-ნიზაციას. ახლა კადრები მზადდება არა მარტო იმ რაიონებისათვის, სადაც ჩაის კულტურამ უკვე ფესვი გაიდგა, არამედ იმ რაიონები-სათვისაც, სადაც უახლოეს მომავალში ნავარაუდევი იყო მისი გან-ვითარება.

1926—1927 მეურნეობრივი წლებიდან, საქართველოში ჩაის მეურნეობის განვითარება ახალ ფაზაში შევიდა. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ სამამულო ჩაის წარმოების უდ-დესი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობის გამო, მიზანშეწონი-ლად მიიჩნია ადრე არსებული გეგმის, რომელიც გულისხმობდა 5 000 ჰექტარზე ახალ ჩაის პლანტაციების გაშენებას, ახლა — უფრო ფართო გეგმით შეცვალა. სსრ კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1927 წლის 19 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ხუთი წლის მანძილზე საქართველოში ჩაის პლანტაციათა ფართობი აყვანილი უნდა ყოფილიყო 20 000 ჰა-მდე[26]. დასახული ღონისძიებები ითვა-ლისწინებდა აგრეთვე ჩაის წარმოების განვითარებისათვის ფინან-სურ და ტექნიკურ დახმარებას, პურითა და სამრეწველო საქონლით მომარაგებას. ეს სახელმძღვანელო მითითება დაედო საფუძვლად საქართველოს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, აგრეთვე აქციო-ნერთა საზოგადოებას — „საქართველოს ჩაის“ სოფლის მეურნეო-ბის ამ დარგის შემდგომი განვითარებისათვის დასახულ ღონისძიე-ბებს. საქართველოს ჩაის კულტურის სწრაფი განვითარება შეუძ-ლებელი იქნებოდა სსრ კავშირის, განსაკუთრებით საბჭოთა რუსე-თის ქმედითი დახმარების გარეშე. საბჭოთა მთავრობამ დიდი დახ-მარება გაუწია მეჩაიეთა რაიონების მშრომელ გლეხობას გრძელვა-დიანი სესხის გაცემით, რომლის მოცულობა ყოველწლიურად მა-ტულობდა, ასე მაგალითად, 1926—1927 წწ. სესხის სახით გაიცა სულ — 633 827 მანეთი[27]. ჩაის პლანტაციების გაშენებისათვის არ იყო საკმარისი ადგილზე დამზადებული ჩაის ნერგები და თესლი,

---

[26] მლისფპა, ფონდი 14, საქ. 3532, ფურც. 160.

[27] ი ქ ვ ე, საქ. 3383, ფურც. 53.

ამიტომ საბჭოთა მთავრობამ 1927 წელს ინდოეთიდან შემოიტანა 9 875 კგ. ჩინეთიდან (ნინჯაუს, იან-ლოუ-დუნის და სხვა ... ვინციებიდან) — 23 528 კგ ჩაის თესლი[28]. ყველა ეს გამოიყენეს როგორც საბჭოთა მეურნეობებში, ისე ინდივიდუალურ მეურნეობებში ახალი ჩაის პლანტაციების გასაშენებლად. უკვე 1928 წლისათვის საქართველოში მეჩაიეობას მისდევდა 9 341 ინდივიდუალური მეურნეობა. ცალკეული წლებისა და სექტორების მიხედვით ჩაის პლანტაციების ფართობის ზრდა შემდეგი სახით წარმოგვიდგება (იხ. ცხრ. 6).

ცხრილი 6

ჩაის პლანტაციების ფართობის დინამიკა (ჰექტარობით) 1926—1928[29] წწ.

წლები	საბჭოთა მეურნეობები	კოლმეურნეობები	ინდივიდუალური მეურნეობები	სულ
1926	744	—	471	1215
1927	760	69	963	1791
1928	800	222	2803	3825

მოტანილი მაჩვენებლებიდან ირკვევა, რომ ჩაის პლანტაციათა ფართობი საბჭოთა მეურნეობაში 1926 წლიდან 1928 წლამდე გაიზარდა 107%-ით. ხოლო ინდივილუალურ მეურნეობებში — 595%-ით. კოლმეურნეობებში (1927—1928 წწ.)—326,4%-ით.

მიუხედავად მოპოვებული მთელი რიგი წრმატებებისა ჩაის მეურნეობის განვითარებას ახასიათებდა სერიოზული ნაკლოვანებები, რაც გამოიხატებოდა ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა მცირემიწიანობით — მარცვლეულის მთლიანი დეფიციტით, საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს გამოანგარიშებით 1928 წელს მარცვლეულის დეფიციტი შეადგენდა 469 000 ფუთს. მცირემიწიანობა გლეხობას აიძულებდა ჩაის პლანტაცია გაეშენებინა მიწის იმ ნაკვეთზე, სადაც სიმინდი მოჰყავდათ, მაგრამ თუ უკანასკნელ წლამდე გლეხი დიდი ხალისით ეკიდებოდა ჩაის პლანტაციის გაშენებას, სიმინდის ფასის სწრაფი ზრდისა და ჩაის ფოთლის შესყიდვის დაწესებული მტკიცე ფასების გამო ჩაის

---

[28] მლისფპა, ფონდი 14, საქ. 3383, ფურც. 46.

[29] ი ქ ვ ე, საქ. 3532, ფურც. 159.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლანტაციის გაშენებას უნდობლად ეკიდებოდა. მეჩაიეთა რაიონებში შემოზიდული მარცვლეულის გეგმურობა ხშირად ირღვეოდა, ეს უფრო მწვავედ იგრძნობოდა იმის გამოც, რომ გამოყოფილი მარცვლეულის ფონდის ოდენობა ვერ ფარავდა მოთხოვნილებას. თუ როგორ ცვლილებას განიცდიდა ჩაის ნედლეულის შესყიდვა და მარცვლეულის ღირებულება ჩანს შემდეგი მონაცემებით (იხ. ცხრ. 7).

ცხრილი 7

ჩაის მწვანე ფოთლის და მარცვლეულის ღირებულების შეფასება (1927—1928 წწ. მონაცემებით)[30]

წლები	ერთი ფუთის ღირებულება			სიმინდის და ჩაის ნედლეულის შეფასება
	ჩაის მწვანე ფოთოლი	სიმინდი		
		კოპერაციულ ფასებში	თავისუფალ ბაზრის ფასებში	
ომამდელი წლები	5 მან.	—	60 კაპ.	8:1
1927	7 მან.	1 მან. 40 კაპ.	2 მან. 30 კაპ.	5:1:3
1928	7 მან. 50 კაპ.	2 მან. 50 კაპ.	7—8 მან.	3:1:3

აქედან ჩანს, რომ ინდივიდუალურ მეურნეს კოოპერაციულ ფასებშიც კი 1 ფუთ ჩაის ნედლეულზე შეეძლო მიეღო წინანდელი 8 ფუთის ნაცვლად მხოლოდ 3 ფუთი სიმინდი, ხოლო თავისუფალი ბაზრის ფასებში შეეძლო მოეხდინა გაცვლა ერთი ფუთისა ერთ ფუთზე. ამრიგად, გლეხი ვერ ბედავდა გაეშენებია ჩაი მიწის იმ ნაკვეთზე, სადაც სიმინდი მოჰყავდა. საჭირო იყო ინდივიდუალურ მეურნეებს ჰქონოდათ მტკიცე გარანტია, რომ ჩაბარებულ ჩაის ნედლეულზე მიიღებდნენ გაცილებით მეტი ოდენობის სასურსათო პროდუქტს.

ცნობილია, რომ სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პერიოდი საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოში ხასიათდებოდა მწვავე კლასობრივი ბრძოლის დაძლევის გზით. ამ ბრძოლამ ნაწილობრივად თავი იჩინა აგრეთვე ჩაის წარმოების განვითარების საკითხშიც. 1928 წელს ახალი პლანტაციების გაშენების მიმდინარეობის შემოწმების დროს გამოირკვა, რომ დასავლეთ საქარ-

[30] მლისფპა, ფონდი 14, საქ. 2808, ფურც. 28.

თველოს ზოგიერთი მაზრის — განსაკუთრებით ოზურგეთის გლეხობის ერთი ნაწილი სკეპტიკურად უყურებდა ჩაის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეს, ამას ასაბუთებდნენ შემდეგი მოტივებით: თითქოს საქართველო გადაიქცეოდა რუსეთის მრეწველობისათვის ჩაის ნედლეულის მიმწოდებლად, რომ ჩაის კულტურას არ შეეძლო მცირემიწიანი გლეხობის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება.

აფხაზეთში გავრცელდა ხმები, თითქოს ჩაის პლანტაციებს შეეძლო ნიადაგის დაჭაობება, სადაც გავრცელებას პოებდა შხამიანი გველები, რომლებიც ზიანს მოუტანდნენ მოსახლეობას[31]. ასეთი ხმები, რა თქმა უნდა, პროვოკაციული ხასიათის იყო და მომდინარეობდა კულაკობისა და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების ძირგამომთხრელი საქმიანობიდან. ჩაის კულტურის განვითარებისათვის დიდი ზიანი მოჰქონდა ამ დრომდე შემორჩენილ ჩაის კუსტარულ წარმოებებს. ისინი ახალი ეკონომიკური პოლიტიკისა და მის მომდევნო წლებში სპეკულაციური ტიპის მეურნეობებს წარმოადგენდნენ, საიდანაც მნიშვნელოვან მოგებას იღებდნენ. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ კუსტარული წესით მიღებული ჩაი და ჩაის სუროგატები გათავისუფლებული იყვნენ აქციზიდან, ამიტომ გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა ჩაის ნედლეულზე მაღალი და მტკიცე ფასების დაწესება, რომელსაც უნდა უზრუნველეყო ჩაის ნედლეულის მთლიანად ჩაის ფაბრიკებისათვის ჩაბარება; ეს ერთი მხრივ გაზრდიდა ჩაის ფაბრიკების მწარმოებლურობას, მეორე მხრივ კი მოსპობდა დაბალი ხარისხის ჩაის გატანას ბაზარზე, რაც სახელს უტეხდა ფაბრიკული წესით დამზადებულ ჩაის.

მუშათა კლასისა და სოფლის მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობის საფუძველზე, რითაც ხასიათდება კოლექტივიზაციის მომზადების პერიოდი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განუწყვეტელი მზრუნველობის შედეგად, ჩაის წარმოებაში წამოჭრილი სიძნელეები უმოკლეს დროში გადაილახა.

1929 წლიდან უკვე მასობრივად დაიწყო ჩაის პლანტაციების გაშენება, ამაში მთავარ როლს ახლა საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები ასრულებდნენ.

---

[31] მლისპფა, ფონდი 14, საქ. 2808, ფურც. 85.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ. ჩაის წარმოების მრეწველური ბაზის მდგომარეობა და ბრძოლა მისი განვითარებისათვის

ჩაის ახალი პლანტაციების არეალის გაფართოებამ და ნედლეულის მოცულობის ზრდამ დღის წესრიგში დააყენა ჩაის ძველი ფაბრიკების გაფართოება და ახლის მშენებლობის დაჩქარება. ჩაის ფაბრიკებს, როგორც ავღნიშნეთ, აღარ შეეძლო ნედლეულის ნორმალური გადამუშავების უზრუნველყოფა, რაც გამოწვეული იყო, როგორც ამ ფაბრიკების მცირე წარმოებრივი სიმძლავრით, ისე მანქანა-დანადგარების მოძველებით. ახალი ჩაის ფაბრიკების შექმნა კი ნაკარნახევი იყო ტერიტორიული გაადგილებით, სადაც ფაბრიკები მიიღებდნენ სათანადო რაოდენობის ნედლეულს.

ჩაის ძველი ფაბრიკების ტექნიკური აღჭურვა და მათი დამხმარე მეურნეობების მდგომარეობა სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში წარმოგვიდგება შემდეგი სახით.

I. ჩაქვის ჩაის ფაბრიკა — ორსართულიანი შენობა, ბეტონის საძირკველით, აგურით ნაშენი კედლებით და თუნუქის სახურავით, ფართობი — 551,33 $მ^3$. ღირებულება — 31 828 მან. ფაბრიკის პირველ სართულზე მოთავსებულია ჩაის მწვანე ფოთლის გრეხისა და შრობის მანქანა-დანადგარები.

1. ჩაის მზა საწყობი, ერთსართულიანი, აგურით ნაშენი კედლებით, ღირებულება — 1 766 მან.

2. დამხარისხებელი განყოფილება, აგურით ნაშენი ერთსართულიანი შენობა, ცემენტის იატაკით, ღირებულება 11 336 მან.

3. ჩაის მწვანე ფოთლის შრობის ფართობი, ცემენტის იატაკით, ღირებულება — 11 336 მან.

4. ჩაის ხმობის ფართობი, ღირებულება — 1 650 მან.

5. ღნობის განყოფილება, ორსართულიანი შენობა, დაბლა სართულის იატაკი — ცემენტის; მაღლა ხის, ღირებულება — 9 460 მან.; იგივე დანიშნულებისათვის ერთსართულიანი ხის შენობა, ღირებულება — 1 404 მან.

ფაბრიკის ტექნიკური აღჭურვილობა

1. „სიროკოს“ სისტემის საგრეხი მანქანა . . .	5
2. ჯეკსონის“ „ „ „ . .	1
3. მწვანე ჩაის ფოთლის დამხარისხებელი „სიროკოს“ .	1
4. „ „ „ „ „ჯეკსონის“	1

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. „ჯეკსონის“ ავტომატური ღუმელი . . .
6. „სიროკოს“ სისტემის ჩაის სახმობი , . . . 1
7. „სიროკოს“ ნახევრადავტომატური ღუმელი . . 1
8. ჩაის საჭრელი 1
9. სანიავებელი (ინგლისური) 1
10. „ (ჩინური) 4
11. „შუკკერტის“ ფორმის დინამო მანქანა . 110 ვოლ.
12. დინამო მანქანა (იაპონური) . . . 110 ვოლ
13. ელექტრომოტორი 7
14. კრონშტეინი 8
15. ტრანსმისია 3

ფაბრიკა ელექტროენერგიას იღებდა ჰიდროელსადგურიდან, სადაც იდგა 79 კ/ვ სიმძლავრის 2 გენერატორი („სიმენსისა და შუკკერტის“ ფირმა). ფაბრიკასთან არსებობდა აგრეთვე მექანიკური სახელოსნო, ხე-ტყის სახერხი ქარხანა და სხვა დამხმარე წვრილი მეურნეობა.

ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთათვის განკუთვნილი იყო შემდეგი შენობები:

1. ერთი 3 ოთახიანი სახლი, სადაც ცხოვრობდა ფაბრიკის გამგე.

2. ორსართულიანი სახლი, პირველი სართული — ხის, მეორე — ხის, ცხოვრობდნენ ჩაის ოსტატი და ფაბრიკის გამგის მოადგილე.

3. სასადილო-სამზარეულო, ერთსართულიანი ხის შენობა.

4. მუშათა საერთო საცხოვრებელი (ყოფილი ე. წ. „ყაზარმა“), ერთსართულიანი ხის შენობა.

ფაბრიკის წარმოებრივი სიმძლავრე წელიწადში არ აღემატებოდა 330 ტონას[32].

II. სალიბაურის ჩაის ფაბრიკას ეკავა ორსართულიანი შენობა. პირველ სართულზე მოთავსებული იყო მანქანა-დანადგართა განყოფილება, მეორეში მიმდინარეობდა ჩაის ფოთლის ფერმენტაცია. ხის ორი შენობა განკუთვნილი იყო ჩაის ფოთლის შრობისა და აკუმულატორისათვის, ცემენტით დაფენილი მცირე ფართობი

---

[32] საქართველოს სსრ ცსა (თბილისი), ფონდი 1619, ანაწ. 3, საქ. 2, ფურც. 60—68.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაის ფოთლის ღნობისათვის. ფაბრიკას ეკუთვნოდა აგრეთვე მთელი რიგი შენობებისა, რომლებიც იმყოფებოდნენ კაპრეშუმში და ჩაქვში.

ფაბრიკის ტექნიკური აღწყობილობა:

1. დიზელი 40 ცხენისძალის 1
2. ორთქლის ძრავი (12 ძალის) ქვაბითურთ. . . . 1
3. საგრეხი როლერი 2
4. საშრობი ღუმელი „სიროკოს" სისტემის . . . 1
5. ჩაის დამხარისხებელი მანქანა. 1
6. მწვანე ფოთლის დამხარისხებელი 1
7. ჩაის საჭრელი 1
8. სანიავებელი 1

ფაბრიკის წარმოებრივი სიმძლავრე არ აღემატებოდა 150 000 გირვანქა ჩაის მზა პროდუქციას წელიწადში (სეზონში)[33].

III. ოზურგეთის ჩაის ფაბრიკის ტექნიკური აღჭურვა არ გასცილებია რევოლუციამდელ დონეს, მისი წარმოებრივი სიმძლავრე ჩაქვისა და სალიბაურის ჩაის ფაბრიკებთან შედარებით მნიშვნელოვნად ნაკლები იყო.

ჩაის სამივე ფაბრიკის ტექნიკური სიმძლავრე ამ პერიოდისათვის შეადგენდა 600 ტონას წელიწადში[34].

როგორც ზემოთ მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, ჩაქვის ჩაის ფაბრიკა ტექნიკურად უფრო მეტად აღჭურვილია, ვიდრე სალიბაურის ჩაის ფაბრიკა, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ რევოლუციამდელ პერიოდში ჩაქვის საუფლისწულო მამულების დირექცია უფრო მეტად ზრუნავდა ფაბრიკის ტექნიკურ აღჭურვაზე ვიდრე კერძო მეპატრონე პოპოვი, მან მიწების სიძვირის გამო ვერ შესძლო ჩაის პლანტაციების გაფართოება და არსებული ნედლეულის ბაზაზე ვერ ხედავდა დიდი მოგების პერსპექტივას. ამ მონაცემებით ირკვევა, რომ ჩაის გადამამუშავებელი მანქანა-დანადგარები უმთავრესად მიღებულია საზღვარგარეთიდან, კერძოდ, ინგლისიდან, იაპონიიდან და ჩინეთიდან, ხოლო ელექტროგაყვანილობა გერმანიიდან და იაპონიიდან.

---

[33] საქართველოს სსრ ცსა (თბილისი), ფონდი 1619, ანაწ. 3, საქ. 2. გვ. 98, 110—111.

[34] Пищевая промышленность Грузинской ССР за 40 лет, ТБ., 1961, стр. 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში შეწყდა ახალი მანქანა-დანადგარების შემოტანა საზღვარგარეთიდან. სამამულო მრეწველობას ჯერ კიდევ არ შეეძლო კვების მრეწველობისათვის საჭირო რაოდენობის გაწყობილობის გამზადება, ხოლო ჩაის მრეწველობა სამამულო წარმოების არცერთ მანქანა-დანადგარს არ იღებდა. რესპუბლიკაში არ არსებობდა ისეთი ტექნიკური ბაზა, რომელიც შესძლებდა ჩაის ფაბრიკების მანქანა-დანადგართა შეკეთებას. მიუხედავად ამისა არსებული ფაბრიკების ტექნიკურ რესურსებზე დაყრდნობით შესაძლებელი შეიქმნა ოზურგეთის მაზრაში (მიქელ-გაბრიელში და აცანაში) ორი მცირე სიმძლავრის ჩაის ფაბრიკების ექსპლოატაციაში გადაცემა.

დაბალი ტექნიკური დონისა და ნედლეულის შესყიდვის არამტკიცე ფასების გამო ჩაის მზა პროდუქციის ღირებულება მაღალია. ჩაქვის ჩაის ფაბრიკის კალიკულაციით ერთი გირვანქა ჩაის (შეფუთული) ფასი განისაზღვრებოდა 1 მან. და 14 კაპიკით, ეს ფასი გაცილებით მაღალია საშუალო ხარისხის და დაბალია ყველაზე უხარისხო, საზღვარგარეთიდან შემოტანილი ჩაის ფასზე. ცეილონისა და ინდოეთის ერთი გირვანქა ჩაის კომერციული ღირებულება ლონდონის ბირჟის განსაზღვრით მერყეობდა 84 კაპიკიდან 1 მან. და 13 კაპიკამდე. საქართველოს ჩაი, რომელიც თავის თვისებებით უახლოვდებოდა ინდოეთისა და ცეილონის საშუალო ხარისხის ჩაის, იყიდებოდა 2 მან. და 50 კაპიკად 4 მანეთამდე (ერთი გირვანქა)[35].

აქციონერთა საზოგადოებამ „საქართველოს ჩაი" იმთავითვე განსაკუთრებული ყურადღება მიექცია (ეს მის წესდებაშიც იყო გათვალისწინებული) ჩაის გაყიდვის საქმიანობის ორგანიზაციას, ამიტომ ამ ეტაპზე საჭირო შეიქმნა, როგორც მზა ჩაის თვითღირებულების შემცირება, ისე მისი გასაყიდი ფასის სტანდარტისა და ხარისხის განსაზღვრა-დადგენა. ამ მიმართულებით დიდი მუშაობა გაშალა აქციონერთა საზოგადოების მმართველობასთან არსებულმა ტექნიკურმა კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ სწავლული კონ-

---

[35] საქართველოს სსრ ცსა (თბილისი), ფონდი 1619, ანაწ. 3, საქ. 2, ფურც. 13.

სულტანტი პროფ. ს. ტიმოფეევი, ჩაის საქმის სპეციალისტები ვ. პოკროვსკი, ა. სამარინი და აგრონომ-ეკონომისტი შ. გიგიბერია[36].

ტექნიკურმა კომისიამ ადგილზე შეამოწმა და შეისწავლა ჩაის წარმოების თითქმის ყველა საკითხი და თავის წინასწარშემუშავებულ ღონისძიებათა პროექტით წარსდგა ჩაის საქმის სპეციალისტთა ფართო ფორუმზე, რომელიც შედგა 1926 წლის 7 აგვისტოს ჩაქვში. აქ მოწვეული იყვნენ როგორც ტექნიკური კომისიის წევრები, ისე ცნობილი მეცნიერები, ტიტესტერები, ტექნოლოგები, აგრონომები, ეკონომისტები და ჩაის ფაბრიკების მუშა-მოსამსახურეები.

თათბირი მრავალ მნიშვნელოვან საკითხს შეეხო და აღინიშნა მთელი რიგი ნაკლოვანებები. მაგალითად, 1. ჩაქვის 1 ჩაის ფაბრიკაში „ჯეკსონის" სისტემის ერთი ავტომატური ღუმელი, რომლის მწარმოებლურობა შეადგენდა 16 ათას გირვანქა მწვანე ჩაის ფოთოლს, ფაქტიურად დიდი გადატვირთვით მუშაობდა და დღეღამეში უხდებოდა 25—28 ათასი გირვანქა მწვანე ფოთლის გადამუშავება. 2. მწვანე ფოთლის შრობის ტემპერატურა 240—250°-ს აღწევდა, მაშინ როდესაც ამ პროცესისათვის ტემპერატურა მნიშვნელოვნად დაბალი უნდა ყოფილიყო. მაღალი ტემპერატურა უზრუნველყოფდა ჭარბად მოსული ნედლი მასალის სწრაფ გადამუშავებას, სამაგიეროდ უარყოფითად მოქმედებდა მზა ჩაის ხარისხზე. 3. ფოთლის ღნობა, რომელიც მიმდინარეობდა ყუთებში ღუმელის ნაკლებგამტარიანობის გამო, ფერხდებოდა. 4. დამხარისხებელი განყოფილება ვერ ასწრებდა ნახევარფაბრიკატის გადამუშავებას, ოთხი დამხარისხებლის გამტარიანობა ცვლაში არ აღემატებოდა 1200 გირვანქას, მაგრამ ამ საქმიანობას ისიც ართულებდა, რომ ტრანსფორმატორის გადატვირთვის გამო დახარისხების განყოფილება ხშირად უქმად იდგა.

ჩაის ფაბრიკებში არ იყო შემუშავებული ჩაის გადამუშავებისა და დამზადების ერთი მეთოდი, მაგალითად, ჩაქვისა და სალიბაურის ჩაის ფაბრიკებში ღნობა ხდებოდა მზეზე. ფერმენტაცია კი ხისღია ყუთებში, მწვანე დახარისხება მიმდინარეობდა როლერების შედარებით სწრაფ ბრუნვაში. გურიის ჩაის ფაბრიკებში (ოზურგეთი,

---

[36] საქართველოს სსრ ცსა, (თბილისი), ფონდი 1619, ანაწ. 3, საქ. 13, ფურც. 5.

აცანა, ძიქელგაბრიელი) ღნობა წარმოებდა დაბალ ტემპერატურაზე (25—28°) სველი ტილოს გადაფარებით, მწვანე დახარისხება ხდებოდა როლერების ნაკლებ ბრუნვაში. ამის შედეგად მომღნარი ფოთლის გრეხა და ფრაქციებად დახარისხება ფაბრიკებში არ იყო ერთგვარი; მაგალითად, ჩაქვში და სალიბაურში უფრო მეტი რაოდენობით გამოდიოდა მსხვილად დაგრეხილი ფოთოლი, რაც თხოულობდა მეორედ გადამუშავებას, ეს კი იწვევდა მანქანა-დანადგარების უფრო მეტად გადატვირთვას.

თათბირზე გამოირკვა, რომ ჩაის ფაბრიკებს აკლდა მთელი რიგი ისეთი მანქანა-დანადგარები, რომელთა გარეშე შეუძლებელი იქნებოდა დიდი რაოდენობით შემოსული ნედლეულის გადამუშავება; ამასთან, ჩაქვისა და სალიბაურის ფაბრიკები მოითხოვდნენ პირველ რიგში ჩაის წარმოების ძირითადი განყოფილებების გაფართოებას.

მზა ჩაის ხარისხის გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩაის ფოთლის კრეფის აგრობიოლოგიური წესის დაცვას და ნედლი მასალის მტკიცე ფასების დაწესებას, ეს აგრეთვე ითვალისწინებდა ჩაის კულტურის გავრცელების საქმეში გლეხური მეურნეობების მატერიალური დაინტერესების ზრდას.

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის შემუშავებული ინსტრუქცია დაურიგდა ყველას, ვინც ჩაის მეურნეობას მისდევდა. თუმცა 1926 წლიდან მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მწვანე ფოთლის ხარისხი, მაგრამ იგი მაინც არ იყო სრულყოფილი, რადგან ნედლეულის საერთო მასაში ძნელი იყო ისეთი ფოთლების გამორჩევა, რომლისგანაც დამზადდებოდა უმაღლესი ხარისხის ჩაი, ამ მიზნით მწვანე ჩაის ფოთოლი იკრიფებოდა განსაკუთრებული შერჩევით.

ტექნიკური კომისიის წინადადებით განისაზღვრა ჩაის მწვანე ფოთლის შესყიდვის ფასი, ასე მაგალითად, ერთი გირვანქა პირველი ხარისხის ფოთლის ფასი არ უნდა ყოფილიყო 18 კაპიკზე მეტი, ხოლო მეორე ხარისხის — 13 კაპიკზე მეტი.

ჩაის ყველა ფაბრიკის პროდუქცია საბოლოოდ ხარისხდებოდა ჩაქვის ჩაის ფაბრიკაში, სადაც ამ საქმის მცოდნე კადრები ჰყავდათ. დამხარისხებელი მანქანების ტექნიკური მოუწესრიგებლობა და ნახევარფაბრიკატის რკინიგზის ვაგონებით გადატანა უარყოფითად მოქმედებდა მზა ჩაის ხარისხზე, სანამ ახალ დამხარისხებელ მანქანებს შეიძენდნენ, ტექნიკური კომისიის მიერ მიღებული ზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მების შედეგად ადგილზე შეკეთდა ჩაქვის ფაბრიკის დამხარისხებელი მანქანები.

წარმოებრივ თათბირის წევრებს გააცნეს ტიტესტერების მიერ წარმოებული ცდების შედეგები, მათ მიერ შემოწმდა ხუთი ჩაის ფაბრიკისა და გლეხური მეურნეობების მზა ჩაი, სულ შემოწმდა 79 სერიის 411 ნიმუში, მაგრამ მათ შორის მხოლოდ 50% იქნა სათანადო დოკუმენტში რეგისტრირებული.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ტიტესტერ-შენინგის ცდები მწვანე ჩაის მისაღებად, მისი დასკვნით ჩაის ნორჩ ფოთლისაგან მიიღება საუკეთესო ხარისხის, ხოლო საშუალო და ძველი ფოთლისაგან მაღალი ხარისხის მწვანე ჩაი. დეგუსტაციით დადასტურდა, რომ ეს ჩაი, ტიპის მიხედვით ახლოს იდგა სამხრეთ აზიის ქვეყნების ჩაისთან, ხოლო თვისებებით იაპონიის ჩაის ჯობდა. 1926 წელს ცდის სახით დამზადდა 449 კგ მწვანე ბაიხის ჩაი, მაგრამ მწვანე ჩაის წარმოების დაწყება სათანადო გაწყობილობების უქონლობითა და ამ საქმის მცოდნე სპეციალისტების ნაკლებობის გამო ამ ეტაპზე არ იყო შესაძლებელი[37]. ჩაის ხარისხის გაუმჯობესებისათვის წარმოებულ ცდებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩაის გადამუშავების ტექნოლოგიის სრულყოფის მეთოდის შემუშავებისა და განსაზღვრისათვის.

წარმოებრივ თათბირზე დადგინდა აგრეთვე ქართული ჩაის სტანდარტი (ინგლისისა და ჰოლანდიის ჩაის სტანდარტის მიხედვით) და ნედლეულიდან ჩაის გამოსავლის კოეფიციენტი, თუ წინათ იგი განისაზღვრებოდა 4,25 ან 4,19-ით, ახლა კომისიამ სცნო 4,35. იმის გამო, რომ საქართველოს ჩაი სხვადასხვა სახელწოდებით გამოდიოდა, გადაწყვიტეს მისთვის ეწოდებინათ „ქართული ჩაი"[38].

ამრიგად, ჩაქვის წარმოებრივმა თათბირმა დასახა ჩვენს ქვეყანაში ჩაის წარმოების შემდგომი განვითარების მთელი რიგი კონკრეტული გზები, ყოველივე ეს უახლოეს წლებში საფუძვლად დაედო აქციონერთა საზოგადოებას — „საქართველოს ჩაი" და მის პრაქტიკულ მოღვაწეობას.

1926—1927 მეურნეობრივ წელს, აქციონერთა საზოგადოებამ, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის აქტიური დახმარებით, შესძლო

---

[37] მლისფპა ფონდი 14, საქ. 3383, ფურც. 22.

[38] საქართველოს სსრ ცსა, (თბილისი), ფონდი 1619, ანაწ. 3, საქ. 13, ფურც. 5—10.

საზღვარგარეთიდან და საბჭოთა კავშირიდან მიეღო ჩაის ფაბრიკებისათვის ახალი მანქანა-დანადგარები, სოფლის მეურნეობის იარაღები, თესლი ჩაის პლანტაციების გასაშენებლად. გაიზარდა ჩაის პლანტატორებისათვის სახელმწიფო კრედიტის გაცემის, როგორც მოცულობა, ისე რაოდენობა; უფრო ორგანიზებულად წარმოებს სურსათით და სამრეწველო საქონლით მომარაგება; ნელი ტემპით, მაგრამ, მაინც იზრდება ჩაის მცენარის ნარგავთა ფართობი. მიუხედავად ამისა, თვალსაჩინო ხდება შეუსაბამობა ნედლეულის დამზადებასა და გადამმუშავებელ წარმოებას შორის, პლანტაციების ფართობისა და მოსავლიანობის ზრდის ტემპი უსწრებდა ჩაის ნედლეულის გადამმუშავებელ მრეწველობას, რაც იწვევდა ჩაის ფაბრიკების გაფართოება-რეკონსტრუქციის დაჩქარებას.

1927 წელს აქციონერთა საზოგადოებამ ინგლისიდან გამოიწერა 12 დასახელების მანქანა-დანადგარები (იხ. ცხრილი 8).

ცხრილი 8

ინგლისიდან გამოწერილ ჩაის გადამმუშავებელ მანქანა-დანადგართა დასახელება (1927 წ.)[39]

№№ რიგ.	მანქანა-დანადგარების დასახელება	ფირმის დასახელება	რაოდენობა
1	როლერი	„მარშალი“	5
2	მწვანე ფოთლის დამხარისხებელი	„დავიდსონი“	4
3	„სიროკოს“ ტიპის ავტომატური ღუმელი	„	2
4	ავტომატური საშრობი ღუმელი „ემპაირ“		
	ა. ერთი დიდი 6 ფუტი სიმაღლის		
	ბ. ერთი მცირე 4 „ „	„მარშალი“	1
5	ხმელი ჩაის საჭრელი „დამხარისხებელი“	„სევიდე“	1
6	ხმელი ჩაის ცილინდრისებური დამხარისხებელი	„დავიდსონი—სიროკო“	2
7	ა. ხმელი ჩაის კუპაჟის დიდი მანქანა (ბლენდერ)	„პულეი“	1
8	ბ. მტვრის ექსტრაქტორი	„	1
9	შემფუთავი მანქანა	„დავიდსონი“	2
10	„ „	„მარშალი“	2
11	საშრობი ღუმელების ავტომატური საზომი თერმომეტრი	„დავიდსონი“	6
12	ზემოაღნიშნული მანქანების სათადარიგო ნაწილები	„	ერთი კომპ.
13	„ჯეკსონის“ ღუმელის მილი		ორი „

[39] საქართველოს სსრ ცსა, (თბილისი), ფონდი 1619, ანაწ. 3, საქ. 36, ფურც. 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1927 წელს ინგლისში შეძენილ მანქანა-დანადგართა ღირებულება შეადგენდა 102 831 მანეთს, 1928 წელს (ელექტროძრავების ჩათვლით) — 108 969 მანეთს[40].

ჩაის წარმოების მანქანა-დანადგარებისა და ელექტროძრავების საზღვარგარეთიდან შემოტანით, 1928 წლის სეზონში შესაძლებელი შეიქმნა ჩაის ფაბრიკების ტექნიკური აღჭურვილობის ნაწილობრივი განახლება, ამით საგრძნობლად გაიზარდა მათი წარმოებრივი სიმძლავრე. ახალი მანქანა-დანადგარების წარმოებაში დანერგვით შესაძლებელი გახდა ჩაის ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიური სქემის შეცვლა; თუმცა ეს სქემა არ იყო ახალი, მაგრამ ცდილობდნენ ჩაის დამზადების ძირითადი პროცესების დაახლოებას ინგლისურისა და ადგილობრივ შემუშავებულ სისტემასთან. მზა ჩაის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება ნაკარნახევი იყო, იმითაც, რომ 1927 წელს „ცენტროსოიუზის“ ჩაის სამმართველოს მიერ გამოშვებულ ჩაის № 7 („ქართული ჩაის“ მარკით) მომხმარებელთა ფართო მასებში წარმატება არ რგებია[41]. მაგრამ აქ ისიც უნდა ითქვას, რომ „ქართული ჩაი“ კუპაჟის ტექნოლოგიური სქემის დაბალი კვალიფიკაციით იქნა გამოშვებული.

ჩაის ხარისხის ამაღლებისთვის, როგორც ცნობილია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფაბრიკებში ჩაბარებულ ჩაის ნედლეულის ხარისხიანობას, ამ მიზნით, 1928 წელს ჩაის ნედლეულის შესყიდვის ფასმა წინა წელთან შედარებით მოიმატა. უკეთ მომსახურების მიზნით ოზურგეთის რაიონში შეიქმნა სამი (მერია, ბახვი, ცხემლისხიდი) ჩაის მწვანე ფოთლის მიმღები პუნქტი. განუხრელად სრულდებოდა ჩაის ნედლეულის ჩაბარების გეგმურობა, რომლის საფუძველს წარმოადგენდა სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაისა“ და ჩაის პლანტატორებს შორის დადებული „საწარმოო ხელშეკრულება“. ახლა ინდივიდუალურ მეურნეობას არ უხდებოდა ფიქრი იმის შესახებ, თუ როგორ და სად ჩაებარებინათ მათ მიერ დამზადებული ნედლეული. 1926—1928 წლების მანძილზე სახელმწიფოს ჩაბარდა შემდეგი რაოდენობის ჩაის ნედლეული (იხ. ცხრ. 9).

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა მეურნეობების სრული მოსავ-

---

[40] საქართველოს სსრ ცსა (თბილისი), ფონდი 1619. ანაწ. 3, საქ. 56, ფურც. 1—2.

[41] მლისფპა, ფონდი 14, საქ. 2808, ფურც. 18.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 6

ჩაის მწვანე ფოთლის დამზადება 1926—1928 წწ[42].

წლები	ათასი კილოგრამობით		სულ	გლეხური მეურნეობების ნედლეულის ხვედრი წონა %-ით
	საბჭოთა მეურნეობები (საც. სად. ჩათ).	გლეხური და სხვა მეურნეობები		
1926	593,2	250,0	843,2	29,6
1927	682,5	264,1	946,6	27,9
1928	633,0	427,0	1060,0	40,2
	%-ით წინა წელთან შეფარდებით			
1927	115,0	105,0	112,3	
1928	92,7	161,7	112,0	

ლიანი ფართობის მნიშვნელოვანი ნაწილი (160 ჰექტარამდე) გადაეცა საცდელ სადგურებს სათესლე მეურნეობის მოწყობისათვის და ამით 7,3%-მდე დააკლდა სახელმწიფოსადმი ჩაბარებულ ჩაის ნედლეულის საერთო მოცულობას, 1928 წელს საბჭოთა მეურნეობებმა წინა წელთან შედარებით სახელმწიფოს 12,0%-ით ნაკლები ჩაის მწვანე ფოთოლი ჩააბარეს. მაგრამ ცხრილიდან ჩანს, რომ საგრძნობლად გაიზარდა გლეხური მეურნეობიდან ჩაბარებული ჩაის ნედლეული. ეს, უწინარეს ყოვლისა, მეტყველებს იმაზე, რომ ჩაის ფაბრიკებმა და მიმღებმა პუნქტებმა შესძლეს გლეხური, ინდივიდუალური მეურნეობების სანედლეულო ბაზის გარემოცვა. ჩაის ნედლეულის ზრდის ტემპები მოითხოვდა მისი გადამმუშავებელი მრეწველობის გარდაქმნას, ისე რომ თითოეულ ჩაის ფაბრიკას შესაძლებლობა ჰქონდა თავის მომსახურების ზონის ნედლეულის ზრდის შესაბამისად გადიდებულიყო მისი წარმოებრივი სიმძლავრეც. ამის შედეგად ჩაის ფაბრიკების გაფართოება-რეკონსტრუქცია წარმოებდა ხანგრძლივი დროის მანძილზე. ამ პერიოდში მოხერხდა მნიშვნელოვანი რეკონსტრუქციის ჩატარება ჩაქვისა და სალიბაურის ჩაის ფაბრიკებში; ოზურგეთის, აცანისა და მიქელგაბრიელის ჩაის ფაბრიკებში ზოგი მანქანა-დანადგარი შეიცვალა

[42] მლისფპა, ფონდი 14, ანაწ. 2. საქ. 3383, ფურც, 20—36.

ახლით, ამის შედეგად პროდუქციის წარმოების ძირითადი პროცენტული სების შესრულება დაიწყო მანქანების დახმარებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1927 წლის შემოდგომაზე საექსპლოატაციოდ გადაეცა ბობოყვითის ახალი ჩაის ფაბრიკა[43]. მისი სიმძლავრე არ იყო დიდი, გაითვალისწინეს ამ ფაბრიკის სიმძლავრის გადიდებაც მისი მომსახურეობის ზონის ნედლეულის ზრდის შესაბამისად.

ჩაის ფაბრიკების დამხმარე მეურნეობებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე დაიხარჯა (მანეთობით): 1926 წ. — 89797; 1927 წ.—633586, 1928 წ.—794888. აქედან ჩაის ფაბრიკების მშენებლობაზე და მათ ტექნიკურ აღჭურვაზე დაიხარჯა (მანეთობით): 1926 წ.—64227; 1927 წ.—308094; 1928 წ.—431187.

1928 წლის 17 იანვრის საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილებით გადაწყდა ჩაქვის ახალი ჩაის ფაბრიკის მშენებლობის საკითხი, რომელიც წამოჭრილი იყო აქციონერთა საზოგადოების „საქართველოს ჩაის“ მიერ საერთო კრებაზე ჯერ კიდევ 1926 წ. 24 ოქტომბერს. ახალი ჩაის ფაბრიკის მშენებლობა იკისრა გერმანიის აქციონერთა საზოგადოებამ „ალბერტბაუაგმა“. 1928 წელს ამ ფაბრიკის მშენებლობაზე დაიხარჯა მთავრობის მიერ დამატებით გაღებული სახსრების 150 000 მანეთი[44].

ჩაის მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარდაქმნა-გაფართოებამ უზრუნველყო ნედლეულის დროულად გადამუშავება.

1928 წელს ცალკეულ საფაბრიკო ზონების მიხედვით ჩაის ნედლეული ჩაბარდა და დამზადდა შემდეგი სახით (იხ. ცხრ. 10).

ყველაზე მეტი რაოდენობის ჩაის ნედლეულს, როგორც ეს ჩანს მოტანილი ცხრილიდან, ჩაქვისა და სალიბაურის საბჭოთა მეურნეობები აბარებდნენ, ხოლო ინდივიდუალური მეურნეობებიდან — ჩაქვისა და ბობოყვათის ზონები (აჭარის ასსრ). „საქართველოს ჩაის“ გამგებლობაში შემავალი 6 ჩაის ფაბრიკიდან შედარებით მძლავრი იყო ჩაქვის, სალიბაურისა და ბობოყვათის ფაბრიკები (აჭარის ასსრ), დანარჩენი: ოზურგეთის, მიქელგაბრიელის და აცანის (გურია) უფრო დაბალი მწარმოებლურობისა იყვნენ. ჩაქვისა და სალიბაურის ჩაის ფაბრიკები უშვებდნენ ჩაის მზა

---

[43] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი“, სტატისტიკური კრებული, გვ. 47.
[44] მლისფპა, ფონდი 14, საქ. 3383, ფურც. 49, 51.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 10

ჩაის ნედლეულის ჩაბარება ცალკეული საფაბრიკო ზონების მიხედვით (1928 წ.)[45]

საფაბრიკო ზონების დასახელება	კილოგრამობით		სულ
	საბჭოთა მეურნეობებიდან	ინდ. მეურნეობებიდან	
ჩაქვი	544448	111064	655512
სალიბაური	84256	50828	134084
ბობოყვათი	—	105117	105117
ოზურგეთი	5293	58722	64015
აცანა	—	45051	45051
მიქელგაბრიელი	—	56198	56198
ყველა რაიონში სულ	632997	426980	1059

ფაბრიკატს, ხოლო დანარჩენი ფაბრიკები — ნახევარფაბრიკატს, რომელსაც საბოლოო გადამუშავებისათვის ჩაქვის ჩაის ფაბრიკაში აგზავნიდნენ. 1928 წლიდან კი ჩაის ყველა ფაბრიკა გადავიდა ჩაის მზა პროდუქციის გამოშვებაზე.

განვლილი წლების მანძილზე ცალკეულმა ჩაის ფაბრიკებმა გამოუშვეს შემდეგი რაოდენობით ჩაის მზა პროდუქცია (იხ. ცხრილი 11).

ცხრილი 11

ჩაის ფაბრიკების მიერ გამოშვებული ჩაის მზა პროდუქციის დინამიკა (1926—1928 წწ.)[46]

ჩაის ფაბრიკების დასახელება	ზომის ერთეული	კილოგრამობით		
		1926	1927	1928
ჩაქვი	კილოგრამი	152872	165319	158930
სალიბაური	„	26861	28568	32067
ბობოყვათი	„	—	3933	23969
ოზურგეთი	„	7851	7879	15536
მიქელგაბრიელი	„	5384	7431	13400
აცანა	„	3601	8811	11121
სულ		196569	221938	254973

[45] მლისფპა, ფონდი 14, ანაწ. 2, საქ. 3383, ფურც. 20—36.
[46] ი ქ ვ ე, ფონდი 14, საქ. 280, ფურც. 20—36.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1928 წელს ჩაქვის ფაბრიკის მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობის შემცირება გამოიწვია შემდეგმა: ა. ინდივიდუალურ მეურნეთა ერთმა ნაწილმა ჩაის ნედლეულის ჩაბარება დაიწყო ბობოყვათის ჩაის ახალ ფაბრიკაში; ბ. ფაბრიკას აკლდა მუშაძალა.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ჩაის ფაბრიკებში ახალი მანქანადანადგარების დადგმით შესაძლებელი შეიქმნა ჩაის დამზადების ტექნოლოგიის სქემაში ზოგიერთი სიახლის შეტანა. ამ მიმართულებით აგრეთვე დიდ მუშაობას ატარებდა ტიტესტერთა ჯგუფი, მათ 1927 წელს ჩაატარეს 5762 და 1928 წელს 6400 ცდა და დეგუსტაცია. ამ ღონისძიებებმა შესამჩნევად იმოქმედეს ჩაის ხარისხის ამაღლებაზე. განსაკუთრებით ეს ითქმის ჩაის ნაყენისა და სურნელობის გაუმჯობესებაზე. 1927 წლის მოსავლისაგან დამზადებული ჩაის ნიმუში, რომელიც გაიგზავნა ლონდონში სპეციალისტებმა გაუტოლეს სამხრეთ აზიის საშუალო ხარისხის ჩაის. 1927 წელს და 1928 წელს ყველა ხარისხის ქართული ჩაი გასინჯვისა და შეფასების მიზნით გაიგზავნა მოსკოვში, ლონდონში და შანხაიში, სადაც მაღალი შეფასება დაიმსახურა[47].

ჩაის ფაბრიკებში უმჯობესდება შრომისა და წარმოების ორგანიზაციაც, იკლებს ჩაის მზა პროდუქციის თვითღირებულება, ასე მაგალითად, თუ 1927 წელს 1 კგ ჩაის საფაბრიკო თვითღირებულება შეადგენდა 3 მან 21,41 კაპ-ს, 1928 წლისათვის შეადგენდა 2 მან. 97,75 კაპ-ს. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას განაპირობებდა როგორც ნედლეულის ღირებულების დაკლება, ასევე შრომის მწარმოებლურობის ამაღლება, სათბობ-საწვავის ხარჯვის ნორმის შემცირება და სხვა ფაქტორები.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ჩაის ფაბრიკებისათვის კადრების მომზადებას. 1927 წელს ფაბრიკებში მიიღეს ერთი წლის ვადით 4 სტაჟიორი, რომლებიც ორი წლის მანძილზე წარმატებით დაეუფლნენ ჩაის დამზადების ტექნოლოგიას. 1928 წლის დამლევს ისინი დაინიშნენ ჩაის ფაბრიკების გამგეებად. ამავე დროს ჩაის ფაბრიკებში პრაქტიკას გადიოდა 2 სპეციალისტი. კადრების მომზადების ეს მასშტაბი, რასაკვირველია, არ იყო დიდი, მაგრამ ამ პერიოდისათვის ისახებოდა გზები ჩაის მრეწველობის კადრების მომზადების ფართო ორგანიზაციისათვის.

---

47 მლისფპა, ფონდი 14, საქ. 280, ფურც. 41.

1928 წლისათვის რესპუბლიკის ჩაის ფაბრიკებში ... შტატში ირიცხებოდა: მუშა—21, უმცროსი მომსახურე პერსონალი—12, მოსამსახურე—12, პრაქტიკანტი და სტაჟიორი—6, სულ—44 კაცი. მუშათა საშუალო წლიური რაოდენობა (შტატის ჩათვლით) შეადგენდა: 1926 წელს—135 კაცს, 1927 წელს—147 კაცს, და 1928 წელს—143 კაცს.

ბ. ჩაის წარმოების გეგმურ დავალებათა შესრულება პირველ და მეორე ხუთწლედებში (1929—1937 წწ.)

სსრ კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1927 წლის 19 აგვისტოს დადგენილება ჩაის წარმოების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ პრაქტიკულად ხორციელდებოდა 1929 წლამდე.

1928 წლის სექტემბერს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საქართველოს კომპარტიის მუშაობის საკითხები. დასახულ ღონისძიებებში მითითებული იყო ადგილობრივი სოფლისმეურნეობრივი ნედლეულის გადამმუშავებელი ინდუსტრიული წარმოების შემდგომი განვითარების აუცილებლობა[48]. აქ გარკვეული ადგილი ეთმობოდა ჩაის წარმოების კიდევ უფრო სწრაფი ტემპით განვითარების საკითხს. 1929 წლის სექტემბერს სააქციო საზოგადოებამ „საქართველოს ჩაიმ“ ზემდგომი ორგანოების დავალებით დაამუშავა ჩაის წარმოების განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ჩაის პლანტაციების ზრდას 40 000 ჰექტარამდე. ეს გეგმა მოწონებულ იქნა საქართველოსა და ამიერკავკასიის სახკომსაბჭოების მიერ. ჩაის წარმოების განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმა მოხსენდა საქართველოს კომპარტიის II პლენუმს (1929 წ. ოქტომბერი), რომელმაც მიზანშეწონილად სცნო ჩაის პლანტაციების ფართობის გადიდება 70 000 ჰექტარამდე. ამასობაში სსრ კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭომ (1929 წ. ნოემბერი) განიხილა ამიერკავკასიის სახკომსაბჭოს მიერ წარმოდგენილი გეგმა ჩაის პლანტაციების 40 000 ჰექტარამდე გაზრდის შესახებ, მაგრამ იგი არ სცნო საკმარისად. წინადადება მიეცა საოანადო ორგანოებს, დაემუშავებინა ახალი გეგმა იმ ვარაუდით

---

[48] „О работе Компартии Грузии“ (Постановление ЦК ВКП (б) от 3 сентября 1928, 2.), Тб., 1928, стр. 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ჩაის პლანტაციათა ფართობი გაზრდილიყო 75 000 ჰექტარამდე. დასასრულს, სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიის გადაწყვეტილებით (1931 წ. 4 ივლისი) ხუთწლედში ჩაის პლანტაციათა ფართობი საქართველოში და ამიერკავკასიაში უნდა გადიდებულიყო 100 000 ჰექტარამდე[49]. მომდევნო წლებში ეს გეგმები რამოდენიმეჯერ შეიცვალა და საბოლოოდ იგი დაიყვანეს 13 ათას ჰექტარამდე. ჩაის წარმოების განვითარების პერსპექტიული გეგმის ცვალებადობა გამოწვეული იყო ერთი მხრივ იმით, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის ახალ სოციალისტურ ფორმასთან დაკავშირებით ჩაის წარმოების განვითარებას უდიდეს სახალხომეურნეობრივ მნიშვნელობას ანიჭებდა, მეორე მხრივ, პერსპექტიული გეგმის შედგენაში არ მიუღიათ მონაწილეობა ისეთ საბჭოთა ორგანოებს, როგორიც იყო ამიერკავკასიის სახკომსაბჭო, საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, საგეგმო კომისია და მეცნიერულ-კვლევითი ორგანიზაციები. უგეგმობა იწვევდა ადგილობრივი ორგანოების დაბნეულობას და, რაც მთავარია, ჩაის ნედლეულის გადამმუშავებელი წარმოებების მოუმზადებლობას.

ამ ეტაპზე პარტიისა და მთავრობის მიერ წამოჭრილ ამოცანებს ვერ პასუხობდა აქციონერთა საზოგადოების „საქართველოს ჩაის“ გამგეობის საქმიანობა, მათ წლების მანძილზე ვერ შესძლეს ორგანიზაციულ-მეურნეობრივი მუშაობის ისე წარმართვა, რომ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი უდიდესი რესურსები გამოეყენებინათ რაციონალურად. ეს უმთავრესად შეეხება ჩაის პლანტაციების გაშენებისა და ჩაის მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის სუსტ ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას. ჩაის პლანტაციების ფართობის გაზრდის სურვილით ახალი პლანტაციები გაშენდა უვარგის ადგილებშიც, ხოლო არსებულ ძველ პლანტაციებს საგრძნობლად დააკლდა აგროტექნიკური მოვლა. მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა არ იყო მჭიდროდ დაკავშირებული პრაქტიკასთან, ამიტომ ჩაის კულტურისა და მრეწველობის განვითარების საქმე წინ არ მიდიოდა.

---

[49] მლისფპა, ფონდი 14, საქ. 3532, ფურც. 101.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა მეჩაიეთა რაიონების მომარაგება პურით და სამრეწველო საქონლით. ყოველივე ამას ბოლო მოეღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 32 ოქტომბრის დადგენილებით. ამ დადგენილებას დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში ჩაის წარმოების განვითარების საქმეში. აღნიშნულ დადგენილებაში ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ მიუხედავად მოპოვებული ზოგიერთი წარმატებისა ამიერკავკასიის პარტორგანიზაციის წინაშე დასახულია საბრძოლო ამოცანა მაქსიმალურად გაფართოვდეს ჩაის პლანტაციები საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში იმ ვარაუდით, რომ მეორე ხუთწლედში ამიერკავკასიას და კერძოდ საქართველოს ძირითადად შესძლებოდა საბჭოთა კავშირის ჩაის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ამ ამოცანათა შუქზე მოხდა სააქციო საზოგადოების „საქართველოს ჩაის“ რეორგანიზაცია, სააქციო საზოგადოება გარდაიქმნა საკავშირო გაერთიანებად და უშუალოდ დაექვემდებარა საკავშირო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს. გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბდა რამდენიმე დამოუკიდებელი ტრესტი, მათ შორის ჩაის მრეწველობის ტრესტი, მაგრამ მალე პარალელიზმისა და დაქსასულობის გამო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით (1932 წ. 30 აპრილი) გაუქმდა დარგობრივი ტრესტები და შეიქმნა ერთიანი ტრესტი „საქართველოს ჩაი“, რომლის გამგებლობაში შედიოდა ჩაის საბჭოთა მეურნეობების და მრეწველობის ტრესტები, მეცნიერულ-კვლევითი და სასწავლო დაწესებულებები[50].

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის ოქტომბრის დადგენილებას და მის შესაბამისად საქართველოს კომპარტიისა და მთავრობის მთელ რიგ გადაწყვეტილებებს ერთსულოვნად მხარი დაუჭირა საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ და მთელმა მშრომელმა ხალხმა. ფართოდ გაიშალა ბრძოლა დასახულ ამოცანათა ცხოვრებაში გატარებისათვის. მთლიანი კოლექტივიზაციის დროს წარმოქმნილი სიძნელეების მიუხედავად საბჭოთა მთავრობა შეუნელებლად ზრუნავდა მეჩაიეთა რაიონების პურითა და სამრეწველო საქონლით მომარაგებისათვის, იგზავნებოდა მანქანა-იარაღები და მინერალური სასუქები. უკვე 1931 წლისათვის მეჩაიეთა

---

[50] მლისპფა, ფონდი 14, საქ. 4201, ფურც. 75.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონებში მოქმედებდა 3 სატრაქტორო ბაზა. მაგრამ „საქჩაისტრესტის" რეორგანიზაციის შემდეგ ამ ბაზების ტექნიკა გადაეცათ ჩაის საბჭოთა მეურნეობებს და მტს-ებს. შეიქმნა ახალი საცდელი სადგურები, სათესლე მეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. II საბჭოთა მეურნეობის ჩაის პლანტაციების ფართობი გაიზარდა 5524 ჰექტარამდე; ჩაის ახალი პლანტაციების ზრდის ტემპები მოითხოვდა დიდძალ ჩაის თესლს და ნერგებს. 1926 წელს საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში დამზადდა — 22 000 კგ, 1931 წელს კი — 75 000 კგ ჩაის მცენარის თესლი, მაგრამ ეს ძალზე მცირედ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას. სათესლე მეურნეობის სუსტი ბაზის გამო საბჭოთა მთავრობა იძულებული იყო ჩაის მცენარის თესლი შეეძინა საზღვარგარეთ (ჩაის მწარმოებელ ქვეყნებიდან), რაც ჩანს შემდეგი მონაცემებით (იხ. ცხრ. 12).

ცხრილი 12

საზღვარგარეთიდან ჩაის თესლის შემოტანის დინამიკა 1929—1931 წწ.[51]

ქვეყნების დასახელება	წლები					
	1929		1930		1931	
	რაოდენობა (კილოგრამობით)	ღირებულება (მანეთობით)	რაოდენობა (კილოგრამობით)	ღირებულება (მანეთობით)	რაოდენობა (კილოგრამობით)	ღირებულება (მანეთობით)
ინდოეთი და ცეილონი	49133,0	248550	180422,7	657470	199800,0	615000
იაპონია	79381	67749	280000	123701	—	—

ამ მონაცემებიდან ირკვევა, რომ ჩაის მცენარის თესლს ძირითადად იძენდნენ ინდოეთში, ცეილონსა და იაპონიაში, ხოლო ჩინეთში (1928—1931 წწ.) შეიძინეს — 38 256 კგ. ჩაის მცენარის თესლი 36 708 მანეთის ღირებულების.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ჩაის მეურნეობების მუშაძალით უზრუნველყო-

---

[51] მლისფპა, ფონდი 14, საქ. 4201, ფურც. 18.

ფისა და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის სწორი მიმართულებით შემუშავების საკითხებს. გადაჭრით ბოლო მოეღო ზოგიერთ დაჯგუფებებს შორის წარმოებულ მეცნიერულად დაუსაბუთებელ ზეპირსიტყვიერ დისკუსიებს. მეცნიერებისა და პრაქტიკოს მოღვაწეთა საპატიო ამოცანას შეადგენდა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, სელექციისა და ახალი ბუჩქების გამოყვანისათვის მუშაობის გაშლა. მთელი რიგი ეფექტური ღონისძიებების გატარების შედეგად დაიწყო რესპუბლიკის ჩაის წარმოების მკვეთრი აღმავლობა. ჩაის კულტურას მასობრივად მოჰკიდა ხელი დასავლეთ საქართველოს მრავალი რაიონის მშომელმა გლეხობამ. 1931 წელს ჩაის მეურნეობას მისდევდა დასავლეთ საქართველოს 16 რაიონი, სადაც ჩაის მეურნეობა ერთ-ერთ წამყვან დარგს წარმოადგენდა.

ცხრილი 13

ჩაის ფართობის ზრდის დინამიკა სექტორების მიხედვით (1929—1930 წწ.)[52]

წლები	საბჭოთა მეურნეობები	კოლმეურნეობები	ინდივიდუალური მეურნეობები	სულ
1929	921	1361	2803	7813
1930	3248	4885	6136	14142
1931 (ივნისამდე)	5524	10304	6314	22142*

ამრიგად, 1931 წელს ჩაის პლანტაციათა ფართობი 1929 წელთან შედარებით გაიზარდა 2,8-ჯერ, 1930 წელთან შედარებით 1,6-ჯერ, ხოლო 1925 წელთან შედარებით თითქმის 20-ჯერ მეტად. მოიმატა აგრეთვე ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობამ, მაგრამ საზღვარგარეთის ჩაის მწარმოებელ ქვეყნებთან შედარებით მისი დონე ჯერ კიდევ მეტად დაბალი იყო. მიუხედავად ამისა, ჩაის ნედლეულის დამზადებისა და სახელმწიფოსადმი მიყიდვის გეგმა

[52] მლისფპა, ფონდი 14, საქ. 3532, ფურც. 159.

* 1930—1932 წწ. ჩატარდა ჩაის პლანტაციათა პასპორტიზაცია, 22142 ჰექტარ ჩაის პლანტაციიდან უვარგისი აღმოჩნდა 12998 ჰექტარი. დანარჩენი ფართობი მოითხოვდა კაპიტალურ რემონტსა და განახლებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმატებით შესრულდა, ასე მაგალითად, 1929 წელს დამზადდა და სახელმწიფოს ჩაბარდა (კილოგრამობით) — 468 000, 1930 წელს — 680 500 და 1931 წელს —977 200 ჩაის მწვანე ფოთოლი[53]. მოტანილი მონაცემები მეტყველებენ თუ როგორ რეალურ საფუძველს იყო მოკლებული ინგლისელი მეცნიერების მანნისა და ბარბერის (1930 წლის სექტემბერ-ოქტომბერი) პროგნოზი, თითქოს საქართველოს ჩაის წარმოებას უახლოეს წლებში გარდუვლად მოელის კრიზისი, რომ იგი ვერასოდეს ვერ გახდება რენტაბელური. პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელი მზრუნველობით, საბჭოთა მეცნიერებისა და ჩაის საქმის პრაქტიკულ მოღვაწეთა შემართებული აზრით, ფართო მასების მხარდაჭერით ჩაის პლანტაციები გაშენდა და მტკიცედ მოიკიდა ფეხი ისეთ „უვარგის“ მიწებზე, სადაც მანნსა და ბარბერს მათზე გაწეული ხარჯები და შრომა წყალში გადაყრილად მიაჩნდათ[54]. 1933 წლისათვის რესპუბლიკის ჩაის პლანტაციების ფართობი აყვანილ იქნა 31 163 ჰექტარამდე, აქედან კოლმეურნეობებზე მოდიოდა —22 427 ჰექტარი, საბჭოთა მეურნეობებზე —8736 ჰექტარი[55]. 1932 წელს დამზადდა 1 609 ტონა ჩაის ნედლეული, ამრიგად, ჩაის ფოთლის დამზადების ზრდა წარმოებდა ახალი პლანტაციების გაშენების და მოსავლიანობის გადიდების გზით. ჩაის ნედლეულის დამზადების ზრდის შესაბამისად, როგორც ამას ჩაის წარმოების განვითარების ხუთწლიანი გეგემა გულისხმობდა, ფართოვდებოდა ჩაის მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო ჩაის ახალი ფაბრიკების მშენებლობისა და მათი გამტარუნარიანობის გადიდება, ჩაის წარმოების ძირითადი პროცესების მექანიზაცია და კვალიფიციური კადრების მომზადება.

ხუთწლედის დასაწყისისათვის სააქციო საზოგადოების „საქართველოს ჩაის“ გამგებლობაში, როგორც აღვნიშნეთ, შედიოდა ექვსი პირველადი გადამუშავების ჩაის ფაბრიკა, რომელთაც ჰქონდათ ძალზე განსაზღვრული სანედლეულო ბაზა. პირველ ხუთწლედში ჩაის კულტურის განვითარების დასახული პროგრამა საფუძვლიანად ცვლიდა ჩაის გადამმუშავებელი მრეწველობის პი-

---

53 მლისფპა, ფონდი 14, საქ. 4201, ფურც. 25.

54 იქვე, საქ. 3809, ფურც. 180.

55 იქვე, საქ. 4201, ფურც. 76.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობებს. ნედლეულის მოცულობის ზრდის მაღალი ტემპები, ახალი რაიონების ჩაბმა და ზოგიერთი შეუსაბამობა მიღებული პროდუქციის მოცულობასა და ახალი პლანტაციების გაშენებას შორის (მეურნეობრივი ეფექტის გვიან მიღების შედეგად) იწვევდა ახალი ჩაის ფაბრიკების მშენებლობის დაგეგმვის ტემპებისა და წარმოებრივი სიმძლავრის აუცილებელ განსაზღვრას. იმ რაიონებში, სადაც შეიქმნა მძლავრი სანედლეულო ბაზა გაითვალისწინეს ახალი ჩაის ფაბრიკების აშენება, ხოლო ზოგიერთი ძველი ფაბრიკების გაფართოება. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა ჩაის ფაბრიკის განლაგებას შემდეგ სახით: აჭარის ასსრ —5 ჩაის ფაბრიკა, 2 000 ტონა სიმძლავრის, მათ შორის 80 ტონა ლაო-ჩაის წარმოებისათვის; მახარაძის რაიონი —4 ჩაის ფაბრიკა, 900 ტონა სიმძლავრის; ლანჩხუთის, ცხაკაიას, ზუგდიდის რაიონებში და აფხაზეთის ასსრ თითო ჩაის ფაბრიკა 550 ტონა საერთო სიმძლავრის[56]. ისე როგორც წინა წლებში, აჭარის ასსრ კვლავ რჩებოდა ჩაის ნედლეულის მსხვილ კონცენტრირებულ რაიონად, სადაც ჩაის წარმოების მაღალი მაჩვენებლების შედეგად ნავარაუდევი იყო მეტი მოცულობის ჩაის ნედლეულის მიღება. ამის შესაბამისად გაითვალისწინეს ჩაის ფაბრიკების სიმძლავრის გადიდებაც.

ჩაის ფაბრიკების მანქანა-დანადგარებით აღჭურვისა და მათი გამტარუნარიანობის გადიდების მიზნით შედგა ოპერატიული გეგმა, რომლის მიხედვით საზღვარგარეთ უნდა შეეძინათ: ინგლისში— 54 დასახელების ჩაის წარმოების მანქანა-დანადგარი; გერმანიაში — ელექტროძრავები და რამდენიმე სახის ელექტროგაწყობილობა, ჩაქვისა და მახარაძის საცდელი სადგურებისათვის ქიმიური პრეპარატები და მეტეოროლოგიური ხელსაწყოები. იმპორტზე გაწეული ხარჯები გეგმით შეადგენდა სულ — 1143888 მანეთს (ოქროთი*).

უკვე 1930 წელს ექსპლოატაციაში შევიდა ჩაქვისა და მახარაძის ახალი ჩაის ფაბრიკები, იმავე წელს მწყობრში ჩადგა ნატანების, ზუგდიდისა და გალის ჩაის ფაბრიკები, მათ მშენებლობაზე სულ დაიხარჯა —1774,4 ათასი მანეთი[57]. მნიშვნელოვნად ფართოვ-

---

[56] მლისფპა, ფონდი 14, საქ. 3532, ფურც. 113.

[57] «საბჭოთა საქართველოს 10 წელი», სტ. კრებული, გვ. 136.

* ამ თანხებში შედიოდა აგრეთვე ჩაის მწარმოებელ ქვეყნებიდან 200 ტონა ჩაის თესლის შეძენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება მახარაძისა და აცანის ძველი ფაბრიკები, მათ გაფართოება-რეკონსტრუქციაზე დაიხარჯა 419,4 ათასი მანეთი. მომდევნო წლებში დამთავრდა ხუცუბნის, სუფსის[58], უშაბათის, მაღალი — ეწერის, ჩოხატაურის, ნიგვზიანისა და დიდიჭყონის ჩაის ფაბრიკების მშენებლობა. პირველი ხუთწლედის დასასრულს რესპუბლიკაში მოქმედებდა 16 ჩაის ფაბრიკა და 4 პირველადი გადამუშავების პუნქტი. ჩაის ფაბრიკების მთლიანი წარმოებრივი სიმძლავრე შეადგენდა 916 ტონას.

1929 წლიდან რესპუბლიკის მანქანათმშენებელმა ქარხნებმა (კალინინის, ორჯონიკიძისა და 26 კომისრების სახელობის) დაიწყეს ჩაის მრეწველობის საჭიროებისათვის ზოგიერთი მანქანა-დანადგარის (მაგ., როლერების) დამზადება. ამ მნიშვნელოვანი ფაქტის შესახებ აღინიშნა საქართველოს კომპარტიის 11 პლენუმზე (1929 წ. 20 ოქტომბერი). ამრიგად, 1929 წლიდან საფუძველი ჩაეყარა კვების მრეწველობას და მათ შორის ჩაის ნედლეულის გადამმუშავებელი რთული მანქანა-დანადგარების ათვისება-წარმოებას.

რესპუბლიკის „მეტალოტრესტში" შემავალმა ქარხნებმა 1931 წელს დაამზადეს ჩაის მრეწველობის დაკვეთით 70 000 მანეთისა და 1932 წელს — 100 000 მანეთის ღირებულების მანქანა-დანადგარები. ამით მცირდებოდა ფაბრიკებისათვის საზღვარგარეთიდან მანქანა-დანადგარების შემოტანა და მასთან დაკავშირებით ვალუტის ხარჯვაც; თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 1929 წლიდან საქართველოში იწყება ახალი ჩაის ფაბრიკების მშენებლობა, ძველი ფაბრიკების გაფართოება-რეკონსტრუქცია, რისთვისაც წლითიწლობით იზრდებოდა საზღვარგარეთიდან გამოწერილი მანქანა-დანადგარების რაოდენობა, მაშინ გასაგები გახდება ის დიდი მნიშვნელობა, რაც ენიჭება სამეურნეო წარმოებების მიერ ჩაის ტექნოლოგიურ გაწყობილობათა გამოშვებას[59]. ამავე პერიოდში შეწყდა საზღვარგარეთიდან ჩაის თესლის შემოტანა, რადგან იგი ადგილზე უკვე საკმარისი რაოდენობით მზადდებოდა, ეს ფაქტი მეტყველებს მეთესლეობის მეურნეობების განმტკიცებაზე.

---

[58] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", სტატ. კრებული, გვ. 146.

[59] მლისფპა, ფონდი 14, საქ. 4201, ფურც. 29.

მნიშვნელოვნად გაფართოვდა ჩაის მრეწველობის დამხმარე მეურნეობა. სამტრედიაში, ზუგდიდსა და ოზურგეთში შეიქმნა მექანიკური სახელოსნოები, რომლებიც დიდ მუშაობას ასრულებდნენ ჩაის ფაბრიკების გაფართოება-რეკონსტრუქციის ახალი გაწყობილობის მონტაჟის და სათადარიგო ნაწილების დამზადებისათვის. ბევრი რამ გაკეთდა ჩაის ფაბრიკების ენერგეტიკული ძალდანადგარებით უზრუნველყოფისათვის, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ იყო საკმაოდ მტკიცე და ხშირად წარმოადგენდა ჩაის ზოგიერთი ფაბრიკის მოცდენის ძირითად მიზეზს. ჩაის სანედლეულო ბაზის ზრდის შესაბამისად მკვეთრად იზრდებოდა ჩაის მრეწველობის პროდუქცია.

ცხრილი 14

ჩაის პროდუქციის დინამიკა 1928—1933 წწ.[60]

წლები	გამოშვება (ტონობით)			
	ბაიხის ჩაი	დაბალი ხარისხის ჩაი	მწვანე აგურა ჩაი	ჯამი
1928	221,9			
1929	284,6			
1930	314,5			
1931	290,6		71,0	361,6
1932	396,6	121,4	136,6	654,6
1933	757,9	631,0	109,0	1497,9

1933 წელს ბაიხის ჩაი 1928 წელთან შედარებით გამოუშვეს 3,5-ჯერ მეტი, ხოლო აგურა ჩაი 1931 წელთან შედარებით 1,7-ჯერ მეტი.

ჩაის მრეწველობის მკვეთრი აღმავლობის პირობებში არ შეიძლება ყურადღების გარეშე დარჩენილიყო ჩაის მწვანე ფოთლის გადამუშავების ტექნოლოგიის გაუმჯობესების და ჩაის ახალი ასორტიმენტის მიღების მეთოდის დადგენა, ამასთან რენტაბელო-

---

[60] საქართველოს სსრ ცსა, (თბილისი), ფონდი 1619, ანაწ. 3, საქ. 482, ფურც. 35.

ბის განსაზღვრის მიზნით მათი წარმოების ორგანიზაციის საკითხების შესწავლა.

ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს ინჟინერ-მექანიკოსის გრიმის მოხსენება ტექნიკური კომისიის თათბირზე (22 სექტემბერი 1931 წ.), სადაც მონაწილეობას იღებდნენ პროფესორები ანდრეევი, კოპიევი და სხვა. ჩაის ტექნოლოგიის სპეციალისტების თათბირზე გამოირკვა, რომ ლაო-ჩაის (აგურა ჩაის) ჩინური მეთოდით აქამდე წარმოებული ცდები არ იყო რენტაბელური, რადგან ერთ გიდრავლურ საწნეხზე — ოთხი მუშის დახმარებით ცვლაში (8 საათში) შესაძლებელია მაქსიმალურად 240 აგურა ჩაის მიღება, ე. ი. საათში 30-ის, ხოლო სამ ცვლაში 720-ის, საბჭოთა კავშირის საერთო მოთხოვნილება კი შეადგენდა დაახლოებით 6 მლნ. ამ მოთხოვნილების უზრუნველსაყოფად აგურა ჩაის ასეთი წესით წარმოებისათვის საჭირო იყო 30 ჰიდრავლური საწნეხი და დიდი მუშათა შტატი (260 კაცზე მეტი), რაც გარკვეულ გავლენას ახდენდა მზა პროდუქციის თვითღირებულებაზე[61].

გაცილებით მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტს იძლეოდა ამ პერიოდში აგურა ჩაის დაპრესვისა და მისი ხარისხობრივი თვისებების გაუმჯობესების მიზნით ბარკალაიას მიერ დაწყებული ცდები[62].

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ჩაის ფოთლის ღნობის ტექნოლოგიაში. თუ წინათ ღნობის პროცესი მიმდინარეობდა 18—24 საათი (უამინდობის შემთხვევებში უფრო მეტი ხანიც ჭირდებოდა ცემენტის ფართობზე, შემდეგ კი პრიმიტიულ თაროებზე), ახლა ინჟ. მარდალეიშვილის ინიციატივით პირველად საბჭოთა კავშირში, აითვისეს ხელოვნური ღნობა სპეციალური აგრეგატებით. ამ მეთოდით შესაძლებელი გახდა ღნობის პროცესის შემცირება 6—8 საათამდე, მასთან ერთად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ჩაის ხარისხი. 1933—1934 წწ. ინჟ. მარდალეიშვილის წინადადების წარმოებაში დანერგვის მიზნით სათანადოდ გადაკეთდა სალიბაურისა და ბობოყვათის ჩაის ფაბრიკების საამქროები, აგრეთვე შეიქმნა მექანიზაციის ჯგუფი, რომელსაც დაევალა ახალი ნოვატორული

---

[61] საქართველოს სსრ ცსა, (თბილისი), ფონდი 1619, ანაწ. 3, საქ. 82, ფურც. 1—2.

[62] ი ქ ვ ე, ფურც. 35—36.

წინადადების განხორციელებისათვის ყოველმხრივი ხელის შეწყობა[63].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღნობის ახალი სისტემა შეიმუშავა აგრეთვე ინჟ. ე. ვ. შენგერმა, მასზე ცდები ჩაქვის ჩაის ფაბრიკაში მიმდინარეობდა, მაგრამ დამტკიცდა, რომ მარდალეიშვილის აგრეგატთან შედარებით იგი ნაკლებად ეფექტური იყო.

ჩაის მრეწველობის სწრაფი განვითარება აიძულებდა „საქართველოს ჩაის" ტრესტს გულდასმით განეხილა ჩაის ახალი ტიპის ფაბრიკების მშენებლობის საკითხი, რადგან ძველი ინგლისური ტიპის ჩაის ფაბრიკებს ამ ეტაპზე აღარ შეეძლო სოციალისტური მშენებლობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. აქ მთავარი ის იყო, რომ ზოგიერთი სამუშაო პროცესები (ღნობა, ნედლი მასალისა და მზა პროდუქციის დატვირთვა-გადმოტვირთვა და სხვ.) არ იყო მექანიზებული, ამასთან ხშირად ირღვევოდა წარმოების სტანდარტი.

ბაიხის ჩაის წარმოების ტექნოლოგიის რადიკალური შეცვლის მიზნით ე. შენგერმა შეადგინა ახალი ტექნოლოგიური მეთოდი და მასთან ერთად სრულიად ახალი ჩაის ფაბრიკის ტიპი. პროექტის წინასწარი გაცნობით ჩანდა, რომ მნიშვნელოვნად მცირდებოდა ფაბრიკების მშენებლობის მოცულობა, დაზოგილი იქნებოდა დიდი თანხები და საამშენებლო მასალა, გაუმჯობესდებოდა ჩაის ხარისხი, რადგან ხელოვნური რეჟიმის დაწესებით ყველა საამქრო ერთნაირი ზომით მიიღებდა მათთვის საჭირო ჰაერს.

1933 წელს ტრესტმა გამოჰყო სათანადო სახსრები ახალი ტიპის ჩაის ფაბრიკის ტექნიკური პროექტის შესადგენად. ჩაის მრეწველობის სამმართველომ შეადგინა ჩაის ფაბრიკების მექანიზაციის ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა თვით ე. შენგერი, ხოლო წევრებად სამი ინჟინერი[64].

ამავე წელს ინჟ. ი. ნიკონოვის წინადადებით მნიშვნელოვნად უმჯობესდება ჩაის დახარისხების მექანიზაცია.

ჩაის ტექნოლოგიური პროცესებისა და წარმოების მექანიზაციის თითქმის ყველა სფეროში მრავალი საინტერესო ღონისძიება

---

[63] საქართველოს სსრ ცსა, (თბილისი), ფონდი 1619, ანაწ. 3. საქ. 487, ფურც. 7—30.

[64] ი ქ ვ ე, ფურც. 27—28.

ისახება, დასმულმა საკითხებმა, რომელთა დანერგვა მაშინ ბიუროთეკა მოხერხდა, თავისი გამოხატულება ჰპოვა მომდევნო ხუთწლედში.

ჩაის მრეწველობის განვითარება ბუნებრივია იწვევდა დასაქმებული მუშაძალის რაოდენობრივ და თვისობრივ ცვლილებებს. 1931 წელს ჩაის 12 ფაბრიკაში მუშაობდა 500-მდე კაცი, ხოლო ხუთწლედის დასასრულს მუშათა რიცხვმა მიაღწია 1 000-ს. ყველაზე მსხვილ ჩაის ფაბრიკებს კვლავ წარმოადგენდნენ ჩაქვის № 1 და № 2 ფაბრიკა, სადაც თითოეულ ფაბრიკაში მუშაობდა დაახლოებით 125 კაცი. მუშათა რაოდენობა დამოკიდებული იყო ფაბრიკის ტიპზე.

ჩაის ფაბრიკების მუშათა უმრავლესობას წარმოადგენდნენ ადგილობრივი მცხოვრებნი. დიდი ცვლილებები მოხდა მუშათა საერთო განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში. თუ წინათ ჩაის ფაბრიკის მუშათა შორის იშვიათად შეხვდებოდით წერა-კითხვის მცოდნეს, ახლა მათი უმრავლესობა საშუალო და საშუალო სპეციალური განათლებით იყო. ადგილობრივ მცხოვრებთაგან მრავალი მუშაობდა ინჟინერ-მექანიკოსად, ტექნოლოგად, ტიტესტერად, საამქროების უფროსად, ბრიგადირად და ლაბორანტად.

ჩაის ფაბრიკები შენდებოდა მოხერხებულ და ამასთან ტრანსპორტისათვის მისადგომ ადგილებზე, გაიყვანეს გზები, აიგო ხიდები. უფრო კეთილმოწყობილი შეიქმნა მუშათა საცხოვრებელი უბნები და ჩაის ფაბრიკების კარმიდამო.

წლითიწლობით მატულობდა სახელმწიფო ასიგნების მოცულობა მუშა-მოსამსახურეთა საბინაო მშენებლობაზე, მათ ჯანმრთელობასა და კულტურულ მომსახურებაზე. უკეთესი ყოფაცხოვრებითი პირობები შეექმნათ ჩაის საბჭოთა მეურნეობების მუშებს, წინათ ჩამორჩენილი კოლმეურნეობები გახდნენ მოწინავენი, ზოგი მათგანი კი მილიონერი. საკმარისია ითქვას, რომ 1933 წელს მეჩაიეობის რაიონებში აშენდა 73 საცხოვრებელი სახლი, 2 ბავშვთა ბაგა, 2 ამბულატორია და აფთიაქი, 3 აბანო, 14 სასადილო-სამზარეულო, 4 საცხობი, 6 კოოპერატიული მაღაზია და ფარდული, სულ 110 ობიექტი, რომლის ფართობი შეადგენდა 82,1 ათას კუბ. მეტრს[65].

---

[65] საქართველოს სსრ ცსა, (თბილისი), ფონდი 1619, ანაწ. 3. საქ. 482, ფურც. 6—7.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

პირველი ხუთწლედის გეგმის წარმატებით შესრულებამ, რომელმაც უზრუნველყო სოციალისტური ეკონომიკის საფუძვლის შექმნა-განმტკიცება, მოამზადა პირობები სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის დამთავრებისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის. მეორე ხუთწლედში დაისახა სახალხო მეურნეობის სოციალისტური ეკონომიკის განვითარების კიდევ უფრო დიდი გრანდიოზული გეგმა ვიდრე პირველ ხუთწლედში. მნიშვნელოვნად იზრდება სახალხო მეურნეობაში კაპიტალური დაბანდების მოცულობა. სახალხო მეურნეობაში მთელი კაპიტალდაბანდების 37,8 პროცენტი მრეწველობას უნდა მოხმარებოდა, მათ შორის კვების მრეწველობას და მის ახალ დარგს — ჩაის მრეწველობას დიდი ადგილი ეთმობოდა.

მეორე ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ჩაის არსებული პლანტაციების მოვლა-დამუშავებას, სასუქების შეტანას, ჩაის ფოთლის კრეფის აგროტექნიკური წესების დაცვას და ამ გზით მოსავლიანობის გადიდებას, ამიტომ ახალი ხუთწლიანი გეგმით შედარებით მცირდებოდა ჩაის ახალი პლანტაციების გაშენების ტემპები. ამასთან ერთად გეგმა ითვალისწინებდა ჩაის წარმოების განვითარების გეგმურობას და მის მტკიცედ დაცვას, საბჭოთა სათანადო ორგანოების ოპერატიული მუშაობის უფრო გაძლიერებას და ურთიერთშემთანხმებლობას, რაც ადრე ხშირად ირღვევოდა. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მეჩაიეთა რაიონებისათვის პურის შემოზიდვის საკითხების მოწესრიგებას. ამიერკავკასიასა და საქართველოში ჩაის წარმოების შემდგომი განვითარების შესახებ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ 1933 წლის 29 ივლისსა და 1934 წლის 15 ივნისში მიღებული დადგენილებები უდიდეს საბრძოლო ამოცანებს უსახავდნენ საქართველოს პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს[66]. რესპუბლიკის მშრომელებმა მეორე ხუთწლედის პირველივე წლებში მოიპოვეს მნიშვნელოვანი წარმატებები. 1935 წელს ჩაის ფართობი ყველა სექტორში უდრიდა 34 ათას ჰექტარს. ჩაის პლანტაცია ჰქონდა 830 კოლმეურნეობას, რომლებიც აერთიანებდნენ 64 ათასზე მეტ გლე-

---

[66] მლისფპა, ფონდი 14, საქ. 5388, ფურც. 139.

ხურ მეურნეობას[67]. ყველა სექტორის მიხედვით ჩაის ფოთლის დამზადების დინამიკა ჩანს შემდეგი მონაცემებით (იხ. ცხრ. 15).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 15

ჩაის მწვანე ფოთლის ჩაბარება ჩაის ფაბრიკებში სექტორების მიხედვით (კილოგრამობით)[68]

წლები	საბჭოთა მეურნეობები	კოლმეურნეობები	ერთპიროვნული მეურნეობები	სხვადასხვა ორგანიზაციები	სულ
1934	1362400	3625400	1524800	127100	6639700
1935	2606000	7387100	2289500	334000	12676600

ამრიგად, 1934 წელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა ჩაის ნედლეულის მოცულობა (90,9%-ით), თითქმის ორჯერ გაიზარდა სოციალისტური სექტორის ხვედრიწონა, რაც 1935 წელს შეადგენდა 81,9%-ს წინააღმდეგ 77%-ისა—1934 წელს.

მეორე ხუთწლედის დასასრულს (1937 წ.) საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებში დამზადდა 7212 ტონა ჩაი, ხოლო კოლმეურნეობებში — 20 099 ტონა, სულ 27 311 ტონა ჩაის ნედლეული[69]. მეჩაიეთა რაიონების სურსათით მომარაგების და სხვა წამხალისებელ ღონისძიებათა შედეგად ჩაის კულტურა გავრცელდა დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ ახალ რაიონებში. ჩაის პლანტაციების ფართობის გადიდებასთან ერთად გაიზარდა ერთ ჰექტარზე ჩაის მწვანე ფოთლის მოსავალი და იგი კგ-ით უდრიდა: 1934 წელს —1123, 1925 წელს —1434, 1936 წელს —1625, 1937 წელს —2120[70]. მეორე ხუთწლედის დასასრულს რესპუბლიკის ჩაის წარმოება კიდევ უფრო მეტად დამკვიდრდა სოფლის მეურნეობაში, განმტკიცდა ჩაის ნედლეულის ბაზა, რომლის კვალობაზე განუხრელად იზრდებოდა ჩაის მზა პროდუქციის გამოშვება.

---

[67] საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1961, პროფ. პ. გუგუშვილის რედ. გვ. 302—303.

[68] მლისფპა, ფონდი 14, საქ. 6061, ფურც. 91.

[69] ი. ო რ ა ბ ვ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 37—38.

[70] ა. ფ ა ც უ რ ი ა, „ჩაის კულტურა და მისი პერსპექტივა საქართველოს სსრ-ში“. ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1947, გვ. 84.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ხუთწლედის პირველ წლებში შეიმჩნეოდა ჩაის ზოგიერთი ფაბრიკის წარმოებრივი სიმძლავრის დაბალი დონე. განსაკუთრებით ეს ითქმის ისეთი რაიონების ჩაის ფაბრიკებზე, სადაც ნედლეულის ზრდის ტემპი უსწრებდა მათ წარმოებრივ სიმძლავრეს. ამრიგად, ჩაის ახალი ფაბრიკების მშენებლობასთან ერთად გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა ჩაის ზოგიერთი ფაბრიკის წარმოებრივი სიმძლავრის გადიდება, მათი ხელახლად გაფართოება-გადაკეთება, აგრეთვე ენერგეტიკული ბაზის განმტკიცება. უმთავრესად ყურადღება გამახვილდა ჩაის ისეთ ფაბრიკებზე, სადაც არ იყო მუდმივი ელექტროენერგია და დამოკიდებული იყვნენ პრიმიტიულად მოწყობილ ელექტროძრავების მეურნეობაზე. ამ მიმართულებით წარმოებული მუშაობის მასშტაბზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1934—1935 მეურნეობრივ წელს „საქჩაის“ ტრესტის მიერ ჩაის ფაბრიკებში დაიდგა ახალი და შეკეთდა ძველი (110-მდე) ძრავა-დანადგარი; მიმდინარეობდა ჩაის 4 ახალი ფაბრიკის მშენებლობა, ჩაის 10 ფაბრიკის თითქმის ყველა საამქრო საფუძვლიანად გადაკეთდა, აშენდა აგრეთვე ჩაის ფოთლის პირველადი გადამუშავების პუნქტი (ჩხოროწყუ, ოჩამჩირე, ახალი ბული და ოკრიბა).

ამ პერიოდში 17 ჩაის ფაბრიკის და პირველადი გადამუშავების პუნქტების ტექნიკური აღჭურვილობა შემდეგი სახით წარმოგვიდგება (იხ. ცხრ. 16).

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ ჩაის წარმოების ძირითადი ტექნოლოგიური პროცესები უმთავრესად ძველი კონსტრუქციის მანქანა-დანადგარებით სრულდება, თუმცა შეიმჩნევა როგორც ზოგიერთი მანქანის მოდერნიზაცია, ისე ახალი მაღალწარმოებრივი გაწყობილობების დანერგვა (საღნობი კამერა). საქართველოს ჩაის მრეწველობის ძირითად გაწყობილობათა თვისობრივი ცვლილებები მიმდინარეობს კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობის მოცულობის ზრდის შესაბამისად.

საქართველოს ჩაის მრეწველობა დიდ სიძნელეებს განიცდიდა ენერგეტიკული ძალდანადგარების მეურნეობის მოუწესრიგებლობის გამო. უმთავრესად ეს გამოიხატებოდა ძალოსნური და ელექტროტექნიკური აღჭურვილობის ნაკლებობით, რის გამო ჩაის ფაბრიკები არ მუშაობდნენ სრული დატვირთვით ან მუშაობდნენ ჩაის ნახევარფაბრიკატის დამზადებაზე. 1935 წელს, როდესაც მო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხრილი 16

ტრესტ „საქართველოს ჩაის“ ფაბრიკების ძირითადი გაწყობილობა
და მათი თვისებრივი ცვლილება (1934 წლის 20 მაისისათვის)[71]

გაწყობილობათა დასახელება	რაოდენობა		
	ძველი	ახალი	სულ
1. საგრეხი როლერი	90	49	139
2. მწვანე დამახარისხებელი	24	13	27
3. სახმობი ღუმელი	18	8	26
4. დამახარისხებელი მანქანა „სიროკო“	22	18	40
5. დამახარისხებელი მანქანა „მედჯიკი“	7	11	18
6. გამხმარი ჩაის საჭრელი მანქანა („ბარტ-ლეტით“)	9	2	11
7. საკუპაჟო დოლურა	7	5	12
8. საბეკნი მანქანა	7	3	10
9. სანიავებელი	6	3	9
10. კოლორიფერი	—	2	2
11. როლერი	1	—	1
12. საღნობი კამერა	1	5	6

სალოდნელი იყო ჩაის ნედლეულის დიდი რაოდენობით მიღება, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის კომისიამ შეამოწმა ჩაის ფაბრიკების მზადყოფნის საკითხი, გამოირკვა, რომ ფაბრიკები ძალიან მწვავედ განიცდიდნენ ძალოსნურ და ელექტროტექნიკური გაწყობილობების უქონლობას. პარტიის ცკ-ის დადგენილებით (1935 წ. 5 აპრილი)[72], ჩაის ნედლეულის შეუფერხებლად გადამუშავების მიზნით, ადგილობრივი რესურსების გამონახვით პირველ რიგში უნდა უზრუნველეყოთ როლერებისა და ღუმელების შეუჩერებლივი მუშაობა. ჩაის ფაბრიკებში გაიგზავნა, როგორც „საქართველოს ჩაის“ ტრესტის, ისე პარტიის აპარატის მუშაკები. მათ ევალებოდათ პარტიის საოლქო კომიტეტებისა და რაიკომების დახმარებით გაეწიათ ხელმძღვანელობა ჩაის ნედლეულის დამზადებისა და ჩაის ფაბრიკებში მისი დაუბრკოლებლად გადამუშავებისათვის. გაზ. „კომუნისტს“ დაევალა ყოველ ხუთდღიურში ვამოექვეყნები-

---

[71] საქართველოს სსრ ცსა, (თბილისი), ფონდი. 1619, ანაწ. 3, საქ. 459, ფურც. 1—12.

[72] მლისფპა, ფონდი 14, საქ. 5388, ფურც. 57.

ნა საქართველოს სსრ მიწამთოქმედების სახალხო კომისარიატის ცნობა რესპუბლიკაში ჩაის წარმოების მიმდინარეობის შესახებ. ამავე წლის მაისში საქართველოს კპ ცკ-მა პლენუმზე განიხილა ჩაის მეურნეობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარების საკითხები. პლენუმზე დასახულმა ღონისძიებებმა უზრუნველყვეს ჩაის უხვი მოსავლის მიღება და მისი დროულად გადამუშავება. ამ წარმატების მოპოვებაში, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ჩაის ფაბრიკების ტექნიკურ აღჭურვას, ჩაის სანედლეულო ბაზის შესაბამისად მათი სიმძლავრის მატებას. იმ რაიონებში, სადაც სათანადოდ განმტკიცდა ჩაის სანედლეულო ბაზა, ჩაის ახალი ფაბრიკებისა და პირველადი გადამუშავების პუნქტების შენება დაიწყეს. ეს პუნქტები მხოლოდ ნახევარფაბრიკატს უშვებდნენ და საბოლოო დამუშავებისათვის უახლოეს ჩაის ფაბრიკებს აბარებდნენ. დიდი წარმოებრივი სიმძლავრით გამოირჩეოდა ჩაქვის (1000 ტონა), ზუგდიდის (1500 ტონა) და მახარაძის (1400 ტონა) ჩაის ფაბრიკა.

მეორე ხუთწლედის ბოლოსათვის ჩაის ფაბრიკების ქსელით მოცული იყო დასავლეთ საქართველოს მეჩაიეობის თითქმის ყველა ძირითადი რაიონი. 1932—1937 წლებში რესპუბლიკაში სულ აშენდა ჩაის 19 ახალი ფაბრიკა. ამრიგად, მეორე ხუთწლედის დასასრულს ჩაის ფაბრიკების რაოდენობამ რესპუბლიკაში მიაღწია 34-ს, რომელთა საერთო სიმძლავრე შეადგენდა 28 505 ტონას[73]. ჩაის ფაბრიკებისა და მათი სიმძლავრის ზრდა, უწინარეს ყოვლისა დამოკიდებული იყო კაპიტალდაბანდების რაოდენობაზე. მეორე ხუთწლედისა და მესამე ხუთწლედის ომამდელი წლების მანძილზე საქართველოს ჩაის მრეწველობაში დაბანდებულ იქნა 141,9 მილიონი მანეთი (ფაქტიური ღირებულებით, ლიმიტის გარეშე დაბანდებისა და კაპიტალური რემონტის ჩათვლით)[74].

ჩაის ფაბრიკების ახალი მძლავრი ტექნიკით აღჭურვისა და საერთოდ ჩაის წარმოების მრეწველური ბაზისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ბათუმის ჩაის მანქანათმშენებელი ქარხნის

---

[73] ი. ო რ ა გ ვ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

[74] ი. ბ ა ჯ ა ძ ე, წარმოებისა და შრომის ორგანიზაცია საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობაში და მისი გაუმჯობესების საკითხები, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი, ფონდი 66, გვ. 27.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ ჩაის გადამუშავების ძირითადი ტექნოლოგიური პროცესებისათვის განკუთვნილ მანქანა-აწყობილობის ათვისებას.

1935 წელს ბათუმის მანქანათმშენებელმა ქარხანამ ჩაის ფაბრიკებს მიაწოდა ისეთი რთული მანქანები, როგორიცაა დამხარისხებელი „მედჯიკი", ჩაის საჭრელი „ბარტლეტი", კუპაჟის დოლი, კალორიფერი, სხვადასხვა სისტემის როლერები და სხვა დასახელების აწყობილობა[75]. ჩაის ფაბრიკების ახალი მანქანა-დანადგარების ხვედრმა წონამ ძველთან შეფარდებით თანდათანობით იმატა, რაც ჩანს ჩაის ფაბრიკების ტექნიკური აღჭურვის ზემოთ მოტანილი მონაცემებიდან (იხ. ცხრილი 16).

ცხრილი 17

ცნობები ბათუმის ჩაის მანქანათმშენებელი ქარხნის პროდუქციის გამოშვების შესახებ (1937 წლის მონაცემებით)[76]

პროდუქციის დასახელება	ზომის ერთეული	გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა	პროდუქციის თვითღირებულება (მანეთობით 1926/27 წწ. უცვ. ფასებში)	ყველა გამოშვებული პროდუქციის ღირებულება (მანეთობით)
როლერი „ბეევერ დარლინგი"	ცალი	1	18000	18000
როლერი ღია ტიპის	„	19	18000	342000
მწვანე დამხარისხებელი	„	10	6000	60000
ჩაისაჭრელი „ბარტლეტი"	„	9	10000	9000
რედუქტორი როლერისათვის		78	3500	273000
ჩაის საშრობი ღუმელი		6	62400	374400
ჩაის საჭრელი „მარშალი"		7	5000	35000
კუპაჟის დოლი „სავიდჟი"		6	16000	99000
საბეკნი მანქანა		4	2300	9200
კალორიფერი		1	45000	45000
ჩაის მანქანების სათადარიგო ნაწილები	ათ. მან.	—	—	83500
ექსპერიმენტალური მანქანები	„	—	—	237559
სულ	—	—	—	666659

[75] მლისფპა, ფონდი 14, საქ. 5913, ფურც. 8.

[76] საქართველოს სსრ ცსა (თბ.), ფონდი 1619, ანაწ, 3, საქ. 1107, ფურც. 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1937 წელს ტრესტ „საქჩაის“ დაქვემდებარებაში გადასულ ბათუმის ჩაის მანქანათმშენებელი ქარხანა, რომელიც სპროექტო სიმძლავრის ათვისების შემდეგ შეძლებდა არა მარტო საქართველოს, არამედ აზერბაიჯანისა და აზოვ-შავიზღვის მხარის (ამჟამად კრასნოდარის მხარის) ჩაის გადამამუშავებელი მრეწველობის საჭირო მანქანა-გაწყობილობით დაკმაყოფილებას.

1937 წელს ბათუმის ჩაის მანქანათმშენებელმა ქარხანამ ჩაის მრეწველობას მისცა შემდეგი დასახელებისა და ღირებულების მანქანა-დანადგარები (იხ. ცხრილი 17).

ცხრილი 18

ჩაის მრეწველობის წარმოების ძირითადი საშუალებებისა და მათი ხვედრიწონის დინამიკა[77]

მაჩვენებლები	ზომის ერთეული	1932	1937
ჩაის მრეწველობის ძირითადი ფონდების ღირებულება	მლნ. მან.	7,1	54,9
მათი ხვედრიწონა საქ. მსხვილი მრეწველობის ძირითადი წარმოების ფონდში	%-ით	3,0	6,2
მათი ხვედრიწონა კვების მრეწველობის ძირითადი წარმოების ფონდში	„	44,0	35,0

ამგვარად, ქარხანა ამზადებს თითქმის ყველა საჭირო გაწყობილობას ჩაის მრეწველობისათვის, მაგრამ ჯერ კიდევ მათი გამოშვების რაოდენობა ნაკლებია, აქ მთავარი ისაა, რომ ჩაის მანქანა-გაწყობილობის საკუთარი წარმოების შექმნით შეწყდა საზღვარგარეთიდან მათი შემოტანა.

ზემოაღნიშნული ფაქტორების (გაღებულ კაპიტალდაბანდებათა, ჩაის ფაბრიკებისა და მათი სიმძლავრის ზრდა) ზემოქმედების შედეგად მკვეთრად იზრდება ჩაის მრეწველობის წარმოებითი აპარატი, წარმოების ძირითადი საშუალებანი.

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ ჩაის მრეწველობის ძირითადი წარმოებითი ფონდების ზრდის ტემპები მნიშვნელოვნად მაღალია,

---

[77] საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ეკონომიკის და სამართლის ინსტიტუტი, ფონდი 66, გვ. 28.

ვიდრე მსხვილი მრეწველობის და კვების მრეწველობის ძირითადი წარმოებითი ფონდები. ჩაის მრეწველობის წარმოებითი აპარატის ზრდასთან ერთად მკვეთრად გადიდდა ჩაის მრეწველობაში დასაქმებული მუშების საშუალო-წლიური რაოდენობა. ჩაის ყველა ფაბრიკის მუშათა რიცხვი 1937 წელს აღწევდა 1681 კაცს. „მუშების რაოდენობის ასეთ ზრდასთან ერთად განუხრელად იზრდებოდა წარმოებითი აპარატით მათი შეიარაღებულობა. ჩაის მრეწველობის თითოეულ მუშაზე მოდიოდა წარმოების ძირითად საშუალებათა ღირებულება: 1928 წელს—4,8 ათასი მანეთი, 1932 წელს—20,7 ათასი მანეთი, 1937 წელს—32,7 ათასი მანეთი“[78], ამრიგად, 1928 წლიდან 1937 წლამდე ეს მაჩვენებელი გაიზარდა 7-ჯერ.

მეორე ხუთწლედის გეგმურ დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა სათანადო კადრების მომზადებას და სოციალისტური შეჯიბრებების მასობრიობას. 1933 წლის დასასრულს სოციალისტურ მოძრაობაში ჩაება მთელი რესპუბლიკის მუშა-მოსამსახურეთა 80%. სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად ჩაის მრეწველობაშიც განუხრელად იზრდება სოციალისტური შეჯიბრება, რაციონალიზატორ-გამომგონებელთა და სტახანოველთა მოძრაობა. სტახანოველთა საკავშირო თათბირის შემდეგ ჩაქვის ჩაის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა წერილით მიმართა ჩაის ყველა ფაბრიკის დირექტორებსა და სპეციალისტებს, რომ ჩაის ფაბრიკა უარს ამბობს 5 როლერზე, 1 დამხარისხებელ და 1 ჩაის დასაჭრელ მანქანაზე, 12 ელექტროძრავზე და ზოგიერთ გაწყობილობაზე, რომლებიც უნდა დაედგათ ჩაქვის ჩაის ფაბრიკაში. ყოველივე ამას, წინასწარი გამოანგარიშებით, უნდა მოეცა დაახლოებით 213000 მანეთის ეკონომია, ამავე დროს საროლერო საამქროს გაფართოების და ელექტროძრავებზე უარის თქმით დარჩებოდა ეკონომია 70000 მან.

1935 წლის 3 ნოემბერს ჩაქვში შედგა აჭარის ასსრ ჩაის წარმოების მუშაკთა შეკრება, სადაც დემონსტრირებულ იქნა სტახანოველთა მიღწევები.

1936 წლის მარტის მეორე ნახევარში ბათუმში ჩატარდა დარგობრივი კონფერენცია, სადაც განიხილეს ჩაის წარმოების ისეთი

---

[78] საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ეკონომიკის და სამართლის ინსტიტუტი, ფონდი 66, გვ. 29, 30.

საკითხები, როგორიცაა: ჩაის ფაბრიკების სიმძლავრისა [illegible] მების გადასინჯვა, რაციონალიზატორ-გამომგონებლებისა და სტა-ხანოველთა მოძრაობა, ადრე დადგენილ ჩაის ნედლეულის არა-თანაბარი ჩაბარების სადღეღამისო კოეფიციენტის შემცირება და სხვა საკითხები[79]. კონფერენციამ შეიმუშავა რეკომენდაციები, რომლებიც შემდეგ დაინერგა ჩაის მრეწველობაში. კონფერენციამ განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება სტახანოვური მოძრაობის გაძლიერების საკითხებზე.

1936 წლისათვის ჩაის მრეწველობის მუშათა დიდი რაოდენობა ირიცხებოდა სტახანოველთა რიგებში, რომლებიც ცვლის ნორმებს ასრულებდნენ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით, ზოგან სარეკორდო გადაჭარბებითაც კი. ჩაის ცალკეული ფაბრიკის მიხედვით სტახანოველთა რაოდენობა წარმოგვიდგება შემდეგნაირად: სალიბაურის —14 კაცი, ჩაქვის —9, ხუცუბანის — 6, ქობულეთის —5, ნატანების —12, შრომის —9, ლაითურის —2, მახარაძის —11, მაღალი ეწერის—11, ნასაკირალის—1, სუფსის—2, ჩოხატაურის—4, დიდი ჭყონის № 1—4, ზუგდიდის —12, ნარაზენის —5, წალენჯიხის —3, ჩხოროწყუს —7, გალის —1, აჩიგვარის —1, მოქვის —2, ნიგვზიანის — 2, წულუკიძის — 2, აცანას — 8. 1937 წლისათვის კი ჩაის მრეწველობაში დასაქმებულ მუშათა საერთო რაოდენობიდან 40%-ს წარმოადგენდნენ სტახანოველები.

ჩაის მრეწველობის მუშათა შრომის აქტივობისა და განსაკუთრებით სტახანოველთა გაშლილი მოძრაობის შედეგად უმ[illegible]ბესდება წარმოების ორგანიზაცია, რაც უზრუნველყოფს შრომის მწარმოებლურობის მკვეთრ ამაღლებას. მეორე ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა კადრების კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებას. კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით კურსებზე მომზადება გაიარეს ჩაის ოსტატებმა, ტიტესტერებმა, ლაბორანტებმა, ელექტროძრავების მუშებმა, აღმრიცხველებმა და სხვა სახის მომუშავეებმა; მიუხედავად ამისა, ჩაის მრეწველობა ამ პერიოდისათვის განიცდიდა კვალიფიციური კადრების მწვავე ნაკლებობას. ასე მაგალითად, 1935 წელს გეგმით ჩაის ფაბრიკებში

---

[79] მლისფპა, ფონდი 14, საქ. 5913, ფურც. 163.

[80] საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ეკონომიკის და სამართლის ინსტიტუტის ფონდი 66, გვ. 32.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა ემუშავა 1552 კაცს, ფაქტიურად მუშაობდა 1409 კაცი. წარმოებებს აკლდა 106 ინჟინერი და ტექნიკი, 19 მუშა, 18 მოსამსახურე, სულ 143 კაცი. ამ მხრივ მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორდა მომდევნო წლებში.

ჩაის გადამმუშავებელი ტექნოლოგიის განუწყვეტელი სრულყოფის შედეგად მეორე ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაიზარდა მზა პროდუქციის ხარისხის მოცულობა, ჩაის ფაბრიკები უმეტესად ამზადებდნენ I და II ხარისხის ჩაის.

1937 წელს თბილისში დაიწყო საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უდიდესი ჩაის გადამწონი ფაბრიკის მშენებლობა. ამავე წლიდან დაიწყო მწვანე ბაიხის ჩაის წარმოება. მწვანე ჩაის წარმოებაზე ჯერ გადაიყვანეს ნატანების ჩაის ფაბრიკა, შემდეგ კი ბობოყვათის, მაღალი ეწერისა და ხუცუბნის ჩაის ფაბრიკები. ნატანების ჩაის ფაბრიკამ პირველსავე წელს დაამზადა 113 ტონა მწვანე ბაიხის ჩაი, მომდევნო წლებში კიდევ უფრო გაიზარდა მწვანე ბაიხის ჩაის წარმოება და ფაბრიკების რაოდენობა.

მომზადდა სათანადო პირობები მწვანე აგურა ჩაის მასობრივად დამზადებისათვის, როგორც უკვე ითქვა, ამ ტიპის ჩაის ცდის სახით უშვებდა 1932 წლიდან ჩაქვის ძველი ჩაის ფაბრიკა (ამჟამად საწნეხი).

1934 წელს ჩაის ფაბრიკებმა გამოუშვეს 6639775 კგ ბაიხის ჩაი, ხოლო 1935 წელს—12676608 კგ. დაფასოებისათვის გაიგზავნა 1934 წ. — 1588585 კგ, 1935 წ. —3009100 კგ, 1937 წელს სულ გამოუშვეს 6508,0 ტონა შავი ბაიხის ჩაი, 113,0 ტონა მწვანე ბაიხის ჩაი და 665,5 ტონა მწვანე აგურა ჩაი[81].

1932 წელთან შედარებით შავი ბაიხის ჩაის წარმოება 1937 წელს გაიზარდა 16,6-ჯერ, ხოლო აგურა ჩაის წარმოება 5,1-ჯერ.

პირველად რესპუბლიკაში შეიქმნა სამედიცინო პრეპარატების ისეთი მსხვილი წარმოება, როგორიც არის ბათუმის კოფეინის ფაბრიკა. კოფეინი მზადდება ჩაის ნედლეულით — ჩაის ფაბრიკებში გადამუშავებული ჩაის ნარჩენებისაგან. კოფეინის წარმოების დაწყების საკითხი ჯერ კიდევ მეფის თვითმპყრობელობის პირობებში წარმოიშვა, განსაკუთრებით კი პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს, როდესაც რუსეთი მოწყვეტილი იყო

---

[81] მლისფპა, ფონდი 14, საქ. 5913, ფურც. 13.

საზღვარგარეთის ბაზრებიდან, მაგრამ ამ მნიშვნელოვანი საქმის ორგანიზაცია მაშინ ვერ მოხერხდა. ამრიგად, კოფეინის მასიური წარმოება შესაძლებელი შეიქმნა მხოლოდ სოციალიზმის მშენებლობის პირობებში.

მეორე ხუთწლედის დასასრულს საბჭოთა საქართველოს ჩაის მეურნეობა და მისი პროდუქციის გადამმუშავებელი მრეწველობა მტკიცედ დამკვიდრდა საზოგადოებრივ წარმოებაში. მეჩაიეობა გადაიქცა სოციალისტური სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ მოწინავე დარგად, ხოლო ჩაის მრეწველობა რესპუბლიკის მსხვილი მრეწველობის უმთავრეს დარგად, რომლის საქონლური პროდუქცია მსხვილი მრეწველობის მნიშვნელოვან ნაწარმს წარმოადგენდა. ჩაის მრეწველობა საქართველოს სსრ მსხვილი მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 4,1%-ს და კვების ინდუსტრიის ასეთსავე მაჩვენებლის 14,5%-ს მოიცავდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მესამე

ჩაის მრეწველობა მესამე ხუთწლედისა და დიდი სამამულო ომის წლებში (1938—1945 წწ.)

ა. ჩაის წარმოების განვითარების პერსპექტივა მესამე ხუთწლიანი გეგმით

მეორე ხუთწლედის მანძილზე მრეწველობის სწრაფ განვითარებასთან ერთად დასრულდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სოციალისტური რეკონსტრუქცია, გაიმარჯვა საკოლმეურნეო წყობილებამ. ამ ისტორიულმა მოვლენებმა საფუძვლიანი ცვლილებები შეიტანეს საბჭოთა ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, უთმავრესად კი ეს ცვლილებები გამოიხატებოდა საბჭოთა საზოგადოების ეკონომიკასა და მის კლასობრივ სტრუქტურაში. საბჭოთა კავშირში ძირითადად აშენდა სოციალისტური საზოგადოება. წარმოების სოციალისტური სისტემა განუყოფლად გაბატონდა სახალხო მეურნეობის მთელ სისტემაში.

საბჭოთა კავშირი ისტორიულად მოკლე ვადაში გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ-კოლმეურნეობრივ სოციალისტურ სახელმწიფოდ, რომელსაც შეეძლო როგორც ომის, ისე მშვიდობიანი მშენებლობის პირობებში უზრუნველეყო მთელი თავისი საჭიროება აუცილებელი იარაღებით და გაწყობილობით. ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მოპოვებული გრანდიოზული წარმატებები კარნახობდნენ სოციალიზმის მშენებლობის საბოლოო გამარჯვებამდე მიყვანას და მასთან უახლოეს წლებში ძირითადი ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას. ამ ამოცანების განხორციელებას ისახავდა კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის (1938—

1942 წწ.) შედგენისას და მისი თეზისების საყოველთაოდ მიღებისა-ვის დროს.

მესამე ხუთწლიანი გეგმით „ნავარაუდევი იყო 1942 წელს სამრეწველო პროდუქციის გამოშვების თითქმის ერთიორად გადიდება 1937 წელთან შედარებით. მესამე ხუთწლედში კაპიტალურ დაბანდებათა ის ოდენობა, რაც გეგმით იყო დასახული დაახლოებით უდრიდა პირველ და მეორე ხუთწლედებში გაწეულ მთელ კაპიტალდაბანდებათა თანხას"[1]. გეგმა ითვალისწინებდა სსრ კავშირის, მოკავშირე რესპუბლიკებისა და მათ შორის საქართველოს სსრ მრეწველობის, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობის განვითარებას. 1942 წელს საქართველოს სსრ მსხვილ მრეწველობას დაახლოებით 1,8-ჯერ მეტი პროდუქცია უნდა გამოეშვა 1937 წელთან შედარებით. ამ დავალების შესაბამისად იყო გათვალისწინებული კაპიტალურ დაბანდებათა გადადება და ახალ წარმოებრივ სიმძლავრეთა ამოქმედება[2]. ამასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა არსებულ წარმოებრივ სიმძლავრეთა გადიდებას და შრომის მწარმოებლურობის ზრდას.

საქართველოს სსრ მესამე ხუთწლიანი გეგმა ითვალსიწინებდა სოფლის მეურნეობის კიდევ უფრო მეტ ამაღლებას. საგრძნობლად ფართოვდებოდა მრავალწლიან ნარგავთა და მათ შორის ჩაის პლანტაციათა ფართობი. მესამე ხუთწლედის დამლევისათვის უმთავრესად ახალი რაიონების ათვისების გზით ჩაის ნარგავთა ფართობი უნდა გაზრდილიყო 55 ათას ჰექტარამდე. მთლიანი მოსავალი გადიდდებოდა 79 743 ტონამდე. აქ მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა, როგორც ახალი პლანტაციების გაშენებას (13356 ჰექტარი), ისე 1 ჰექტარზე საშუალოდ 2500 კგ ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის აღებას და მისი ხარისხის ამაღლებას. ნავარაუდევი იყო ჩაის მწვანე ფოთლის მოკრეფა შემდეგი ხარისხების მიხედვით (პროცენტობით).

	I ხარისხის	II ხარისხის	III ხარისხის
1937 წ.	72	18	10
1942 წ.	83	10	7

---

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, 1959, თბ., გვ. 645.

[2] საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1961, პროფ. პ. გუგუშვილის რედ., გვ. 383.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე ხუთწლედში ჩაის სანედლეულო ბაზის ზრდის შესაბამისად მნიშვნელოვნად ვითარდებოდა ჩაის მრეწველობის ტექნიკური ბაზაც.

ჩაის ფაბრიკების წარმოებრივი სიმძლავრის გადიდების მიზნით დაისახა შემდეგი ღონისძიებანი:

ა) მოქმედი ჩაის ფაბრიკების სიმძლავრის აყვანა პროექტით გათვალისწინებულ სიმძლავრემდე;

ბ) სტახანოვური მოძრაობის გაშლის და ჩაის ფაბრიკებში მწვანე ფოთლის ჩაბარების არათანაბარი კოეფიციენტის ცვლილებების, ხელოვნური ღნობის დანერგვის, მანქანა-დანადგარების მაქსიმალური დატვირთვისა და მათი საუკეთესო გამოყენების გზით იქმნებოდა შესაძლებლობა მომქმედი ტექნიკური ნორმების გადასინჯვის;

გ) ჩაის ახალი ფაბრიკების მშენებლობა, უმთავრესად მეჩაიეობის ახალი რაიონებისა და საბჭოთა მეურნეობების ზონებში, აგრეთვე მოქმედ ჩაის ფაბრიკების იმ გარემოცვაში, სადაც ხუთწლედის მანძილზე პლანტაციები გადავა მასიურ ექსპლოატაციაში.

ამ ღონისძიებების გატარების შედეგად ჩაის მწვანე ფოთლის გადამუშავება 1942 წლის დამდეგისათვის გადიდდებოდა 57 ათას ტონამდე, ე. ი. 2-ჯერ მეტად, ვიდრე ჩაის მწვანე ფოთოლი გადამუშავდა 1937 წელს (28 800 ტონა).

ხუთწლედის მანძილზე გეგმა ითვალისწინებდა ბაიხის ჩაის 19 გადამმუშავებელი ფაბრიკისა და მწვანე აგურა ჩაის 3 ფაბრიკის მშენებლობას. ამრიგად, 1942 წლის დამდეგისათვის საქართველოში ექსპლოატაციაში იქნებოდა 54 ჩაის ფაბრიკა (ჩაის მეურნეობის საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის საცდელი ჩაის ფაბრიკის გარდა). მათ შორის ბაიხის ჩაის 51 გადამამუშავებელი ფაბრიკა და მწვანე აგურა ჩაის 3 საწნეხი ფაბრიკა.

ჩაის ახალი ფაბრიკები (ბაიხის ჩაის) უნდა აშენებულიყო მეჩაიეობის შემდეგ ზონებში:

ა) ლესიჭინის, ძოგეჯინის, წულუკიძის, კოდორის, ორპირის, მაღლაკის, სამტრედიის, სოხუმისა და გუდაუთის.

ბ) მეჩაიეობის იმ ცალკეულ მსხვილ საფაბრიკო რაიონებში, რომლებიც მოითხოვდნენ მწვანე ფოთლის გადამმუშავებელი საწარმოებით უზრუნველყოფას, მაგალითად: მახარაძის რაიონში (მერია — ხვარბეთის, შრომა — ორნეთისა და ლიხაურის ჩაის ფაბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიკა), ჩოხატაურის რაიონში (განახლების ჩაის ფაბრიკა), ბაკაიას რაიონში (ზანის ჩაის ფაბრიკა), გეგეჭკორის რაიონში (მარტვილის ჩაის ფაბრიკა), წალენჯიხის რაიონში (ლიის ჩაის ფაბრიკა), ხობის რაიონში (ხობის ჩაის ფაბრიკა) და გალის რაიონში (გალის ჩაის ფაბრიკა).

მწვანე აგურა ჩაის გადამმუშავებელი ფაბრიკები აშენდებოდა: მახარაძეში, ჩაქვსა და ზუგდიდში. ამასთან ერთად შეიქმნებოდა ჩაის მწვანე ფოთლის მიმღები პუნქტების მთელი ქსელი, რომლებსაც უნარი ექნებოდა გაზრდილი სანედლეულო ბაზის გარემოცვის.

ჩაის ნედლეულის ზრდის შესაბამისად მნიშვნელოვნად გადიდდებოდა ჩაის მზა პროდუქციის მოცულობა. 1942 წლის დამდეგისათვის საქართველოს ჩაის მრეწველობას უნდა გამოეშვა 19 377 ტონა სხვადასხვა ხარისხისა და ასორტიმენტის ჩაის მზა პროდუქცია, მისი ღირებულება მიაღწევდა 91 339 ათას მანეთს (1926-27 წწ. უცვლელ ფასებში).

მესამე ხუთწლედის ცალკეული წლების მიხედვით მზა პროდუქციის გამოშვება განისაზღვრა შემდეგი სახით (იხ. ცხრილი 19).

ცხრილი 19

ჩაის მზა პროდუქციის დინამიკა მესამე ხუთწლედის გეგმით

წლები	ბაიხის ჩაი (ტონობით)			ჯამი	მწვანე აგურა ჩაი (ტონობით)	სულ (ტონობით)	მთლიანი პროდუქცია (1926/27 წწ. უცვლ. ფასებში, ათას მანეთობით)[3]
	შავი	დაწნეხილი ჩაი აგურა	მწვანე				
1932	—	518	—	518	137	655	3006
1937	4945	839	111	5895	600	6495	34080
1938	6421	1123	200	7744	1200	8944	40398
1939	8039	1313	400	9752	1288	11040	51170
1940	9877	1486	600	11963	1623	13586	63538
1941	11713	1632	1000	14345	1993	16338	77103
1942	13054	1931	2000	16985	2392	19377	91338

[3] მთლიანი პროდუქციაში ნაგულისხმევია, აგრეთვე „ლაო-ჩაი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა გამოშვებული ჩაის მზა პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესებას. თუ აქამდე „საქართველოს ჩაის“ ტრესტის ფაბრიკები ბაიხის ჩაის უშვებდა 4 ხარისხად (უმაღლესი, I ხარისხი, II ხარისხი და III ხარისხი), მესამე ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა უმაღლესი და პირველი ხარისხის ჩაი. ასეთი ჩაი ხუთწლედის დასასრულისათვის აყვანილი იქნებოდა 40%-მდე. წინააღმდეგ 19%-ისა 1937 წელს.

ხუთწლედის ცალკეული წლების მიხედვით შავი ბაიხის ჩაის ასორტიმენტის გაუმჯობესება შემდეგი სახით წარმოგვიდგება (იხ. ცხრ. 20).

ცხრილი 20

შავი ბაიხის ჩაის ასორტიმენტის გაუმჯობესება მესამე ხუთწლედის გეგმით[4]

	1937 წ.	1938 წ.	1939 წ.	1940 წ.	1941 წ.	1942 წ.
უმაღლესი ხარისხის	215	321	482	790	1054	1305
I ხარისხის	759	1092	1608	2272	3045	3917
II ხარისხის	3566	5687	5708	6618	7614	7832
III ხარისხის	405	321	241	167	—	—
სულ	4945	6421	8039	9877	11713	13054

ამრიგად, უმაღლესი და პირველი ხარისხის ჩაის ხვედრიწონის გადიდებით, შემცირდა მეორე ხარისხის ჩაის ხვედრიწონა, ხოლო მესამე ხარისხის ჩაის გამოშვება ხუთწლედის დამლევისათვის არ იყო გათვალისწინებული.

უმაღლესი ხარისხის ჩაის შორის განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქართული ჩაის სპეციალური ხარისხის „საქართველოს თაიგულის“ და „ექსტრას“ გამოშვებას.

მნიშვნელოვნად იზრდება საქართველოს ჩაის მრეწველობის ახალი პროდუქციის მწვანე ბაიხის ჩაის გამოშვება, 1942 წლისათვის მისი გამოშვება მიაღწევდა 2000 ტონას.

---

[4] საქ. სსრ ცსა, (თბილისი), ფონდი 1619, ანაწ. 3, საქ. 835, ფურც. 15—19.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანედლეულო ბაზის უკეთესი მომსახურეობის მიზნით ხუთ-წლიანი გეგმა ითვალისწინებდა საგზაო მშენებლობისა და ავტო-ტრანსპორტის პარკის გადიდებას. გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა ჩაის მრეწველობაში მეცნიერულ მიღწევათა დანერგვის, კადრების მომზადებისა და მუშა-მოსამსახურეთა პირობების გაუმჯობესების საკითხებს.

მესამე ხუთწლედში ძირითადი მიმართულებით კაპიტალური დაბანდება განისაზღვრა 257,8 მლნ მანეთის ოდენობით, რაც ჩანს შემდეგი მონაცემებით:

1. მრეწველურ-წარმოებრივი მშენებლობა	—141,7	მლნ მან.
2. ტრანსპორტი და გზა . . .	—29,8	—„—
3. ბინათმშენებლობა	—62,0	—„—
4. სოციალურ-კულტურული მშენებლობა	—25,3	—„—
5. საწყობ მეურნეობათა „	—3,0	—„—
6. დამამზადებელი პუნქტების „	—5,0	—„—

როგორც ჩანს, მრეწველურ-წარმოებრივ მშენებლობაში დაბანდება შეადგენდა —141,7 მლნ მანეთს, აქედან —69,2 მლნ მანეთი დაიხარჯებოდა ჩაის ახალი ფაბრიკების მშენებლობაზე, ხოლო 34,9 მლნ მანეთი ფაბრიკების გაფართოება-რეკონსტრუქციაზე.

მეცნიერული მიღწევების წარმოებაში დანერგვის ხაზით კაპიტალური დაბანდება განისაზღვრა 8,0 მლნ მანეთის ოდენობით, მათ შორის ლაბორატორიებისა და საცდელ წარმოებების მშენებლობაზე —2,1 მლნ მანეთი, გზის მშენებლობაზე და სატრანსპორტო საშუალებათა შეძენაზე — 0,9 მლნ მან., საცხოვრებელი ბინების მშენებლობაზე — 3,5 მლნ მანეთი, სოცკულტურულ მშენებლობაზე —1,5 მლნ მანეთი. აჭარის ჩაის ტექნიკუმის დამთავრებისა და მახარაძის ახალი ჩაის ტექნიკუმის აშენებისათვის გათვალისწინებული იყო 2,8 მლნ მანეთი. მესამე ხუთწლედში სულ საქართველოს ჩაის მრეწველობაში კაპიტალურ დაბანდებათა ოდენობა 268,6 მლნ მან. განისაზღვრება[5].

---

[5] საქართველოს სსრ ცსა, (თბილისი), ფონდი 1619, ანაწ. 3, საქ. 835, ფურც. 15—19, აგრეთვე ვ. ავეტისოვი, „ჩაის კულტურა მესამე ხუთწლედში“, „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა“, 1939 წ. № 6, გვ. 49—59.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, მესამე ხუთწლედში ჩაის მრეწველობის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ის, რომ უმოკლეს ვადაში შესაძლებელი ყოფილიყო ჩაის იმპორტის შეწყვეტა და ჩვენი ქვეყნის მშრომელების დაკმაყოფილება სამამულო წარმოების ჩაით.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ ამ მიმართულებით უდიდესი მუშაობა გაშალა. ჩაის მეურნეობის საკითხები სისტემატურად იხილებოდა, როგორც საქართველოს კომუნისტური პარტიის ბიუროს ისე მეჩაიეობის რაიონების პარტიული კომიტეტების ბიუროს სხდომაზე[6]. ადგილებზე შემოწმებით გამოირკვა, რომ ბევრ რაიონში ჯერ კიდევ ნაკლებად ექცეოდა ყურადღება ჩაის კრეფის საქმეში შრომის სწორი ორგანიზაციის საკითხების მოწესრიგებას, ჩაი იკრიფებოდა წყვეტილი ნაკადით, ადგილი ჰქონდა ჩაის პლანტაციების გამეჩხერიანობას და 1 ჰექტარზე საშუალო მოსავლის მოცულობის სიმცირეს. გზები და ავტოტრანსპორტი ვერ უზრუნველყოფდა ჩაის მწვანე ფოთლის ჩაბარებას ჩაის ფაბრიკებში და დამამზადებელ პუნქტებში, ამასთან ერთად ჩაბარების დროს ირღვეოდა დაწესებული კონდიცია, ზოგი ჩაის ფაბრიკა თავისი ტექნიკური მდგომარეობით ვერ უზრუნველყოფდა ნედლი მასალის დროულად გადამუშავებას და არ იყვნენ მომზადებულნი მათ წინაშე დასმული ახალი ამოცანების შესრულებისათვის[7].

ფაბრიკებში ხშირად ირღვეოდა ტექნოლოგიური, ჰიგიენურ-სანიტარული და სხვა პირობები, რაც გავლენას ახდენდა ჩაის მაღალი კვებითი თვისებების შენარჩუნებაზე. ჩაის ფაბრიკებში შეიმჩნეოდა კვალიფიციური მუშახელის დენადობა. მოუწესრიგებელი იყო მუშათა კულტურულ-ყოფაცხოვრებითი პირობები. ამ მხრივ დამახასიათებელია მაღალი ეწერის ჩაის ფაბრიკა. ამ საწარმოს არ ჰქონდა ეზო, ფაბრიკის შენობის ნაწილი შეჭრილი იყო კოლმეურნის სამოსახლო ეზოში, საწვავი მასალის საწყობი და ელსადგური აგრეთვე სხვის ეზოში იყო მოთავსებული. სეზონის პერიოდში ფაბრიკას ესაჭიროებოდა 200 მუშა-მოსამსახურე, მაგრამ მცირე საცხოვრებელი ფართობის გამო მათთვის არ იყო ბინები. ადრე აგებულ ერთ საცხოვრებელ სახლში, რომელიც 6 ოჯახი-

---

[6] მლისფპა, ფონდი 14, ანაწ. 5, საქ. 761, ფურც. 1—8.

[7] იქვე, ანაწ. 6, საქ. 8127, ფურც. 3, საქ. 1927, ფურც. 23.

სათვის იყო განკუთვნილი, ცხოვრობდა 16 ოჯახი. კერძო ... ჩაის ფაბრიკიდან მდებარეობდა 3 კმ დაშორებით, არ არსებობდა ჯანმრთელობის დაცვის პუნქტი, არც ბავშვთა ბაგა, აბანო, კლუბი კულტმომსახურეობისათვის, წითელი კუთხე, სკოლა რუსული ჯგუფებით და სხვა. ყოველივე ამის გამო 1938 წლის დასაწყისში 20 მუშამ დატოვა სამუშაო. იმის გამო, რომ ჩაის ფაბრიკა გადაიყვანეს მწვანე ჩაის პროდუქციის დამზადებაზე საჭირო იყო საღუმელე განყოფილების გაფართოება 2 ახალი ღუმელის დადგმით, მაგრამ მოქმედობდა მხოლოდ ერთი ღუმელი.

რაიონის სამონტაჟო კანტორამ ფაბრიკის შიდა რეკონსტრუქცია ჩაატარა უხარისხოდ, რამაც გავლენა იქონია სხვა სამუშაოთა შესრულებაზე. ამასთან დაიხარჯა უფრო მეტი თანხა ვიდრე ეს იყო გათვალისწინებული. მთელი რიგი აგრეგატები დაიდგა ტექნიკურად გაუმართავად და უხარისხოდ. ენერგეტიკული მეურნეობა მეტად მოუწესრიგებელი იყო. ფაბრიკას არ გააჩნდა ჩაის გადამუშავების კვალიფიციური კადრი, მაგალითად, ინჟინერ-მექანიკოსი, მექანიკოსი, ტექნოლოგი და სხვა. ფაბრიკაში არსებულ შიდაწვის სამი ძრავიდან ერთი ძრავი („მეტეორი") გამოსულ იყო წყობილებიდან, დანარჩენი ორი ძრავი ტექნიკური ნაკლოვანებების გამო სეზონის დროს მუშაობდა მხოლოდ 30%-ის დატვირთვით, რაც იწვევდა ფაბრიკის მუშაობის შეწყვეტას და მაშასადამე, პროდუქციის ხარისხის გაუარესებასაც. გეგმით ფაბრიკისათვის მომსახურეობა უნდა გაეწია 6 ავტომანქანას, სინამდვილეში კი მუშაობდა 2 ავტომანქანა. ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა ჩაის პლანტაციებში მისასვლელი გზები და ხიდები, ფაბრიკას არ გააჩნდა სასმელი წყალი[8].

მთელი რიგი ნაკლოვანებები გააჩნდა ჩხოროწყუს, მახარაძის, ოჩამჩირის, ზუგდიდის, ნიგვზიანის, ნატანებისა და სხვა ჩაის ფაბრიკებს.

ჩაის ზოგიერთ ფაბრიკაში ნაკლები ყურადღება ეჭცეოდა სახანძრო უშიშროების დაცვის საკითხებს, რის შედეგადაც დაიწვა წალენჯიხის ჩაის ფაბრიკა[9]. ხანძრის შემთხვევებს ჰქონდა ადგილი ჩაქვის, ქობულეთის და ნასაკირალის ჩაის ფაბრიკებში. საპროექტო ორგანიზაციები აბრკოლებდნენ ახალი ჩაის ფაბრიკების მშენებლო-

---

[8] მლისფპა, ფონდი 14, ანაწ. 6, საქ. 9127, ფურც. 20—21.

[9] ი ქ ვ ე, საქ. 9121, ფურც. 9.

ბის პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვების შედგენას. ნელი ტემპით მუშაობდნენ აგრეთვე სააღმშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა წარმატებით შესრულების მიზნით მოიწვიეს „საქართველოს ჩაის“ ტრესტის მეურნეობრივ და პარტიულ მუშაკთა თათბირი, სადაც ყურადღება გამახვილდა არსებულ ნაკლოვანებებზე. თათბირმა შეიმუშავა კონკრეტული ღონისძიებანი და დასახა გზები მათი დაუყოვნებლივ გამოსწორებისათვის. თათბირი ჩატარდა აგრეთვე ჩაის მეურნეობებისა და ჩაის ფაბრიკების მშენებლობის საკითხებზე, სადაც ესწრებოდნენ ჩაის ფაბრიკებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი მუშაკები, აქაც თათბირმა შეიმუშავა ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ჩაის ფაბრიკებისა და მეურნეობების დაჩქარებით მშენებლობას[10].

საქართველოს კომუნისტური პარტიის XI ყრილობაზე (1938 წ. ივნისი) მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ჩაის წარმოების საკითხებს. ყრილობის რეზოლუციაში აღნიშნული იყო „სთვლის რა ჩაის კულტურას საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთადერთ უმნიშვნელოვანეს დარგად, ყრილობა... ავალებს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს უზრუნველჰყონ ჩაის მაღალხარისხოვანი ფოთლის დროზე და უდანაკარგოდ მოკრეფა, აგრეთვე, ფაბრიკებში მისი დროზე გადამუშავება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ჩაის პროდუქციის ხარისხისა და თვისების გაუმჯობესებას“[11].

მესამე ხუთწლედში, როგორც დავინახეთ მნიშვნელოვნად გაფართოვდა „საქართველოს ჩაის“ ტრესტის მუშაობათა მოცულობა, რომელიც თავის სისტემაში აერთიანებდა 35 ჩაის ფაბრიკას და 18 საბჭოთა მეურნეობას. საქართველოს მთავრობამ გაითვალისწინა შექმნილი მდგომარეობა და 1938 წლის 22 ივნისის დადგენილებით „საქართველოს ჩაის“ ტრესტი გაჰყო ორ დამოუკიდებელ ტრესტად. „საქართველოს ჩაის“ ტრესტი აერთიანებდა მრე-

---

[10] საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამეურნეო სამმართველოს ცენტრალური საუწყებო არქივი (შემდეგ სმსცსა), ფონდი 4, ანაწ. 1, საქ. 248, ფურც. 5—13.

[11] „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა“, 1938 წ. № 6, გვ. 95.

წველურ საწარმოებს — ჩაის ფაბრიკებს და მათ დამხმარე მეურნეობებს, ხოლო „ჩაის საბჭოთა მეურნეობების“ ტრესტი აერთიანებდა ჩაის საბჭოთა მეურნეობებს[12]. „საქართველოს ჩაის“ ტრესტი 1937 წლიდან ექვემდებარებოდა საქართველოს კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს.

1939 წლის თებერვალში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმა განიხილა საქართველოს კომუნისტური პარტიის XII ყრილობამ, სადაც დაისახა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ძირითადი ამოცანები გეგმის შესაბამისად.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობამ (1939 წლის მარტი), რომელმაც ერთსულოვნად მოიწონა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმა, კვების მრეწველობის სხვა დარგებთან ერთად მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო ჩაის მრეწველობის განვითარებას. მიღებულ დადგენილებაში კონკრეტულად იყო მითითებული ახალი ჩაის ფაბრიკების მშენებლობის დაჩქარება[13].

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად ჩაის წარმოების აღმავლობისათვის ბრძოლა გადაიქცა საქართველოს კომუნისტური პარტიის, მეჩაიეობის რაიონების პარტიული ორგანიზაციებისა და ფართო მასების ყოველდღიურ საზრუნავ საქმედ, რამაც განაპირობა მესამე ხუთწლედის სამი წლის სახელმწიფო დავალებათა წარმატებით შესრულება. ჩაის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს ჩაის ნარგავთა ფართობის გადიდება წარმოადგენს, რაც მიმდინარეობს ძირითადად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებში მასობრივი გაშენების გზით. ხუთწლედის ორი წლის მანძილზე (1938—1939 წწ.) ჩაის პლანტაციები გაშენდა 4 490 ჰექტარზე. ჩაის პლანტაციების ფართობი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საკარმიდამო ნაკვეთებისა და ინდივიდუალური მეურნეგლეხების ნაკვეთების ჩათვლით 1937 წელს შეადგენდა 41 652 ჰექ-

---

[12] მლისფპა, ფონდი 14, ანაწ. 6, საქ. 9127, ფურც. 24.

[13] სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებისა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. III, თბილისი, 1956, გვ. 500.

ტარს, 1939 წელს — 49 572 ჰექტარს, ხოლო 1940 წელს — 49 637 ჰექტარს[14].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაის პლანტაციების ფართობის განუხრელმა ზრდამ, მოპოვებულმა რესპუბლიკის მეჩაიეობის რაიონების მშრომელთა მიერ და აგრეთვე სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში მიღწეულმა წარმატებებმა შექმნეს წინამძღვარი პირობები საქართველოს სოფლის მეურნეობის წინაშე ახალი საპასუხისმგებლო და საპატიო ამოცანების დასახვისათვის. ამიტომ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 25 აპრილის დადგენილებით „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ჩაის მეურნეობის, ციტრუსოვანი კულტურების, მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის შემდგომი განვითარების შესახებ“ დაისახა ჩაის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარების 1940—1944 წლების გეგმა. დადგენილება ითვალისწინებდა 1944 წლისათვის ახალი პლანტაციების გაშენებას 12 900 ჰექტარზე, ჩაის პლანტაციების საერთო ფართობის ზრდას —60 ათას ჰექტარამდე და მწვანე ფოთლის საერთო მოსავლის გადიდებას 90 ათას ტონამდე[15]. როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რესპუბლიკის ჩაის მეურნეობა გაცილებით უფრო მეტად იზრდებოდა ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო მესამე ხუთწლედის გეგმით. პარტიისა და მთავრობის აღნიშნული დადგენილების ცხოვრებაში გატარებამ პირველსავე წელს მოიპოვეს უდიდესი წარმატება. 1940 წლისა და 1941 წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკაში გაშენდა ჩაის ახალი პლანტაცია 4380 ჰექტარზე, ხოლო პლანტაციათა საერთო ფართობმა მიაღწია 51 500 ჰექტარს[16].

ჩაის მეურნეობის განვითარების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე ჩაის პლანტაციების აგროტექნიკურ დამუშავებას და მოვლას. წლითიწლობით ვითარდება აგროტექნიკა, გამოიყენეს ჩაის ადგილობრივი ჯიშები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჩაის მეურნეობებში შრომის სწორ ორგანიზაციას და შრო-

---

[14] Грузинская ССР за 20 лет, Тб., 1941, стр. 57.

[15] სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კპ (ბ) ცკ-ის დადგენილება, „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა“, 1940 წ. № 5, გვ. 6.

[16] ა. ფ ა ც უ რ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 82.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის ანაზღაურების საკითხებს, უმჯობესდება მეჩაიეთა სურსათით და სამრეწველო საქონლით მომარაგება, ყოველივე ამისა და სხვა გატარებულ ღონისძიებათა შედეგად ჩაის მწვანე ფოთლის საერთო მოსავალი სწრაფად იზრდება, რაც ჩანს შემდეგი მონაცემებით (იხ. ცხრ. 21).

ცხრილი 21

ჩაის მწვანე ფოთლის მოსავალი მეურნეობის სექტორების მიხედვით 1938—1941 წწ. (ტონობით) [17]

წლები	სულ ჩაის მწვანე ფოთოლი	მათ შორის		
		საბჭ. მეურნ. და სახელმწ. ორგანიზაც.	კოლექტიური მეურნეობა	საკარმიდამო ნაკვეთი და ინდ. მეურნეობა
1938	36266,2	9855,0	23955,2	2456,0
1939	44794,0	12031,0	30281,0	2482,0
1940	51741,0	14113,1	35729,1	1898,8
1941	58072,0	1650	39574,1	1987,4

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს 1938—1940 წწ. მოსავლის საერთო მოცულობა 1/2-ჯერ გაიზარდა, „თუ 1932 წლის მოსავლის დონეს მივიღებთ ერთეულად მაშინ 1937 წლისათვის ჩაის მწვანე ფოთლის დამზადება გაიზარდა 17-ჯერ, 1940 წლისათვის — 32,3-ჯერ“[18].

ჩაის მწვანე ფოთლის დამზადება ძირითადად საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში წარმოებს, ხოლო ყველაზე მცირე ხვედრიწონა აქვს საკარმიდამო ნაკვეთის და ინდივიდუალურ მეურნეობათა სექტორს, ამასთან ერთად ამ მეურნეობებში შეიმჩნევა ჩაის მწვანე ფოთლის დამზადების საერთო მოცულობის შემცირების ტენდენციები.

დიდი გარდატეხა მოხდა 1 ჰექტარზე საშუალო მოსავლის გადიდებისა და დამზადებული ჩაის ფოთლის ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების მიმართულებით. იგი 1937 წელს სრულ-

---

[17] ა. ფ ა ც უ რ ი ა, ჩაის კულტურა და მისი პერსპექტივა საქართველოს სსრ-ში საქ. მეცნ. აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შრ., ტ. II, თბ., 1947, გვ. 84, აგრეთვე „ზარია ვოსტოკა“, 1941 წ. № 20.

[18] ა. ფ ა ც უ რ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსავლიან ყოველ ჰექტარზე საშუალოდ 2113 კგ შეადგენდა, 1940 წელს კი 2292 კგ-ით გადააჭარბა[19]. 1938 წელს მთელ მოკრეფილ ჩაის უმეტესობას I და II ხარისხის ფოთოლი შეადგენდა.

ხარისხოვანი ნედლეულის დამზადება რასაკვირველია ბევრად უწყობდა ხელს ჩაის მზა პროდუქციის მაჩვენებლების გაუმჯობესებას. მაგრამ ჩაის წარმოების ამ მნიშვნელოვან უბანზე ზოგან შეიმჩნეოდა ნედლეულის დამამზადებელი აპარატის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება მათზე დაკისრებულ მოვალეობის შესრულებაში. მიუხედავად ზემდგომი ორგანოების დადგენილებებისა და არაერთგზის მითითებებისა, ხშირად ირღვევოდა ჩაის ჩაბარების წესები. ასე, მაგალითად, 1938 წლის სექტემბერ-ოქტომბერს ნატანებისა და ეწერის ჩაის ფაბრიკებმა ნედლეულის დიდი უმრავლესობა მიიღეს პირველი ხარისხისა მეორე ხარისხად, რისთვისაც მახარაძის რაიკომის ბიუროს გადაწყვეტილებით აღნიშნული ფაბრიკის დირექტორები მოიხსნა თანამდებობიდან[20].

ოჩამჩირის, მახარაძის, ჩოხატაურის, ზუგდიდისა და აგრეთვე სხვა ჩაის ფაბრიკებში იღებდნენ ისეთ მესამე ხარისხის ჩაის მწვანე ფოთოლს, რომელიც არ შეესაბამებოდა კონდიციებს. მიღებული ნედლეულის 50—60% შეადგენდა გაუხეშებულს ან სავსებით უვარგისს მშრალი ხარისხოვანი ჩაის პროდუქციის მისაღებად[21].

1939 წელს მთელ რიგ ჩაის ფაბრიკებში ამხილეს დამნაშავეთა ბოროტმოქმედებანი, ასე მაგალითად, ოჩიგვარის ჩაის ფაბრიკას აღმოაჩნდა 200 ტონამდე ჩაის მწვანე ფოთლის დანაკლისი, რის გამოც ფაბრიკამ იზარალა დაახლოებით 700 ათასი მანეთი. ჩაის მწვანე ფოთლის დიდი დანაკლისი აღმოაჩნდათ აგრეთვე მახარაძის ჩაის ფაბრიკას. ყოველივე ეს ხდებოდა ჩაის მწვანე ფოთლის ჩაბარების წესების უხეში დარღვევის შედეგად. ამ საქმეში შეიმჩნეოდა, როგორც ადგილობრივი ორგანოების, ისე ტრესტის მხრივ ფაქტების მიჩქმალვა[22]. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა

---

[19] Грузинская ССР за 20 лет, стр. 57, აგრეთვე, Советская Грузия за 40 лет, ст. сб., Тб., 1961, стр. 90.

[20] მლისფპა, ფონდი 14, ანაწ. 6, საქ. 8127, ფურც. 3.

[21] იქვე, ფონდი 14, ანაწ. 7, საქ. 9127, ფურც. 23.

[22] იქვე, საქმე 10456, ფურც. 10—35, აგრეთვე საქართველოს სსრ სმსცსა, ფონდი 4, ანაწ. 1, საქ. 248, ფურც. 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომიტეტმა და მთავრობამ გაატარა მთელი რიგი ღონისძიებანი სახელმწიფოსათვის ჩაის ნედლეულის ჩაბარების წესების მტკიცედ დასაცავად და ბოროტმოქმედებათა აღმოსაფხვრელად. ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებამ მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი ჩაის მრეწველობის განვითარებისათვის სოციალისტური სოფლის მეურნეობრივი მტკიცე ბაზის შექმნას.

გ. ჩაის მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება

როგორც ზემოთ ითქვა, 1938—1940 წლების მანძილზე მკვეთრად გაიზარდა მეურნეობის ძირითადი სექტორების მიხედვით ჩაის მწვანე ფოთლის დამზადება, ყოველივე ამას არ შეიძლება ბიძგი არ მიეცა რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის განვითარებისათვის, ამიტომ ჩაის მრეწველობა საქართველოში ვითარდებოდა მისი სანედლეულო ბაზის განვითარების ტემპების შესაბამისად. უმთავრესად ეს განვითარება გამოიხატებოდა კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის, მომქმედ ჩაის ფაბრიკათა რაოდენობისა და მათი წარმოებრივი სიმძლავრის გადიდებით.

სახალხო მეურნეობის განვითარების ორი წლის მანძილზე რესპუბლიკის ჩაის მრეწველობაში დაბანდდა 29,6 მლნ მანეთი (ფაქტიურ ღირებულებით, ლიმიტგარეშე დაბანდებისა და კაპიტალური შეკეთების ჩათვლით), ხოლო მეორე ხუთწლედისა და მესამე ხუთწლედის ომამდელი წლების მანძილზე დაბანდებული იქნა სულ 119,0 მლნ მანეთი[23]. კაპიტალურ დაბანდებათა ასეთი დიდი მოცულობით შესაძლებელი შეიქმნა მთელი რიგი ჩაის ახალი ფაბრიკებისა და მათი დამხმარე მეურნეობების მშენებლობა, ძველი ფაბრიკების გაფართოება-რეკონსტრუქცია და მსხვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. ამ პერიოდში ჩაის მრეწველობა იმდენად განვითარდა, რომ იგი უკვე რესპუბლიკის მსხვილ მანქანური წარმოების ერთ-ერთ ახალს და უმსხვილეს დარგს წარმოადგენდა.

1938 წლის დამდეგისათვის „საქართველოს ჩაის“ ტრესტის სისტემაში 35 ჩაის მწვანე ფოთლის გადამმუშავებელი ფაბრიკა იმყოფებოდა, მათ შორის ერთი ჩაქვის მწვანე აგურა ჩაის საწნეხი

---

[23] Грузинская ССР за 20 лет, стр. 42.

ფაბრიკა და ერთი ანასეულის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტ-ჩაის საცდელი ტექნოლოგიური ფაბრიკა, იყო რომელიც იძლეოდა გარკვეული რაოდენობის პროდუქციას. ტრესტის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა მახარაძის და ზუგდიდის სამონტაჟო სახელოსნოები, სამტრესტის მექანიკური ქარხანა და ტუნგოს გადასამუშავებელი საამქრო ქობულეთის ჩაის ფაბრიკასთან[24]. სულ შავი და მწვანე ჩაის პროდუქციის გამოშვებაზე მუშაობდა 34 ჩაის ფაბრიკა, რომელთა წარმოებრივი სიმძლავრე შეადგენდა 33 557 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლს. 1938 წლის გეგმით კი გათვალისწინებული იყო 35 000 ტონა ჩაის მწვანე ფოთლის გადამუშავება. განსხვავება ფაბრიკის სიმძლავრესა და გეგმას შორის წარმოადგენდა 1443 ტონას. წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარების შედეგად ჩაის მწვანე ფოთლის გადამმუშავების გეგმა ჩაის ფაბრიკების მიერ წარმატებით იქნა შესრულებული (100%-ით). მომდევნო წლებში უფრო მეტი მასშტაბით დაიწყო ჩაის ფაბრიკების გაფართოება-რეკონსტრუქცია. მიუხედავად ამისა, მაინც არსებობდა შეუსაბამობა დამზადებულ ნედლეულსა და მის გადამმუშავებელ წარმოებებს შორის, რადგან ამ პერიოდისათვის ახალი რაიონების ჩაის პლანტაციები შეიქმნა სრულმოსავლიანი. საჭირო შეიქნა 4 ახალი ფაბრიკის მშენებლობა შემდეგი წარმოებრივი სიმძლავრით:

1. მაღლაკის	4	ათასი ტონა
2. ორპირის	2	„ „
3. ახალი-ხიბულის	2	„ „
4. კოდორის	2	„ „

მაგრამ მათ შორის დაჩქარებით დაიწყო მშენებლობა მაღლაკისა და ორპირის ჩაის ფაბრიკებისა იმ ვარაუდით, რომ 1940 წლისათვის შესაძლებელი ყოფილიყო 48 ათასი ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთლის გადამუშავება. გეგმა კი ითვალისწინებდა 51 094 ტონა ნედლეულის დამზადებას[25]. ამრიგად სეზონში მოქმედ სიმ-

---

[24] ქობულეთის ჩაის ფაბრიკასთან არსებული ტუნგოს გადამუშავების საამქროს მანქანა-დანადგარები შეკვეთილი იქნა აშშ-ში და დაჯდა დაახლოებით 600 ათასი მანეთი, საამქრო ექსპლოატაციაში გადაეცა 1939 წელს, საქართველოს სსრ სმსცსა, ფონდი 4, ანაწ. 1, საქ. 248, ფურც. 5—13.

[25] მლისფპა, ფონდი 14, ანაწ. 7, საქ. 1282, ფურც. 66.

ძლავრეთა და ნედლეულის დამზადების გეგმას შორის განსხვავების დასაფარავად საჭირო შეიქმნა კიდევ დამატებითი კოდორის, ახალი-ხიბულის ჩაის ფაბრიკებისა და ზუგდიდის გადასამუშავებელი პუნქტის მშენებლობა.

1940 წლისათვის „აგურა ჩაის" პირველი პროდუქცია უნდა მოეცა ზუგდიდის ჩაის საწნეხ ფაბრიკას, აგრეთვე მწყობრში უნდა ჩამდგარიყო თბილისის ჩაის გადამწონი ფაბრიკა, წელიწადში 5000 ტონა სიმძლავრის, მაგრამ ჩაის მრეწველობის ზემოაღნიშნული ობიექტების მშენებლობა ძალზე გაჭიანურდა, ეს საკითხი არა ერთხელ გახდა რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა ორგანოების შესწავლისა და განხილვის საგნად[26]. რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის სწრაფი განვითარების საქმეში დიდი როლი შეასრულეს სსრ კავშირის კვების სახალხო კომისარიატმა და „გლავჩაიმ". 1938—1939 მეურნეობრივ წელს მათი უშუალო დახმარებისა და ყურადღების შედეგად შესაძლებელი შეიქმნა სახელმწიფო ფონდებით გამოყოფილი დიდძალი საალმშენებლო მასალის მიღება და მათი დროულად გადმოზიდვა[27].

1940 წლის 25 აპრილის დადგენილებით საქართველოს სს რესპუბლიკაში გაითვალისწინეს 11 ახალი ჩაის ფაბრიკისა და მთელი რიგი გადამმუშავებელი პუნქტების მშენებლობა[28]. ამ ფაბრიკების მშენებლობის ტემპები და სიმძლავრე დამოკიდებული იყო მეჩაიეობის რაიონებში ნედლეულის დამზადების მოცულობის ზრდაზე. ასე მაგალითად, აჭყვის ჩაის ფაბრიკის მშენებლობა რომლის სიმძლავრე 2000 ტონით განისაზღვრა დამთავრდებოდა 1941 წლის სეზონისათვის, ხოლო მომდევნო წლებში დამთავრდებოდა ინგირის, გეგეჭკორის, გუდაუთისა და განახლების ჩაის ფაბრიკების მშენებლობა, რომლებსაც უნდა ჰქონოდათ წელიწადში 12 ათასი ტონა ჩაის ფოთლის გადამუშავების საპროექტო სიმძლავრე.

ჩაის ფაბრიკებს ტექნიკურ მომსახურეობას, როგორც ითქვა, უწევდა ორი სამონტაჟო სახელოსნო და ერთი მექანიკური ქარხანა (სამტრედია). ჩაის ფაბრიკების გაფართოება-რეკონსტრუქციი-

---

[26] მლისფპა, ფონდი 14. ანაწ. 7, საქ. 10456, ფურც. 10—35.

[27] ი ქ ვ ე, საქ. 9127, ფურც. 34.

[28] „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", 1940 წ. № 5, გვ. 16.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სა და ახალი ფაბრიკების მშენებლობის საქმეში უდიდესი როლი შეასრულა ბათუმის მანქანათმშენებელმა ქარხანამ, რომელმაც რესპუბლიკის ჩაის მრეწველობას მიაწოდა, როგორც ახალი ჩაის გადამმუშავებელი მანქანა-დანადგარები, ისე სათადარიგო ნაწილები. ახლა ქარხანა ამზადებს მთელ რიგ ისეთ გაწყობილობას, რომლებიც ადრე რესპუბლიკაში არ წარმოებდა, ასე მაგალითად, 1937 წლის დამდეგიდან დაიწყო ახალი ტიპის საშრობი ღუმელის დამზადება, მომდევნო წლებში მისი გამოშვება უფრო ფართოდ წარმოებდა[29]. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მანქანათმშენებლობის წარმოება და დამხმარე მეურნეობები ყოველთვის როდი მიყვებოდნენ კვალდაკვალ სწრაფი აღმავლობის გზაზე მდგარ ჩაის მრეწველობას. იყო შემთხვევები, როდესაც სამუშაოები სრულდებოდა უხარისხოდ და დაგვიანებით, ხოლო მანქანათმშენებელი ქარხანა ვერ ასწრებდა მანქანა-დანადგარებისა და სათადარიგო ნაწილების დამზადებას[30]. ზემოაღნიშნული საწარმოებისა და ჩაის გადამმუშავებელ მუშაკთა შემოქმედებითი კავშირისა და ნოვატორულ აზრთა პრაქტიკაში გაბედულად დანერგვის გზით მოპოებულ იქნა უდიდესი წარმატება. შეწყვიტეს საზღვარგარეთიდან ჩაის მრეწველობისათვის გაწყობილობის შეძენა, რადგან ადგილობრივ უზრუნველყოფდნენ, როგორც რესპუბლიკის ჩაის წარმოებას, ისე აღმავლობის პროცესში მყოფ მოძმე რესპუბლიკების ახლადფეხადგმულ ჩაის მრეწველობასაც[31]. ამრიგად, მეორე და მესამე ხუთწლედის (ომამდელი წლები) მანძილზე რესპუბლიკის ჩაის მრეწველობა ვითარდებოდა არა საზღვარგარეთის ამ დროს არსებული ტექნიკის დონის მიხედვით, არამედ მისგან განსხვავებული— წლების მანძილზე შემუშავებული ახალი, თავისებური გზით.

ჩაის კულტურისა და მრეწველობის განვითარების პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელი იქნებოდა უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების კადრების მომზადების ორგანიზაციის გარეშე. ამ მიმართულებით საქართველოს კომუნისტური პარტიის

---

[29] საქართველოს სსრ ცსა, (თბილისი), ფონდი 1619, ანაწ. 3, საქ. 1033, ფურც. 30—35. აგრეთვე გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, „ჩაის მანქანათმშენებლობა საქართველოში", „საქართველოს სოც. მეურნეობა", 1938, № 7, გვ. 14 — 26.

[30] მლისფპა, ფონდი 14, ანაწ. 6, საქ. 9121, ფურც. 1, 22.

[31] ი ქ ვ ე, ფონდი 14, ანაწ. 7, საქ. 1030, ფურც. 50.

ხელმძღვანელობით უდიდესი მუშაობა ტარდებოდა, მაგრამ მესამე ხუთწლედში, როდესაც მრეწველობის მოცულობა და ტემპები მნიშვნელოვნად ფართოვდებოდა, ინდუსტრიის ამ ახალ დარგს, უფრო მეტად ესაჭიროებოდა საქმის კარგი მცოდნე ჩაის ფაბრიკის დირექტორები, ინჟინრები, ტექნოლოგები, მგეგმავები, დამამზადებელნი, ტრესტის აპარატის მუშაკები და სხვ. 1938—1940 წლებში „საქართველოს ჩაის" ტრესტსა და მისადმი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში დიდი მუშაობა ჩატარდა კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეში. წარმოებებში მოვიდნენ სათანადო ცოდნით აღჭურვილი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებსაც უნარი შესწევდათ სათავეში ჩასდგომოდნენ ჩაის კულტურისა და მრეწველობის რთულ დარგს.

მესამე ხუთწლედში, რესპუბლიკის კვების მრეწველობის სწრაფი აღმავლობის პირობებში, მკვეთრად იზრდება მასში შემავალი დარგების მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობა, განსაკუთრებით ეს შეიმჩნევა ჩაის მრეწველობაში. ჩაის მრეწველური წარმოების აპარატი 1938 წელს აღწევდა — 1990 კაცს, 1939 წელს — 2158 კაცს, ხოლო 1940 წელს—2496 კაცს[32]. ამრიგად, მუშათა რაოდენობა 1938—1940 წლებში გაიზარდა 126%-ით. ჩაის მრეწველური წარმოების აპარატის შემადგენლობის თვისობრივი და რაოდენობრივი ზრდის შედეგად უფრო ფართოდ გაიშალა მუშა-მოსამსახურეთა ტექნიკური სწავლება, რომლებშიც ისე როგორც წინა წლებში აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. 1938 წელს პირველი საფეხურის ტექნიკური სწავლება გაიარა — 564 კაცმა, მეორე საფეხურის — 416 კაცმა, სულ მომზადდა — 1025 კაცი. ტექნიკური მინიმუმი ჩაბარა — 575 კაცმა, თბილისში სტახანოვურ სკოლაში მომზადებისათვის გაიგზავნა 108 მუშა-სტახანოველი, ტექნიკური დონის ამაღლების კურსებზე — 430 საამქროს ოსტატი, 81 საამქროს უფროსი, 20 აღმრიცხველი, 64 ტიტესტერი, 18 ფაბრიკის დირექტორი, 811 დამამზადებელი პუნქტის გამგე, ბუღალტერი, ქიმიკოსი, ელექტრომონტიორი, ელექტროძრავების მექანიკოსი და სხვა. 1939 წელს პირველი საფეხურის სწავლება გაიარა —

---

[32] ი. ბ ა ჯ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

607 კაცმა, მეორე საფეხურის—416 კაცმა, სულ მომზადდა 1354 კაცი[33].

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა კულტურულ-ტექნიკური მომზადება წლითიწლობით ფართოვდებოდა. მესამე ხუთწლედში რესპუბლიკის ჩაის მრეწველობაშიც ვრცელდება ნოვატორთა მოძრაობა, ამასთან ერთად უფრო ფართო ხასიათს იღებს, როგორც ფაბრიკებს შორის, ისე წარმოებების შიგნით სოციალისტური შეჯიბრებები. მნიშვნელოვნად იზრდება სტახანოველთა და წარმოების მოწინავეთა მოძრაობა, მაგალითად, 1939 წლის მანძილზე სტახანოვური მოძრაობის შესახებ შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ ქვემოთ მოტანილი ცხრილიდან (იხ. ცხრ. 22).

ცხრილი 22

ცნობები ტრესტ „საქართველოს ჩაის" მუშათა რაოდენობისა და სტახანოველთა შესახებ (1939 წ.)[34]

მუშათა რაოდენობა და სტახანოველები	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	საშუალო წლიური
მუშათა საერთო რაოდენობა	1537	1526	1686	2283	2887	2902	2885	2586	2208	1885	1748	1765	2158
მათ შორის:													
სტახანოველები	800	764	752	773	870	943	978	971	904	791	773	831	846
სტახანოველები პროცენტობით	51,4	50,1	44,6	33,9	30,1	32,5	33,9	37,5	40,9	42,0	44,2	47,1	39,2

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ სეზონის დროს იზრდება სტახანოველთა რაოდენობა, მაგრამ მუშათა საერთო რაოდენობასთან

---

[33] საქართველოს სსრ ცსა, (თბილისი), ფონდი 1619, ანაწ. 3, საქ. 1128, ფურც. 1, აგრეთვე სმსცსა, ფონდი 4, ანაწ. 1, საქ. 248, ფურც. 8, საქ. 236, ფურც. 5.

[34] საქართველოს სსრ ცსა, (თბილისი), ფონდი 1619, ანაწ. 3, საქ. 1173, ფურც. 5.

შეფარდებით დაბალია მათი პროცენტული შემადგენლობა. ეროვნული ბიბლიოთეკა
იმით აიხსნება, რომ ამ პერიოდში მატულობს ჩაის მრეწველობაში მუშათა საერთო რაოდენობა, ხოლო სხვა თვეებში ჩაის წარმოების შეკვეცის გამო მცირდება მუშათა საერთო რაოდენობა. 1939 წელს სტახანოველი მუშები შეადგენენ „საქართველოს ჩაის" ტრესტის მუშათა საშუალო წლიური რაოდენობის —39,2%-ს, ხოლო 1940 წელს — 50,5%-ს[35]. ამ დროისათვის დამახასიათებელია ისიც, რომ წარმოების მოწინავეთა რიგებში ვხვდებით მუშა ქალებსაც.

სოციალისტურ შეჯიბრებებში მუშათა უმრავლესობის ჩაბმით და წარმოების მოწინავეთა მოძრაობის განვითარების შედეგად მნიშვნელოვნად გადიდდა შრომის მწარმოებლურობა. 1938—1940 წლებში რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის შრომის მწარმოებლურობა გაიზარდა 30%-ით. ყველა ამ ძირითადი ფაქტორის შედეგად მესამე ხუთწლედის 3 წელს ჩაის მრეწველობამ უზრუნველჰყო სამშობლოსათვის მიეცა შემდეგი რაოდენობის ჩაის მზა პროდუქცია (ტონობით):

1938 წ. ბაიხის ჩაი — 8120,6, აგურა ჩაი — 1670,5 ტ, ლაო-ჩაი ნახევარფაბრიკატი — 1540,7; 1939 წ. ბაიხის ჩაი — 10066,8 აგურა ჩაის — 2310,0 ტონა, ლაო-ჩაის ნახევარფაბრიკატი — 1833,5[36]. 1940 წ. სულ გამოშვებულ იქნა ბაიხის ჩაი—10148 და აგურა ჩაი—2320[37]. ჩაის მზა პროდუქტების მთლიან მოცულობაში თანდათან იმატა უმაღლესი და პირველი ხარისხის ჩაის ხვედრიწონამ, მაგრამ ამ მიმართულებით გარკვეული წარმატების მიღწევას კიდევ რამოდენიმე წელი დასჭირდა[38].

ჩაის მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 1938 წელს შეადგენდა —48835,0 მანეთს (1926/27 წწ. უცვლელ ფასებში), და 1940 წელს—68800,0 მანეთს. 1938—1940 წლებში მთლიანი პროდუქცია გაიზარდა 14%-ით. 1940 წელს რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის ხვედრიწონა კვების მრეწველობის მთლიან პროდუქციაში შეად-

---

[35] ი. ბ ა ჯ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 32.

[36] საქართველოს სსრ ცსა, (თბილისი), ფონდი 1619, ანაწ. 3, საქ. 1173, ფურც. 1—2.

[37] მლისფპა, ფონდი 14, ანაწ. 1, საქ. 10456, ფურც. 10—35.

[38] გ. ქ ა რ ჩ ა ვ ა, ჩაი, მისი წარმოება და მოხმარება, გვ. 182.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენდა 19,5%-ს, ხოლო საქართველოს მთელ მსხვილ მრეწველობის მთლიან პროდუქციაში — 3,7%-ს აღემატებოდა[39].

თუ 1938 წელს ერთი მუშის საშუალო წლიური გამომუშავება უდრიდა — 25921 მანეთს, 1939 წელს იგი შეადგენდა 27894 მანეთს, ამრიგად, მხოლოდ ორი წლის მანძილზე ერთი მუშის საშუალო წლიური გამომუშავება გაიზარდა 107,6%-ით, ეს მონაცემები მეტყველებდნენ შრომის მწარმოებლურობის ზრდის უკეთეს ტენდენციაზე.

აღსანიშნავია, რომ 1941 წლის გაზაფხულზე შესაძლებელი შეიქმნა ექსპლოატაციაში გადაეცათ ისეთი მსხვილი ჩაის გადამმუშავებელი წარმოებები, როგორიცაა ზუგდიდის ჩაის საწნეხი და თბილისის ჩაის გადამწონი ფაბრიკები, აგრეთვე წყალტუბოს ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკა. ამრიგად სპეციალიზებული იქნა, როგორც ბაიხის ჩაის (შავი და მწვანე), ისე აგურა მწვანე და ფილა შავი ჩაის წარმოება.

დიდი სამამულო ომის წინა წლებში კიდევ უფრო უმჯობესდება ჩაის მრეწველობის მუშათა კულტურული და საყოფაცხოვრებო პირობები, საკმარისია ითქვას, რომ 1938 წელს ექსპლოატაციაში გადაეცა 4656 m^2 საცხოვრებელი ფართობი[40].

მესამე ხუთწლედში ჩაის მრეწველობა ვითარდება აზერბაიჯანის სსრ რესპუბლიკაში და კრასნოდარის მხარეში. ჩაის კულტურის გავრცელებისა და მის გადამმუშავებელ მრეწველობის შექმნაში ადგილობრივ კადრებს დიდ დახმარებას უწევდნენ საქართველოდან გაგზავნილი სპეციალისტები. საქართველოს ჩაის მრეწველობაში შემუშავებული ჩაის გადამუშავების ტექნოლოგიური სქემები წარმატებით გამოიყენებოდა აზერბაიჯანისა და კრასნოდარის მხარის ჩაის ფაბრიკებში, ხოლო ამ ჩაის ფაბრიკების ტექნიკური გაწყობილობა იგზავნებოდა საქართველოს მანქანათმშენებელი ქარხნებიდან.

აზერბაიჯანისა და კრასნოდარის ჩაის ფაბრიკების მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობა ჯერ კიდევ მცირე იყო, ამიტომ მათი ხვედრიწონა სსრ კავშირის მოხმარების ოდენობასთან უმნი-

---

39 ი. ბ ა ჯ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

40 საქართველოს სსრ ცსა, (თბილისი), ფონდი 1619, ანაწ. 3, საქ. 1128 ფურც. 1.

შვნელია. ამ დროისათვის საქართველოს ჩაის მრეწველობის პროდუქცია სსრ კავშირის მოხმარების ნახევარზე მეტს შეადგენდა (56%-ს). ეს ფაქტი იმასაც მეტყველებდა, რომ საქართველოში ჩაის წარმოება გაცილებით სწრაფი ტემპით ვითარდებოდა ვიდრე ჩაის მწარმოებელ ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა: ინდოეთი, ცეილონი, ჩინეთი და იაპონია[41]. დიდი სამამულო ომის დაწყებამდე სსრ კავშირი წარმოადგენდა ერთ-ერთ უდიდეს ჩაის მწარმოებელ ქვეყანას. ჩაის ნარგავთა ფართობის მიხედვით სსრ კავშირს მსოფლიოს ჩაის მწარმოებელ ქვეყნებს შორის მეხუთე ადგილი ეკავა, ხოლო გამოშვებული ჩაის მზა პროდუქციის მოცულობის მხრივ — მეექვსე ადგილი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავისათვის რესპუბლიკის ჩაის მრეწველობა წარმოადგენდა ერთ-ერთ მსხვილ ინდუსტრიულ დარგს და იგი მსხვილი მრეწველობის დარგთა შორის მეხუთე ადგილზე იმყოფებოდა.

სოციალისტური საქართველოს ჩაის მრეწველობის პროდუქცია გამოფენილი იყო სრულიად საკავშირო სოფლის მეურნეობის გამოფენებზე მოსკოვში 1939—1940 წწ. ქართული ჩაის პოპულარიზაციისათვის გამოფენაზე მონაწილეობას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

დ. ჩაის მრეწველობა დიდი სამამულო ომის წლებში (1941—1945 წწ.)

დიდი სამამულო ომის დაწყებიდანვე რესპუბლიკის მთელი სახალხო მეურნეობა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ დაჩქარებით გამარჯვების ინტერესებს დაექვემდებარა[42]. მოკლე დროში ომის ყაიდაზე გარდაიქმნა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგი და მათ შორის კვების მრეწველობაც, რომელსაც უდიდესი და საპატიო ამოცანა დაეკისრა — მიეცა საბჭობლოსათვის, რაც შეიძლება მეტი რაოდენობის სურსათი, თამბაქო, ღვინო, ჩაი, კონსერვი და სხვა კვების პროდუქტები. სამამულო ომის პირობებში

---

[41] К. Габуния, Вопросы экономики чайной промышленности Грузии, Тб., 1943, стр. 19.

[42] ა. იოსელიანი, საქართველოს საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში (1941—1945), თბ., 1958.

თითქმის მთლიანად შეწყდა საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ჩაის იმპორტი, ამიტომ საბჭოთა საქართველოს ჩაის მრეწველობას მთლიანად უნდა დაეკმაყოფილებინა საბჭოთა არმიისა და ზურგის მოთხოვნა ჩაიზე[43]. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ჩაიზე, როგორც ერთ-ერთ გავრცელებულ კვების პროდუქტზე ომის პირობებში უფრო მეტად გაიზარდა მოთხოვნილება.

სამამულო ომი დაიწყო იმ დროს, როდესაც ის-ის იყო მეჩაიები შეუდგნენ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფას. საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევის გამო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვნად დააკლდა მუშაძალა, მაგრამ ეს უფრო მეტად შეიმჩნეოდა სოფლის მეურნეობის ისეთ შრომატევად დარგში როგორიც არის ჩაის კულტურა. ჩაის საბჭოთა მეურნეობებიდან და კოლმეურნეობებიდან მოძრავი ტრანსპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი გადაეცა საბჭოთა არმიას. თანდათანობით შემცირდა ჩაის პლანტაციებში მინერალური სასუქების შეტანა და მათი მოვლა-პატრონობა.

სამამულო ომის პერიოდში რესპუბლიკის ჩაის წარმოება მწვავედ განიცდიდა მუშაძალის ნაკლოვანებას. ჩაის ფაბრიკაში მომუშავე მამაკაცთა უმრავლესობა გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. ბუნებრივია ასეთი ვითარების შედეგად შეჩერდა რესპუბლიკის ჩაის წარმოების განვითარებისათვის დასახული გეგმის განხორციელება. ახლა მთავარი, როგორც ამას საბჭოთა საქართველოს მთავრობა სახავდა, იყო ის, რომ მეჩაიეობის ადგილობრივ პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციებს ეზრუნათ ჩაის პლანტაციების სწორ ექსპლოატაციაზე, მათ სათანადო მოვლაზე, რათა შეენარჩუნებინათ მოსავლიანობის დონე და ჩაის ნარგავთა ფართობი. ჩაის მრეწველობის ამოცანას შეადგენდა არსებული ტექნიკური ბაზის მაქსიმალური გამოყენებით ხარისხოვანი ჩაის მზა პროდუქციის გამოშვების უზრუნველყოფა. ომის პირველ თვეებიდანვე ნათელი გახდა რომ რესპუბლიკის მშრომელებს კარგად ესმოდათ შექმნილი ვითარება. პარტიის მოწოდებას უდიდესი ერთსულოვნობით ასრულებდნენ. ომის პირველ დღეებიდანვე ჩაებნენ საქართველოს ჩაის მრეწველობის მუშაკები სოციალისტურ შეჯიბრებაში, კიდევ უფრო გაიშალა დამკვრელური მოძრაობა. მეჩაიეთა რაიონებში გაიგ-

---

43 მლისფპა, ფონდი 14, ანაწ. 10, საქ. 11772, ფურც. 40.

ზავნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის წევრები, მათ დავალებული ჰქონდათ ადგილობრივი პარტიულ-საბჭოთა ორგანოებსა და ფართო მასებზე დაყრდნობით უზრუნველეყოთ ჩაის ფაბრიკისათვის ნედლეულის შეუფერხებელი ჩაბარება.

საქართველოს მშრომელები დიდი მოწონებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას ომის პერიოდში „ქალაქის შრომისუნარიანი მოსახლეობის საწარმოებსა და მშენებლობებზე მობილიზაციის შესახებ“ რესპუბლიკის მთელი რიგი ქალაქებიდან, რაიონის ცენტრებიდან, მაღალმთიანი სოფლებიდან დაიძრნენ ათასობით მშრომელები, რათა დახმარებოდნენ მრეწველობას და სოფლის მეურნეობას. რაც შეიძლება მეტი პროდუქცია მიეცათ სამშობლოსათვის[44].

1941 წლის შემოდგომიდან ჩაის მეურნეობებში სამუშაოდ წავიდნენ სამამულო ომში წასულთა ოჯახის წევრი ქალები, მოსწავლე ახალგაზრდობა, უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები და ვადამდე კურსდამთავრებული საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებლის მოსწავლეები, უკრაინიდან ევაკუირებული მოსახლეობა.

ჩაის მეურნეობებსა და ფაბრიკებში ეწყობა სტახანოვური სკოლები და მოკლევადიანი კურსები. ჩაის მრეწველობის კვალიფიციური მუშები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი მთელ ძალღონეს ახმარენ წარმოებებში ახლად მოსული კადრების მომზადებას, როგორც სკოლებსა და კურსებზე ისე ინდივიდუალურ-ბრიგადული მომზადების გზით.

ჩაის ფაბრიკებში ყოველთვიურად მატულობდა ორასოვანთა რიცხვი, უფრო ფართოდ გაიშალა მრავალდაზგოვანთა მოძრაობა, ასე მაგალითად, ზუგდიდის ჩაის ფაბრიკაში 8 სტახანოველი 26 სხვადასხვა მანქანას უწევდა მომსახურეობას, აცანის ჩაის ფაბრიკაში 7 სტახანოველი — 16 მანქანას. 1941 წლის ოქტომბრის დამდეგისათვის ჩაის მრეწველობის 400-ზე მეტი მუშა ყოველდღიურად 200%-ზე მეტად ასრულებდა წარმოებრივ გეგმას[45]. ამ დროისათვის მთელ რიგ ჩაის ფაბრიკებში მუშათა კოლექტივებს შეს-

---

[44] კ. ბ ა ბ ი ლ ო ძ ე, ი. ბ ა უ ჟ ა ძ ე, „ჩაის მრეწველობის განვითარება საბჭოთა აჭარაში“, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, 11, 1962, გვ. 15.

[45] გაზ. „კომუნისტი“, 1941 წ. № 260.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულებული ჰქონდათ წლიური გეგმა და მათთან განაღდებული წინასაოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი, მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი ჩაის ფაბრიკები:

სალიბაურის (დირექტორი აბესაძე, მთ. ტექნოლოგი ახალაძე), ორთა-ბათუმის (დირექტორი ნიკოლაიშვილი, მთ. ტექნ. ბუაძე), ბობოყვათის (დირექტორი შარაშიძე, ტექნოლოგი გიგინეიშვილი), ხუცუბანის (დირექტორი მიქაშავიძე, ტექნ. ხურციძე), მამათის (დირექტორი გეგეჭკორი, ტექნ. გამყრელიძე), აჩიგვარის (დირექტორი გვაძაბია, ტექნ. ანთელავა)[46].

1941 წლის დეკემბრის მრისხანე დღეებში, როდესაც მტერი გააფთრებით იბრძოდა ლენინგრადისა და მოსკოვის მისადგომებთან, საქართველოს მშრომელებმა საბჭოთა მთავრობას უპატაკეს სახელმწიფო გეგმის შესრულება, რაც აღნიშნული იყო 1941 წლის 10 დეკემბრის საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობაში: „საკოლმეურნეო მინდვრებსა და პლანტაციებში ენერგიულად მუშაობენ საქართველოს კოლმეურნეები. მოკრეფილია 58 075 ათასი კილოგრამი მწვანე ჩაის ფოთოლი — 7 მილიონი კილოგრამით მეტი, ვიდრე შარშან. ჩაის კრეფის უმაგალითო რეკორდი დაამყარა ინგურის კოლმეურნეობის სტახანოველმა ქალმა ქიონია სარსანიამ. ამასწინათ მან 1966 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. ამ დღის მთელი შემოსავალი მან თავდაცვის ფონდში შეიტანა“[47].

1941 წლისათვის რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის 35 ჩაის ფაბრიკის (ანასეულის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩაის ფაბრიკის ჩათვლით) წარმოებრივი სიმძლავრე არ აღემატებოდა 55 330 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლს. აქედან ორი ჩაის საწნეხი ფაბრიკის სიმძლავრე შეადგენდა 5 000 ტონას, ხოლო ექვსი გადამმუშავებელი პუნქტის 6 000 ტონას. ჩაის ფაბრიკებისათვის ჩაბარებული ნედლეულისა და სიმძლავრის სხვაობა თითქმის 3 000 ტონას აღწევდა. მიუხედავად ამისა საქართველოს ჩაის მრეწველობამ გეგმური დავალება წარმატებით შეასრულა. უნდა ითქვას, რომ ჩაის ფაბრიკების ერთმა ნაწილმა მიაღწია წარმოების ზოგიერთ კარგ მაჩვენებლებს, მაგრამ მაინც სერიოზული ნაკლოვანებები ჰქონდათ ლაო-ჩაის პროდუქციის გამოშვებაში, ასეთი ფაბ-

---

[46] მლისფპა, ფონდი 14, ანაწ. 10, საქ. 12737, ფურც. 2—3.

[47] გაზ. „კომუნისტი“, 1941 წ. № 293.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რიკები იყო: ნატანების, მაღალი ეწერის, ნასაკირალის, აცანის, ნიგვზიანის, სუფსის, ლანჩხუთის, გალისა და სხვ.

ჩაის გადამუშავების ტექნოლოგიურ სქემაში საგრძნობი დარღვევა ჰქონდათ: ქობულეთის, უშაბათის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ნარაზენის და წულუკიძის ჩაის ფაბრიკებს. ცუდად დაიწყო მუშაობა მაღლაკის ახალმა ჩაის ფაბრიკამ.

ჩაის მწვანე ფოთლის დამზადების სუსტი ორგანიზაციისა და კონტროლის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის დაბალი დონის, ტექნიკის გამოუყენებლობისა და ტექნოლოგიური პროცესების რღვევის შედეგად, რაც მეტნაკლებად ამ დროს ჩაის თითქმის ყველა ფაბრიკას ახასიათებდა მნიშვნელოვნად იცვლება გამოშვებული ჩაის ასორტიმენტი — პირველი და მეორე ხარისხის მოცულობის შეკვეცის ხარჯზე, მატულობს დაბალი ხარისხის პროდუქციის მოცულობა. ამასთან ერთად ჩაის ფაბრიკებმა უმატეს დეფექტური პროდუქციის გამოშვებას, ასე მაგალითად, 1941 წელს ხარისხის დამდგენმა ინსპექციამ უვარგისად ჩასთვალა 89,3 ტონა ჩაის მზა პროდუქცია და 182 ტონა ნახევარფაბრიკატი. სულ ჩაბარდა დაბალ ხარისხად ან ცნობილი იქნა სრულიად უვარგისად 261 მარკა ანუ 475,7 ტონა ჩაი. განსაკუთრებით ტექნოლოგიური პროცესების დარღვევებს ადგილი ჰქონდა ლაო-ჩაის დამმუშავებელ ჩაის ფაბრიკებში[48]. 13 077 კგ გამოშვებული ლაო-ჩაიდან 12 234 კგ ჩაბარდა, როგორც მეორე ხარისხი, ხოლო 1 843 კგ აღმოჩნდა სრულიად უვარგისი. ამ ჩაის დიდი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა ჰქონდა ომის პირობებში, მისი ხარისხის გაუმჯობესების და პროდუქციის მოცულობის გაზრდის აუცილებლობის შესახებ არა ერთხელ მიუთითებდა საკავშირო მთავრობა. მოტანილი მაჩვენებლები მეტყველებდნენ იმაზე, რომ რესპუბლიკის ჩაის მრეწველობაში ერთბაშად თავი იჩინა მეტად სახიფათო ტენდენციებმა, რასაც არ შეიძლება განსაკუთრებული ყურადღება არ მიქცეოდა. ამ ნაკლოვანებების დაუყოვნებლივ გამოსწორებას ისახავდა მიზნად საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს 1942 წლის 31 ივნისის დადგენილება: „ჩაის ფაბრიკებში ჩაის მწვანე ფოთლის გადამუშავების

---

[48] მლისფპა, ფონდი 14, ანაწ. 10, საქ. 12737, ფურც. 4—6.

ტექნოლოგიური ნორმების დარღვევის შესახებ"[49]. იმავე წლის აგვისტოს სამტრედიაში ჩატარდა თათბირი ჩაის ფაბრიკების დირექტორების, მთავარი ტექნოლოგებისა და „საქართველოს ჩაის" ტრესტის აპარატის წარმომადგენლების მონაწილეობით, სადაც დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო ცხოვრებაში საქართველოს კომუნისტური პარტიისა და მთავრობის დადგენილება. ჩაის ყველა ფაბრიკებს გაეგზავნათ დამატებითი ინსტრუქციები ჩაის მწვანე ფოთლის მიღების, მისი გადამუშავების, აღრიცხვის, მანქანა-დანადგარების ეფექტურად გამოყენების, შეკეთების, მოძრავი ტრანსპორტის მოვლისა და სწორი ექსპლოატაციის შესახებ. მიიღეს ზომები ჩაის ფაბრიკებში ადგილობრივი რესურსების მობილიზაციისა და გამოყენებისათვის. თათბირმა მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ჩაის ფაბრიკებში ახალი კადრების მიზიდვისა და მათი მომზადების საკითხებს[50]. მაგრამ ამ ხანებში საბჭოთა ხალხის და განსაკუთრებით კავკასიის ხალხთა ცხოვრებაში შეიქმნა მეტად მძიმე პირობები. მტერი ახერხებს სამხრეთ რუსეთისა, სტალინგრადისა და კავკასიის მიმართულებით გაჭრას. 1942 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე ჩრდილოეთ კავკასიაში და სტალინგრადთან გააფრთებული ბრძოლები წარმოებდა. გერმანიის ფაშისტური ჯარები მოადგნენ კავკასიის მთებს და მის გადმოსასვლელებს საქართველოში. საქართველო უკვე აღარ წარმოადგენდა ჩვეულებრივ ზურგის რაიონს. ფრონტი უშუალოდ დაუახლოვდა საქართველოს საზღვრებს. ქართველი ხალხის ამ საბედისწერო მომენტში, როდესაც მტერი კარზე იყო მომდგარი, მოსავლის აღება მოითხოვდა მუშაძალის სათანადო რაოდენობას, განსაკუთრებით მუშაძალის სიმცირე იგრძნობოდა ჩაის საბჭოთა მეურნეობებში, ასე მაგალითად, ჩაქვის, ნასაკირალის, დიდი ჭყონისა და აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობებში, 1942 წლის მაისიდან სექტემბრამდე შემდეგი სახით წარმოგვიდგება (იხ. ცხრ. 23).

მიუხედავად იმისა, რომ ჩაის ფაბრიკებში 1941 წლის შემოდგომიდან ბევრი ახალი კადრი მოვიდა, მუშაძალის რაოდენობა 1942 წლის ზაფხულში გეგმასთან შედარებით 50%-ით ნაკლები

---

[49] მლისფპა, ფონდი 14, ანაწ. 10, საქ. 12737, ფურც. 131.

[50] ი ქ ვ ე, ფურც. 119.

იყო, ასე მაგალითად, ლაითურის ჩაის ფაბრიკაში უნდა ემუშავა 150 კაცს, მუშაობდა 90, წალენჯიხაში უნდა ემუშავა 90 კაცს, მუშაობდა 60, ჩხოროწყუში უნდა ემუშავა 770 კაცს, მუშაობდა 48, ნარაზენში უნდა ემუშავა 150 კაცს, მუშაობდა 60. გარდა მუშაძალის ნაკლებობისა შეიმჩნეოდა მუშათა დიდი დენადობა, რაც უფრო მეტად აძნელებდა კადრებთან მუშაობას და ჩაის ფაბრიკების ნორმალურ წარმოებას[51]. საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით 1942 წლის მაისიდან ივნისამდე დასავლეთ საქართველოს მეჩაიეობის რაიონებში გაიგზავნა კალინინის ოლქის 2003 ოჯახი (6368 კაცი). აქედან, 180 ოჯახი 374 კაცის რაოდენობით გაიგზავნა ჩაის ფაბრიკებში სამუშაოდ. დანარჩენი 1823 ოჯახი 3831 კაცის რაოდენობით განაწილდა ჩაის საბჭოთა მეურნეობებში[52]. 1942 წლის

ცხრილი 23

ცნობები მუშაძალის რაოდენობის შესახებ ჩაის საბჭოთა მეურნეობებში (1942წ.)[53]

საბჭოთა მეურნეობები	მაისი			ივნისი			ივლისი			აგვისტო		
	გეგმა	ფაქტ.	% %-ით	გეგმა	ფაქტ.	% %-ით	გეგმა	ფაქტ.	% %-ით	გეგმა	ფაქტ.	% %-ით
ჩაქვის	2096	1051	50	2064	1256	60	1994	—	53	2373	1025	43
ნასაკირალის	1264	604	47	1141	764	67	1201	761	63	1114	674	61
დიდი ჭყონის	1301	371	29	2309	554	42	1319	686	52	1423	683	48
აჩიგვარის	—	—	—	—	—	—	1586	840	53	1594	732	46

ზაფხულში, როდესაც ფაშისტური ჯარები ჩრდილოეთ კავკასიისაკენ გაიჭრნენ აქედან ევაკუირებული ოჯახების მნიშვნელოვანი ნაწილი გაიგზავნა ჩაის მეურნეობებში და ჩაის ფაბრიკებში.

კიდევ უფრო მეტი რაოდენობით წავიდნენ მეჩაიეთა რაიონებში სამუშაოდ რესპუბლიკის მშრომელი ახალგაზრდობა. პატრიოტული შრომითი მამაცობის შედეგად ომის მსვლელობის პირველ ორ წელიწადში ჩაის პლანტაციათა ფართობი გაიზარდა 50 ათასი

---

[51] მლისფპა, ფონდი 14, ანაწ. 10. საქ. 12712, ფურც. 196—197.

[52] იქვე, საქ. 12739, ფურც. 5.

[53] იქვე, საქ. 12739, ფურც. 1.

ჰექტარიდან 51,5 ათას ჰექტარამდე. გაიზარდა ჩაის მწვანე ფოთლის საერთო მოსავალიც. უფრო რთული ვითარება შეიქმნა ჩაის მრეწველობაში. 1942 წლის ზაფხულში ფაშისტურ ოკუპაციაში მოხვდა ლესენსკის (ჩრდ. კავკასია) ხე-ტყის ქარხანა, სადაც მზადდებოდა ყუთები რესპუბლიკის ჩაის ფაბრიკებისათვის. ყუთების გარდა ჩაის ფაბრიკებს არ ჰყოფნიდა ქაღალდი, ლურსმანი, მანქანა-დანადგარებისათვის სათადარიგო ნაწილები, ელექტროენერგია, მზა პროდუქციისა და ნახევარფაბრიკატის გადასაზიდად რკინიგზის ვაგონები. სრულიად შეწყდა ჩაის ფაბრიკებისათვის ახალი გაწყობილობის დამზადება, რადგან რესპუბლიკის მანქანათმშენებელი ქარხნები და მათ შორის ბათუმისაც მთლიანად გადავიდნენ თავდაცვის პროდუქციის დამზადებაზე. მრავალი მიზეზების გამო მატულობს მოცდენა. 1942 წელს ჩაის ფაბრიკათა მოცდენა შეადგენდა 2 671 პრეს-საათს, აქედან ელექტროენერგიის ნაკლებობით —1 164 პრეს-საათს, ხოლო სათადარიგო ნაწილების ნაკლებობით— 265 პრეს-საათს[54].

დიდი დატვირთვით უხდებოდათ მუშაობა სამტრედიის მექანიკურ ქარხანას და მექანიკურ სახელოსნოებს.

საბჭოთა საქართველოს ჩაის მრეწველობის მრავალეროვანი მუშათა კადრი გაერთიანებული ერთ ძმურ ოჯახად, თავდადებული შრომით სძლევდნენ კავკასიის დაცვის ძნელ პირობებში შექმნილ წინააღმდეგობებს და ქვეყანას აძლევდნენ სულ უფრო მეტ ჩაის მზა პროდუქციას.

1942 წლის ნოემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით საქართველოს ჩაის მრეწველობის მუშაკთა დიდი ჯგუფი 1941—1942 მეურნეობრივ წელს მოპოებული წარმატებებისათვის დაჯილდოვდა ორდენებით და მედლებით[55].

ფაშისტურ გერმანიასთან ბრძოლაში 1943 წელი უდიდესი გარდატეხის წელია. საბჭოთა არმიის ძლევამოსილი დარტყმების შედეგად მტერი განადგურდა სტალინგრადთან, ორიოლ-კურსკისა და კავკასიის მისადგომებთან. გერმანიის ფაშისტური ჯარები ფრონტის ყველა უბანზე უკან იხევდნენ, რასაკვირველია ამ გარემოებამ უდიდესი გავლენა მოახდინა საქართველოს სახალხო მე-

---

[54] სმსცსა, ფონდი 4, ანაწ. 1, საქ. 532, ფურც. 6.

[55] ი ქ ვ ე, საქ. 636, ფურც. 14.

ურნეობაზე. ომის უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა თანდათანობით გადადის სამოქალაქო პროდუქციის დამზადებაზე. იქმნება წინამძღვარი პირობები რესპუბლიკის ჩაის მეურნეობის კიდევ უფრო მეტად განვითარებისათვის.

სამამულო ომის დროს ჩაის მრეწველობაში მოპოვებული წარმატებები უწინარეს ყოვლისა გაპირობებულია საბჭოთა მთავრობის განუხრელი მზრუნველობით, მრეწველობის ამ დარგის კადრებით უზრუნველყოფისა და მათ სათანადოდ მომზადებაში; ასე მაგალითად, 1942 წელს ჩაის ფაბრიკების მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალიდან ტექმინიმუმის კურსები გაიარა 700 კაცმა, მოკლევადიანი კურსები—265 კაცმა, 1943 წელს ტექმინიმუმის კურსები გაიარა 267 კაცმა, 1944 წელს ყველა სახის მომზადება გაიარა 1523 კაცმა, ხოლო 1945 წელს — 950 კაცმა[56]. 1943 წლის მონაცემებით კადრების მომზადებაზე დაიხარჯა 81,0 ათასი მანეთი[57].

1945 წლამდე კადრების მომზადება უმთავრესად მიმდინარეობდა წარმოებიდან მოწყვეტის გზით, ახლა მეტი ყურადღება ექცევა მათ მომზადებას წარმოებიდან მოუწყვეტლივ, მოკლევადიან კურსებზე და ინდივიდუალურ-ბრიგადული მეთოდით. მიღებული ზომების მთელი სისტემის შედეგად 1941—1944 წლების მანძილზე ჩაის მრეწველობაში დასაქმებული მუშათა საშუალო წლიური რაოდენობა თითქმის არ შემცირებულა, შემცირდა მხოლოდ 1944—1945 წლებში, ჩაის ნედლეულის მოცულობის შემცირებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ომის პერიოდში ჩაის მრეწველობის მუშათა საერთო რაოდენობაში გაიზარდა მუშა ქალთა ხვედრიწონა. ამრიგად, რესპუბლიკის ჩაის მრეწველობამ სამამულო ომის წლებში შეინარჩუნა მაღალი კვალიფიციური კადრები და უფრო მეტად ამაღლდა მათი კულტურულ-ტექნიკური დონე.

ომის სიძნელეების გამო ჩაის მრეწველობის ძირითადი წარმოებითი ფონდების ღირებულებისა და ტექნიკური აღჭურვის პროცესი შენელდა, მაგრამ 1943—1945 წლების მანძილზე კვლავ დიდი ყურადღება ეთმობა ჩაის ფაბრიკების წარმოებრივი სიმძ-

---

[56] ცნობები მოტანილია შესაბამისი წლების „საქჩაის“ ტრესტის ანგარიშგებებიდან.

[57] სმსცსა, ფონდი 4, ანაწ. 1, საქ. 532, ფურც. 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლავრის გადიდებასა და მექანიზაციის დანერგვას. 1943 წელს ექსპლოატაციაში გადაეცა გუდაუთის, ხოლო 1944 წელს ხობისა და ბანძის ჩაის ფაბრიკები. თუმცა ეს ფაბრიკები არ იყვნენ დიდი სიმძლავრის, მაგრამ შეეძლოთ უზრუნველეყოთ ამ ზონების პლანტაციებიდან მიღებული ჩაის ნედლეულის გადამუშავება. ჩაქვის და უშაბათის ჩაის ფაბრიკებში დაიდგა ახალი მექანიზებული აგრეგატები. სამტრედიის მექანიკურ ქარხანაში შეიქმნა ახალი ელექტროლაბორატორია. ნარაზენის ჩაის ფაბრიკაში გაიყვანეს წყალსადენი, ხოლო ჩხოროწყუს ჩაის ფაბრიკამდე მაღალი ძაბვის ელექტროგაყვანილობა 31 კმ მანძილზე[58]. 1944 წელს თბილისის ჩაის გადამწონ ფაბრიკაში ადგილობრივ ინჟინერ-ტექნიკურ ძალებზე დაყრდნობით აითვისეს შავი ფილა ჩაის წარმოება. სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისრის 1945 წლის 24 იანვრის ბრძანებით, ამ ფაბრიკის მთავარი ინჟინერი ა. ხუროძე, მთ. ტექნიკოსი სოსნოვსკი და სხვა სპეციალისტები შავი ფილა ჩაის წარმოების საწნეხი აგრეგატის მონტაჟისათვის დაჯილდოვდნენ „სსრ კვების მრეწველობის სოციალისტური შეჯიბრების წარჩინებულის“ საპატიო ჯილდოებით და ფულადი პრემიებით[59]. განახლდა ცდები ჩაის ფაბრიკებისათვის ახალი გაწყობილობების შესაქმნელად, ამისათვის 1944 წელს დაიხარჯა 1438 ათასი მანეთი.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მშრომელებთან ერთად ჩაის მრეწველობის მუშები მთელი ომის წლების მანძილზე ჩაბმული იყვნენ რესპუბლიკურ და საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებებში. ეს განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა 1942 წლის ზაფხულში, როდესაც გამოქვეყნდა მოსკოვის ლენინის ორდენოსანი კვების კომბინატის ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა მიმართვა კვების მრეწველობის საწარმოთა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შესახებ[60]. ომის წლებში საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებებში არა ერთხელ ყოფილა გამარჯვებული რესპუბლიკის ჩაის ფაბრიკების მუშათა კოლექტივები, ასე მაგალითად, 1944 წელს სოცშეჯიბრებით აღებული ვალდებულებანი წარმატებით შეასრულეს და დაჯილდოვდნენ ფულადი პრემიებით სალიბაურის, ქობულეთის, ლანჩხუ-

---

[58] სმსცსა, ფონდი 4, ანაწ. 1, საქ. 654, ფურც. 9.

[59] ი ქ ვ ე, საქ. 636, ფურც. 69.

[60] „კომუნისტი“, 1942 წ. № 140.

თის, ჩოხატაურის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, დიდი ჭყონდიდის, ლაკისა და თბილისის (ჩაის გადამწონი) ფაბრიკები.

ომის წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა რიგები, რომლის შესახებაც წარმოდგენას იძლევა შემდეგი მონაცემები (იხ. ცხრ. 24).

ცხრილი 24

საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სტახანოველთა რაოდენობა (1941—1944 წწ.)[61]

ჩაის მრეწველობა	წლები							
	1941		1942		1943		1944 6 თვე	
	მუშათა საერთო რაოდენობა	სტახანოველები	მუშათა საერთო რაოდენობა	სტახანოველები	მუშათა საერთო რაოდენობა	სტახანოველები	მუშათა საერთო რაოდენობა	სტახანოველები
	2888	1108	2911	1245	2650	1038	2403	1009

1941 წელს მუშათა საერთო რაოდენობიდან სტახანოველები შეადგენდნენ (პროცენტობით) — 38,3, 1942 წ. — 42,8, 1943 წ. — 39,2, ხოლო 1944 წ. 6 თვეში — 42,0. როგორც აქ მოტანილი მონაცემებიდან ჩანს სტახანოველთა რაოდენობამ საგრძნობლად მოიმატა 1942 წელს (42,8%-ით).

წარმოებრივი და მეურნეობრივი საუკეთესო მაჩვენებლების მიღწევისათვის „სსრ კავშირის კვების მრეწველობის წარჩინებულთა" შორის ხშირად ვხვდებით ჩაის ფაბრიკების წარმომადგენლებს. ასე მაგალითად, 1943 წელს „სსრ კავშირის კვების მრეწველობის წარჩინებულის" წოდება მიიღო ზუგდიდის ჩაის ფაბრიკის უმცროსმა ტექნოლოგმა ვ. ჩიჩუამ, მაღალი ეწერის ჩაის ფაბრიკის მორიგე ტექნოლოგმა ფ. დოლიძემ, იმავე ფაბრიკიდან უმცრ. ტექნოლოგმა ცქვიტანიძემ, მახარაძის ჩაის ფაბრიკის მუშამ ლ. მურმანიძემ; 1944 წელს შემდეგი ჩაის ფაბრიკის დირექტორებმა: ქობულეთის — ლ. თოიძემ, ნასაკირალის — ი. ღლონტმა, ორთა-ბათუმის — მ. სკომკოჩეიშვილმა, გალის — გ. მალაზონიამ და სხვებ-

[61] მლისფპა, ფონდი 14, საქ. 14105, ფურც. 68.

მა[62]. სოციალისტური შეჯიბრებებისა და სტახანოვური მოძრაობის ფართო გაშლის შედეგად ჩაის ფაბრიკების მუშათა შრომის მწარმოებლურობა ომამდელ დონეზე მაღლა იდგა. მიუხედავად იმისა, რომ 1944 წლიდან ჩაის მრეწველობაში დასაქმებულ მუშათა საერთო რაოდენობა შემცირების ტენდენციით ხასიათდება, მუშათა საშუალო წლიური ხელფასი მატულობს, ასე მაგალითად, 1945 წელს 56,6%-ით მეტია მუშის საშუალო წლიური ხელფასი ვიდრე 1940 წელს.

ომის ძნელი პირობების მიუხედავად ჩაის საბჭოთა მეურნეობებისა და ჩაის ფაბრიკების მუშა-მოსამსახურეები უკეთესად მარაგდებოდნენ სამრეწველო და სასურსათო პროდუქტებით. კომუნისტური პარტიისა და მთავრობის განუწყვეტელი მზრუნველობის შედეგად მეჩაიეთა რაიონებში იქმნება დამხმარე მეურნეობები, მუშა-მოსამსახურეებს ეძლევათ მიწის ნაკვეთები. საკმარისია ითქვას, რომ ისეთ რთულ ვითარების დროს, როგორც იყო 1942 წლის ზაფხული და შემოდგომა, ჩაის მრეწველობის მუშებს მიეცათ ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის 25,1 ათასი მანეთი.

სამამულო ომის წლებში საქართველოს სსრ ჩაის ფაბრიკების მიერ ძირითად პროდუქციის გამოშვებაზე წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოტანილი მაჩვენებლები (იხ. ცხრ. 25).

აქ მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ 1941—1943 წლებში ჩაის მზა პროდუქციის საერთო მოცულობა იზრდება, მაგრამ მნიშვნელოვნად კლებულობს 1945 წელს. ეს აიხსნება იმით, რომ 1941—1944 წლებში ჩაის ფაბრიკებისათვის ჩაბარებული ჩაის მწვანე ფოთოლი წლიურ გეგმას აჭარბებს, მაგრამ ნედლეულის ხარისხობრივი შემადგენლობა მნიშვნელოვნად უარესდება. რასაკვირველია ამას არ შეიძლება უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა საერთოდ ჩაის მრეწველობის მუშაობაზე და განსაკუთრებით გამოშვებული ჩაის მზა პროდუქციის ხარისხზე. ასე მაგალითად, თუ ავიღებთ 1942 წლის პირველადი გადამუშავების ბაიხის ჩაის მაჩვენებლებს, პროდუქციის ხარისხობრივი გეგმის შესრულება წარმოგვიდგება შემდეგი სახით: გეგმით გათვალისწინებული იყო 13 280,0 ტონა ბაიხის ჩაის გამოშვება, ფაქტიურად გამოუშვეს 12 975,7 ტონა. გეგმა შესრულდა 97,7%-ით, მათ შორის უმაღლესი ხარისხის გა-

---

[62] სმსცსა, ფონდი 4, ანაწ. 1, საქ. 636, ფურც. 14.

ცხარეულის ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის ძირითადი
პროდუქციის დინამიკა (1941—1945 წწ.)[63]

მაჩვენებლები	ზომის ერთეული	1941 წ.		1942 წ.		1943 წ.		1944 წ.		1945 წ.	
	ტონ.	ფაქტ. შესრულება	% %-ით გეგმასთან შეფარდ.	ფაქტიურ. შესრულება	% %-ით გეგმასთან შეფარდ.	ფაქტიური შესრულება	% %-ით გეგმასთან შეფარდ.	ფაქტიური შესრულება	% %-ით გეგმასთან შეფარდ.	ფაქტიური შესრულება	% %-ით გეგმასთან შეფარდ.
1 პირველადი გადამმუშავების ბაიხის ჩაი	„	13581,5	106,1	12075,7	97,7	13923,0	103,4	12154,8	102,5	4856,0	102,2
2. მწვანე აგურა ჩაი	„	3135,0	78,4	2488,5	71,1	2382,6	79,4	2357,9	94,3	2032,0	101,6

[63] ცხრილი შედგენილია „საქჩაის" ტრესტის შესაბამის წლების ანგარიშგებებიდან.

მოშვებული ჩაის გეგმა შესრულდა — 59,9%-ით, I ხარისხის — 53,5%-ით, II ხარისხის (1 კატეგორია) — 63,9%-ით, III ხარისხის—109,5%-ით, ხოლო ფხვნილი (1 კატეგორია)—195,4%-ით[64]. ჩაის მზა პროდუქციის ხარისხის გაუარესების პროცესი მომდევნო წლებშიც შეიმჩნეოდა.

ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული სამამულო ომი, რომ ამ ნაკლოვანებების გამოსასწორებლად მიღებული იქნა სათანადო ზომები. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 21 იანვრის დადგენილება „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და ჩაის მრეწველობის გადაუდებელი დახმარების ზომების შესახებ" ითვალისწინებდა ფართო ღონისძიებებს სოფლის მეურნეობის დასახმარებლად, ჩაის პლანტაციების მოვლა-დამუშავების გაუმჯობესებას, რისთვისაც დამატებით გამოეყოთ სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ქიმიკატები, ინვენტარი, ქიმიური სასუქები და ხორბალი იმ ჩაის მეურნეობისათვის, ვინც ჩაის ფაბრიკებს მაღალ ხარისხოვან ჩაის ჩააბარებდა. კოლმეურნეების მატერიალური დაინტერესების მიზნით საგრძნობლად გადიდდა ჩაის მწვანე ფოთლის დამზადების ფასები. ჩაის მრეწველობის საჭიროებისათვის გამოეყოთ მანქანა-დანადგარები, ავტომანქანები, ენერგეტიკული გაწყობილობები, საალმშენებლო და საწვავი მასალა. სამამულო ომის დამთავრებისთანავე ჩაის ნედლეულისა და პროდუქციის გაუმჯობესების მიზნით შესაძლებელი შეიქმნა უფრო მეტად რადიკალური ზომების მიღება. მკვეთრად შეიკვეცა ჩაის ფაბრიკებისათვის ჩაის მწვანე ფოთლის ჩაბარების გეგმა (25 ათასი ტონით) იმ ვარაუდით, რომ გაუმჯობესდებოდა ჩაის პლანტაციების მოვლა-დამუშავება და გადიდდებოდა ერთ ჰექტარზე ხარისხოვანი ჩაის საშუალო მოსავალი[65].

როგორც შემდეგ დავინახავთ ეს ღონისძიებები მეტად ეფექტური აღმოჩნდა, როგორც ჩაის მწვანე ფოთლის საერთო მოსავლიანობის ზრდის და მისი ხარისხობრივი შემადგენლობის, ისე ჩაის მრეწველობის პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და გაუმჯობესების მხრივ.

---

[64] სმცსა, ფონდი 4, საქ. 532, ფურც. 6—7.

[65] საქართველოს სსრ ცსა, (თბილისი), ფონდი 1619, ანაწ. 3, საქ. 1482, ფურც. 20—23.

მიუხედავად სამამულო ომით გამოწვეული სიძნელეებისა, საქართველოს მეჩაიეთა რაიონების მშრომელებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების საქმეში და ამით გაამართლეს ჩვენი პარტიის მოწოდება მიეცათ სამშობლოსათვის რაც შეიძლება მეტი ჩაის მზა პროდუქცია.

სამამულო ომის წლებში საქართველოს ჩაის მრეწველობამ სულ გამოუშვა (გასაყიდი საბითუმო ფასობით ათას მან.) 1 226 202,0 მანეთის ღირებულების პროდუქცია, აქედან თავდაცვის საჭიროებისათვის ჩაბარდა (გასაცემი საბითუმო ფასობით ათას მან.) 219 442 მანეთი. თავდაცვის საჭიროებისათვის ჩაბარებული ჩაის მზა პროდუქციის ხვედრიწონა შეადგენდა 21,1%-ს, დანარჩენი ჩაის პროდუქცია ხმარდებოდა მშრომელ მოსახლეობას[66].

---

[66] მლისფპა, ფონდი 14, საქ. 14105, ფურც. 50.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მეოთხე

ჩაის წარმოება ომისშემდგომ ხუთწლედებში (1946—1958 წწ.)

ა. ჩაის წარმოება მეოთხე ხუთწლედში (1946—1950 წწ.)

სამამულო ომმა შეაფერხა რესპუბლიკის საზოგადოებრივი წარმოების განვითარება და შეიტანა ზოგიერთი ცვლილებები სახალხო მეურნეობის სტრუქტურაში, განსაკუთრებით ეს ითქმის მრეწველობაზე. სამამულო ომის მსვლელობის დროს სწრაფად ვითარდებიან მრეწველობის ისეთი დარგები, რომლებიც საომარი დანიშნულების პროდუქციას ამზადებდნენ (მანქანათმშენებელი, ლითონდამმუშავებელი), მათ განვითარების ტემპებს მნიშვნელოვნად ჩამორჩნენ მრეწველობის დანარჩენი დარგები. ასეთი ჩამორჩენა იგრძნობოდა ჩაის მრეწველობაში, ხოლო სოფლის მეურნეობიდან — მრავალწლიან ნარგავთა წარმოებაში, მათ შორის ჩაის მეურნეობაშიც.

სამამულო ომის დამთავრებისთანავე, მშვიდობიანი მშენებლობის პირობებში, საბჭოთა ხალხის ამოცანას წარმოადგენდა სახალხო მეურნეობის აღდგენა და მისი შემდგომი განვითარება. პირველ რიგში საჭირო იყო მძიმე ინდუსტრიისა და ტრანსპორტის აღდგენა-განვითარება, რომლებსაც უნდა უზრუნველეყოთ მრეწველობის დანარჩენი დარგების აღდგენა-განვითარება და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონის რაც შეიძლება მეტად გადაჭარბება.

1946 წლის მარტის შუა რიცხვებში სსრ კავშირის უამღლესი საბჭოს პირველმა სესიამ მიიღო „კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946—1950 წწ. ხუთწლი-

ანი გეგმის შესახებ". იმავე წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში საქართველოს უმაღლესი საბჭოს X სესიამ დაამტკიცა საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე ხუთწლიანი გეგმა. როგორც ამ გეგმით იყო გათვალისწინებული ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკაში შეიქმნებოდა და განვითარდებოდა მძიმე მრეწველობის, როგორც ძველი, ისე ახალი დარგები, ამასთან ერთად გადიდდებოდა პირადი მოხმარების საგანთა მრეწველური წარმოება.

სოფლის მეურნეობის მრავალდარგოვან მეურნეობებს შორის განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტექნიკურ კულტურებს და ჩაის წარმოებას. ამრიგად ჩაის მრეწველობას, როგორც პირადი მოხმარების საგანთა მრეწველური წარმოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს უნდა განეხორციელებინა ის უდიდესი ამოცანა, რომელსაც ომამდელ პერიოდში უსახავდა საბჭოთა მთავრობა. რამდენადაც საბჭოთა საქართველო წარმოადგენდა ჩაის წარმოების ერთადერთ ძირითად რაიონს მას უნდა დაეკმაყოფილებინა მთლიანად საბჭოთა ხალხის მოთხოვნილება ჩაიზე.

ომისშემდგომი პირველი ხუთწლიანი გეგმით ჩაის ახალი პლანტაციები გაშენდებოდა 6 000 ჰექტარზე, მაშასადამე 1950 წლისათვის ჩაის პლანტაციების ფართობი გაიზრდებოდა 57,5 ათას ჰექტარამდე, რაც 1945 წელთან შედარებით 11,6%-ით გადიდდებოდა. ამასთან ერთად კვლავ აუცილებელ ღონისძიებად იქნა მიჩნეული პლანტაციების მოვლა-დამუშავების მკვეთრი გაუმჯობესება და მესამე ხარისხის მწვანე ფოთლის დამზადების შეწყვეტა. ჩაის პლანტაციების ვერტიკალურ განვითარებას ხელი უნდა შეეწყო მეჩაიეთა შრომის მწარმოებლურობის ზრდისა და მოსავლიანობის გადიდებისათვის.

მეოთხე ხუთწლედის დამლევისათვის რესპუბლიკის ჩაის პლანტაციების საერთო მოსავალი 70 ათას ტონამდე გაიზრდებოდა, მათ შორის ძირითადი ფოთლისა — 60 ათას ტონამდე და უხეშის — 10 ათას ტონამდე[1], ჩაის ნედლეულის საერთო მოსავლის ზრდასთან ერთად მკვეთრად გაუმჯობესდებოდა ჩაის ნედლეულის ხარისხობრივი შემადგენლობა. აღსანიშნავია ისიც, რომ გეგმაში

---

[1] კანონი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946—1950 წწ. ხუთწლიანი გეგმის შესახებ, თბ., 1946, გვ. 22.

ნავარაუდევი იყო აგრეთვე ჩაის პლანტაციების გაშენება ახალი რაიონებში, მაგალითად, ზუგდიდის, წალენჯიხის და აფხაზეთის ასსრ და დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ აღმოსავლეთ რაიონებში. ამრიგად ჩაის კულტურა კიდევ უფრო მეტად გასცილდებოდა ძველი რაიონების ფარგლებს.

ჩაის ნედლეულის ზრდა და ახალი რაიონების ინტენსიური ათვისება მოითხოვდა ჩაის ახალი ფაბრიკების დამატებით მშენებლობას და ჩაის არსებული ნედლეულის გადამმუშავებელი მრეწველობის წარმოებრივი სიმძლავრის გადიდებას. ამიტომ განახლდებოდა სამამულო ომის დროს შეწყვეტილი ჩაის ფაბრიკების მშენებლობა და აშენდებოდა 8 ახალი ჩაის ფაბრიკა.

ჩაის ძველ ფაბრიკებში უფრო მეტი მასშტაბით დაინერგებოდა ახალი ტექნიკა, რაც ხელს შეუწყობდა ზოგიერთი ფაბრიკის განტვირთვას ნახევარფაბრიკატის წარმოებისაგან. ყოველივე ეს საბოლოო ჯამში მკვეთრ გარდატეხას მოახდენდა არა მხოლოდ ჩაის ფაბრიკების სიმძლავრის გადიდებაზე, არამედ ჩაის მზა პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესებაზე.

მხოლოდ ბაიხის ჩაის ფაბრიკების წარმოებრივი სიმძლავრე გადიდდებოდა (ტონობით): 1948 წ. — 55 900, 1949 წ. — 56 400, ხოლო 1950 წ.—60 100[2].

მთელი საბჭოთა ხალხის ენერგია მიმართული იყო მეოთხე ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა მხარი დაუჭირა მშრომელთა თაოსნობას და 1946 წლის 8 ივნისს გადაწყვიტა მოწყობილიყო საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლიანი გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ომისშემდგომი ხუთწლედის მანძილზე საქართველოს ჩაის მეურნეობებისა და მრეწველობის მუშაკები ჩაბმული იყვნენ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებებში.

1946—1947 წწ. საბჭოთა მთავრობამ მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განმტკიცებისათვის. საბჭოთა მთავრობის ამ დადგენილებათა შუქზე 1947 წლის მაისს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტ-

---

[2] საქართველოს სსრ ცსა, (თბილისი), ფონდი 1619, ანაწ. 3, საქ. 1552, ფურც. 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის არსებული მდგომარეობა. პლენუმზე გარკვეული ადგილი დაეთმო ჩაის კულტურის გაშენებისა და მოვლა-დამუშავების გაუმჯობესების საკითხებს. არსებულ ნაკლოვანებებთან ერთად აღინიშნა მეჩაიეთა მიერ მოპოვებული წარმატებები, რაც უწინარეს ყოვლისა გამოიხატებოდა ჩაის ზოგიერთ მეურნეობებში სარეკორდო მოსავლის მიღებით და ჩაის ნედლეულის ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებით.

1948 წლის იანვარსა და მარტში საქართველოს კომპარტიის ინიციატივით ჩატარდა თათბირები ჩაისა და ყურძნის მოსავლიანობის გადიდების საკითხებზე, დაისახა ღონისძიებანი მეჩაიეთა რაიონებში სოციალისტური შეჯიბრებების უფრო მეტად გაფართოებისა და მოსავლიანობის გადიდების გამოცდილების განზოგადოებისათვის.

საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასა მეჩაიეთა თავდადებული შრომა, ბევრ მათგანს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა, ორდენებით და მედლებით დაჯილდოვდნენ მთელი რიგი ჩაის მეურნეობის მოწინავე ადამიანები.

მოთხე ხუთწლედის სახელმწიფო გეგმურ დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში ქართველი მეჩაიეების ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ჩაის ნედლეულის ხარისხობრივი შემადგენლობის არსებითი გაუმჯობესება. 1946—1947 წწ. მეორე ხარისხის ხვედრიწონა მოკრეფილი ჩაის მწვანე ფოთლის საერთო მოცულობაში თანდათანობით კლებულობს, 1949 წლისათვის იგი არ აღემატებოდა 6%-ს.

1946 წელს სულ მოიკრიფა (ტონობით) — 29 556,0, 1947 წ. — 41 364,0, 1948 წ.—53 228,0, 1949 წ.—62 494,0, 1950 წ.—83 733,0. 1950 წ. ნედლეულის თითქმის 100%-ს I და II ხარისხის ჩაი შეადგენდა, ხოლო მათ შორის I ხარისხის 1946 წ. — 90,8%-ს, 1947 წ. — 86,9%-ს, 1948 წ. — 79,2, ხოლო 1950 წ. — 81,3%-ს[3]. მაღალხარისხოვანი ნედლეულის დამზადებამ განაპირობა ჩაის მზა პროდუქციის გადაჭრით გაუმჯობესება.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ორი წლის მანძილზე დაუტვირთველობის გამო ნაწილობრივ კონსერვაციაში იმყოფებო-

---

[3] მლისფპა, ფონდი 14, ანაწ. 23, საქ. 764, ფურც. 268.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და 6 ჩაის ფაბრიკა[4], მაგრამ უკვე 1948 წლიდან ყველა კონსერვირებული ფაბრიკა ამუშავდა. ამ პერიოდისათვის ჩაის მრეწველობა აერთიანებდა ბაიხის ჩაის 37 პირველადი გადამუშავების ჩაის ფაბრიკას, ორი ჩაის საწნეხ და ერთ ჩაის გადამწონ ფაბრიკას, დამხმარე სამეურნეო წარმოებებს და სხვა ორგანიზაციებს. ჩაის ფაბრიკების საერთო წარმოებრივი სიმძლავრე შეადგენდა 55 000 ტონა ჩაის ფოთოლს[5]. წლითიწლობით მატულობდა ჩაის ფაბრიკების დატვირთულობის კოეფიციენტი, ამიტომ საქართველოს კომპარტიისა და მთავრობის მითითებით განახლდა მთელი რიგი ახალი ჩაის ფაბრიკების მშენებლობა[6]. უკვე 1949 წლისათვის ექსპლოატაციაში გადაეცა ინგირისა და კოჩარის ჩაის ფაბრიკები, ხოლო მომდევნო წელს მუხაესტატეს, გურიანთისა და ლესიჭინის ფაბრიკები.

უმჯობესდება ტექნიკური დანორმვის საქმეც. თუ წინათ ცალკეული ფაბრიკების გამომუშავების ნორმები, ერთნაირ გაწყობილობაზე განსხვავდებოდნენ ურთიერთისაგან, 1950 წლის აპრილიდან „საქართველოს ჩაის“ ტრესტმა გაატარა ნორმების გადასინჯვა. ამ ღონისძიების შედეგად მეტნაკლებად მოხერხდა, როგორც დაბალი ნორმების გადიდება, ისე ცალკეული ფაბრიკების ნორმების ურთიერთისადმი მიახლოვება. დანორმვის საკითხების მოწესრიგებამ დადებითად იმოქმედა ფაბრიკების მუშაობაზე და შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებლებზე[7].

მეოთხე ხუთწლედში საგრძნობლად იზრდება ჩაის ფაბრიკების ძირითადი წარმოებითი ფონდების ღირებულება, ასე მაგალითად, თუ 1946 წელს 1 იანვრისათვის ეს მაჩვენებელი დაახლოებით 119,1 მილიონ მანეთს შეადგენდა, 1950 წლისათვის იგი 226,8 მილიონ მანეთამდე გაიზარდა. მნიშვნელოვნად მატულობს აგრეთვე ჩაის მრეწველობის კაპიტალდაბანდებანი. ასე მაგალითად, თუ 1946 წელს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებისათვის

---

[4] საქართველოს სსრ ცსა, (თბილისი), ფონდი 1619, ანაწ. 3, საქ. 1482, ფურც. 44.

[5] მლისფპა, ფონდი 14, ანაწ. 4, საქ. 1873, ფურც. 1.

[6] ი ქ ვ ე, ფონდი 14, ანაწ. 51, საქ. 64, ფურც. 1.

[7] ქ. დ ა დ ი ა ნ ი, „მახარაძის რაიონის ჩაის მრეწველობის ეკონომიკის საკითხები“, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, თბ. 1952, გვ. 133—134.

კაპიტალდაბანდება შეადგენდა 7,0 მილიონ მანეთს, 1950 წელ-
თვის იგი უკვე შეადგენდა 83,7 მილიონ მანეთს. შესადარისი წლე-
ბის მანძილზე ჩაის მრეწველობაში კაპიტალდაბანდება გაიზარდა
11,9-ჯერ.

მეოთხე ხუთწლედში მატულობს ჩაის მრეწველობაში დასაქ-
მებული მუშაძალის საშუალო წლიური რაოდენობა, თუ იგი 1946
წელს შეადგენდა — 2 300 კაცს, 1950 წლისათვის მან მიაღწია —
3 745 კაცამდე[8]. ამრიგად, 1946—1950 წლების მანძილზე მუშაძა-
ლის საშუალო წლიური რაოდენობა გაიზარდა 1,62-ჯერ.

ჩაის წარმოების უკეთესი მაჩვენებლების მოპოვებაში დიდი
წვლილი შეჰქონდა წარმოების ნოვატორებს. 1950 წელს სტახა-
ნოველთა ხვედრიწონა რესპუბლიკის ჩაის მრეწველობაში შეად-
გენდა მაისში — 30,8%, ივნისში —28,5%-ს, ივლისში —30,8%-ს[9].

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებისა და ახალი მან-
ქანა-დანადგარების დანერგვით, სოციალისტური შეჯიბრებებისა და
სტახანოვური მოძრაობის გაშლის საფუძველზე საგრძნობლად იზრ-
დება შრომის მწარმოებლურობა. ყოველწლიურად გადაჭარბებით
სრულდება შრომის მწარმოებლურობის გეგმური დავალება. სამა-
მულო ომის დაწყების წინა წელთან შედარებით ერთი მუშის სა-
შუალო წლიური გამომუშავება გაიზარდა 167,8%-ით.

შრომის მწარმოებლურობის სწრაფი ტემპის ზრდის შესაბა-
მისად მატულობს ჩაის მრეწველობის მუშის საშუალო წლიური
ხელფასი, მხოლოდ 1946—1948 წლის მანძილზე იგი 46%-ით გაი-
ზარდა.

თუ სამამულო ომის პერიოდში შრომის მწარმოებლურობასა
და ხელფასის ზრდის ტემპების პროპორციულობა დარღვეული იყო,
ახლა შრომის მწარმოებლურობის ზრდამ საგრძნობლად გადააჭარ-
ბა ხელფასის მატების ტემპებს.

მეოთხე ხუთწლედის მანძილზე თანდათანობით უმჯობესდება
ჩაის დამამზადებელი პუნქტებისა და ავტოტრანსპორტის მუშაობა.
გაყვანილი და კეთილმოწყობილი იქნა ჩაის მეურნეობებში მისას-
ვლელი გზები. აშენდა მრავალი საცხოვრებელი სახლი და საგრ-

---

[8] ვ. ყ უ რ ა შ ვ ი ლ ი, ტექნიკური პროგრესი და შრომის ნაყოფიერება ჩაის მრეწველობაში, ბათუმი, 1957, გვ. 35, 45.

[9] ქ. დ ა დ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 136.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძნობლად გაუმჯობესდა მუშათა კულტურულ-ყოფაცხოვრებითი პირობები. ყოველივე ამან განაპირობა ის დიდი წარმატებები, რაც ჩაის მრეწველობამ მოიპოვა მეოთხე ხუთწლედის გეგმურ დავალებათა შესრულების საქმეში. ეს უმთავრესად გამოიხატებოდა პროდუქციის ზრდით, რაზეც მიუთითებს შემდეგი მონაცემები (იხ. ცხრ. 26).

ცხრილი 26

საქართველოს ჩაის მრეწველობის პროდუქციის დინამიკა 1946—1950 წლებში[10]

პროდუქციის დასახელება	ზომის ერთეული	წლები			
		1946	1947	1948	1950
პირველადი გადამუშავების ბაიხის ჩაი	ტონა	5651,1	8138,9	10448,5	20270,0*
ლაო-ჩაი	„	2637,0	2970,7	3375,7	—
მწვანე აგურა ჩაი	„	2135,0	2734,5	2835,9	3827,0
დაფასოებული ჩაი	„	1822,0	2258,2	2438,8	3276,4
მთლიანი პროდუქცია (1926—27 წწ. უცვლელ ფასებში).	ფან.	56716,0	78247,1	98799,0	123290,0

მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ 1950 წელს ბაიხის ჩაის პროდუქციის საერთო მოცულობა 1946 წელთან შედარებით გაიზარდა—3,59-ჯერ, მწვანე აგურა ჩაის — 1,8-ჯერ, დაფასოებული ჩაი— 1,8-ჯერ, ხოლო მთლიანი პროდუქცია იმავე შესადარის წლებში გაიზარდა —3,4-ჯერ. უკვე 1949 წლისათვის ისეთი მაჩვენებლების მიხედვით, როგორიცაა პირველადი გადამუშავების ბაიხის ჩაი, დაფასოებული ჩაი და მთლიანი პროდუქცია, ხუთწლედის გეგმური დავალება შესრულდა, ხოლო 1950 წელს ყველა ძირითადი მაჩვენებლების გეგმა გადაჭარბებით შესრულდა.

---

[10] ცხრილი შედგენილია მლისფპა, ფონდი 14, ანაწ. 46, საქ. 501, ფურც. 58, გ. ქარჩავა (გვ. 190), ვ. ყურაშვილი (გვ. 40) და ი. ორაგველიძის (გვ. 53) დასახელებულ ნაშრომებიდან, აგრეთვე «Советская Грузия за 40 лет», стр. 53.

* შავი და მწვანე ბაიხის ჩაი ერთად არის აღებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ. ჩაის წარმოება მეხუთე ხუთწლედსა და მის მომდევნო წლებში (1951—1958 წწ.)

საბჭოთა საქართველოს ჩაის წარმოებამ კიდევ უფრო მეტი აღმავლობა განიცადა მეხუთე ხუთწლედსა და მის მომდევნო პერიოდში. მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დირექტივები დამტკიცდა სკკპ XIX ყრილობაზე (1952 წ. ოქტომბერი). სახალხო მეურნეობის განვითარების ეს ახალი დირექტივები წარმოადგენდნენ მეხუთე ხუთწლიანი გეგმის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს, რომლის საფუძველზე გათვალისწინდა მთელი საბჭოთა კავშირის, მოკავშირე რესპუბლიკების და მათ შორის საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობა. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ შემუშავებული პროგრამა გულისხმობდა სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობის გადალახვას. უმოკლეს დროში მიწათმოქმედების, მეცხოველეობის და საერთოდ სოფლის მეურნეობრივი პროდუქტების წარმოების მკვეთრ მატებას, სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის გაზრდას 70%-ით[11].

მეხუთე ხუთწლედის დასასრულისათვის საბჭოთა კავშირში ჩაის ფოთლის წარმოება 1950 წელთან შედარებით უნდა გაზრდილიყო 70%-ზე მეტად. რამდენადაც საქართველო წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის ჩაის ერთ-ერთ ძირითად წარმოების რაიონს, ქართველ მეჩაიეებს ეკისრებოდათ ფრიად საპასუხისმგებლო ამოცანა. ახალი პლანტაციების გაშენებასთან ერთად საგრძნობლად უნდა გაზრდილიყო მოკრეფილი ხარისხოვანი ფოთლის საერთო მოცულობა.

მიუხედავად იმისა, რომ განვლილი ხუთწლედების მანძილზე რესპუბლიკის ჩაის წარმოებამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია, მეხუთე ხუთწლედის პირველ წლებში ჩაის მეურნეობებში თავი იჩინა შრომისა და წარმოების ორგანიზაციის საქმიანობაში დაუდევრობამ. უფრო მეტიც, მთელი რიგი მეჩაიეობის რაიონების ხელმძღვანელი მუშაკები გულგრილად ეკიდებოდნენ ჩაის კულტურის შემდგომი გავრცელების შესაძლებლობას. ნაკლები ყურადღება ექცეოდა ჩაის პლანტაციების აგროტექნიკურ დამუშავე-

---

[11] საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1961 წწ. პროფ. პ. გუგუშვილის რედაქციით, გვ. 444.

ბას და ჩაის ახალი გამოყვანილი ჯიშების დანერგვას. მოუვლელობისა და უყურადღებობის შედეგად ზოგ რაიონებში მატულობს გამეჩხერიანებული ჩაის პლანტაციების პროცენტული რაოდენობა. თუ ზოგიერთ რაიონში ერთ ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობის დონე მაღალი იყო, სხვა რაიონებში ეს მაჩვენებლები გაცილებით ნაკლებს წარმოადგენდა[12]. ამ მხრივ დიდი ჩამორჩენილობები გამოვლინდა აფხაზეთის ასსრ რაიონებში (გალი, ოჩამჩირე), ცხაკაიას, ხობის, წყალტუბოს, წულუკიძის და სხვა რაიონებში. ჩაის პლანტაციების გამეჩხერიანობის შემცირებისა და ახალი პლანტაციების გაშენების გეგმის შეუსრულებლობას ადგილი ჰქონდა აგრეთვე აჭარის ასსრ-ში. აღნიშნულ ფაქტორებს დაემატა ცუდი კლიმატური პირობები და ზოგიერთ რაიონებში ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის სუსტი ორგანიზაცია. ყოველივე ამის შედეგად 1952 წელს პირველად რესპუბლიკაში ვერ შესრულდა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა (შესრულდა—94,9%-ით), ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა მომდევნო წელსაც, სახელმწიფო გეგმური დავალება შესრულდა 99,2%-ით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების შესაბამისად, საქართველოს კომპარტიის ნოემბრის პლენუმზე ჩაის წარმოებაში არსებული ნაკლოვანებები მკაცრად იქნა გაკრიტიკებული.

ჩაის მრეწველობისა და მის სანედლეულო ბაზის შემდგომი განვითარების საკითხებზე გამახვილდა ყურადღება საქართველოს კომპარტიის XVI ყრილობაზე (1954 წ. თებერვალი). საქართველოს კომპარტიისა და მთავრობის მიერ დასახული კონკრეტული ღონისძიებები ითვალისწინებდნენ ჩაის მეურნეობებში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრას. მეჩაიეთა რაიონების პარტიულ ორგანიზაციებს მიეთითათ სპეციალისტებისა და მეურნეობრივი მუშაკების, ჩაის უხვი მოსავლის ოსტატების, პარტიული აქტივისა და მშრომელთა მასების მჭიდრო დარაზმვით უზრუნველეყოთ სახელმწიფო გეგმური დავალებების დროულად და გადაჭარბებით შესრულება. ამ ღონისძიებებმა მალე გარკვეული შედეგები გამოიღო, რაც უწინარეს ყოვლისა გამოიხატებოდა ახალი ჩაის პლანტაციების გაშენებაში. 1954—1955 წლებში რესპუბლიკაში გაშენ-

---

[12] მლისფპა, ფონდი 14, ანაწ. 21, საქ. 405, ფურც. 70.

და 2 500 ჰექტარი ახალი ჩაის პლანტაცია. გაუმჯობესდა მუშაობა აგრობიოლოგიური და აგროტექნიკური მიმართულებით, ფაბრიკებზე განზოგადდა მოწინავე მეჩაიეთა გამოცდილება. ყოველივე ამის შედეგად იმატა ერთ ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობამ, 1955 წელს იგი შეადგენდა 2 721 კგ-ს[13]. 1954 წელს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის სახელმწიფო გეგმა შესრულდა, მოიკრიფა 107,4 ათასი ტონა, ხოლო მომდევნო წელს გეგმური დავალება შესრულდა გადაჭარბებით (106,8%-ით) — მოიკრიფა 117 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

მეხუთე ხუთწლედის დირექტივები ითვალისწინებდა სსრ კავშირის ჩაის სანედლეულო ბაზის გადიდების შესაბამისად ჩაის მრეწველობის ზრდას. მნიშვნელოვნად იზრდებოდა ჩაის მრეწველობაში კაპიტალდაბანდება. საბჭოთა საქართველოს ჩაის მრეწველობის კაპიტალდაბანდება — 330 მლნ მანეთზე მეტს აღწევდა. ეს თანხა უმთავრესად მოხმარდებოდა ახალი ჩაის ფაბრიკების მშენებლობას, ძველი ჩაის ფაბრიკების რეკონსტრუქციასა და გაფართოებას, უფრო მეტად განმტკიცდებოდა ჩაის მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დაჩქარდებოდა ჩაის ფაბრიკების შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია და ახალი ტექნიკის დანერგვა.

მეხუთე ხუთწლედის პირველ წლებში ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის ჩამორჩენილობა რასაკვირველია უარყოფითად მოქმედებდა ჩაის ფაბრიკების ნორმალურ მუშაობაზე. ჩაის ზოგიერთ ფაბრიკებში ნედლეულის ნაკლებობის ან მისი არათანაბარი მიწოდების გამო ირღვეოდა რიტმული მუშაობის პროცესები. ყოველთვის ვერ იცავდნენ ნედლეულის გადამუშავების დაწესებულ ტექნოლოგიურ ნორმებს. ამის შედეგად პროდუქციის ხარისხი არ შეესაბამებოდა ჩაის ფაბრიკებისათვის დაწესებულ ასორტიმენტს. ჩაის მრეწველობისა და მისი სანედლეულო ბაზის ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, პარტიისა და მთავრობის მიერ დაისახა მთელი რიგი ღონისძიებანი. ამავე დროს მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ჩაის მრეწველობის მექანიზაციისა და ახალი ტექნიკის დანერგვის, ჩაის მზა პროდუქციის გადი-

---

[13] Б. А. Хасиа, Развитие чайного хозяйства в Грузинской ССР, стр. 252.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დების და მისი ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს, რაც შეესაბამებოდა რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის განვითარების ხუთწლიან გეგმას.

იმის გამო, რომ ნედლეულის დამზადებამ მნიშვნელოვნად გაუსწრო ჩაის ფაბრიკების წარმოებრივ სიმძლავრეს, დაჩქარებით იწყება ახალი ჩაის ფაბრიკების მშენებლობა. 1951—1952 წწ. ფართოდ დაიწყო ჩაის ფაბრიკებში მოძველებული მანქანა-დანადგარების იმავე დანიშნულების ახალი მაღალმწარმოებლური მანქანა-დანადგარებით შეცვლის პროცესები.

1951—1955 წლების მანძილზე რესპუბლიკაში ახლად აშენდა და შეიქმნა კვლავმოწყობილი მთელი რიგი ჩაის ფაბრიკები, მათ შორის: აჭყვის, ჭუბურხინჯის, ბახვის, განახლების, გუბის, საჯიჯაოს, წალენჯიხის № 2, კინდღის, ცხაკაიას, ორჯონიკიძის (ზუგდიდის რაიონი) ხელვაჩაურის, ბაილეთის, ოფურჩხეთის, ზუგდიდის № 2, ოქუმისა და ჯვარის თვითეული ახლადაშენებულ ჩაის ფაბრიკის საპროექტო წარმოებრივი სიმძლავრე 1500—3000 ტონით განისაზღვრებოდა[14]. ჩაის მცირე სიმძლავრის ფაბრიკები მეურნეობრივი მაჩვენებლების მიხედვით უკეთესად შეესაბამებოდნენ მათი მომსახურეობის ზონებს, ვიდრე დიდი სიმძლავრის ჩაის ფაბრიკები, რომლებსაც სამამულო ომის წინა პერიოდში აშენებდნენ. ახალი ჩაის ფაბრიკების მშენებლობასთან ერთად საგრძნობლად ფართოვდებოდა ძველი მცირე სიმძლავრის ფაბრიკები (ჩაქვის, ზუგდიდის, ნიგვზიანის და სხვ.), ისინი მაინც ვერ უზრუნველყოფდნენ მზარდი ნედლეულის გადამუშავებას. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ჩაის მრეწველობაში ახალი ტექნიკის დანერგვას და ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებას. ამ გზით შეიძლებოდა ჩაის ფაბრიკების წარმოებრივი სიმძლავრის მკვეთრი გადიდება.

ჩაის ფაბრიკების ძირითადი გაწყობილობების თვისობრივი ცვლილებები მიმდინარეობდა, როგორც მეცნიერული კვლევა-ძიების, ისე წარმოებებში ნოვატორული აზრის პრაქტიკაში დანერგვის გზით.

---

[14] მლისფპა, ფონდი 14, ანაწ. 23, საქ. 764, ფურც. 282.

ჩაის ფოთლის ბიოქიმიურ შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ერთდაიგივე ნედლ მასალისაგან შემუშავებულ ბიოქიმიური წესების დაცვით შესაძლებელია სხვადასხვა სახისა და ასორტიმენტის ჩაის მზა პროდუქციის მიღება. დიდი სამამულო ომის 4—6 წლით ადრე ჩაის მრეწველობაში დაინერგა ჩაის წარმოების ტექნოლოგიური პროცესების ობიექტური კონტროლი, რომლის თეორია შემუშავდა ისეთი ცნობილი მეცნიერების მიერ, როგორიცაა: ა. ბახი, ა. ოპარინი, ა. კურსანოვი, ქართველი მეცნიერები: მ. ბოკუჩავა, ვ. ჯმუხაძე და სხვები[15].

აკად. ა. ბახის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტის დახმარებით და ხელისშეწყობით ჩაის ფაბრიკებში შეიქმნა ბიოქიმიური ლაბორატორიები, რომლებიც დიდ მუშაობას ეწეოდნენ ჩაის ხარისხის დადგენისა და მისი ტექნოლოგიური გაუჯობესებისათვის.

ამავე პერიოდში ჩაის მეურნეობის სრულიად საკავშირო მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლები ხოჭოლავა და აშიანი აწარმოებენ ცდებს ახალი საღნობი მანქანის შექმნაზე, ყურადღება მიეპყრო აგრეთვე საღნობ განყოფილებაში ნედლეულის მიწოდების მექანიზაციას, მაგრამ შედეგები არ იყო მაღალეფექტური და წარმოებებში ეს ტექნიკური სიახლენი არ ყოფილა დანერგილი.

1953 წელს ანასეულის სრულიად საკავშირო მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტის ჩაის მრეწველობის განყოფილების ბაზაზე შეიქმნა ჩაის მრეწველობის სრულიად საკავშირო მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც ჩაის ტექნოლოგიისა და ჩაის ნედლეულის გადამუშავების მექანიზაციის პრობლემებზე მუშაობს[16]. ინსტიტუტის მაღალკვალიფიციური მეცნიერული კადრები ძირითად პრობლემებს ამუშავებენ რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მთელი რიგ სასწავლო და მეცნიერულ-კვლევით ინსტიტუტებთან შემოქმედებით თანამეგობრობის საფუძველზე.

---

[15] Пищевая промышленность Грузинской ССР... стр. 22.

[16] განყოფილება შეიქმნა 1934 წელს, მისი არსებობის მცირე მანძილზე აქ დამუშავდა ჩაის ტექნოლოგიური გადამუშავების მთელი რიგი აქტუალური პრობლემები, რომლებიც ფართოდ ინერგებოდა წარმოებებში, ამას საგძნობლად შეუწყო ხელი ჩაის საცდელმა ფაბრიკამ, რომელიც აშენდა ინსტიტუტთან 1936 წელს — მლისფპა, ფონდი 14, ანაწ. 51, საქ. 410, ფურც. 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამამულო ომისშემდგომ პერიოდში ისეთი გადამწყვეტი ტექნოლოგიური პროცესები როგორიც არის ღნობა, გრეხვა და შრობა დაბალმწარმოებლური და მოძველებული მანქანა-დანადგარებით წარმოებდა. ინჟ. შ. მარდალეიშვილის ხელოვნური საღნობი აგრეგატები შემდეგ შეიცვალა, სრულიად საკავშირო თბოტექნიკური ინსტიტუტისა (ვტი) და ინჟ. შარკოვსკის სისტემის საღნობი დანადგარებით. შარკოვსკის სისტემის დანადგარი წარმოადგენდა სიმაღლით ოთხ მეტრზე მეტს, სადაც ჩაის ფოთლის ღნობის პროცესი მაღაროსებრ დანადგარში მიმდინარეობდა თანაბრად, 6—7 საათის მანძილზე. ჩაის ფოთოლი დანადგარში მოძრაობდა ვერტიკალურად. მისი წარმადობა და სიმძლავრე მნიშვნელოვნად აღემატებოდა „ვტის" საღნობ დანადგარს.

ტექნიკურ სიახლეთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ინჟ. შ. მარდალეიშვილის მიერ კონსტრუირებული განუწყვეტელი მოქმედების კონვეიერული ტიპის საღნობი აგრეგატი. გამოცდის მიზნით პირველად ეს აგრეგატი დაიდგა აჭყვის ახლადაშენებულ ჩაის ფაბრიკაში 1951 წელს[17]. სპეციალურმა კომისიამ საღნობ აგრეგატს მაღალი შეფასება მისცა, იგი რეკომენდებული იქნა წარმოებაში დასანერგად. სხვა საღნობ მანქანებს შორის ახალი აგრეგატი აღმოჩნდა ტექნიკურ და ეკონომიკური თვალსაზრისით მაღალეფექტური. იგი აუმჯობესებდა მზა პროდუქციის ხარისხს, მცირდებოდა წარმოებრივი ხარჯები და მუშაძალის რაოდენობა, აუმჯობესებდა მუშათა შრომის პირობებს, მისი სიმძლავრე დღეღამეში შეადგენდა 18 ათას კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს[18]. 1951 წლიდან შ. მარდალეიშვილის საღნობი აგრეგატის მასობრივ გამოშვებას იწყებს ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა. 1953 წლის დასასრულისათვის ეს აგრეგატი დაინერგა რესპუბლიკის ყველა ჩაის ფაბრიკაში.

1954 წლიდან წარმოებაში დაინერგა აგრეთვე ლაო-ჩაის თერმული დამუშავების საგრეხი მანქანა, რომელიც შექმნა ტექნოლოგ

---

[17] К. И. Джалагания, Чаезавялочная машина системы Ш. Ф. Мардалейшвили, Тб., 1957.

[18] ი. ბაუჟაძე, „შრომის მწარმოებლურობის ამაღლების საკითხები აჭარის მრეწველობაში", ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, III, 1964, გვ. 17.

ლ. ბარბაქაძემ ბიოქიმიის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლის პროფ. მ. ბოკუჩავას ხელმძღვანელობით. მიმდინარეობდა ცდები ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის თანამშრომლების აშიან-ლომინაძის სისტემის საფიქსაციო მანქანის, რომელსაც დიდი გარდატეხის მოხდენა შეეძლო მწვანე ბაიხის ჩაის გადამუშავების ტექნოლოგიურ სქემაში. ამრიგად, მეხუთე ხუთწლედისა და მის მომდევნო წლებში არსებითი თვისობრივი ცვლილებები ხდება ჩაის ფაბრიკების ტექნიკური აღჭურვილობის მიმართულებით, ასე მაგალითად, ჩაის ფაბრიკებში 1953 წელს იყო „ვტი"-ის დანადგარი—17, 1955 წ. —8, მომდევნო წლებში იგი სავსებით გამოდის ხმარებიდან; შარკოვსკის სისტემის მაღაროსებრი დანადგარი 1953 წელს იყო — 244, 1955 წელს — 218, ხოლო 1957 წელს — 177, შ. მარდალეიშვილის სისტემის განუწყვეტელი მოქმედების კონვეიერული ტიპის აგრეგატი 1954 წელს იყო—3, 1955 წელს—28, ხოლო 1958 წელს—58; ფოთლის საგრეხი როლერები 1953 წელს იყო 867, 1957 წელს — 995; დაგრეხილი ფოთლის დამხარისხებელი მანქანა 1953 წელს იყო — 140, 1955 წ. —158; ჩაის სახმობი მანქანა 1953 წელს იყო 218, 1955 წელს — 246; ბარბაქაძის სისტემის ლაო-ჩაის საგრეხი მანქანა 1954 წელს იყო 4, 1957 წელს—35, საფიქსაციო მანქანა 1957 წელს იყო — 3[19]. რაოდენობრივ და თვისობრივ ცვლილებებს განიცდიდნენ სხვა სახის მანქანა-დანადგარებიც. ჩაის მრეწველობის მანქანა-დანადგარებისა და ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფაში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი საკონსტრუქტორო ბიუროებს, საწარმოების ტექნიკურ საბჭოებს. რაციონალიზატორ-გამომგონებლებსა და ნოვატორებს, მათი პატრიოტული თაოსნობით არა ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება დაინერგა შრომისა და წარმოების სრულყოფის, ახალი მანქანა-დანადგარების ათვისებისა და მუშათა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობდა წარმოების ისეთი სფერო, სადაც ნოვატორებს, გამომგონებლებს და რაციონალიზატორებს არ მიეღწიათ მნიშვნელოვანი შედეგისათვის. ვფიქრობთ საკმარისია აღინიშნოს, რომ მეხუთე ხუთწლედის პირველი ორი წლის მანძილზე ახალი ტექნიკისა და რაციონალური წინადადებების წარმოებებში დანერგვის შედეგად დაიზოგა 10750 ათასი მანეთი.

---

[19] ვ. ყ უ რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1951—1955 წლებში სულ შემოტანილ იქნა 761 წინადადება, აქედან წარმოებაში დასანერგად მიიღეს 594 წინადადება, წარმოებაში დაინერგა 430 წინადადება. მათგან მიღებული ეკონომია (ფაქტიურად) შეადგენდა 5291,7 ათას მანეთს[20].

საბჭოთა საქართველოში 1955 წლისათვის ჩაის მომქმედ ფაბრიკათა რიცხვში იმყოფებოდა ბაიხის ჩაის გადამმუშავებელი 60 ჩაის ფაბრიკა, მწვანე აგურა ჩაის 2 ფაბრიკა და 1 ჩაის გადამწონი ფაბრიკა. ბაიხის ჩაის ფაბრიკები, რომლებიც აღჭურვილნი იყვნენ სათანადო ტექნიკით, სავსებით უზრუნველყოფდნენ ჩაის ნედლეულის გადამუშავებას, მათი სიმძლავრე აღემატებოდა 137 ათას ტონა ხარისხოვან ფოთოლს. ამრიგად, 1950 წელთან შედარებით ჩაის ფაბრიკათა წარმოებრივი სიმძლავრე 122,8%-ით გადიდდა.

1955 წელს საქართველოს ჩაის მრეწველობამ გამოუშვა შავი და მწვანე ბაიხის ჩაის —28680 ტონაზე მეტი, მწვანე აგურა ჩაი — 6 996 ტონა და დაფასოებული ბაიხის ჩაი —5009,0 ტონა. სულ 1955 წელს გამოუშვეს 35 676 ხარისხოვანი ჩაის მზა პროდუქცია. ამრიგად, 1950 წელთან შედარებით ბაიხის ჩაის წარმოება გაიზარდა 41,4%-ით, მწვანე აგურა ჩაის—82,8%-ით, ხოლო დაფასოებული მზა ჩაის — 52,8%-ით.

1955 წელს ბაიხის ჩაის ხვედრიწონა ჩაის მზა პროდუქციის მთელ მოცულობაში შეადგენდა 20,6%-ს, რაც 1950 წელთან შეფარდებით 6,1%-ზე მეტია. მზა ჩაის საერთო პროდუქციაში ხარისხოვანი ჩაის ხვედრიწონის მატების შედეგად იზრდება მთლიანი პროდუქციის ოდენობა. 1950 წელთან შედარებით მთლიანი პროდუქცია გაიზარდა 48%-ით.

მომდევნო წლებში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მთელ რიგ დირექტივებში სოფლის მეურნეობის საერთო აღმავლობის საკითხებთან ერთად ისახებოდა აგრეთვე რესპუბლიკის ჩაის წარმოების შემდგომი განვითარების გზები. ჩაის ნედლეულის ზრდა უმთავრესად მოსავლიანობის გადიდების საშუალებით უნდა მომხდარიყო. ამისათვის საჭირო იყო მეტი ყურადღების მიქცევა ჩაის წარმოების შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციაზე, იმ ვარაუდით, რომ თანდათანობით შემცირებულიყო შრომის

---

[20] მლისფპა, ფონდი 14, ანაწ. 23, საქმე 764, ფურც. 27, აგრეთვე ვ. ყ ურ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარჯვა ჩაის პლანტაციებში, სადაც ფოთლის კრეფა ძირითადად ხელით წარმოებდა და მოითხოვდა დიდი რაოდენობის მუშაძალას. თუმცა ამ მიმართულებით ზოგი რამ უკვე დაინერგა, მაგალითად, მწკრივთაშორის კულტივიზაციის შემსრულებელი, მინერალური სასუქების შემტანი და ჩაის ბუჩქისათვის ფორმის მიმცემი მანქანები, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. ამიტომ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ჩაის ფოთლის მკრეფავი მანქანების ტექნიკური და ეკონომიკური ეფექტურობის დადგენას, რომლის შესწავლა უკვე მიმდინარეობდა.

1957 წელს (თებერვალ-მარტი) სოფლის მეურნეობის მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირზე გამახვილდა ყურადღება ჩაის წარმოებაში არსებულ ნაკლოვანებების შესახებ და დაისახა ღონისძიებანი ჩაის წარმოების შემდგომი განვითარებისათვის. თათბირზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. მჟავანაძემ აღნიშნა: „ჩვენი რესპუბლიკის, ჩვენი მეჩაიეების წინაშე დიდი სახელმწიფოებრივი ამოცანაა — უახლოეს დროში მივაღწიოთ ჩაის წარმოების ისეთ დონეს, რომელიც საშუალებას მოგვცემს არა მარტო მთლიანად დავაკმაყოფილოთ საბჭოთა კავშირის მშრომელთა მოთხოვნილება, არამედ გასაყიდადაც გავიტანოთ ჩაი საზღვარგარეთაც“[21].

ქართველმა მეჩაიეებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ პარტიის მოწოდება პირნათლად შეესრულებინათ. 1958 წელს სახელმწიფომ შეისყიდა 132,9 ათასი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

ნედლეულის მოცულობის ზრდა მოითხოვდა ჩაის ფაბრიკებისა და მისი მატერიალური-ტექნიკური ბაზის სათანადო მომზადებას. უკვე 1957 წლის დეკემბრიდან ჩაის ფაბრიკებში ფართოდ გაიშალა მუშა-მოსამსახურეთა მოძრაობა 1958 წლის სეზონის შესახვედრად. ფაბრიკებში შეიქმნა შემკეთებელი ბრიგადები, დიდ მუშაობას ეწეოდნენ მემონტაჟეები, მათი თავდადებული შრომით უმოკლეს დროში (1 აპრილამდე) შესაძლებელი გახდა ბევრი ჩაის ფაბრიკის მთავარი კორპუსების, დამხმარე და კულტურულ-ყოფაცხოვრებითი ობიექტების შეკეთება.

---

[21] „კომუნისტი“, 1957 წ. № 58.

1957 წელს ექსპლოატაციაში გადაეცა ქობულეთის ჩაის ... ...
რიკა № 2.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეტი რაოდენობით იდგმება ახალი კონსტრუქციის — მარდალეიშვილის უწყვეტი მოქმედების ჩაის საღნობი აგრეგატები. 1958 წლისათვის რესპუბლიკის ჩაის ფაბრიკებში მოქმედებდა სულ 127 ასეთი აგრეგატი, ნაცვლად 58-ისა 1957 წელს. ამავე დროს მიმდინარეობდა ძველი მანქანა-დანადგარების მოდერნიზაცია. მეტი ყურადღება მიექცა ელექტროძალოსნურ და ტრანსპორტის მეურნეობის რაციონალურად გამოყენების საკითხებს. მაღალმწარმოებლური მანქანა-დანადგარების წარმოებაში დანერგვამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ჩაის ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგია და მაშასადამე პროდუქციის ხარისხი. ყოველივე ეს იძლევა დიდი რაოდენობის ეკონომიას. 1958 წელს მარდალეიშვილის უწყვეტი მოქმედების ჩაის საღნობმა აგრეგატებმა წარმოებას მისცეს 72 მილიონი მანეთის ეკონომია.

1958 წელს საქართველოს ჩაის მრეწველობამ ქვეყანას მისცა პირველადი გადამუშავების ბაიხის ჩაი — 32 498,4 ტონა, მათ შორის შავი — 25874,3 ტ, და მწვანე — 6624,1 ტ, მწვანე აგურა ჩაი — 8340 ტ, ლაო-ჩაი — 7 673 ტ, და დაფასოებული ბაიხის ჩაი — 5 991 ტ. საქართველოს ჩაის მრეწველობის პროდუქცია 1950 წელთან შედარებით 199,1%-ით გაიზარდა, ხოლო 1955 წლის დონის მიმართ იგი 127,8%-ით გადიდდა.

წარმოებული პროდუქციის მოცულობის გადიდებასთან ერთად განუხრელად იზრდება, მისი ხარისხი და ხვედრიწონა პროდუქციის საერთო რაოდენობაში. მაგალითად, 1958 წელს პირველი და უმაღლესი ხარისხების ხვედრიწონა შავი ბაიხის ჩაის პროდუქციაში (პროცენტობით მთლიანი პროდუქციის მიმართ) შეადგენდა: შავი — 50,33, მწვანე — 54,60[22]. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩაის ყველა ფაბრიკა თანაბარი ოდენობის (%-ით) მაღალი ხარისხის ჩაის უშვებდა: ეს დამოკიდებული იყო წარმოებისათვის ნედლეულის დროულად ჩაბარებაზე, ტექნოლოგიური პროცესებისა და ნორმების მტკიცედ დაცვაზე. მაგრამ ამ ფაქტორებს წინ ეღობებოდა ფაბრიკების სეზონური დატვირთვა (განსაკუთრებით

---

[22] ლ. ჩ ი ქ ა ვ ა, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის ადგილი და როლი შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში, თბ. 1965, გვ. 142.

ე. წ. „პიკის“ დროს) და ნედლეულის არათანაბარი მიწოდება ფაბრიკებში, სადაც მეტნაკლებად მოწესრიგდა რიტმული მუშაობა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი უკეთესი გახდა და მისმა ხვედრმა წონამაც პროდუქციის საერთო მოცულობაში იმატა.

საქართველოს ჩაის მრეწველობის მიერ გამოშვებული ჩაის პროდუქციის მოცულობა შეესაბამებოდა ჩაის ნედლეულის ზრდის ტემპებს, რაც დამახასიათებელია გეგმური სოციალისტური მეურნეობისათვის.

სწრაფი ტემპით ვითარდება აგრეთვე ჩაის წარმოება აზერბაიჯანში და კრასნოდარის მხარეს. 1955 წელს აზერბაიჯანში დამზადდა — 2 520 ჩაის ნედლეული, ხოლო კრასნოდარის მხარეს — 840 ტონა. აზერბაიჯანის სამი მოქმედი ჩაის ფაბრიკის მიერ გამოშვებული შავი ბაიხის ჩაი სსრ კავშირის ჩაის მთლიანი პროდუქციის — 2,1%-ს შეადგენდა, კრასნოდარის მხარის — 0,7%-ს (მოქმედობდა ბაიხის ჩაის ორი პირველადი გადამუშავების ფაბრიკა).

1957—1958 წწ. ჩატარებული პასპორტიზაციის შედეგად დადგინდა, რომ სსრ კავშირში ჩაის ნარგავთა ფართობი (ჰექტარობით) შეადგენდა: საქართველოს სსრ-ში—51,9 ათას, რსფსრ-ში—2,3 ათას და აზერბაიჯანის სსრ-ში —7,0 ათას, ხოლო მთლიანად სსრ კავშირში —61,2[23].

1958 წელს აზერბაიჯანისა და კრასნოდარის მხარის მეჩაიეებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს —5,3 ათასი ტონა ჩაის ნედლეული. ამ რაიონების ჩაის ფაბრიკებმა გამოუშვეს —2,9 ათასი ტონა შავი ბაიხის ჩაი. აზერბაიჯანის და კრასნოდარის მხარის ჩაის მრეწველობის ზრდის ტემპები უფრო მაღალი იყო ვიდრე საქართველოს ჩაის მრეწველობისა. ეს უწინარეს ყოვლისა აიხსნება იმით, რომ ამ რაიონებში ჯერ კიდევ გამოუყენებელი იყო ჩაის ნედლეულის ზრდის არსებული რეზერვები, მეორე მხრივ ჩაის ახალი ფაბრიკები აღჭურვილი იყვნენ სამამულო ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების საფუძველზე, რაც ხელს უწყობდნენ ჩაის ფაბრიკების მაღალმწარმოებლურობას და პროდუქციის ხარისხის ამაღლებას.

---

[23] Б. Хасиа, Расширенное воспроизводство в чайных совхозах в Грузинской ССР, стр. 33, აგრეთვე, Народное хозяйство СССР в 1963 г., Стат. ежегодник, М., 1965, стр. 297.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ჩაის წარმოების გაადგილება და სპეციალიზაცია რესპუბლიკებისა და ოლქების მიხედვით (ბუნებრივ-კლიმატურ და ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით), აგრეთვე ჩაის ნედლეულის ზრდის შესაბამისობა მის გადამმუშავებელ მრეწველობის ზრდის ტემპებთან დამახასიათებელია სოციალისტური მეურნეობის გეგმურობასთან.

სსრ კავშირის ჩაის მრეწველობა, რომელიც ფაქტიურად შეიქმნა ომამდელ ხუთწლედებში და წარმოადგენს სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ ახალ დარგს საგრძნობლად უფრო სწრაფად იზრდება ვიდრე ისეთ ჩაის მწარმოებელ კაპიტალისტურ ქვეყნებში, როგორიცაა ინდოეთი, ცეილონი, ინდონეზია, იაპონია და პაკისტანი. ამ ქვეყნებში მთლიანად ჩაის წარმოება 1938 წლიდან 1956 წლამდე გაიზარდა —47,5%-ით, აქედან: ინდოეთში —70%-ით, ცეილონში — 65,4%-ით და იაპონიაში — 43,0%-ით. თუ ამ ქვეყნებში ჩაის წარმოების განვითარების ტემპები შენელებულია, ინდონეზიაში და პაკისტანში იგი უფრო მკვეთრად კლებულობს, ასე მაგალითად, ინდონეზიაში ჩაის წარმოება ამ პერიოდისათვის დაეცა —42%-ით, ხოლო პაკისტანში —4,8%-ით. სსრ კავშირში მხოლოდ 1940—1955 წლის მანძილზე ჩაის წარმოება გადიდდა 266%-ით[24].

აღსანიშნავია ისიც, რომ იმ პერიოდში ჩინეთისა და ვიეტნამის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკებში ჩაის წარმოების განვითარება სწრაფ აღმავლობას განიცდიდნენ. ქართველი ჩაის სპეციალისტები დიდ დახმარებას უწევენ ჩრდილოეთ ვიეტნამის (ამ რაიონშია ჩაის კულტურა გავრცელებული) მეჩაიეების მოსავლიანობის გადიდებისა და ნედლეულის გადამმუშავებელი მრეწველობის შექმნა-განვითარებაში. საქართველოში დაპროექტებული ჩაის ფაბრიკები, რომლებიც შემდეგ ვიეტნამში აშენდნენ დღესაც საუკეთესო ჩაის პროდუქციას უშვებენ. ჩინეთისა და ვიეტნამის ჩაის მრეწველობაში ფართოდ დაინერგა საქართველოში შექმნილი უწყვეტი მოქმედების საღნობი აგრეგატები, იგზავნებოდა აგრეთვე ჩაის წარმოების სხვა დასახელების მანქანა-დანადგარებიც.

---

[24] БСЭ, том 47, второе издание, стр. 33, აგრეთვე ვ. ყურაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მეხუთე

ჩაის მრეწველობის განვითარება შვიდწლედში (1959—1965 წწ.)

ა. ჩაის მრეწველობისა და მისი სანედლეულო ბაზის განვითარების შვიდწლიანი გეგმა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ (1959 წ.) მოიწონა და დაამტკიცა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959—1965 წლების საკონტროლო ციფრები, რომლის შესრულება ეკონომიკის დარგში კიდევ უფრო გრანდიოზული ნაბიჯი იქნებოდა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად.

სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა გულისხმობდა სოციალისტური სოფლის მეურნეობის ისეთ ზრდას, რომელიც დააკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებას კვების უმნიშვნელოვანეს პროდუქტებზე, აქ მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა ტექნიკურ და მრავალწლიან ნარგავთა მოსავლიანობის გადიდების საკითხებს.

შვიდწლიანი გეგმა ფართო პერსპექტივებს სახავდა სსრ კავშირის ჩაის წარმოების წინაშე. ჩაის ნარგავთა ფართობი 1965 წლისათვის უნდა გაზრდილიყო 85 ათას ჰექტარამდე. უმთავრესად მოსავლიანობის გადიდების გზით ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადება ავიდოდა 180 ათას ტონამდე, ნაცვლად 138,2 ათასი ტონისა 1958 წელს. ამრიგად ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მთლიანი დამზადება გაიზრდებოდა — 130,2%-ით.

შვიდწლედის ბოლოსათვის საქართველოს სსრ-ში ჩაის პლანტაციების ფართობის გადიდება ნავარაუდევი იყო 70 ათას ჰექტა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამდე. ჩაის ხარისხოვანი ფოთლის დამზადება გადიდდებოდა 170 ათას ტონამდე, ნაცვლად 132,9 ათასი ტონისა 1958 წელს.

ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გადიდებაში გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა კომპლექსურ მექანიზაციას, აგროტექნიკურ და აგრობიოლოგიურ ღონისძიებათა ფართო გამოყენებას. მეცნიერულ-კვლევითი დაწესებულებებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების შემოქმედებით ინიციატივას და მათი მიღწევების პრაქტიკაში დანერგვას.

სსრ კავშირის ჩაის ნედლეულის ზრდის შესაბამისად შვიდწლიანი გეგმა გულისხმობდა ჩაის მრეწველობის განუხრელ აღმავლობას. თუ 1958 წელს სსრ კავშირში გამოშვებული ბაიხის ჩაის პროდუქცია შეადგენდა — 33,8 ათას ტონას, 1965 წლისათვის ნავარაუდევი იყო —44 ათასი ტონა ბაიხის ჩაის გამოშვება, ე. ი. ამ ასორტიმენტის ჩაის გამოშვება გადიდდებოდა 130,2%-ით.

1965 წლის ბოლოს საქართველოს ჩაის ფაბრიკებს სამშობლოსათვის უნდა მიეცათ 41,6 ათასი ტონა ბაიხის ჩაის პროდუქცია. ნაცვლად — 32,5 ათასი ტონისა 1958 წელს. ამრიგად, ბაიხის ჩაის წარმოება გაიზრდებოდა — 128%-ით. დამზადდებოდა აგრეთვე 5 ათასი ტონა მწვანე აგურა ჩაი, 8 ათასი ტონა შავი ფილა ჩაი და გადაწონილ-დაფასოებული ბაიხის ჩაი — 8,8 ათასი ტონა. 1965 წელს რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის საქონლური პროდუქცია — 1958 წელთან შედარებით — 61,5%-ით უნდა გაზრდილიყო.

ჩაის პროდუქციის წარმოების გადიდების შედეგად საქართველოს ხვედრიწონა სსრ კავშირის ნედლეულის დამზადებისა და ბაიხის ჩაის პროდუქციის გამოშვებაში მიაღწევდა —95%-ზე მეტს. ამრიგად საქართველოს ჩაის მრეწველობის როლი სსრ კავშირის ჩაის წარმოებაში კვლავ იქნებოდა მეტად მაღალი, როგორც ჩაის ძირითადი მწარმოებელი რაიონისა. წარმოებული პროდუქციის მოცულობის გადიდებასთან ერთად საგრძნობლად გაუმჯობესდებოდა ქართული ჩაის ხარისხი, ხოლო ასორტიმენტი — კიდევ უფრო გაფართოვდებოდა.

რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კიდევ უფრო მეტად განმტკიცებისათვის შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებდა 235 მლნ მან. ოდენობის კაპიტალდაბანდებას. ამ თანხებს უმთავრესად გამოიყენებდნენ ჩაის ფაბრიკებისა და მისი დამხმარე მეურნეობის რეკონსტრუქცია-გაფართოებისა და 15 ახა-

ლი ჩაის ფაბრიკის მშენებლობაზე. ჩაის ფაბრიკების წარმოებული სიმძლავრეს აიყვანდნენ 195 ათას ტონამდე, მათ შორის ახალი ჩაის ფაბრიკების სიმძლავრე იქნებოდა—36 ათასი ტონა.

შვიდწლიანი გეგმით განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ჩაის მრეწველობის ავტომატიზაციასა და მექანიზაციის საკითხებს, ახალი პროგრესული ტექნიკის დანერგვას, შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას; 1958 წელთან შედარებით ჩაის ფაბრიკების მუშათა შრომის მწარმოებლურობა იზრდებოდა—30,2%, ხოლო წარმოებაში დასაქმებულ მუშათა რაოდენობა მცირდებოდა. იზრდება ჩაის მრეწველობის მუშა ხელფასი, ისე როგორც მეჩაიეთა რეალური შემოსავალი. მაღლდება მათი მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის დონე. საგრძნობლად უმჯობესდება ჩაის წარმოების მუშათა შრომისა და ყოფაცხოვრებითი პირობები.

ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომი ამოცანები სულ უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებდა რესპუბლიკის ჩაის წარმოების მუშაკებს, მათ უნდა გაეუმჯობესებინათ მეურნეობრივი, წარმოებრივი და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობის დონე, უფრო მეტად გაეძლიერებინათ ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობა, გადაჭრით ებრძოლათ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

ბ. ჩაის წარმოების ზრდა

საბჭოთა საქართველოს მშრომელები, ისე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი შრომითი ენთუზიაზმით შეუდგა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული ამოცანების შესრულებას.

ადგილებზე ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრებები შვიდწლედის პირველი წლის მაღალი მაჩვენებლების მისაღწევად.

1959 წელს საბჭოთა საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა პირნათლად შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი, მიუხედავად ცუდი კლიმატური პირობებისა სახელმწიფოს მიჰყიდეს—140,2 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც 7 ათასი ტონით მეტი იყო ვიდრე 1958 წელს.

ჩაის ნედლეულის დამზადების სოციალისტური შეჯიბრებებისათვის ნაკისრი ვალდებულებების ვადამდე და გადაჭარბებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესრულებისათვის საქართველოს მეჩაიეებმა პარტიისა და მთავრობის მადლობა დაიმსახურეს[1].

შვიდწლედის პირველი წლის მიღწევები მეტყველებდნენ მეჩაიეთა დარაზმულობასა და შემოქმედებით აქტივობაზე, ამიტომ, მათ იკისრეს შვიდწლედის გეგმის ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულება. 1965 წლისათვის უნდა მოეკრიფათ 200 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 170 ათასი ტონისა, ხოლო 1963 წელს ქვეყანას მისცემდნენ 170 ათას ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს. ამრიგად, მეჩაიეების გადაწყვეტილებით შვიდწლედის გეგმა შესრულდებოდა ორი წლით ადრე —1963 წელს. ამ საპატიო ამოცანის შესრულებისათვის უფროს თაობას გვერდში ამოუდგა მეჩაიეთა რაიონების ახალგაზრდობა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს მოძრაობა „შვიდწლედის მოსავლის აღებისათვის“.

რესპუბლიკის მეჩაიეთა ნაკისრ ვალდებულებათა განაღდება მოითხოვდა დიდი შრომის გარდა ჩაის წარმოების არსებული რეზერვების მთლიან გამოყენებას. მაგრამ შვიდწლედის პირველი წლის გამოცდილებამ აჩვენა, რომ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი იყო გასაკეთებელი. მიუხედავად იმისა, რომ ვადამდე და გადაჭარბებით შესრულდა რესპუბლიკის ჩაის ფოთლის გეგმური დავალება, მთელმა რიგმა რაიონებმა (ბათუმის, წულუკიძის, ოჩამჩირის და სხვ.), არამც თუ ნაკისრი ვალდებულებების, არამედ სახელმწიფოებრივი გეგმური დავალებების შესრულებაც კი ვერ შესძლეს. ადგილებზე შემოწმებით დადასტურდა, რომ ზოგიერთი რაიონის საშუალო მაჩვნებლების იქით იმალებოდა არა ერთი ჩამორჩენილი მეურნეობა. თუ რესპუბლიკაში მთლიანად ერთ ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობა გაიზარდა 3 000 კილოგრამამდე, ზოგიერთ კოლმეურნეობაში და საბჭოთა მეურნეობაში მოსავლიანობა მეტად დაბალი იყო, რაც უკან სწევდა, როგორც რაიონის, ისე რესპუბლიკის მაჩვენებლებს. დაბალი მოსავლიანობის უმთავრესი მიზეზი იყო აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის რეჟიმის უხეში დარღვევა და მათი მნიშვნელობის შეუფასებლობა, ამის შედეგად ჩამორჩენილ მეურნეობებში ადგილი ჰქონდა ჩაის პლანტა-

---

[1] „კომუნისტი“, 1960 წ., №№ 5, 20.

ციების სიმეჩხერისა და სარევლიანობის შემთხვევებს, ეფექტიანი წარმოებდა მინერალური სასუქების შენახვა და მათი გამოყენება ჩაის პლანტაციებში.

1960 წლის თებერვალს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში — „ჩაის წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ“, დაისახა მთელი რიგი კონკრეტული გზები ჩაის წარმოებაში არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად, რაც უზრუნველყოფდა უმოკლეს დროში ჩაის წარმოების მაღალი მაჩვენებლების მიღწევას. დადგენილება ავალებდა ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს სათანადო ხელმძღვანელობისა და დახმარების გაძლიერებას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი[2]. ჩაის წარმოების გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი როლი ეთმობოდა აგრეთვე საკონსტრუქტორო ბიუროებსა და მეცნიერულ-კვლევით დაწესებულებების მუშაობის გარადქმნას, რომლებიც სათანადო ყურადღებით არ ეკიდებოდნენ ჩაის მეურნეობების კომპლექსური მექანიზაციის პრობლემების დაჩქარებით გადაჭრას, განსაკუთრებით ეს ითქმის ჩაის საკრეფი მანქანის შექმნასა და მის სრულყოფაზე.

შვიდწლედის პირველ წელს მოპოვებული წარმატების გამოცდილების გათვალისწინებამ, სპეციალისტთა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აქტივის ფართო მონაწილეობამ უზრუნველყვეს ჩაის წარმოების გადიდება.

რესპუბლიკის ჩაის პლანტაციების ფართობი 1960 წელს გაიზარდა 55,6 ათას ჰექტარამდე, ნაცვლად 519 ათასი ჰექტარისა 1958 წელს. ერთ ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობა გადიდდა 3210 კილოგრამამდე.

1960 წელს მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 156,8 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, 15,6 ათასი ტონით მეტი ვიდრე 1959 წელს.

შვიდწლედის ორი წლის მანძილზე ჩაის ნედლეულის სწრაფი ზრდა გეგმური სოციალისტური მეურნეობის კანონზომიერი პროცესის შედეგს წარმოადგენდა, რაც აგრეთვე მეტყველებდა იმაზე, რომ ჩაის წარმოებაში არსებობდნენ ისეთი რეზერვები, რო-

---

[2] გაზ. „კომუნისტი“, 1960 წ. № 49.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელთა გონივრული გამოყენება კიდევ უფრო მეტად გაზრდიდა ჩაის წარმოების მაჩვენებლებს. ყოველივე ეს საფუძვლად დაედო მეჩაიეთა ნაკისრი ვალდებულებების წარმატებით შესრულებას და მართლაც წარსულ წლებთან შედარებით ქართველმა მეჩაიეებმა 1962 წელს მოიპოვეს დიდი გამარჯვება—მიაღწიეს შვიდწლედის დამდეგისათვის დასახულ მიზნებს. მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 170,2 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

1963 წელი საქართველოს მეჩაიეებისათვის წარმოადგენდა შრომის ფრონტზე დიდი შეტევის პერიოდს. ყველგან, სადაც კი მეჩაიეებს უხდებოდათ შრომა, გაჩნდა ლოზუნგები, პლაკატები, საველე ფურცლები, მოწოდებით: მიმდინარე წელს მოიპოვონ სასახელო წარმატება — 1965 წლისათვის გათვალისწინებული ვალდებულება 1963 წელს გაანაღდონ. დიდმნიშვნელოვან მოვლენად გადაიქცა მსოფლიოში ჩაის პირველი ახალი საკრეფი მანქანების („საქართველოს") ჩაის მეურნეობებისათვის გადაცემა, რომელიც ქართველმა კონსტრუქტორებმა შექმნეს. 1963 წ. საქართველოს ჩაის პლანტაციებში უკვე 100 ჩაის საკრეფი მანქანა მუშაობდა. მათი ექსპლოატაციაში გადაცემის პირველმა წელმა მეტად დამაკმაყოფილებელი შედეგები გამოიღო, მაგრამ ჩაის ფოთლის კრეფა უმთავრესად მაინც ხელით წარმოებდა. დიდი პატრიოტული ინიციატივა გამოიჩინეს ჩაის წარმოების ძირითადი რაიონების — მახარაძისა და ქობულეთის მშრომელებმა, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ ფართოდ გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებებს. მათ წამოწყებას ფართოდ გამოეხმაურა მეჩაიეთა მრავალათასიანი კოლექტივი. 1963 წ. საქართველოს მეჩაიეებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 186 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული. ასევე წარმატებით შესრულდა ჩაის წარმოების სხვა მაჩვენებლებიც. ამრიგად, მიმდინარე ხუთი წლის მანძილზე (1959—1963 წწ.) შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული ჩაის წარმოების საკონტროლო ციფრები შესრულდა ორი წლით ადრე, გადაჭარბებით.

დიდი შრომითი გამარჯვებისათვის საქართველოს ჩაის წარმოების მშრომელებმა სიამაყის გრძნობით მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გულითადი მილოცვები.

ჩაის წარმოებაში მოპოვებული წარმატებები რასაკვირველია არ იყო ზღუდე რომლის იქით ჩაის წარმოების განვითარების ტემ-

პები შენელდებოდა. ჩაის ნედლეულის მოცულობის ზრდამ გარკვეული წვლილი შეჰქონდა ჩაის ფოთლის კრეფის მექანიზაციას. 1964 წელს ჩაის პლანტაციებში 202-მდე ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“ მუშაობდა. ამ მანქანების გამოყენების დიდი გამოცდილება მიიღეს ინგირის, ლაითურის, ქობულეთისა და სხვა მეურნეობებმა. დღეში ერთი მანქანით იკრიფებოდა 1500—2000 კილოგრამი და ზოგჯერ უფრო მეტი ჩაის ფოთოლი, ეს მაშინ როცა ხელით ერთი კაცი ძლივს კრეფდა 50—100 კილოგრამ ფოთოლს. გარდა ამისა ერთი ტონა ჩაის ფოთლის მიღება მანქანით ჯდებოდა 200 მანეთი, ხოლო უმანქანოდ — 318 მანეთი. 1965 წლისათვის რესპუბლიკის ჩაის პლანტაციებში 500-მდე ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“ მუშაობდა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმზე (1965 წ.) მითითებული იყო იმის შესახებ, რომ არსებული ტექნიკა გამოყენებული ყოფილიყო უფრო მწარმოებლურად ვიდრე ეს ხდებოდა ადრე, ამიტომ გაიზარდა სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა მატერიალური დაინტერესება, გაუმჯობესდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მომარაგება სათადარიგო ნაწილებით და მასალებით. რადგან ფართოვდებოდა ჩაის წარმოებაში მანქანური ტექნიკის გამოყენება მის შესაბამისად მზადდებოდა ოსტატ მექანიზატორთა კადრები. პლენუმმა განსაკუთრებით ყურადღება მიაქცია სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებასა და შესყიდვის სისტემის გაუმჯობესებას[3]. პარტიისა და მთავრობის ამ მნიშვნელოვან ღონისძიებებს ქართველმა მეჩაიეებმა დიდი შრომითი აღმავლობით უპასუხეს. მახარაძელ მეჩაიეთა თაოსნობით დაიწყო მოძრაობა ჩაის ნედლეულის ხარისხის გაუმჯობესებისა და ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და რესპუბლიკის პროფსაბჭომ შეიტანეს დამატება დებულებაში: ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოების საუკეთესო მაჩვენებლებისათვის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინის-

---

[3] Л. И. Брежнев, «О неотложных мерах по дальнейшему развитию сельского хозяйства СССР», доклад на Пленуме ЦК КПСС 24 марта 1965 года, М., 1965.

ტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშის რაიონებისათვის მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვიდწლედის დამამთავრებელ წელს მიუხედავად იმისა, რომ ქართველ მეჩაიეთა ბრძოლა უხვი მოსავლისათვის ამინდის ძნელ პირობებში მიმდინარეობდა სასახელოდ შესრულდა ნაკისრი ვალდებულება.

განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს აჭარის მეჩაიეებმა. წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოებრივი გეგმა და ნაკისრი ვალდებულება მახარაძის, წალენჯიხის, ცხაკაიას, წყალტუბოს, ტყიბულის, ჩხოროწყუს, ჩოხატაურის, ხობის და სხვა რაიონის მეჩაიეებმა. ჩაის კრეფის მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს სოციალისტური შრომის გმირმა ტატიანა ჩხაიძემ, რომელმაც მოკრიფა 10 ტონაზე მეტი ჩაი, ინგირის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორმა ს. აფხაზავამ, რომელიც მანქანა „საქართველოთი" დღეში კრეფდა 4 ტონამდე ჩაის ფოთოლს. კოლმეურნე დარეჯან თურმანიძემ, რომელმაც 0,55 ჰექტარზე მოკრიფა 9 300 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და კიდევ სხვა მრავალმა მეჩაიემ.

1965 წლის 20 ნოემბრის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური შეკრების მონაწილეების მიმართვაში საქართველოს სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელისადმი, ნათქვამია: „სახელოვანი საქმეებით გაახარეს ჩვენი ქვეყანა საქართველოს მეჩაიეებმა. ჩაის გადასამუშავებელ მრეწველობას ჩაბარდა 186 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი. შვიდწლედის მანძილზე რესპუბლიკამ სამშობლოს მისცა 1 178 000 ტონა ჩაი, რაც 131 000 ტონით აღემატება საგეგმო დავალებას"[4].

ახლა, როდესაც საგრძნობლად განმტკიცდა ჩაის წარმოების სანედლეულო ბაზა თვითეული მუშაკის დევიზს წარმოადგენს ქართული ჩაის ღირსების კიდევ უფრო მეტად ამაღლებისათვის ბრძოლა.

3. ჩაის წარმოების ტექნიკური სრულყოფის ღონისძიებანი და მათი შედეგები

სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა, როგორც უკვე ითქვა ითვალისწინებდა სანედლეულო ბაზის ზრდის

---

[4] გაზ. „კომუნისტი", 1965, № 276.

შესაბამისად საქართველოს ჩაის მრეწველობის მომქმედ ფაბრიკათა წარმოებრივი სიმძლავრის გადიდებას. ეს უნდა განხორციელებულიყო ახალი ჩაის ფაბრიკების მშენებლობისა და ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფის გზით. თუ ომისშემდგომი ხუთწლედებში ჩაის ფაბრიკების მშენებლობა მიზნად ისახავდა უწინარეს ყოვლისა სიმძლავრეთა გადიდებას, შვიდწლედში უმთავრესი ყურადღება ექცევა პროგრესული ტექნიკის დანერგვას და ამ გზით ჩაის ფაბრიკების წარმოებრივი სიმძლავრის გადიდებას. ამიტომ, შვიდწლედისათვის ომისშემდგომ ხუთწლედებთან შედარებით დამახასიათებელია ახალი ჩაის ფაბრიკების მშენებლობის ტემპების შენელება. შვიდწლედში ჩაის ახალი ფაბრიკები აშენდა უმთავრესად ჩაის იმ მეურნეობების უკეთ მომსახურებისათვის, რომელთა ნედლეულის მოცულობა გაიზარდა. ასორტიმენტის გაფართოების მიზნით ექსპლოატაციაში გადაეცა სამტრედიის შავი ფილა ჩაის ფაბრიკა (1961 წ.). უკვე 1962 წლისათვის საქართველოს ჩაის მრეწველობის მოქმედ ჩაის ფაბრიკათა მწყობრში იმყოფებოდა 66 პირველადი გადამუშავების ფაბრიკა, რომელთა ტერიტორიული გაადგილება შემდეგი სახით წარმოგვიდგება (იხ. ცხრ. 27).

ცხრილში აღნიშნული ჩაის ზოგიერთი ფაბრიკა ემსახურებოდა აგრეთვე მეზობელი რაიონების ჩაის მეურნეობებს, ასე მაგალითად, წულუკიძის რაიონის ჩაის ფაბრიკები ემსახურებოდა — სამტრედიისა და ვანის რაიონის ჩაის მეურნეობებს; ცხაკაიას რაიონის — აბაშის; ტყიბულის რაიონი თერჯოლისა და ზესტაფონის და ა. შ. ცალკეული რაიონების ჩაის ფაბრიკათა წარმოებრივი სიმძლავრე შეესაბამებოდა მათი მომსახურეობის ზონის ჩაის ნედლეულის მოცულობას. მაგრამ აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ნედლეულის რესურსების სწრაფი გაფართოება საჭიროების შემთხვევაში არ გამორიცხავდა ახალი ჩაის ფაბრიკების მშენებლობას.

მოტანილ ცხრილიდან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის ძირითად ბაზას წარმოადგენდნენ სამეგრელოსა და გურიის რაიონები, მათზე მოდიოდა პირველადი დამუშავების ფაბრიკების საერთო სიმძლავრის ნახევარზე მეტი.

ამ ეტაპზე ჩაის მრეწველობის ტექნიკური ბაზის გაფართოებისა და განმტკიცების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 27

პირველადი დამუშავების ჩაის ფაბრიკების გაადგილება რაიონების მიხედვით[5]

ადმინისტრაციულ რაიონთა დასახელება	ფაბრიკათა რაოდენობა
საქართველოს სსრ	66
მათ შორის:	
აჭარის ასსრ	10
მათ შორის:	
ბათუმის რაიონი	3
ქობულეთის „	7
აფხაზეთის ასსრ	10
მათ შორის:	
გალის რაიონი	5
ოჩამჩირის „	3
სოხუმის „	1
გუდაუთის „	1
საქართველოს რაიონი	42
მათ შორის:	
მახარაძის რაიონი	11
ლანჩხუთის „	5
ჩოხატაურის „	2
ზუგდიდის „	6
წალენჯიხის „	4
ჩხოროწყუს „	3
გეგეჭკორის „	4
ცხაკაიას „	2
ხობის „	2
წულუკიძის „	2
წყალტუბოს „	2
ჭიათურის „	1
ტყიბულის „	2

და წარმოების მექანიზაციის, ავტომატიზაციისა და საერთოდ ახალი პროგრესული ტექნიკის დანერგვის საკითხებს, რის შესახებაც არა ერთხელ ყოფილა მითითებული კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებებში.

წარმოებების უახლესი ტექნიკით აღჭურვის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა შრომის მწარმოებლურობის შემდგომი ამაღლება და პროდუქციის თვითღირებულების შემცირება.

საქართველოს ჩაის მრეწველობაში შვიდწლედის პირველივე

[5] „საქართველოს ჩაის“ ტრესტის მონაცემები.

წლიდან დაიწყო მეტად ინტენსიური მუშაობა პროგრესულ ... ღალწარმოებლური ტექნიკის შექმნისა და მათი წარმოებაში დაუყოვნებლივ დანერგვისათვის. ამ მიმართულებით ქართველი სპეციალისტების შემოქმედებითმა ძიებამ ჯერ კიდევ სოციალიზმის მშენებლობის ხუთწლედებში დიდი ნაყოფი გამოიღო, მაგრამ ჩაის წარმოების მოცულობის გაფართოებამ ამჟამად დღის წესრიგში დააყენა ახალი ამოცანები. უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო მძიმე შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, ჩაის გადამუშავების ძირითადი პროცესების მწარმოებლურობის დონის ამაღლება და იმ საამქროებში, სადაც ჩაის ტექნოლოგიის ძირითადი პროცესები სრულდებოდა ურთიერთშორის გამტარუნარიანობის შესაბამისობის მიღწევა. მაგალითად, თუ ახალი უფრო სრულყოფილი საღნობი მანქანების დანერგვამ და საშრობი მანქანების მოდერნიზაციამ (ერთჯერადი შრობა) გააუმჯობესა საღნობი და საშრობი საამქროების გამტარუნარიანობა, საგრეხი საამქროს გამტარუნარიანობა მათ საგრძნობლად ჩამორჩებოდა. ამის გამო საგრეხი საამქრო უმეტესად გადატვირთვით მუშაობდა (განსაკუთრებით „პიკის“ დროს), მაშინ როდესაც ამ საამქროდან მოწოდებული ჩაის ფოთლის მოლოდინში საღნობი და საშრობი საამქროები ნაკლებად იყვნენ დატვირთულები. გადატვირთვის გამო საგრეხი როლერების ბოუნვის დაჩქარება (ნაცვლად სამჯერადისა — ერთჯერადი ან ორჯერადი) — ამცირებდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხს.

ჩაის ტიპიურ ფაბრიკებში დამატებითი როლერების დადგმა მოითხოვდა ფაბრიკების ძირითად რეკონსტრუქციას, დიდ თანხებს და დროს. გარდა ამისა ჩაის ტექნოლოგიური წარმოების სეზონურობა და ჩაის ფოთლის არათანაბარი შემოსვლა ხელს უწყობდა მუშაძალის დენადობას[6].

მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა შემოქმედებითი თანამეგობრობის შედეგად 1959—1965 წწ. ჩაის 27 ფაბრიკაში განხორციელდა საგრეხი საამქროების მექანიზაცია. წნეხიანი როლერების ნაცვლად დაინერგა ღია როლერები, რომლებსაც დიდი ტევადობა აქვთ. ამის გარდა ტრანსპორტირება ტელეფერებით განხორციელდა. საგრეხი საამქროების მექანიზაციამ, სრულ შესაბა-

---

[6] ა. ნიჟარაძე, „სიახლე ჩაის მრეწველობაში,“ „კომუნისტი“, 1965 წ., № 103.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისობაში მოიყვანა გამტარუნარიანობა საღნობ და საშრობ სამქროებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩაის ფოთლის სადღეღამური გამოშვება და მკვეთრად გაუმჯობესდა ისეთი გადამწყვეტი ტექნოლოგიური პროცესები, როგორიც არის ჩაის მწვანე ფოთლის გრეხა, ღნობა და შრობა. ახალი ტექნოლოგიის დანერგვამ საგრძნობლად გააუმჯობესა წარმოების ორგანიზაცია და პროდუქციის ხარისხი; შემცირდა მუშათა რაოდენობა და კაპიტალდაბანდების მნიშვნელოვანი სახსრები.

ანასეულის ჩაის მრეწველობის მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლების ი. აშიანისა და გ. ლომინაძის საფიქსაციო მანქანების (განუწყვეტელი მოქმედების) და ვ. შარკოვსკის როლერების ბაზაზე შეიქმნა მწვანე ბაიხის ჩაის ფოთლის ნახევარფაბრიკატად გადამუშავების განუწყვეტელი ხაზი. ამავე დროს გორის ავტომატიკის მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტში დამუშავდა განუწყვეტელი ხაზის ავტომატური მართვის პრობლემა.

ჩაის მრეწველობისა და საკონსტრუქტორო ბიუროების მუშაკთა ჯგუფმა შეიმუშავა ჩაის ფოთლის გადამუშავების პროცესთა კომპლექსური მექანიზაციის ახალი მეთოდი[7]. აქ მთავარი ადგილი ეთმობა ჩაის საღნობ-საფიქსაციო აგრეგატს, რომელიც შავი და მწვანე ბაიხის ჩაის პროდუქციის დამზადების საშუალებას იძლევა. რესპუბლიკის ჩაის მრეწველობაში სანამ ეს ტექნიკური სიახლე დაინერგებოდა, შავი და ბაიხის ჩაის პროდუქცია ჩაის ფაბრიკებში მზადდებოდა ცალ-ცალკე, რადგან მათი წარმოება ერთი მეორისაგან არსებითად განსხვავდებოდა.

შავი და მწვანე ჩაის გადამუშავების ტექნოლოგიური განსხვავება აიხსნება სეზონის განმავლობაში ჩაის ფოთლის შემადგენლობის ცვალებადობით. სეზონის იმ პერიოდში (გაზაფხულ-შემოდგომა), როდესაც ჩაის ხარისხოვანი ნედლეულის შემადგენლობა პასუხობდა მწვანე ბაიხის ტექნოლოგიურ სქემას, ფაბრიკებში წარმოებდა ამ სახის ჩაის გამოშვება, ხოლო ზაფხულში მოკრე-

---

[7] ამის შესახებ ვრცლად იხ. ა. ხუროძე, მ. ჯომარჯიძე, ო. ხოჭოლავა, ა. კალანდაძე, შ. დარჩია, მ. საკინი, დ. მჟავანაძე, ბ. ჯობაძე, ტ. ყვავილაშვილი, ლ. კირია, ი. დემურიშვილი, გ. ცხადაძე, მ. მშვიდობაძე, კ. ჯმუხაძე, ნაცვლიშვილი, „შავი და მწვანე ჩაის კომბინირებული წარმოების შექმნა და დანერგვა ახალი ტექნოლოგიის საფუძველზე საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციით“ თბ., 1962 (ხელნაწერის უფლებით).

ფილი ჩაის ხარისხოვანი ფოთლისაგან (ტანინის დიდი რაოდენობის შემცველობის გამო)—შავი ბაიხის ჩაის. არსებული ტექნოლოგიური გაწყობილობით ბაიხის ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკებში არ შეიძლებოდა ორივე სახის პროდუქციის გამოშვება. ერთიდან მეორე სახეობის პროდუქციის გამოშვებაზე საჭირო იყო დამატებით ხარჯების გაღება. ასე მაგალითად, 1953—1954 წწ. მწვანე ბაიხის ჩაის დამზადებაზე გადაყვანილ იქნა რამდენიმე ფაბრიკა. მათ რეკონსტრუქციაზე დაიხარჯა 1,3 მილიონი მანეთი[8]. თუ გავითვალისწინებთ მწვანე ბაიხის ჩაიზე მოთხოვნილების სწრაფ ზრდას მაშინ გასაგები გახდება ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ენიჭებოდა ქართველი მეცნიერებისა და სპეციალისტების მიერ შექმნილ საღნობ-საფიქსაციო აგრეგატს. ამით გადაწყდა ერთი და იმავე გაწყობილობით შავი და მწვანე ბაიხის ჩაის წარმოების რეგულირების პრობლემა. ამასთან ერთად გაადვილდა ამ ორი სახის ჩაის მოთხოვნილების შესაბამისად წარმოების საკითხი.

ჩაის ფოთლის ტექნოლოგიის და სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის სრულყოფის შედეგად, ბაიხის ჩაის პირველადი დამუშავება, დაწყებული საფიქსაციო აგრეგატის ბუნკერში ჩაის ფოთლის დატვირთიდან — დამთავრებული ნახევარფაბრიკატის დამზადებით (ყველა ეს პროცესი) — მექანიზებულია.

1962 წელს ჩაის კომბინირებული წარმოების გამოყენებამ საქართველოს 27 ფაბრიკაში და გრეხის ახალი ტექნოლოგიის დანერგვამ 52 ფაბრიკაში მნიშვნელოვნად გააუმჯობესა შრომის პირობები, შეამცირა მუშაძალა და საგრძნობლად აამაღლა პროდუქციის ხარისხი. ჩაის ნედლეულის დიფერენცირებული დამუშავება შესაძლებლობას იძლევა გადიდდეს ჩაის ფაბრიკების წარმოებრივი სიმძლავრე 65 ათას ტონამდე. ასეთი რაოდენობის სიმძლავრის მიღწევა შესაძლებელი იქნებოდა 26 ახალი ჩაის ფაბრიკის აშენებით. 1962 წლის მონაცემებით ჩაის ფაბრიკებში ახალი ტექნიკის დანერგვით მიიღეს 31,4 მილიონი მანეთის ეკონომია[9]. 1963 წლიდან ჩაის ფაბრიკების კომპლექსური მექანიზაცია გატარდა რესპუბლიკის ყველა პირველადი დამუშავების ბაიხის ჩაის ფაბრიკაში.

---

[8] ლ. ჩ ი ქ ა ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 353.

[9] „კომუნისტი“, 1962, № 301.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაის წარმოების ტექნიკური სრულყოფა მიმდინარეობდა, როგორც ჩაის ყველა სახის პროდუქციის დამზადების, ისე წარმოების ცალკეულ უბნის გაწყობილობების მწარმოებლურობის დონის ამაღლებისათვის.

რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის ტექნიკური სიახლისათვის ბრძოლაში გარკვეული წვლილი მიუძღვის ინჟ. მ. კოდუას. მის მიერ კონსტრუირებულმა ნახევრადავტომატურმა ჩაის საწნეხმა გაადვილა მწვანე აგურა ჩაის წარმოების მძიმე პროცესი. იგი პირველად ზუგდიდის ჩაის საწნეხ ფაბრიკაში დაინერგა და წარმოებდა ცდები მისი შემდგომი სრულყოფისათვის.

განუწყვეტელი სისტემის როლერის შექმნის პროექტი ეკუთვნის ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელს ა. კაკალაშვილს. ამ პროექტით შექმნილ ახალ როლერს, შეეძლო ჩაის ფოთლის გრეხა ნაკადურად, მისი გამოცდა წარმოებდა დრანდის ჩაის ფაბრიკაში[10].

მრავალრიცხოვანი დაკვირვებებისა და ცდების შედეგებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩაის ტექნოლოგიის სრულყოფისათვის. ამ მხრივ ფასდაუდებელია აგრეთვე ჩაის წარმოების მუშაკთა პატრიოტული ინიციატივა, თითქმის ყველა ჩაის ფაბრიკაში იყო ისეთი ჯგუფები, რომლებიც თავის ყოველდღიურ საქმიანობას უკავშირებდნენ წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების საქმეს. მაგალითისათვის ავიღოთ ჩვენი რესპუბლიკის ერთერთი პირველი კომუნისტური შრომის წარმოება — თბილისის ჩაის გადამწონი ფაბრიკა. შვიდწლედის დასაწყისში, როდესაც ქართველმა მეჩაიეებმა ჩაის ფრონტზე გაშალეს შეტევა, თბილისის ჩაის გადამწონ ფაბრიკაში საგრძნობლად გაიზარდა სამუშაოთა მოცულობა. საჭირო შეიქმნა მეტი წარმოებრივი ფართობი, მანქანა-დანადგარების და მუშაძალის გადიდება. ფაბრიკის სამეცნიერო-ტექნიკურმა საბჭომ, სადაც გაერთიანებული იყვნენ ინჟინერ-ტექნიკოსები, გამომგონებელ-რაციონალიზატორები და მოწინავე მუშები შეიმუშავეს გეგმა წამოჭრილი სიძნელეების გადასაჭრელად, რამაც მალე გამოიღო ნაყოფი.

წარმოებაში ყველაზე პრიმიტულსა და შრომატევად საქმეს რკინიგზის ვაგონების დატვირთვა-გადმოტვირთვა წარმოადგენდა,

---

[10] Пищевая промышленность Грузинской ССР за 40 лет, стр. 22—23.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ ფაბრიკის მექანიზაცია სწორედ აქედან დაიწყო. პირველ რიგში მოაწყვეს რკინიგზის ბაქანი (მისი ამაღლებით), ისე რომ მასში მტვირთავებს დაუბრკოლებლივ შეჰყავდათ ელექტროავტოკარები. სართულებზე ტრანსპორტირებისათვის დამონტაჟდა ლიფტები. ამრიგად, თუ რკინიგზის ვაგონიდან საწყობამდე ერთი ტონა ნედლეულის მისატანად საჭირო იყო რამოდენიმე საათი, ახლა ეს პროცესი 2—3 წუთში სრულდებოდა.

წარმოების ორ განცალკევებულ კორპუსში ყოფნა უარყოფითად მოქმედებდა რიტმულ მუშაობაზე, რადგან მათ შორის ტვირთის გადატანა რკინიგზის ვაგონებით ხდებოდა. ამ შეუსაბამობის რეგულირებისათვის, გაკეთდა დახურული ხიდი, რომლითაც ორი კორპუსი ერთმანეთს დაუკავშირდა, ტვირთი ავტოკარების საშუალებით გადაჰქონდათ.

დახარისხება-დაკუპაჟების საამქროში ნედლეული იჭრებოდა განცალკევებული ოპერაციებით, ახლა ეს პროცესი სათვალთვალო და ამრევ დოლურას შორის არის ჩამოკიდებული. ამან მნიშვნელოვნად შეამცირა პროდუქციის გადამუშავების დრო.

მთელი რიგი წარმოებრივი პროცესები, რომლებიც ადრე ხელით სრულდებოდა შეიცვალა ავტომატებით, მაგალითად, სათვალთვალო მაგიდაზე პროდუქციის მიწოდებას ავტომატი ასრულებს. ავტომატურად გადადის პროდუქცია ერთი საამქროდან მეორეში. მოდერნიზებულია მთელი რიგი გაწყობილობები, უფრო რაციონალურად განლაგდა შემფუთავი და ამწონი ავტომატები. დიდ სასარგებლო საქმეს აკეთებს საზოგადოებრივ საწყისზე შექმნილი ფაბრიკის ეკონომიკური ანალიზის ბიურო, რომელიც რაციონალიზატორული აზრისა თუ სხვა ტექნიკური სიახლის ეფექტურობის გაანალიზება-გაანგარიშებას ეწევა. 1960—1964 წწ. ფაბრიკაში ათეულობით რაციონალური წინადადებები დაინერგა. ყოველივე ამის შედეგად დაზოგილ იქნა საგრძნობლად დიდი რაოდენობის სახელმწიფოებრივი სახსრები[11].

თბილისის ჩაის გადამწონი ფაბრიკის შრომატევადი სამუშაოები 90%-მდე მექანიზებულია. ახალი ტრანსპორტიორის ექს-

---

[11] „თბილისი", 1964, № 116.

პლატაციაში შეყვანით მექანიზაციის დონე ფაბრიკაში უფრო მეტად გაიზრდება[12].

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტური მეურნეობისათვის დამახასიათებელია პროდუქციის მოცულობის გადიდება და მისი ხარისხის განუხრელი ამაღლება. უკანასკნელი 4—5 წლის განმავლობაში საქართველოს ჩაის მრეწველობის პროდუქციის მოცულობის გადიდებასთან ერთად საგრძნობლად გაუმჯობესდა ქართული ჩაის ხარისხი, კიდევ უფრო მეტად ამაღლდა ჩაის ფოთლის გადამუშავების კულტურა და ტექნოლოგია.

ფოთლის ღნობის პრობლემის გადაწყვეტამდე, მთელ რიგ საწარმოში ირღვევოდა ტექნოლოგიური პროცესები. საღნობი დანადგარების გამტარუნარიანობა საგრძნობლად აფერხებდა ჩაის ფოთლის დროულად გადამუშავებას, ჩაის ფოთლის ღნობის ხარისხი ძალიან დაბალი იყო. ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებდა პროდუქციის ხარისხზე. რესპუბლიკის ჩაის ფაბრიკებში პროგრესული ტექნიკის დანერგვის შემდეგ არ ყოფილა წუნდებული პროდუქციის გამოშვების არც ერთი შემთხვევა.

როგორც შავი ისე მწვანე ბაიხის ჩაის ხარისხი მკვეთრად გაუმჯობესდა. თუ 1953 წელს შავი ბაიხის ჩაის ექსტრა და უმაღლესი ხარისხის ხვედრიწონა გამოშვებულ პროდუქციაში 17%-ს შეადგენდა და მისი საშუალო წლიური ბალური შეფასება 1,86 იყო, 1963 წელს ამ კატეგორიის ჩაის ხვედრიწონამ 25,3%-ს და საშუალო წლიურმა ბალურმა შეფასებამ 3,14-ს მიაღწია. ასევე მაღალ შეფასებას იმსახურებს მწვანე ბაიხის ჩაის ხარისხიც.

1960 წლამდე ჩაის ფაბრიკები უშვებდნენ მსხვილად დაჭრილ ჩაის, რის გამოც გადამწონ ფაბრიკებში ძნელდებოდა შეფუთვადაფასოება; ჩაის წვრილად დაჭრის დროს კი იქმნებოდა მტვერი, რაც იწვევდა ჩაის ნაყენის ამღვრევას. მას შემდეგ, რაც გაუმჯობესდა ჩაის დახარისხების მეთოდი (წარმოებაში დამხარისხებელი კომბაინების დანერგვით) შეწყდა მსხვილი ჩაის გამოშვება. გაადვილდა ჩაის გადამწონ ფაბრიკებში ჩაის დასტებად შეფუთვა. შესამჩნევად უკეთესი გახდა ჩაის ნაყენი[13].

---

[12] უფრო დაწვრილებით იხ. მ. სარჯველაძე, „აქ იბადება ახალი“, თბ., 1965, გვ. 36—42.

[13] ი. გალდავაძე, „ქართული ჩაი საუკეთესოა მსოფლიოში“, გაზ. „კომუნისტი“, 1964, 19 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწვანე აგურა ჩაის პროდუქციის გაუმჯობესებისა და მისი ხარისხის ამაღლებისათვის არა ერთი სიახლე დაინერგა. გ. ბარკალაიას მიერ შემუშავებული მეთოდით მიმდინარეობს ექსპერიმენტები. ამ მეთოდის მიხედვით მწვანე აგურა ჩაის დამზადება უნდა წარმოებდეს თერმული დამუშავების გზით და არა მისი დაწნეხვით (როგორც ეს ახლა ხდება). წინასწარი გამოანგარიშებით, ასეთი მეთოდის დანერგვით და წარმოების სრული მექანიზაციით დაიზოგება ერთი მილიონი მანეთი წელიწადში.

აკად. ბახის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტის პროფესორების მ. ბოკუჩავას და კ. ჯმუხაძის სახელებთან ბევრი რამ არის დაკავშირებული სამამულო ჩაის წარმოების გაუმჯობესებისა და ხარისხის ამაღლების საპატიო საქმეში. დიდ პრაქტიკულ და შემოქმედებით მუშაობას ეწევა რესპუბლიკის ჩაის შემფასებელი ბიურო, ინჟინერ ი. გალდავაძის ხელმძღვანელობით.

ქართულმა ჩაიმ აღიარება ჰპოვა მთელ მსოფლიოში და საფუძველს მოკლებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ქართული ჩაი თავისი თვისებებით და ხარისხით საუკეთესოა მთელ მსოფლიოში.

შვიდწლედის დასასრულს მეცნიერებისა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა ამოცანას შეადგენდა, უახლოეს მომავალში საქართველოს ჩაის მრეწველობის პროდუქციის აყვანა მსოფლიო საუკეთესო სტანდარტის დონემდე. ამ ამოცანის შესრულებაში დიდი და საპატიო მოვალეობა ეკისრებათ სსრ კავშირის ჩაის წარმოების მეცნიერული ცენტრის — ანასეულის სრულიად საკავშირო ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის მეცნიერულ-კვლევით ინსტიტუტებს. მათ ფილიალებში და საუკეთესოდ მოწყობილ ბაზებში არა ერთი საინტერესო ცდა მიმდინარეობს.

ჩაის სელექციისა და მეთესლეობის დარგში აკადემიკოს ქ. ბახტაძის ხელმძღვანელობით უკვე მოპოვებულია მნიშვნელოვანი წარმატებები, გამოყვანილია რამოდენიმე სელექციური ჰიბრიდი, რომელიც უკვე ინერგება ჩაის მეურნეობებში.

ჩაის მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების საქმეში კვლავ დიდ როლს ასრულებს ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი. 1965 წლის გეგმით ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლებმა დაამუშავეს 22 თემა, რომლებსაც გარკვეული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს პროგრესული ტექნიკის შექმნისა და დანერგვის საქმეში. მათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორის განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს მ. ხარებავას, კ. ბ-ლუას, გ. ფრუიძის, ვ. შარკოვსკის, ი. იუზბაშევის ნაშრომი. ზოგიერთი თემის დამუშავება კოორდინირებულია რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მთელ რიგ სამეცნიერო დაწესებულებებთან, მათთან ერთობლივი მუშაობის შედეგად უკვე მიმდინარეობს ცდები. ადრე მეცნიერთანამშრომლებს ხშირად უხდებოდათ ექსპერიმენტების ჩატარება სხვადასხვა ჩაის ფაბრიკებში; ახლა აქ აშენდა ახალი ფაბრიკა არსებული მცირე სიმძლავრის საცდელი ჩაის ფაბრიკის ნაცვლად, რომლის წარმოებრივი სიმძლავრე წელიწადში 2 200 ტონას აღწევს. ფაბრიკა აღჭურვილია ტექნიკის უკანასკნელი მიღწევის — ასალი მაღალმწარმოებლური მანქანა-დანადგარებით, რომლებიც დაამზადეს ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანაში. საცდელი ფაბრიკა 1965 წლის მაისიდან შესულია ექსპლოატაციაში და საცდელი ბაზებიდან მიღებული ჩაის ნედლეულით ამზადებს ყველა სახის ჩაის, აქვე ხდება პროდუქციის ნაწილის გადაწონა-დაფასება. ამ უდიდეს მეცნიერულ-წარმოებრივ ბაზაში მიღებული შედეგები სათანადო რეკომენდაციებით ეგზავნებათ რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის ფაბრიკებს წარმოებაში დასანერგად.

ანასეულის მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტებში ყოველწლიურად კვალიფიკაციას იმაღლებენ სოფლის მეურნეობის პრაქტიკული მუშაკები, აგრონომები, აგროტექნიკები, დამამზადებლები და ჩაის წარმოების სხვა სპეციალისტები. 1965 წელს ცუდი ამინდების გამო გვიან დაიწყო ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა, ხოლო გვალვამ შეაფერხა ბუჩქის ვეგეტაცია. ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული ინსტიტუტის და მისი ფილიალის მეცნიერმუშაკები კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებთან ერთად დიდ მუშაობას ეწეოდნენ, როგორც გვალვის წინააღმდეგ, ისე ნიადაგში სასუქების დროზე და საკმარისი ოდენობით შეტანაზე. ინსტიტუტის საცდელ პლანტაციებში, სადაც ჰექტარზე იკრიფება 8—9 ათასი კილოგრამი ჩაი, მასიურად მოდიოდნენ ბრიგადირები და მერგოლურები, რათა ადგილზე გასცნობოდნენ ჩაის ბუჩქების მოვლის პროგრესულ ხერხებს. ინსტიტუტის მიერ მოწყობილ სემინარებზე ათასობით ახალგაზრდა კოლმეურნე და საბჭოთა მეურნეობის მუშაკი სწავლობს ჩაის მოვლა-მოყვანის მოწინავე მეთოდებს.

საქართველოს ჩაის მრეწველობის მუშაკები შვიდწლედის პირველსავე წელს ჩაებნენ საერთო საკავშირო სოციალისტურ შეჯიბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებებში ჩაის მზა პროდუქციის გამოშვების გეგმური დავალებების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

რესპუბლიკის ჩაის წარმოების მუშაკების შემოქმედებითი შრომას შესანიშნავი ნაყოფი მოქონდა. არ არსებობდა ისეთი სპეციალისტი, ოსტატი, ბრიგადირი თუ წარმოების მუშა, რომლებსაც არ ეზრუნათ და არ მიეღოთ მონაწილეობა თავიანთ საწარმოების მაღალი მაჩვენებლების მისაღწევად. გეგმური დავალებათა ბრძოლას მსვლელობაში მრავლდება წარმოების ნოვატორთა და მოწინავეთა რიგები, ფართოდ ჩაღდება კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელობის შესანიშნავი მოძრაობა.

1959 წლისათვის ჩაის ფაბრიკებმა შესძლეს გადაემუშავებინათ იმაზე მეტი ჩაის ნედლეული, რაც გეგმით იყო გათვალისწინებული, მაგრამ ყველა ჩაის ფაბრიკა როდი იყო სათანადოთ მომზადებული ჩაის მზარდი ნედლეულის გადამუშავებისათვის. ამასთან შეიმჩნეოდა ნედლეულის დანაკარგის ზრდა, ტექნოლოგიური სქემისა და სანიტარული რეჟიმის დარღვევის შემთხვევები. რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად მოქმედობდა გამოშვებულ პროდუქციის ხარისხზე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1960 წლის თებერვლის დადგენილებაში მითითებული იყო ჩაის მრეწველობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე და მათი გამოსწორების გზებზე[14]. ამის შესახებ გაამახვილა ყურადღება ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ საქართველოს კომპარტიის XX ყრილობაზე (1960 წ. იანვარი), სადაც იგი აღნიშნავდა „ჩაის მრეწველობის მუშაკები უკვე წელს უნდა იყოს მზად 145 ათასი ტონა ჩაის ფოთლის გადასამუშავებლად, ხოლო 1965 წელს — 200 ათასი ტონა გადასამუშავებლად. ამ ამოცანის შესრულება უნდა მოხდეს არა მარტო ახალ საწარმოთა მშენებლობის გზით, არამედ ძირითადად საწარმოო რეზერვების მაქსიმალურად გამოყენების, ახალი ტექნიკის და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის გზით“[15]. ეს სახელმძღვანელო მითითებები საფუძვლად დაედო ჩაის მრეწველობის მუშაკებს შვიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში. საქართველოს ჩაის მრეწველობა

---

[14] „კომუნისტი“, 1960 წ., № 49.

[15] „კომუნისტი“ 1960 წ., № 22.

წლითიწლობით გადაამუშავებდა ათას ტონობით მეტს ჩაის ნედლეულს ვიდრე ეს იყო ნავარაუდევი.

ჩაის ნედლეულის რესურსების გაფართოებამ მოითხოვა ჩაის მრეწველობის მთელი რეზერვების ამოქმედება. ახლა ჩაის მრეწველობის ყველა მუშაკთა დიდ საზრუნავს წარმოადგენდა წარმოებული პროდუქციის მოცულობის გადიდებასთან ერთად ჩაის ხარისხის კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესება.

მოწინავე ტექნოლოგიურ გაწყობილობასა და პროგრესიულ ტექნოლოგიასთან ერთად პროდუქციის ხარისხის ამაღლების ერთ-ერთი პირობა კვალიფიციური მუშაძალაა. შვიდწლედის მანძილზე ისე როგორც წინა წლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებს, რაც ჩანს შემდეგი მონაცემებით (იხ. ცხრ. 28).

ცხრილი 28

ცნობები საქართველოს ჩაის მრეწველობის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ [16]

კვალიფიკაციის ამაღლების სახეები	წლები		
	1959 წ.	1962 წ.	1964 წ.
1. აიმაღლა კვალიფიკაცია მუშებმა—სულ	1749	2031	1974
2. ინჟინერ-ტექნიკური და სხვა მუშაკთა შემადგენლობა	90	253	137
3. ახალ მუშაკთა მომზადება (ინდივიდუალური და ბრიგადული გზით)	434	626	523
4. სკოლებში და კურსებზე (წარმოებიდან მოწყვეტით)	24	148	48

აქ მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ ჩაის მრეწველობის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება შეესაბამებოდა წარმოებაში ახალი ტექნოლოგიისა და პროგრესული ტექნიკის დანერგვის მოთხოვნილებებს. ახალმა ტექნიკამ მოითხოვა ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის გადამზადება უფრო მეტად. წარმოების რთული პრო-

[16] შედგენილია ტრესტ „საქართველოს ჩაის“ მონაცემებით.

ცესების დაუფლება მოითხოვდა აგრეთვე ახალ მუშაკთა წინასწარ მომზადებას.

ჩაის მრეწველობის მუშაკთა საშუალო წლიური რაოდენობა 1959 წელს შეადგენდა 7844 კაცს; 1960 წ.—7610 კაცს; 1961 წ.—7642 კაცს, 1962 წ.—7841 კაცს, 1963 წ.—8086 კაცს, 1964 წ.—8103 კაცს, 1965 წ. — 8188 კაცს. ჩაის ფაბრიკებში კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის პერიოდში მრეწველურ მუშაკთა რაოდენობა 1959 წლიდან 1962 წლამდე კლებულობს, მაგრამ ჩაის ფაბრიკების წარმოების მოცულობის ზრდისა და ახალი სახის პროდუქციის ათვისების საჭიროებისათვის ახალი ფაბრიკების ექსპლოატაციაში შეყვანის გამო, წარმოებრივ მუშაკთა რაოდენობა 1963 წლიდან 1965 წლამდე მატულობს.

ჩაის მრეწველობის რამდენიმეათასიანი კოლექტივი დიდი სამზადისით შეუდგა შვიდწლედის დამამთავრებელი წლის სახელმწიფოებრივი დავალებების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებას. ჩაის ნედლეულის მთლიანი მოცულობის ზრდა მოითხოვდა ჩაის ყველა ფაბრიკის ისე მომზადებას, რომ მათ შესძლებოდათ მომსახურეობის ზონიდან მიღებული ნედლი მასალის დაუყოვნებლივ გადამუშავება. იყო ჩაის ისეთი ფაბრიკები (ჩოხატაურის, გალის, ოჩამჩირის, ზუგდიდის და სხვ.), რომლებიც არ იყვნენ მზად ჩაის ფოთლის მისაღებად, სასწრაფოდ მიღებული ზომების შედეგად ეს ნაკლოვანებებიც გამოსწორდა. ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე ფაბრიკებსა და ფაბრიკებს შიგნით — ცვლებსა და საამქროებს შორის გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრებები ფაბრიკების სეზონისათვის მზადყოფნის, მზა პროდუქციისა და ხარისხის გეგმური დავალების შესრულების და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის; დიდი მუშაობა გაშალეს ადგილებზე ძირეულმა პარტიულმა ორგანიზაციებმა. ფაბრიკების კომუნისტები, ისე როგორც ყოველთვის, პროგრესული მოძრაობის ავანგარდში იმყოფებოდნენ. სწორედ მათი ინიციატივით და აქტიური მონაწილეობით მოხდა ზემოაღნიშნული ჩაის ფაბრიკების დროულად მომზადება სეზონისათვის. მაგალითად, ნატანების ჩაის ფაბრიკის კომუნისტებმა იმავე სოფლის კოლმეურნეობის გამგეობასთან ერთად შეიმუშავეს გრაფიკი ჩაის ფაბრიკისათვის ნედლეულის შეუფერხებლად მისაწოდებლად. ამ გრაფიკის მტკიცედ დაცვამ, რომელსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტები ფხიზლად ადევნებდნენ თვალს დიდად შეუწყო ხელი ჩაის ფაბრიკის მაღალმწარმოებლურობას.

ჩაის ფაბრიკებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე და მესამე კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით პირველი ადგილი დაიკავა ცხაკაიას ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა. საერთო პროდუქციის გეგმა 111%-ით გაანაღდეს, ნატურალური პროდუქციის — 105,5%-ით, შრომის მწარმოებლურობის ზრდის — 102,2%-ით. ტექნოლოგიური პროცესების ზუსტად დაცვით მიაღწიეს გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და მისი თვითღირებულების შემცირებას. გამოშვებული პროდუქცია გაიაფდა 53 000 მანეთით, დაიზოგა ხელფასის ფონდი 1 500 მანეთი, ელექტროენერგია — 8,3 კილოვატსაათი, საწვავი — 12,3 ტონა. ყოველივე ამის შედეგად ფაბრიკამ სახელმწიფოს მისცა 117 700 მანეთი ზეგეგმითი მოგება. ამ მაჩვენებლების მიღწევისათვის ფაბრიკის კოლექტივს კვლავ დარჩა კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის და ტრესტ „საქჩაის“ გარდამავალი წითელი დროშა და მიეცათ ფულადი პრემია 1 400 მანეთი.

გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებებში მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს ოქუმის, მახარაძის № 1, თბილისის ჩაის გადამწონმა ფაბრიკამ და მთელმა რიგმა სხვა ფაბრიკებმა.

ჩაის ფაბრიკების რაციონალიზატორებმა არა ერთი მნიშვნელოვანი წინადადებები განახორციელეს. საკმარისია ითქვას, რომ მარტო ერთ მახარაძის № 1 ჩაის ფაბრიკაში შემოტანილ 8 რაციონალიზატორული წინადადებიდან 6 დაინერგა წარმოებაში. მათ შორის საყურადღებოა ფაბრიკის მთავარი მექანიკოსის პ. ანდღულაძის წინადადება. მან კომბინირებულ აგრეგატებს გაუკეთა შემშრალი ფოთლის ბელტების დამშლელი. ეს სიახლე სეზონში 3 500 მანეთის ეკონომიას იძლევა.

მთელი ძალების მობილიზაციის გზით რესპუბლიკის ჩაის მრეწველობამ შვიდწლედის დამამთავრებელ წელს ახალ დიდ წარმატებებს მიაღწია.

„საქართველოს ჩაის“ ტრესტში დღეისათვის არსებულ მონაცემების საფუძველზე გადაწყვეტილად შეიძლება ითქვას, რომ შვიდწლედის დამამთავრებელი წლის სახელმწიფოებრივ გეგმურ დავალებათა ყველა მაჩვენებელი მნიშვნელოვანი გადაჭარბებით

შესრულდა, რაც უმთავრესად ძირითადი სახის პროდუქციის ნატურალურ გამოხატულებაში და ასორტიმენტის გაფართოვებით გამოიხატება (იხ. ცხრ. 29).

ცხრილი 29

ჩაის პროდუქციის დინამიკა 1940—1965 წწ. (ტონობით) [17]

პროდუქციის დასახელება	წლები							1965 წ. %-ით 1940 წელთან შედარებით
	1940	1450	1958	1960	1962	1964	1965	
1. პირველადი გადამუშავების ბაიხის ჩაი	10148	20270	32498	38030	41665	44964	45250	446,0
2. მწვანე აგურა ჩაი	2320	3827	8340	4911	5534	7327	8500	366,0
3. შავი ფილა ჩაი	—	—	—	—	1639	2376	3500	214
4. მწვანე ფილა ჩაი	—	—	—	—	—	289	500	170
5. გადაწონილი ჩაი	—	3276	5991	7678	8740,6	10178	—	—

როგორც ცხრილში მოტანილი მაჩვენებლებიდან ჩანს, პირველადი გადამუშავების ბაიხის ჩაის წარმოებამ 1965 წელს ომამდელ დონეს 4,4-ჯერზე მეტად, ხოლო 1950 წლის მაჩვენებელს — 2-ჯერ გადააჭარბა. მწვანე აგურა ჩაი 1965 წელს დამზადდა 1,6-ჯერ მეტი ვიდრე 1950 წელს და 3-ჯერ მეტი ვიდრე 1940 წელს. უნდა აღინიშნოს, რომ მწვანე აგურა ჩაის წარმოების სპეციფიკურობის გამო (მისი გამოშვება ხდება მხოლოდ მოთხოვნილების შესაბამისად) პროდუქციის მთლიანი მოცულობა წლების მიხედვით განიცდის მერყეობას. გადაწონილ-დაფასოებული პროდუქციის გამოშვება როგორც ცხრილიდან ჩანს მეტად სწრაფად იზრდება. 1964

---

[17] ცხრილი შედგენილია მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, საქართველოს სსრ ცსა ფონდებიდან, აგრეთვე „საქართველოს ჩაის“ ტრესტის მონაცემებით. ცხრილში მოტანილ მაჩვენებლებში არ არის შეტანილი ანასეულის საცდელი ჩაის ფაბრიკის მიერ გამოშვებული პროდუქცია.

წელს თბილისის ჩაის გადამწონმა ფაბრიკამ გამოუშვა 3,1-ჯერ მეტი პროდუქცია ვიდრე 1950 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვიდწლედის მანძილზე საქართველოს ჩაის მრეწველობამ გამოუშვა პირველადი გადამუშავების ბაიხის ჩაი — 286 964 ტ (გეგმით გათვალისწინებული იყო 267 110 ტ). მათ შორის: შავი — 194 765 ტ და მწვანე—92 199 ტ, მწვანე აგურა ჩაი—45 512 ტ (გეგმით — 43 900 ტ) შავი ფილა ჩაი (1961 წლიდან) — 9 219 ტ მწვანე ფილა ჩაი (1963 წლიდან) — 1060 ტ; გადაწონილი ჩაი (1959—1964 წწ.) — 50978,5 ტონა.

რესპუბლიკის ჩაის მრეწველობამ შვიდწლედის მანძილზე გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცა — 19 854 ტონა ბაიხის ჩაი (შავი და მწვანე), ხოლო მწვანე აგურა ჩაი — 1612 ტონა[18].

შვიდწლედის დამამთავრებელ წელს რესპუბლიკის ჩაის ფაბრიკათა რაოდენობა შეადგენს 68-ს. ჩაის ფაბრიკათა წარმოებრივი სიმძლავრე საშუალებას იძლევა წლის განმავლობაში გადამუშავდეს 247 ათას ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ხარისხოვანი ფოთოლი. 1940 წელთან შედარებით ჩაის ფაბრიკათა რაოდენობა გაიზარდა თითქმის 2-ჯერ, ხოლო ბაიხის ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკების წარმოებრივი სიმძლავრე 4-ჯერ.

ჩაის ფაბრიკების ძირითადი წარმოებრივი ფონდების ღირებულება მარტო უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე (1960—1964 წწ.) გაიზარდა 19%-მდე. იმავე შესადარის პერიოდში კაპიტალდაბანდება გადიდდა თითქმის 1,9-ჯერ.

საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის მთლიანი პროდუქცია შვიდწლედში (1959—1965 წწ.) გაიზარდა 219,27 მლნ მანეთიდან 311,20 მლნ მანეთამდე, ე. ი. გაიზარდა 1,8-ჯერ. მთლიანმა პროდუქციამ 1965 წელს 1940 წლის მაჩვენებელს 1,2-ჯერ გადააჭარბა.

წლითაწლობით მცირდება ერთ კგ პროდუქციაზე ნედლეულის დანახარჯები. ლ. ჩიქავას გამოანგარიშებით 1 კგ ბაიხის ჩაის წარმოებაზე 1962 წელს დახარჯულა საშუალოდ 13,6%-ით ნაკლები ხარისხის ჩაის მწვანე ფოთოლი, ვიდრე 1940 წელს[19].

---

[18] გაანგარიშებულია ტრესტ „საქართველოს ჩაის“ წინასწარი მონაცემების საფუძველზე. ამ ცნობებში არ არის ნაგულისხმები ანასეულის საცდელი ჩაის ფაბრიკა, რომელმაც შვიდწლედის მანძილზე გამოუშვა—4897,4 ტონა ბაიხის ჩაი, მათ შორის: შავი—1199,4 და მწვანე—3698 ტონა.

[19] ლ. ჩ ი ქ ა ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 140.

ზემოაღნიშნული ფაქტორები გარკვეულ გავლენას ახდენენ შრომის მწარმოებლურობის ამაღლებაზე, რაც ჩანს შემდეგი მონაცემებით (იხ. ცხრ. 30).

ცხრილი 30

შრომის მწარმოებლურობის ზრდის დინამიკა ტრესტ „საქართველოს ჩაის“ წარმოებებში (1959—1965 წწ.) [20]

წლები	მთლიანი პროდუქცია (მლნ მანეთობით)	წარმოებაში დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობა	ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით (შრომის მწარმოებლურობა მანეთობით)	შრომის მწარმოებლურობის ზრდა 1959 წ. მიმართ (პროცენტობით)
1959	219,27	7844	27953	100,0
1960	239,08	7610	31415	112,3
1961	242,30	7642	31706	113,4
1962	269,43	7841	34362	122,9
1963	294,65	8086	36439	130,5
1964	303,91	8103	37506	134,2
1965	311,20	8177	38057	136,1

როგორც ვხედავთ, შრომის მწარმოებლურობა საქართველოს ჩაის მრეწველობაში განუხრელად იზრდება, ხოლო რაც შეეხება მუშაძალის რაოდენობის მატებას, როგორც უკვე ადრე ითქვა გამოწვეულია ახალი სახის (შავი და მწვანე ფილა ჩაის) წარმოების დაწყებასთან დაკავშირებით.

საქართველოს კვების მრეწველობის სხვა დარგებს შორის ჩაის მრეწველობა ერთ-ერთი რენტაბელური დარგია, საკმარისია ითქვას, რომ 1960 წელს ჩაის წარმოებიდან მიიღეს 41,066 მლნ მანეთის მოგება, ხოლო 1964 წელს — 52 342 მლნ მანეთი. ამრიგად ოთხი წლის განამვლობაში ჩაის მრეწველობის მოგება გაიზარდა 27,4%-ით. ამ მოგებით მიღებული სახსრებიდან გარკვეული რაოდენობის თანხა იხარჯება ჩაის მრეწველობის მუშათა კულტურულ-ყოფაცხოვრებითი და ჯანმრთელობის დაცვის პირობების გასაუმჯობესებლად. ჩაის ფაბრიკებთან ახლო შეიქმნა ახალი დასახლებული პუნქ-

[20] ცხრილი გაანგარიშებულია ტრესტ „საქართველოს ჩაის“ მონაცემების საფუძველზე.

ტები, სადაც ადმინისტრაციულ-მეურნეობრივ ნაგებობებთან ერთად აშენდა მრავალი საცხოვრებელი სახლი, სასადილო, მაღაზია, ჯანმრთელობის დაცვის პუნქტი, სკოლა და ბავშვთა ბაგა. 1965 წლისათვის ტრესტ „საქართველოს ჩაის“ გამგებლობაში 105 238 კვმ საცხოვრებელი ფართობი ირიცხება. შვიდწლედის უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში აშენდა და ექსპლოატაციაში გადაეცა 350 ადგილიანი ბავშვთა ბაგები.

როგორც მოცემული მაგალითიდან ჩანს, ჩაის მრეწველობა შვიდწლედის მანძილზე დიდი აღმავლობით ხასიათდებოდა, იგი კიდევ უფრო მეტად განვითარდება მომავალ ხუთწლედებში, რადგან საბჭოთა ხალხის მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლება, პროდუქტების ჭარბი წარმოება გარდუვალს ხდის ჩაის მრეწველობის ინტენსიურ აღმავლობას.

დ. ჩაის წარმოების ადგილი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში და მისი განვითარების პერსპექტივა უახლოეს მომავალში

საქართველოს სსრ ჩაის წარმოების შვიდწლიანი გეგმის შესრულებამ კიდევ უფრო განამტკიცა ჩაის კულტურის ხვედრიწონა საქართველოს სოფლის მეურნეობაში. ამჟამად ჩაის ხარისხოვან ნედლეულს აწარმოებს დასავლეთ საქართველოს 25 ადმინისტრაციული რაიონის 600-ზე მეტი კოლმეურნეობა, 25 საბჭოთა მეურნეობა და სხვა ორგანიზაციები. მასში ჩაბმულია ასიათასობით კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობის მუშაკები. დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეთა დიდი ნაწილისათვის მეჩაიეობა ჯერ კიდევ ომამდელ პერიოდში წარმოადგენდა შემოსავლის ძირითად წყაროს. ამჟამად, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში მისი მნიშვნელობა ჩაის მწარმოებელ კოლმეურნეთათვის უფრო მეტად გაიზარდა.

ჩაის კულტურის განვითარებამ საგრძნობლად შესცვალა დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ზონის სოფლის მეურნეობის სტრუქტურა, ისტორიულად მოკლე დროში გადაიქცა იგი საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგად.

სსრ კავშირში, საქართველო წარმოადგენს ჩაის მთავარ მწარმოებელ რაიონს, რაც განპირობებულია, როგორც შრომის საერ-

თო ტერიტორიული დანაწილებით, ისე ჩაიზე მოსახლეობის ... დი მოთხოვნილების დაკმაყოფილების ტენდენციით.

1965 წელს ჩაის პლანტაციების ფართობი სსრ კავშირში უდრიდა 71,0 ათას ჰექტარს, აქედან ათას ჰექტარობით მოდიოდა რსფსრ-ზე — 2,0; აზერბაიჯანის სსრ-ზე—64; საქართველოს სსრ-ზე—62,6, რაც საბჭოთა კავშირის ჩაის პლანტაციების 88,14%-ს შეადგენდა. იმავე წელს სსრ კავშირში აწარმოეს 197,0 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, აქედან ათას ტონობით მოდიოდა: რსფსრ-ზე — 2,7; აზერბაიჯანის სსრ-ზე — 8,2, საქართველოს სსრ-ზე — 186,1[21]. ამრიგად, საქართველოზე მოდიოდა საბჭოთა კავშირის ჩაის პლანტაციათა ფართობის 88,2% და ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოების 94,5%. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო საქართველოში ერთ ჰექტარზე მოსავლიანობა უფრო მაღალია ვიდრე რსფსრ-ში და აზერბაიჯანის სსრ-ში, ამიტომ მომავალ წლებში, საერთო-საკავშირო სპეციალიზაციის გაღრმავების თვალსაზრისით, საქართველოს ჩაის წარმოებას სსრ კავშირში კიდევ უფრო მაღალი ხვედრიწონა ექნება.

ჩაის მეურნეობის განვითარება თუ ერთი მხრივ ხელს უწყობს კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის განმტკიცებას, მეორე მხრივ იგი გადამწყვეტ როლს ასრულებს მის სანედლეულო ბაზაზე შექმნილ ჩაის პროდუქციის მწარმოებელ მრეწველობაში.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ჩაის მტკიცე სანედლეულო ბაზის შექმნის შედეგად აღმოცენდა და დამოუკიდებელი გზით განვითარდა საქართველოს კვების მრეწველობის ახალი დარგი — ჩაის მრეწველობა.

ომისშემდგომ პერიოდში ჩაის მრეწველობა ერთ-ერთ უმსხვილეს და მაღალრენტაბელურ დარგს წარმოადგენს.

1965 წლისათვის რესპუბლიკაში მოქმედებდა 68 ჩაის ფაბრიკა, მათ შორის ბაიხის ჩაის პირველადი გადამუშავების — 66, შავი და მწვანე ფოლა ჩაის — 2 და ჩაის გადასაწონი — 2. 1965 წ. ჩაის მრეწველობაში ჩაბმულ მრეწველურ-წარმოებრივ მუშათა ხვედრიწონა რესპუბლიკის მუშათა საერთო რაოდენობაში 1,7%-ს შეად-

---

[21] Народное хозяйство СССР в 1965 г. Стат. ежегодник, М., 1966, გვ. 350—352.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენს, ხოლო ჩაის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ხვედრიწონა რესპუბლიკის კვების მრეწველობის მთლიან პროდუქციაში შეადგენს (პროცენტობით): 1958 წ.—27,3, 1960 წ.—29,5, 1963 წ.—30,3, 1965 წ. — 27,0.

ჩაის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპი შვიდწლედის ხუთი წლის მანძილზე (1960—1965 წწ.) 131%-ს შეადგენს.

ყოველწლიურად გამოშვებული პროდუქციის ზრდის, ასორტიმენტისა და ხარისხის გაუმჯობესების, შრომის მწარმოებლურობის გადიდებისა და სხვა ფაქტორების ზემოქმედების შედეგად იზრდება ჩაის საწარმოების რენტაბელობა. 1960 წელს ჩაის მრეწველობამ მოგებისა და ბრუნვის გადასახადიდან სახელმწიფოს მისცა — 41066 მლნ მან., 1964 წელს კი ჩაის მრეწველობის მოგება — 52342 მლნ მანეთს შეადგენს, ეს თანხა მნიშვნელოვნად აჭარბებს ჩაის წარმოებების ძირითადი ფონდების ღირებულებას. ამრიგად, ჩაის მრეწველობიდან მიღებული მოგება საგრძნობლად ზრდის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალს და მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ჩაის მრეწველობაში ჩაბმულ მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური კეთილდღეობის დონეს.

დიდია საქართველოს ჩაის მრეწველობის ხვედრიწონა სსრ კავშირის ჩაის პროდუქციის წარმოებაში. 1965 წელს საქართველოს ჩაის მრეწველობაზე მოდიოდა სსრ კავშირის ჩაის მრეწველობის ბაიხის ჩაის პირველადი გადამუშავების მთლიანი პროდუქციის — 95,5% და წარმოებაში საშუალოდ ყოველწლიურად ჩაბმულ მუშაკთა საერთო რაოდენობის — 93,6%.

საქართველოს ჩაის მრეწველობა ამზადებს მსოფლიოში ცნობილ თითქმის ყველა სახის ჩაის პროდუქციას, როგორიცაა შავი და მწვანე ბაიხის ჩაი, მწვანე აგურა ჩაი, შავი და მწვანე ფილა ჩაი. ჩაის ამ სახეებიდან რსფსრ-სა და აზერბაიჯანის ჩაის ფაბრიკები ამზადებენ მხოლოდ შავ ბაიხის ჩაის, იმასაც ძალზე მცირე რაოდენობით. წარმოებული პროდუქციის საერთო რაოდენობასთან შედარებით, საქართველოში მნიშვნელოვანი რაოდენობით წარმოებს დაფასოებული ჩაის პროდუქციის გამოშვება.

საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე ბაიხის ჩაის მოხმარება სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებთან შედარებით მცირეა,

ხოლო სხვა სახის ჩაის პროდუქცია სრულებით არ იხმარება. [illegible] ტომ შრომის განაწილების პრინციპიდან გამომდინარე რესპუბლიკის ჩაის პროდუქციის უდიდესი ნაწილი იგზავნება იმ რესპუბლიკებსა და რაიონებში, სადაც მასზე მოთხოვნილება დიდია.

რესპუბლიკის ბაიხის ჩაის პირველადი გადამუშავების პროდუქცია იგზავნება სსრ კავშირის 13 ჩაის გადამწონ ფაბრიკაში, სადაც საბოლოოდ ხდება შეფუთვა-დაფასოება. ასეთი ფაბრიკები უმთავრესად განაწილებულია მოხმარების რაიონის სიახლოვის პრინციპის მიხედვით, ხოლო რაც შეეხება ჩაის დანარჩენი სახის პროდუქციას (მწვანე აგურა ჩაი, შავი და მწვანე ფილა ჩაი, მწვანე ბაიხის ჩაი) მთლიანად იგზავნება რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

ბაიხის ჩაი გადის ექსპორტის სახით მთელ რიგ სოციალისტურ ქვეყნებში — პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, იუგოსლავიაში, გდრ-ში და სხვ. მწვანე აგურა ჩაის უშუალო მომხმარებელია მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა. ჩაის პროდუქცია იგზავნება აგრეთვე კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც მასზე მოთხოვნილება ყოველწლიურად მატულობს.

საქართველოს ჩაის მრეწველობის პროდუქცია (განსაკუთრებით „საქართველოს თაიგული") არა ერთხელ ყოფილა ექსპონირებული საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთ მოწყობილ გამოფენაზე. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ქართული ჩაი ყოველთვის მაღალ შეფასებას იმსახურებს. უკანასკნელ წლებში ქართული ჩაი იყიდებოდა ბრიუსელის, პარიზის, თეირანის, იზმირის და სხვა ქალაქებში მოწყობილ გამოფენებზე. ქართული ჩაის მაღალმა ღირსებამ მსოფლიო ბაზრის აღიარება ჰპოვა.

რესპუბლიკის ჩაის პროდუქციის მოცულობის ზრდის შედეგად თანდათანობით მცირდება საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ჩაის შემოტანა და მის შესაბამისად მნიშვნელოვნად იკვეცება ვალუტის ხარჯვაც.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და სექტემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებში დასახულია სსრ კავშირის სოფლის

---

[22] უკანასკნელ წლებში ჩაის მოხმარება მკვეთრად იზრდება, რასაც ხელი შეუწყო ჩაის სმის კულტურისათვის დაწყებულმა ლაშქრობამ.

მეურნეობისა და მრეწველობის შემდგომი განვითარების გზები. ამ ისტორიულ გადაწყვეტილებებში ხაზგასმითაა აღნიშნული მრეწველური წარმოების ეფექტურობის ამაღლებით და წარმოების რეზერვების უფრო მეტი გამოყენებით პროდუქციის გამოშვების გადიდება. იმ დიდი რეზერვების გამოყენებით, რაც რესპუბლიკის ჩაის წარმოებას გააჩნია შესაძლებელი იქნება უფრო მეტი პროდუქციის წარმოება ვიდრე წინა წლებში. დასახულ ამოცანათა შუქზე ნავარაუდევია მომდევნო ხუთწლედში (1966—1970 წწ.) რესპუბლიკის ჩაის წარმოების გადიდება.

1966 წელს სახელმწიფომ შეისყიდა 150 000 ტ. ხოლო 1970 წელს შეისყიდის 215 ტ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს. 1965 წელთან შედარებით 1970 წლისათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადება გაიზრდება 115,5%-ით. ჩაის ნედლეულის დამზადების ზრდა ერთი მხრივ მოხდება ჩაის ახალი პლანტაციების გაშენებისა და ერთ ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობის გადიდების გზით. 1970 წელს ჩაის პლანტაციების ფართობი გაიზრდება 70 ათას ჰექტარამდე, ხოლო ერთ ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობა 4 ათას კგ-მდე. ახალი პლანტაციების გაშენება უმთავრესად ნავარაუდევია კოლხეთის დაბლობზე, რომელიც ამოშრობის შედეგად ვარგისი იქნება სუბტროპიკული კულტურებისა და მათ შორის ჩაის პლანტაციების გაშენებისათვის. ამავე დროს გამოინახება სხვა რაიონების ჩაის კულტურისათვის გამოსადეგი მიწები.

ნედლეულის არსებულ ბაზაზე შესაძლებელი გახდება ყველა სახის ჩაის პროდუქციის მოცულობის გადიდება, რაც ჩანს შემდეგი მონაცემებით (იხ. ცხრ. 31.).

ჩაის პროდუქციის ზრდასთან ერთად გათვალისწინებულია ბაიხის ჩაის პირველადი გადამუშავების ასორტიმენტის გაუმჯობესება იმ ვარაუდით, რომ შავი ჩაის უმაღლესი და პირველი ხარისხის ხვედრიწონა მთლიან მოცულობაში 1970 წლისათვის აყვანილ იქნას 62%-მდე, ნაცვლად 55,5%-ისა 1964 წელს, მწვანე ბაიხის ჩაის უმაღლესი და პირველი ხარისხი კი აყვანილ იქნას — 65%-მდე. ეგეგმით გათვალისწინებულია ეგრეთვე დანარჩენი სახის ჩაის პროდუქციის ასორტიმენტის გაუმჯობესება.

გათვალისწინებულია 1970 წელს ბაიხის ჩაის პირველადი გადამუშავების მთლიანი მოცულობის გადიდება 52140 ტონამდე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 31

ჩაის პროდუქციის წარმოება ცალკეული სახეების მიხედვით 1966—1970 წწ. (ტონობით)[23]

პროდუქციის სახეები	წლები					
	1965	1966	1967	1968	1969	1970
1. ბაიხის ჩაი პირველადი გადამუშავების	45000	47250	48470	49690	50920	52140
მათ შორის:						
ა) შავი	25000	26250	26470	26690	26920	27140
ბ) მწვანე	2000	21000	22000	23000	24000	25000
2. ლაო-ჩაი ნახევარფაბრიკატები	9000	9000	9000	10000	10000	10000
3. შავი ფილა ჩაი	3500	4000	5000	55000	6000	7000
4. მწვანე ფილა ჩაი	400	500	600	700	800	1000
5. მწვანე აგურა ჩაი	8000	9000	1000	1000	1000	1000

ნაცვლად 45000 ტონისა (1965 წელს), ნამატი შეადგენს 7140 ტონას ანუ 16%-ს.

ჩაის პროდუქციის მოცულობის ზრდის შესაბამისად გათვალისწინებულია ახალი ჩაის ფაბრიკების მშენებლობა (9 ფაბრიკა). მოხდება ძველი ფაბრიკების რეკონსტრუქცია-გაფართოება, ელექტროენერგეტიკის მეურნეობის განმტკიცება და საერთოდ ჩაის ფაბრიკების სიმძლავრის გადიდება. კიდევ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საწარმოო პროცესების კომპლექსურ მექანიზაციას და მათი სრულ ავტომატიზაციას, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფას. სულ უფრო მეტ გავლენას მოახდენს ქიმიის, მათემატიკის, რადიოელექტრონიკის, კიბერნეტიკის და სხვა დარგების უკანასკნელი მეცნიერული მიღწევები.

ტექნიკური პროგრესის პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ჩაის მრეწველობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა კვალიფიკაციას, ამიტომ უფრო მეტად გაფართოვდება მუშაობა სათანადო კადრების მოსამზადებლად. მაღალკვალიფიცირებულ

[23] შედგენილია ტრესტ „საქართველოს ჩაის“ მონაცემების საფუძველზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კადრებს გამოუშვებს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები და ტექნიკუმები.

1970 წლისათვის მთლიანი პროდუქციის მოცულობა გაიზრდება 383,4 მლნ მანეთამდე, ნაცვლად 315,4 მლნ მანეთისა (1965 წელს). მთლიანი პროდუქციის ზრდა ხუთწლედში შეადგენს 68 მლნ მანეთს ანუ 21,5%-ს. ზრდა აგრეთვე გათვალისწინებულია საქონლურ პროდუქციაში.

ჩაის წარმოების გადიდება კიდევ უფრო მეტად აამაღლებს მეჩაიეთა ზონის ჩაის ფაბრიკების მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ და მატერიალურ კეთილდღეობის დონეს.

საბჭოთა საქართველოში ჩაის წარმოება ეყრდნობა და ვითარდება მეცნიერებასთან მჭიდრო კავშირში. ახლა ეს კავშირი უფრო მეტადაა გამტკიცებული. საქართველოს მეჩაიეთა ზონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელების, ჩაის მრეწველობის მუშა-მოსამსახურე პერსონალისა და მეცნიერთა შემოქმედებითი თანამეგობრობის საფუძველზე შეიქმნა ყველა პირობა იმისა, რომ უზრუნველყონ ჩვენი ქვეყანა საკუთარი წარმოების საუკეთესო და იაფი კვების პროდუქტით — ქართული ჩაით. ეს იქნება საქართველოს მშრომელების დიდი წვლილი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

წინსიტყვაობა 3

თავი პირველი

ჩაის წარმოება რევოლუციამდელ საქართველოში
ა. ჩაის კულტურის გავრცელებისა და ჩაის ნედლეულის გადამმუშავებელ საწარმოთა შექმნის ისტორიიდან 5

თავი მეორე

ჩაის წაომოება საქართველოში სოციალისტური ეკონომიკის აშენების პერიოდში (1921—1937 წწ.) 48
ა. ჩაის მეურნეობის და მრეწველობის აღდგენა-განვითარება . . . 48
ბ. ჩაის წარმოების მრეწველური ბაზის მდგომარეობა და ბრძოლა მისი განვითარებისათვის 61
გ. ჩაის წარმოების გეგმურ დავალებათა შესრულება პირველ და მეორე ხუთწლედებში (1929—1937 წწ.) 74

თავი მესამე

ჩაის მრეწველობა მესამე ხუთწლედისა და დიდი სამამულო ომის წლებში (1938—1945 წწ.) 97
ა. ჩაის წარმოების განვითარების პერსპექტივა მესამე ხუთწლედის გეგმით 97
ბ. ჩაის მრეწველობა და მისი ნედლეულის წარმოება 103
გ. ჩაის მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება. 110
დ. ჩაის მრეწველობა დიდი სამამულო ომის წლებში (1941—1945 წწ.). 118

თავი მეოთხე

ჩაის წარმოება ომისშემდგომ ხუთწლედებში (1946—1958 წწ.) 133
ა. ჩაის წარმოება მეოთხე ხუთწლედში (1946—1950 წწ.) . . . 133
ბ. ჩაის წარმოება მეხუთე ხუთწლედსა და მის მომდევნო წლებში (1951—1958 წწ.) 140

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

ჩაის მრეწველობის განვითარება შვიდწლედში (1959—1965 წწ.) . . . 152
ა. ჩაის მრეწველობისა და მისი სანედლეულო ბაზის განვითარების შვიდწლიანი გეგმა 152
ბ. ჩაის წარმოების ზრდა 154
გ. ჩაის წარმოების ტექნიკური სრულყოფის ღონისძიებანი და მათი შედეგები 159
დ. ჩაის წარმოების ადგილი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში და მისი განვითარების პერსპექტივა უახლოეს მომავალში . . 177

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი ბ. ხასია
გამომცემლობის რედაქტორი ც. თოდუა
ტექრედაქტორი ლ. ჯვებენავა
მხატვარი ვ. ხმალაძე
კორექტორი ი. დონაძე

გადაეცა წარმოებას 27.11.68; ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.6.1969;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ნაბეჭდი თაბახი 11.63; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 9,36; უე 01271; ტირაჟი 600; შეკვეთა № 2811
ფასი 80 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

გამომცემლობა „მეცნიერების" სტამბა, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Брегвадзе Александр Иосифович

РАЗВИТИЕ ЧАЙНОЙ ПРОМЫШЛЕННОСТИ СОВЕТСКОЙ ГРУЗИИ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „მეცნიერებამ“ 1969 წელს გამოსცა:

1. მ. კახეთელიძე, კოლმეურნეობრივი მეფრინველეობის განვითარება საქართველოში, ფასი 40 კაპ.

2. ვ. რეხვიაშვილი, ტექნიკური პროგრესი და შრომის მწარმოებლურობის ზრდა სოფლის მეურნეობაში, ფასი 1 მან. 12 კაპ.

3. ს. ჭელიძე, შრომის მწარმოებლურობის ზრდის ფაქტორების სტატისტიკური შესწავლა თავთავიანი კულტურების მარცვლეულის წარმოებაში, ფასი 42 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“ უახლოეს დროში გამოსცემს:

1. გ. ჩადუნელი, გაზ. „დროების“ პუბლიცისტთა საზოგადოებრივ-ეკონომიკური შეხედულებანი.

2. ო. ავალიშვილი, ფასები და რენტაბელობა საქართველოს სსრ შამპანური ღვინის მრეწველობაში.

8. 15/680

ეროვნული
ბიბლიოთეკა